

მოსამართლეთა ეთიკის
საერთაშორისო
სტანდარტები

წინამდებარე გამოცემაში წარმოდგენილი შინაარსი ამერიკის იურისტთა ასოციაციის კანონის უზენაესობის ინიციატივის (ABA Rule of Law Initiative) ნაშრომია. მასში წარმოდგენილი მოსაზრებანი ეკუთვნის მხოლოდ და მხოლოდ მის ავტორებს და ისინი არ დამტკიცებულა ამერიკის იურისტთა ასოციაციის დელეგატთა საბჭოს ან მმართველთა საბჭოს მიერ და არ წარმოადგენს ამერიკის იურისტთა ასოციაციის პოზიციას ან პოლიტიკას. ამასთან, წინამდებარე გამოცემაში წარმოდგენილი შეხედულებანი არ შეიძლება განხილულ იქნას, როგორც კონკრეტულ საკითხებზე იურიდიული რჩევა. წინამდებარე ანალიზის გამოცემა შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მხარდაჭერით ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) საშუალებით. გამოცემის შინაარსზე პასუხისმგებელია ამერიკის იურისტთა ასოციაციის კანონის უზენაესობის ინიციატივა და ის არ ასახავს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის პოზიციას.



ს ა რ ჩ ე ვ ი

- I. სამოსამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპები
- II. სამოსამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპების განმარტებითი ბარათი
- III. გაეროს სასამართლოს დამოუკიდებლობის ძირითადი პრინციპები
- IV. მოსამართლეთა საყოველთაო ქარტია
- V. მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია № R (94) 12 წვერი სახელმწიფოებისათვის მოსამართლეთა დამოუკიდებლობის, ეფექტურობის და როლის შესახებ
- VI. მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია № R (94) 12 წვერი სახელმწიფოებისათვის მოსამართლეთა დამოუკიდებლობის, ეფექტურობის და როლის შესახებ – განმარტებითი ბარათი
- VII. ევროპული ქარტია მოსამართლეთა სტატუსის შესახებ
- VIII. მოსამართლეთა სტატუსის შესახებ ევროპული ქარტიის განმარტებითი ბარათი
- IX. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს დასკვნა №1 (2001)
- X. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს დასკვნა №2 (2002)
- XI. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს დასკვნა №3 და დანართი (2003)

სამოსამართლო ქცევის

ბანგალორის პრინციპები

2002

პრეამბულა

როდესაც, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია ფუნდამენტურ პრინციპად აღიარებს თითოეული ადამიანის უფლებას მისი უფლება-მოვლევების განსაზღვრისათვის და მისთვის წაყენებული სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის დასადგენად, მისი საქმე საქვეყნოდ და სამართლიანობისა და თანასწორობის დაცვით გააჩიოს დამოუკიდებელმა და მიუკერძოებელმა სასამართლომ;

როდესაც, საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ უზრუნველყოფს გარანტიას, რომ ყველა პირი თანასწორია სასამართლოების წინაშე და აქვს უფლება მისთვის წაყენებული ყოველი სისხლის სამართლის ბრალდების განხილვისას, ან რომელიმე სამოქალაქო პროცესში მისი უფლება-მოვალეობების განსაზღვრისას, რომ მისი საქმე სამართლიანად და საჯაროდ განსაჯოს კანონის საფუძველზე შექმნილმა, კომპეტენტურმა, დამოუკიდებელმა და მიუკერძოებელმა სასამართლომ;

როდესაც, წინამდებარე პრინციპები და უფლებები ასევე აღიარებულია ან ასახულია რეგიონალურ ადამიანის უფლებათა ინსტრუმენტებში, შიდა კონსტიტუციურ, სამოქალაქო და საერთო სამართალში და სამოსამართლო კონვენციებსა და ტრადიციებში;

როდესაც, კომპეტენტური, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლო კორპუსის მნიშვნელობას ადამიანის უფლებების დაცვისათვის ხაზს უსვამს ის ფაქტი, რომ ყველა სხვა უფლების რეალიზაცია საბოლოოდ დამოკიდებულია მართლმსაჯულების სათანადო განხორციელებაზე;

როდესაც, სასამართლო სისტემისადმი საზოგადოებრივ ნდობას და სასამართლო კორპუსის მორალურ ავტორიტეტს და მიუკერძოებლობას თანამედროვე დემოკრატიული საზოგადოებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს;

როდესაც, უმნიშვნელოვანესია, რომ მოსამართლეებმა ინდივიდუალურად და კოლექტიურად პატივი სცენ და დააფასონ მოსამართლის წოდება, როგორც საზოგადოების მათ მიმართ ნდობა და უნდა იღწვოდნენ სასამართლო სისტემაში რწმენის შენარჩუნებისა და გაძლიერებისაკენ;

როდესაც, სამოსამართლო ქცევის მაღალი სტანდარტების შენარჩუნების და გაუმჯობესების პასუხისმგებლობა თითოეული ქვეყნის სასამართლო კორპუსს აკისრია;

და როდესაც, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძირითადი პრინციპები სასამართლო კორპუსის დამოუკიდებლობის შესახებ შექმნილია სასამართლოს

დამოუკიდებლობის უზრუნველყოფისა და ხელშეწყობისათვის და უშუალოდ განკუთვნილია სახელმწიფოებისათვის;

წინამდებარე პრინციპების მიზანს მოსამართლეთა ეთიკური ქცევის ნორმების განსაზღვრა წარმოადგენს. ისინი შედგენილია იმისათვის, რომ მოსამართლეებმა ამით იხელმძღვანელონ და სასამართლო სისტემას შეუქმნან სამოსამართლო ქცევის რეგულირების ჩარჩოები. ამავე დროს, ისინი გამიზნულია აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლების, ადვოკატებისა და ზოგადად საზოგადოების დახმარებისათვის, რათა მათ უკეთ გაიგონ და მხარი დაუჭიროონ სასამართლო სისტემას. პრინციპები გულისხმობს, რომ მოსამართლეები პასუხისმგებელი არიან თავიანთ ქცევაზე შესაბამისი ინსტიტუტების წინაშე, რომლებიც სამოსამართლო სტანდარტების შესანარჩუნებლად შეიქმნა და რომლებიც თვითონ დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი არიან და რომელთა მიზანია მოსამართლის ქცევის მარეგულირებელი კანონის მოქმედი ნორმებისა და ქცევის წესების გაფართოება და არა მათი დაკნინება.

I ღირებულება:

დამოუკიდებლობა

პრინციპი:

სამოსამართლო დამოუკიდებლობა კანონის უზენაესობის წინაპირობას წარმოადგენს და სამართლიანი სასამართლო პროცესის ფუნდამენტური გარანტიაა. აქედან გამომდინარე, მოსამართლემ უნდა შეინარჩუნოს და წარმოაჩინოს სამოსამართლო დამოუკიდებლობა როგორც მისი ინდივიდუალური, ისე ინსტიტუციონალური ასპექტების თვალსაზრისით.

გამოყენება:

- 1.1 მოსამართლემ მისი სამოსამართლო მოვალეობები ფაქტების შეფასების საფუძველზე და კანონის სიღრმისეული გაგების შესაბამისად, დამოუკიდებლად უნდა განახორციელოს, ნებისმიერი პირთა წრის მიერ ან ნებისმიერი მიზეზით პირდაპირი თუ ირიბი გავლენისაგან, გარეშე ზეწოლისაგან, სტიმულისაგან, მუქარის ან ჩარევისაგან დამოუკიდებლად.
- 1.2 მოსამართლე დამოუკიდებელი უნდა იყოს ზოგადად საზოგადოებასთან და მოსამართლის მიერ გადასაწყვეტი დაეის კონკრეტულ მხარეებთან ურთიერთობებში.
- 1.3 მოსამართლე თავისუფალი უნდა იყოს არა მხოლოდ ხელისუფლების აღმასრულებელ და საკანონმდებლო შტოსთან არასათანადო კავშირებისა და მათი ზეგავლენისაგან, არამედ გარეშე დამკვირვებელს ასეთი ფაქტორებისაგან თავისუფლება გონიერულ ფარგლებში უნდა დაანახოს.
- 1.4 სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებისას, მოსამართლე დამოუკიდებელი უნდა იყოს კოლეგა მოსამართლეებისაგან ისეთ გადაწყვეტილებებთან მიმართებით, რომლებიც მოსამართლემ დამოუკიდებლად უნდა მიიღოს.

- 1.5 მოსამართლემ უნდა დაიცუას და ხელი შეუწყოს სამოსამართლო მოვალეობების განხორციელების გარანტიებს, რათა შენარჩუნებული და გაუმჯობესებული იქნას სასამართლოს ინსტიტუციონალური და ქმედითი დამოუკიდებლობა.
- 1.6 მოსამართლემ უნდა წარმოაჩინოს და ხელი შეუწყოს სამოსამართლო ქცევის მაღალ სტანდარტებს სასამართლო კორპუსისადმი საზოგადოებრივი ნდობის გაძლიერების მიზნით, რასაც სამოსამართლო დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

II ღირებულება:

მიუკერძოება

პრინციპი:

მიუკერძოებლობა მოსამართლის ვალდებულებების ჯეროვნად განხორციელებისათვის უმნიშვნელოვანესია. ეს არა მხოლოდ თვით გადაწყვეტილებაზე ვრცელდება, არამედ გადაწყვეტილების მიღების პროცესზეც.

გამოყენება:

- 2.1 მოსამართლემ მისი სამსახურებრივი მოვალეობები მიკერძოების, რომელიმე მხარის მიმართ კეთილგანწყობის ან წინასწარ შექმნილი აზრის გარეშე უნდა განახორციელოს.
- 2.2 მოსამართლემ უნდა უზრუნველყოს, რომ მისი ქცევა როგორც სასამართლოში, ისე სასამართლოს გარეთ, ხელს უწყობდეს იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების, მხარეებისა და საზოგადოებრივი ნდობის შენარჩუნებას და გამყარებას მოსამართლის და სასამართლო კორპუსის მიუკერძოებლობისადმი.
- 2.3 მოსამართლე ვალდებულია გონივრულ ფარგლებში მოიქცეს ისე, რომ შეამციროს გარემოებები, როდესაც აუცილებელი გახდება მოსამართლის აცხილება საქმის განხილვისა ან გადაწყვეტისაგან.
- 2.4 მოსამართლემ წინასწარი შეცნობით არ უნდა გააკეთოს კომენტარი მის მერ განხილულ ან შესაძლო განსახილველ საქმეზე, რომელმაც გონივრულ ფარგლებში შეიძლება გაეღვნა იქონიოს ამ საქმის შედეგზე, ან ხელი შეუშალოს პროცესის სამართლიანად განხორციელებას. ამასთან, მოსამართლეს არ აქვს უფლება გააკეთოს საჯარო ან სხვაგვარი კომენტარი, რომელმაც შეიძლება გაეღვნა იქონიოს რომელიმე პირის ან საკითხის მიმართ სამართლიან პროცესზე.
- 2.5 მოსამართლემ თვითაც ილება უნდა მოითხოვოს ნებისმიერი საპროცესო მოქმედების განხორციელებისაგან, რომელშიც მას საკითხის მიუკერძოებლად გადაწყვეტა არ შეუძლია, ან რომელშიც შეიძლება გონივრულად დასკვნა მოსაზრებას, რომ მოსამართლეს საკითხის გადაწყვეტა მიუკერძოებლად არ შეუძლია. მაგალითად, ასეთი შემთხვევები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით:

- 2.5.1. მოსამართლეს წინასწარ შექმნილი აზრი ან შეხედულება აქვს რომ-
 ლემიმე მხარის მიმართ, ან აქვს პირადი ინფორმაცია საპროცესო მოქმედე-
 ბებთან დაკავშირებული სადავო მტკიცებულებითი ფაქტების შესახებ;
- 2.5.2. მოსამართლე სადავო საქმეზე წარსულში ადვოკატის ან მატერიალური
 მოწმის როლში გამოდიოდა; ან
- 2.5.3. მოსამართლეს, ან მისი ოჯახის წევრს ეკონომიკური ინტერესი აქვს
 სადავო საქმის შედეგის მიმართ.

მოსამართლის აცილება არ უნდა იყოს საეაღდებულო, თუ პროცესის მწარმოებე-
 ლი სხვა ორგანო არ შეიძლება დანიშნულ იქნას საქმეზე გადაუდებელი გარემოე-
 ბების გამო და თუ უმოქმედობამ შეიძლება გამოიწვიოს მართლმსაჯულების განხ-
 ორციელების სერიოზული დარღვევა.

III ღირებულება:

კეთილსინდისიერება

პრინციპი:

კეთილსინდისიერება უმნიშვნელოვანესია სამოსამართლო მოვალეობის შესრულე-
 ბისას.

გამოყენება:

- 3.1 მოსამართლემ უნდა უზრუნველყოს, რომ გონიერი დამკვირვებლის თვალთ,
 მისი ქცევა საყვედურს არ იმსახურებდეს.
- 3.2 მოსამართლის ქმედებამ და ქცევამ უნდა გაამყაროს ხალხის რწმენა სასა-
 მართლო კორპუსის მიუკერძოებლობისადმი. მართლმსაჯულება არა მხოლოდ
 ჯერონად უნდა განხორციელდეს, არამედ ეს უნდა გამოინდეს კიდევც.

IV ღირებულება:

პატიოსნება

პრინციპი:

პატიოსნება და პატიოსნების წარმოჩენა მოსამართლის ყველა ქმედების განხო-
 რციელებისას უმნიშვნელოვანესია.

გამოყენება:

- 4.1 მოსამართლემ თავიდან უნდა აიცილოს უპატიოსნება და უპატიოსნების წარ-
 მოჩენა მოსამართლის ყველა ქმედების განხორციელებისას.
- 4.2 როგორც საზოგადოების მუდმივი დაკვირვების ობიექტი, მოსამართლემ თავის-
 უფალი ნებით და სურვილით უნდა დაიწესოს პირადი შეზღუდვები, რომ-
 ლებიც ჩვეულებრივი მოქალაქისათვის შეიძლება დამამძიმებლად იქნას მი-
 ნეული.
- 4.3 მოსამართლემ მის პირად ურთიერთობებში იურიდიული პროფესიის თი-
 თოეულ წევრებთან, რომლებიც მოსამართლის წინაშე რეგულარულად ეწე-
 ვიან საქმიანობას, თავიდან უნდა აიცილოს სიტუაციები, როდესაც შესაძლე-

ბელია წარმოიშეას მიკერძოების, ან ფავორიტიზმის წარმოჩინების გონიერული ეჭვი.

- 4.4 მოსამართლემ არ უნდა მიიღოს მონაწილეობა საქმის გადაწყვეტაში, რომელშიც მოსამართლის რომელიმე ოჯახის წევრი წარმოადგენს საქმის მხარეს, ან რაიმე კავშირი აქვს საქმესთან.
- 4.5 მოსამართლემ არ უნდა დაუშვას მისი საცხოვრებელი ადგილის გამოყენება იურიდიული პროფესიის წარმომადგენლის მიერ კლიენტების ან იურიდიული პროფესიის სხვა წევრების მისაღებად.
- 4.6 მოსამართლე, როგორც ნებისმიერი სხვა მოქალაქე, სარგებლობს გამოხატვის, რწმენის, გაერთიანების და თავშეყერის თავისუფლებით, თუმცა ამ უფლებებით სარგებლობისას, მოსამართლე ვალდებულია ყოველთვის მოიქცეს ისე, რომ შეინარსუნოს მოსამართლის ღირსება და სასამართლო კორპუსის დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა.
- 4.7 მოსამართლემ უნდა შეისწავლოს პირადი და წარმომადგენლობითი ფინანსური ინტერესები და გონიერული ძალისხმევა უნდა იხმაროს, რომ საქმის კურსში იყოს მოსამართლის ოჯახის წევრების ფინანსური ინტერესების შესახებ.
- 4.8 მოსამართლემ მისი ოჯახის წევრებს, სოციალურ თუ სხვა სახის კავშირებს, არ უნდა მისცეს საშუალება გაველნა იქონიონ სამოსამართლო ქცევასა და მოსამართლის გადაწყვეტილებაზე.
- 4.9 მოსამართლემ არ უნდა გამოიყენოს მოსამართლის წოდების პრესტიჟი მოსამართლის, მისი ოჯახის წევრების, ან ნებისმიერი სხვა პირის პირადი ინტერესების სასარგებლოდ და მან არ უნდა მოახდინოს შთაბეჭდილება და არც სხვას უნდა მისცეს ამის უფლება, რომ ვინმე განსაკუთრებულ მდგომარეობაშია და შეუძლია მოსამართლეზე გავლენა მოახდინოს სამოსამართლო მოვალეობის შესრულების დროს.
- 4.10 დაუშვებელია მოსამართლის მიერ პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას მიღებული კონფიდენციალური ინფორმაციის გამოყენება ან გამჟღავნება ნებისმიერი მიზნით, რომელიც სამოსამართლო საქმიანობას არ უკავშირდება.
- 4.11 სამოსამართლო მოვალეობის ჯეროვნად შესრულებისას, მოსამართლე უფლებამოსილია განახორციელოს შემდეგი საქმიანობა:
 - 4.11.1 წერა, ლექციების კითხვა, სწავლება და სამართალთან, სამართლებრივ სისტემასთან და მართლმსაჯულების განხორციელებასთან დაკავშირებულ ან მსგავს საქმიანობაში მონაწილეობა;
 - 4.11.2 წარსდგეს ადმინისტრაციული ორგანოს წინაშე საჯარო მოსმენაზე სამართალთან, სამართლებრივ სისტემასთან და მართლმსაჯულების განხორციელებასთან დაკავშირებულ, ან მსგავს საკითხებზე;
 - 4.11.3 იყოს ოფიციალური ორგანოს, სამთავრობო კომისიის, კომიტეტის, ან საკონსულტაციო ორგანოს წევრი, თუ ასეთი წევრობა შეუსაბამო არ არის მოსამართლის მიუკერძოებლობასა და პოლიტიკურ ნეიტრალიტეტთან; ან
 - 4.11.4 განახორციელოს სხვა საქმიანობა, თუ ასეთი საქმიანობა მოსამართლის წოდების ღირსებას არ შელახავს, ან სხვაგვარად არ იმოქმედებს მოსამართლის მოვალეობის შესრულებაზე.
- 4.12 მოსამართლემ არ უნდა განახორციელოს საადვოკატო საქმიანობა მოსამართლის თანამდებობაზე ყოფნისას;
- 4.13 მოსამართლეს შეუძლია შექმნას ან გაწვერიანდეს მოსამართლეთა ასოციაციებში, ან მონაწილეობა მიიღოს სხვა ორგანიზაციებში, რომლებიც მოსამართლეთა ინტერესებს წარმოადგენენ;

- 4.14 მოსამართლემ და მოსამართლის ოჯახის წევრებმა არ უნდა მოითხოვონ და დათანხმდნენ რაიმე სახის საჩუქარზე, ქონების ჩუქებაზე, სესხზე ან პრივილეგიაზე, რომელიც რამენაირად უკავშირდება მოსამართლის ქმედებას, ან უმოქმედობას სამოსამართლო მოვალეობის განხორციელების დროს.
- 4.15 მოსამართლემ წინასწარი შეცნობით არ უნდა დაუშვას, რომ სასამართლოს თანამშრომლებმა, ან მოსამართლის გაელენის, ზედამხედველობის ან ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფმა სხვა პირებმა ითხოვონ ან მიიღონ რაიმე სახის საჩუქარი, ქონების ჩუქება, სესხი ან პრივილეგია, რომელიც რამენაირად უკავშირდება მოსამართლის ქმედებას ან უმოქმედობას სამოსამართლო მოვალეობის განხორციელების დროს.
- 4.16 მოსამართლემ შეიძლება მიიღოს სიმბოლური საჩუქარი, ჯილდო, ან პრივილეგია იმ გარემოებების შესაბამისად, რომლებშიც ჩუქება ხდება იმ პირობით, რომ ასეთი საჩუქარი, პრემია, ან პრივილეგია არ შეიძლება გონივრულად აღქმული იქნას, როგორც მოსამართლეზე სამოსამართლო მოვალეობის განხორციელებისას გაელენის მოხდენის ინსტრუმენტი, ან წარმოშეას მიკერძოების სხვაგვარი ეჭვი, რაც საჯარო გამჟღავნების კანონისმიერ მოთხოვნებს ექვემდებარება.

V ლირებულება:

თანასწორობა

პრინციპი:

პროცესის ყველა მონაწილის თანასწორობის უზრუნველყოფა უმნიშვნელოვანესია სამოსამართლო მოვალეობის ჯეროვნად განხორციელებისათვის.

გამოყენება:

- 5.1. მოსამართლემ უნდა იცოდეს და აცნობიერებდეს, რომ განსხვავებები საზოგადოებაში და სხვადასხვა წყაროებიდან გამომდინარე სხვაობები, რაც მიიტაცეს, მაგრამ არ შემოიფარგლება რასით, კანის ფერით, სქესით, რელიგიით, ეროვნული წარმომავლობით, კასტით, ინვალიდობით, ოჯახური მდგომარეობით, სექსუალური ორიენტაციით, სოციალური და ეკონომიკური სტატუსით და სხვა მსგავსი მიზეზებით "არარელევანტური საფუძველია".
- 5.2. დაუშვებელია მოსამართლემ სამოსამართლო მოვალეობის შესრულებისას სიტყვით ან ქცევით წარმოაჩინოს წინასწარ შექმნილი აზრი, ან მიკერძოება რომელიმე პირის ან პირთა ჯგუფის მიმართ არარელევანტური საფუძველით.
- 5.3. მოსამართლემ სამოსამართლო მოვალეობების შესრულებისას უნდა გამოიჩინოს ყველა პირის, როგორცაა მხარეები, მოწმეები, ადვოკატები/პროკურორები, სასამართლოს თანამშრომლები და კოლეგა მოსამართლეები, შესაბამისი პატივისცემა რაიმე სახის განსხვავებული დამოკიდებულების გამოვლენის გარეშე არარელევანტური საფუძველით, რომელიც არ შეეფერება ასეთი მოვალეობების ჯეროვნად შესრულებას.
- 5.4. მოსამართლემ წინასწარი შეცნობით არ უნდა მისცეს უფლება სასამართლოს თანამშრომლებს ან მოსამართლის გაელენის, ზედამხედველობის, ან კონტრაქტის ქვეშ მყოფ სხვა პირებს, განსხვავებული დამოკიდებულება გამოავლინონ ზემოაღნიშნული პირების მიმართ მოსამართლის მიერ განსახილველ საქმეზე ნებისმიერი არარელევანტური საფუძველით.

- 5.5. მოსამართლემ უნდა მოითხოვოს ადვოკატისაგან/პროკურორისაგან სასამართლოს წინაშე განხორციელებული საპროცესო მოქმედებების დროს, თავი შეიკავოს სიტყვით ან ქცევით წარმოაჩინონ წინასწარ შექმნილი აზრი ან მიკერძოება არარელევანტური საფუძველით, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც განხილული საკითხისათვის სამართლებრივად რელევანტურია და შეიძლება იყოს განხილვის ლეგიტიმური სუბიექტი.

VI ღირებულება:

კომპეტენცია და გულისხმიერება

პრინციპი:

კომპეტენტურობა და გულისხმიერება სამოსამართლო მოვალეობის ჯეროვნად შესრულების წინაპირობაა.

გამოყენება:

- 6.1 მოსამართლის სამოსამართლო მოვალეობები მის ყველა სხვა საქმიანობაზე უსენაესია.
- 6.2 მოსამართლემ მისი პროფესიული საქმიანობა სამოსამართლო მოვალეობებს უნდა მიუძღვნას, რომლებიც მოიცავენ არამართო სამოსამართლო ფუნქციებისა და პასუხისმგებლობის შესრულებას სასამართლოში და გადაწყვეტილებების მიღებას, არამედ სხვა მოვალეობებსაც, რომლებიც მოსამართლის თანამდებობას და სასამართლოს მუშაობას უკავშირდება.
- 6.3 მოსამართლემ გონიერული ღონე უნდა იხმაროს, რომ შეინარჩუნოს და გააღრმავოს (კოდნა, უნარ-ჩვევები და პიროვნული თვისებები, რომლებიც აუცილებელია სამოსამართლო მოვალეობების ჯეროვნად შესრულებისათვის, ისარგებლებს რა იმ ტრენინგის შესაძლებლობებით და სხვა საშუალებებით, რომლებიც მოსამართლეებისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს და ექვემდებარებოდეს სამოსამართლო კონტროლს.
- 6.4 მოსამართლე ყოველთვის ინფორმირებული უნდა იყოს საერთაშორისო სამართლის სფეროში მიმდინარე მოვლენების შესახებ, მათ შორის საერთაშორისო კონვენციების და ადამიანის უფლებების ნორმების განმსაზღვრელი სხვა ინსტრუმენტების შესახებ.
- 6.5 მოსამართლემ ყველა სამოსამართლო მოვალეობა უნდა შეასრულოს, მათ შორის გამოიტანოს გადაწყვეტილებები ეყექტურად, სამართლიანად და გონივრული სისწრაფით.
- 6.6 მოსამართლემ წესრიგი და დისციპლინა უნდა შეინარჩუნოს ყველა საპროცესო მოქმედების განხორციელებისას სასამართლოს წინაშე, იყოს მომთმენი, ღირსეული და თავაზიანი მხარეებთან, ნაფიც მსაჯულებთან, მოწმებთან, ადვოკატებთან/პროკურორებთან და სხვებთან ურთიერთობებში, ვისთანაც მოსამართლეს შეხება აქვს პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას. მოსამართლემ მსგავსი ქცევა უნდა მოითხოვოს სამართლებრივი წარმოადგენლების, სასამართლოს თანამშრომლობისა და სხვა პირებისაგან, რომლებიც მოსამართლის გავლენას, ზედამხედველობას ან კონტროლს ექვემდებარებიან.
- 6.7 მოსამართლე არ უნდა მოიქცეს ისე, რომ ეს არ შეეფერებოდეს სამოსამართლო მოვალეობის გულისხმიერად შესრულებას.

აღსრულება

სამოსამართლო საქმიანობის ბუნებიდან გამომდინარე, მიღებული უნდა იქნას ეფექტური ზომები ეროვნული სასამართლო კორპუსის მიერ, რათა უზრუნველყოფილ იქნას მექანიზმები წინამდებარე პრინციპების აღსრულებისათვის, თუ ასეთი მექანიზმები შესაბამის იურისდიქციაში ჯერ არ არსებობს.

განმარტვაები

წინამდებარე პრინციპების ჩამონათვალში, ქვემოთ მოცემულ სიტყვებს მიეცეს შემდეგი განმარტვა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ კონტექსტში სხვაგვარად აღიქმება:

“სასამართლოს თანამშრომლები” - მოიცავს მოსამართლის აპარატს და კადრებს სასამართლოს კანცელარიის ჩათვლით.

“მოსამართლე” - ნიშნავს პირს, რომელიც სარგებლობს მოსამართლის უფლება-მოსილებით, დანიშნისამებრ.

“მოსამართლის ოჯახი” - გულისხმობს მოსამართლის მეუღლეს, ვაჟიშვილის, ქალიშვილს, სიძეს, რძალს და ნებისმიერ ახლო ნათესავს ან პირს, რომელიც მოსამართლის კომპანიონი ან თანამშრომელია და რომელიც მოსამართლის ოჯახში ცხოვრობს.

“მოსამართლის მეუღლე” - ნიშნავს მოსამართლის ოჯახურ პარტნიორს ან ნებისმიერ სხვა პირს ნებისმიერი სქესისა, რომელსაც მოსამართლესთან ახლო ურთიერთობა აქვს.

სამოსამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპების ბანგარტავითი ბარათი

1. სამოსამართლო მიუეკრძოებლობის გაძლიერების მოსამართლეთა ჯგუფმა (რომელიც შედგება შემდეგი წევრებისაგან: ბანგლადეშის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ლატიფურ რამმანი, ინდოეთის კარნატაკის შტატის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ბჰასკარ რაო, მოსამართლე გოვინდ ბჰადურ შრეშრა ნეჰალიდან, ნიგერიის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე უეაისი, სამხრეთ აფრიკის საკონსტიტუციო სასამართლოს ვიცე-პრეზიდენტი ლანგა, ტანზანიის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ნიალაი და მოსამართლე ოდოკი უგანდიდან; შეხვედრას თავმჯდომარეობდა მოსამართლე კრისტოფერ ვერამანტრი, საერთაშორისო სასამართლოს ვიცე-პრეზიდენტი, მომხსენებელი: მოსამართლე კირბი აესტრალიის უმაღლესი სასამართლოდან და დათოპარამ კუმარასაუმი, გაეროს ადვოკატთა და მოსამართლეთა დამოუკიდებლობის შესახებ სპეციალური მომხსენებლის მონაწილეობით) 2000 წლის აპრილში გამართულ პირველ შეხვედრაზე გაეროს დანაშაულის პრევენციის საერთაშორისო ცენტრის მოწვევით, გაეროს მე-10 კონგრესთან თანხვედრით დანაშაულის პრევენციისა და დამნაშავეთა მოპყრობის შესახებ, გააცნობიერა ისეთი კოდექსის აუცილებლობა, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი გახდებოდა მოსამართლეთა ქცევის შეფასება. შესაბამისად, მოსამართლეთა ჯგუფმა მოითხოვა, რომ ჩატარებულიყო სამოსამართლო ქცევის კოდექსების ანალიზი, რომლებიც ზოგიერთ იურისდიქციაში იქნა მიღებული და მომზადებულიყო ანგარიში სამოსამართლო კეთილსინდისიერების პროგრამის კოორდინატორის, დოქტორი ნიჰალ ჯაიავეერამას მიერ შემდეგი საკითხების შესახებ: (ა) ძირითადი საერთო შეხედულებები, რომლებიც ასეთ კოდექსებში გეხვედება; და (ბ) ნებაყოფლობითი ან დამატებითი მოსაზრებები, რომლებიც ზოგიერთ კოდექსში გეხვედება და არა ყველგან და რომლებიც შესაძლებელია გამოდგეს, ან არ გამოდგეს კონკრეტული ქვეყნების მიერ მისაღებად.
2. სამოსამართლო ქცევის კოდექსის პროექტის მომზადებისას, ზემოთ მოყვანილი მითითებების შესაბამისად, გამოყენებულ იქნა რამდენიმე არსებული კოდექსი და საერთაშორისო ინსტრუმენტი, მათ შორის ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები:
 - I. ამერიკის იურისტთა ასოციაციის დელეგატთა საბჭოს მიერ 1972 წლის აგვისტოში მიღებული სამოსამართლო ქცევის კოდექსი;
 - II. ავსტრალიის შტატებისა და ტერიტორიების უზენაესი სასამართლოების თავმჯდომარეების მიერ 1997 წლის აპრილში გამოცემული დეკლარაცია სამოსამართლო დამოუკიდებლობის პრინციპების შესახებ;
 - III. ბანგლადეშის რესპუბლიკის სახალხო კონსტიტუციის 96(4)(ა) მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე უმაღლესი სამოსამართლო საბჭოს მიერ 2000 წლის მაისში მიღებული ბანგლადეშის უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა ქცევის კოდექსი;
 - IV. კანადის მოსამართლეთა კონფერენციასთან თანამშრომლობით შედგენილი და კანადის სამოსამართლო საბჭოს მიერ 1998 წელს მიღებული ეთიკის პრინციპები მოსამართლეთათვის;
 - V. ევროპული ქარტია მოსამართლეთა სტატუსის შესახებ, ევროპის საბჭო, 1998 წლის ივლისი;
 - VI. აიღაჰოს შტატის სამოსამართლო ქცევის კოდექსი, 1976 წელი;

- VII. ინდოეთის უზენაესი სასამართლოების თავმჯდომარეების მიერ მიღებული სამოსამართლო ცხოვრების ღირებულებების ჩამონათვალი, 1999 წელი;
- VIII. აიოვას შტატის სამოსამართლო ქცევის კოდექსი;
- IX. კენის სასამართლო თანამდებობის პირების ქცევის კოდექსი, 1999 წლის ივლისი;
- X. მალაიზიის სამოსამართლო ეთიკის კოდექსი, მიღებული იანგ დი-პერტუან აგონგის მიერ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, სააპელაციო სასამართლოს პრეზიდენტის და უმაღლესი სასამართლოების თავმჯდომარეების რეკომენდაციით მალაიზიის ფედერალური კონსტიტუციის 125(სა) მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, 1994 წელი;
- XI. ნამიბიის მაგისტრატი მოსამართლეების ქცევის კოდექსი;
- XII. ა.შ.შ.-ს ნიუ-იორკის შტატის სამოსამართლო ქცევის მარეგულირებელი წესები;
- XIII. ნიგერიის ფედერალური რესპუბლიკის სასამართლო თანამდებობის პირების ქცევის კოდექსი;
- XIV. პაკისტანის უზენაესი სასამართლოს და უმაღლესი სასამართლოების მოსამართლეთა ქცევის კოდექსი;
- XV. ფილიპინების სამოსამართლო ქცევის კოდექსი, 1989 წლის სექტემბერი;
- XVI. ფილიპინების ადვოკატთა ასოციაციის მიერ წარდგენილი მანილას პირველი ინსტანციის მოსამართლეთა მიერ დამტკიცებული ფილიპინების სამოსამართლო ეთიკის წესები - მიღებული უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული დაქვემდებარების ქვეშ მყოფ მოსამართლეთა მიერ სახელმძღვანელოდ და დასაცავად, მუნიციპალური და საქალაქო სასამართლოს მოსამართლეების ჩათვლით;
- XVII. იანდინას განცხადება: სოლომონის კუნძულების სასამართლო კორპუსის დამოუკიდებლობის პრინციპები, 2000 წლის ნოემბერი;
- XVIII. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, საკონსტიტუციო სასამართლოს პრეზიდენტისა და უმაღლესი სასამართლოების, შრომითი დაეების სააპელაციო სასამართლოსა და მიწის დაეების სასამართლოს თავმჯდომარეების მიერ გამოცემული სამხრეთ აფრიკის მოსამართლეთა გაიდლაინები, 2000 წლის მარტი;
- XIX. ტანზანიის მოსამართლეებისა და მაგისტრატი მოსამართლეების კონფერენციის მიერ მიღებული სასამართლო თანამდებობის პირების ქცევის კოდექსი, 1984 წელი;
- XX. ტეხასის შტატის სამოსამართლო ქცევის კოდექსი;
- XXI. უგანდას უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების მიერ მიღებული მოსამართლეთა, მაგისტრატ მოსამართლეთა და სასამართლოს სხვა თანამდებობის პირთა ქცევის კოდექსი, 1989 წლის ივლისი;
- XXII. ამერიკის შეერთებული შტატების მოსამართლეთა კონფერენციის სამოსამართლო ქცევის კოდექსი;
- XXIII. ვირჯინიის უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებული და გამოცემული ვირჯინიის თანამდებობის სამოსამართლო ქცევის წესები, 1998 წელი;
- XXIV. ა.შ.შ.-ს ვაშინგტონის შტატის უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებული სამოსამართლო ქცევის კოდექსი, 1995 წლის ოქტომბერი;
- XXV. ზამბიის პარლამენტის მიერ მიღებული სამოსამართლო (ქცევის კოდექსი) აქტი, 1999 წლის დეკემბერი;
- XXVI. სისხლის სამართლის საერთაშორისო ასოციაციის, იურისტთა საერთაშორისო კომისიისა და მოსამართლეთა და იურისტთა დამოუკიდებლობის ცენტრის მიერ მოწვეული ექსპერტთა კომიტეტის მიერ მომზადებული სამოსამართლო კორპუსის დამოუკიდებლობის პრინციპების პროექტი "სირაკუზას პრინციპები", 1981 წელი;

- XXVII. საერთაშორისო იურისტთა ასოციაციის მიერ მიღებული სამოსამართლო დამოუკიდებლობის მინიმალური სტანდარტები, 1982 წელი;
- XXVIII. გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული გაეროს ძირითადი პრინციპები სამოსამართლო დამოუკიდებლობის შესახებ, 1985 წელი;
- XXIX. გაეროს სასამართლო კორპუსის დამოუკიდებლობის შესახებ კვლევის სპეციალური მომხსენებლის, ბატონი ლ.ვ. სინგვის მიერ მომზადებული მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის უნივერსალური დეკლარაციის პროექტი ("სინგვის დეკლარაცია"), 1989 წელი;
- XXX. უზენაესი სასამართლოების თავმჯდომარეების მე-6 კონფერენციის მიერ მიღებული სასამართლო კორპუსის დამოუკიდებლობის პრინციპების პეკინის განცხადება ლაეაზის რეგიონში, 1997 წლის აგვისტო;
- XXXI. ლატიმერის საბჭოს გაიდლაინები თანამეგობრობისათვის ხელისუფლების აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო შტოებს შორის ურთიერთობების სათანადო პრაქტიკის შესახებ სამართლიანი მმართველობის, კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების ხელშეწყობისა და პარარეს პრინციპების ეფექტური განხორციელების უზენაეფყოფის მიზნით, 1998 წელი;
- XXXII. მოსამართლეთა და იურისტთა დამოუკიდებლობის ცენტრის მიერ მოწვეული ექსპერტთა ჯგუფის მიერ მიღებული კორუფციის პრევენციისა და აღმოფხვრის და სასამართლო სისტემის მიუკერძოებლობის უზენაეფყოფის ჩარწო გეგმა, 2000 წლის თებერვალი.

მოსამართლეთა ჯგუფმა, მის მეორე შეხვედრაზე, რომელიც 2001 წლის თებერვალში ბანგალორში გაიმართა (მონაწილეობდნენ: ბანგლადეშის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე მაინურ რეზა ნოუდპური, მოსამართლე კლერ ლ'ერე დუბე კანალიდან, ინდოეთის კარნატაკას შტატის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე რელი, ნეპალის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე უპადიაი, ნიგერიის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე უუაისი, სამხრეთ აფრიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე ლანგა, შრი ლანკას უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე სილეა, ტანზანიის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე სამატა, უგანდის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ოდოკი; შეხვედრას თავმჯდომარეობდა მოსამართლე ქერემანტრი, მომხსენებელი: მოსამართლე კირბი და მონაწილეობდა გაეროს სპეციალური მომხსენებელი, გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარე, მოსამართლე ბააგვატი და წარმოადგენდა გაეროს ადამიანის უფლებების უმაღლეს კომისარს) მუშაობა განაგრძო მის წინაშე წარდგენილი პროექტის შესწავლით. მან გამოავლინა ძირითადი ღირებულებები, ჩამოაყალიბა შესაბამისი პრინციპები და შეთანხმდა სამოსამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპების პროექტზე. თუმცა, მოსამართლეთა ჯგუფმა აღიარა, რომ რადგან ბანგალორის პროექტი შედგენილია ძირითადად საერთო სამართლის ქვეყნების მოსამართლეთა მიერ, მნიშვნელოვანი იყო, რომ ის განხილულიყო სხვა სამართლებრივ ტრადიციების ქვეყნის მოსამართლეთა მიერ და იგი მიჩნეულიყო საყოველთაოდ აღიარებულ საერთაშორისო ქცევის კოდექსის სტატუსის მქონე დოკუმენტად.

ბანგალორის პროექტი ფართოდ გაერცვლდა მოსამართლეთა შორის როგორც საერთო სამართლის, ისე სამოქალაქო სამართლის სისტემებში და განხილულ იქნა რამდენიმე სამოსამართლო კონფერენციასზე. 2002 წლის ივნისში, იგი ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE-GT) სამუშაო ჯგუფმა განიხილა, რომელიც შემდეგი მონაწილეებისაგან შედგებოდა: ავსტრიის მოსამართლეთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი რაისნერი, მოსამართლე ყრემერი ჩეხეთის რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოდან, საფრანგეთის პარიზის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე ლაკაბარა, მოსამართლე მალმანი გერმანიის ფედერალური აღმი-

ნისტრაციული სასამართლოდან, მაგისტრტი მოსამართლე საბატო იტალიიდან, მოსამართლე ვირგილიუსი ლიტვის სააპელაციო სასამართლოდან, ლუქსემბურგის სააპელაციო სასამართლოს პირველი მრჩეველი ვივინიუსი, პორტუგალიის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე აფონზო, მოსამართლე ოგრიეკი სლოვენის უზენაესი სასამართლოდან, შვედეთის სეკას სააპელაციო სასამართლოს პრეზიდენტი პირშეფელი და მოსამართლე ლორდი მენსი გაერთიანებული სამეფოდან. ამერიკის იურისტთა ასოციაციის ინიციატივით, ბანგალორის პროექტი გადაითარგმნა სხვადასხვა ენაზე და განხილულ იქნა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მოსამართლეების მიერ, კერძოდ ბოსნია-ჰერცეგოვინა, ბულგარეთი, ხორვატია, კოსოვო, რუმინეთი, სერბეთი და სლოვაკეთი.

ბანგალორის პროექტი შესწორებულ იქნა CCJE-GT-ს და ზემო აღნიშნული მოსამართლეების კომენტარების გათვალისწინებით; CCJE-GT-ს გადაწყვეტილება №1 (2001) სასამართლო კორპუსის დამოუკიდებლობის სტანდარტების შესახებ; CCJE-GT-ს გადაწყვეტილების პროექტი მოსამართლის პროფესიული ქცევის მარგულირებული პრინციპებისა და წესების შესახებ, კერძოდ ეთიკა, შეუფერებელი ქცევა და მიუკერძოებლობა; მათ შორის გათვალისწინებულ იქნა უფრო ახალი სამოსამართლო ქცევის კოდექსები, ავსტრალიის უზენაესი სასამართლოების თამჯდომარეების საბჭოს მიერ 2002 წლის იენისში გამოცემული სამოსამართლო ქცევის სახელმძღვანელო, ბალტიის ქვეყნების მოსამართლეთა ქცევის მოდელური კოდექსი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მოსამართლეთა ეთიკის კოდექსი და მაკედონიის მოსამართლეთა ასოციაციის სამოსამართლო ეთიკის კოდექსი.

დახვეწილი ბანგალორის პროექტი წარდგენილ იქნა სამოქალაქო სამართლის სისტემის უზენაესი სასამართლოების თამჯდომარეების (ან მათი წარმომადგენლების) შეხვედრაზე, რომელიც 2002 წლის ნოემბერში ჰააგაში, ნიდერლანდებში, მოსამართლე ვერმანტრის თამჯდომარეობით გაიმართა. მონაწილეობდნენ მოსამართლე ელადიმირ დე ფრეიტასი ბრაზილიის ფედერალური სააპელაციო სასამართლოდან, ჩეხეთის რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თამჯდომარე იბა ბროზოვა, ევოპტის უზენაესი საკონსტიტუციო სასამართლოს თამჯდომარე მოჰამედ ფათი ნაგუიბი, საფრანგეთის საკასაციო სასამართლოს მრჩეველი კრისტინ შანე, მექსიკის ეროვნული უზენაესი სასამართლოს პრეზიდენტი ჯენარო დავიდ გონგოტა პიმენტელი, მოსამბიკის უზენაესი სასამართლოს პრეზიდენტი არიო მანგაზე, ნიდერლანდების უმაღლესი საბჭოს პრეზიდენტი პიმ ჰაკი, ნორვეგიის უზენაესი სასამართლოს მოსამართლე ტრონდ დოლვე და ფილიპინების უზენაესი სასამართლოს თამჯდომარე პილარიო დიოდე. ამასთან, შეხვედრის ერთ-ერთ სესიაში მონაწილეობდნენ საერთაშორისო სასამართლოს მოსამართლეები: მოსამართლე რანჯევა (მადაგასკარი), მოსამართლე პერჩევი (უნგრეთი), მოსამართლე ფლაიშაუერი (გერმანია), მოსამართლე კორომა (სიერა ლეონე), მოსამართლე ვილისი (გაერთიანებული სამეფო), მოსამართლე რეზეკი (ბრაზილია), მოსამართლე ელარაბი (ევოპტე) და მოსამართლე ფრენკი (ა.შ.შ.). შეხვედრას ესწრებოდა გაეროს სპეციალური მომხსენებელიც. "ბანგალორის პრინციპები სამოსამართლო ქცევის შესახებ" აღნიშნული შეხვედრის შედეგია.

ბაეროს სასამართლოს დამოუკიდებლობის ძირითადი პრინციპები

მიღებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დანაშაულის პრევენციის და სამართალდამრღვევთა მიმართ მოპყრობის შესახებ მეშვიდე კონგრესის მიერ მიღანი 1985 წლის 26 აგვისტო - 6 სექტემბერი ძღაშია გენერალური ასამბლეის 1985 წლის 29 ნოემბერის 40/32 1985 წლის 13 დეკემბერს 40/146 რეზოლუციებით

ვინაიდან გაერთიანებული ერების წესდებაში მსოფლიოს ხალხი, *inter alia*, განამტკიცებს მის სწრაფვას შექმნას ისეთი პირობები, სადაც შენარჩუნებული იქნება სამართლიანობა და თავის ერთ-ერთ მიზნად აცხადებს საერთაშორისო თანამშრომლობის მიღწევას, ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებებისადმი პატივისცემის ხელშეწყობისა და მხარდაჭერის გზით დისკრიმინაციის გარეშე,

ვინაიდან ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაცია განსაკუთრებით იცავს კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპს, უდანაშაულობის პრეზუმციას, კანონის შესაბამისად შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ განხორციელებული სამართლიანი და ღია მართლმსაჯულების უფლებას,

ვინაიდან სოციალური, ეკონომიკური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტი და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტი ამ უფლებებს აღიარებს და დამატებით სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტი აღიარებს ყველას უფლებას გასამართლებულ იქნას დაუყოვნებლივ,

ვინაიდან, უმეტეს შემთხვევებში ჯერ კიდევ არსებობს სხვაობა ამ პრინციპებს და რეალურ მდგომარეობას შორის,

ვინაიდან მართლმსაჯულების ორგანიზება და აღსრულება ყველა ქვეყანაში უნდა ეფუძნებოდეს ამ პრინციპებს და უნდა განხორციელდეს ყველა ღონისძიება მათ რეალობაში დასანერგად,

ვინაიდან, მოსამართლის თანამდებობრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული წესები მიზნად უნდა ისახავდნენ მოსამართლეთათვის ისეთი პირობების შექმნას, რომლებშიც ისინი მოახერხებენ ამ პრინციპის შესაბამისად მოქმედებას,

ვინაიდან, მოსამართლეები გადაწყვეტილებებს იღებენ მოქალაქეთა სიცოცხლის, თავისუფლების, უფლებების, მოვალეობებისა და საკუთრების შესახებ,

ვინაიდან, ბაეროს დანაშაულის საწინააღმდეგო და სამართალდამრღვევთა მიმართ მოპყრობის მეექვსე კონგრესმა თავისი მეთექვსმეტე რეზოლუციით დანაშაულის საწინააღმდეგო და მაკონტროლებელ კომისიას დააეღა ერთ-ერთ პრიორიტეტად ეცნო მოსამართლეთა დამოუკიდებლობასთან, მოსამართლეთა და პროკურორთა შერჩევის, პროფესიული მომზადების წესებისა და მათ სტატუსთან დაკავშირებული სახელმძღვანელო მითითებების შექმნა,

ვინაიდან, შესაბამისად უმნიშვნელოვანესია გათვალისწინებული ყოფილიყო პირველ რიგში მოსამართლის როლი სამართლის სისტემასთან მიმართებაში და მოსამართლეთა შერჩევის, მომზადებისა და საქმიანობის დიდი მნიშვნელობა,

შემდეგი ძირითადი პრინციპები, რომლებიც შეიქმნა წევრ სახელმწიფოთა დასახმარებლად სასამართლოს დამოუკიდებლობის დაცვისა და ხელშეწყობის მიზნით, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მთავრობათა მიერ მათი ეროვნული კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის ფარგლებში. ამ პრინციპზე უნდა გააჩნდებოდეს ყურადღება მოსამართლეებმა, იურისტებმა, აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლებმა და ზოგადად საზოგადოებამ. პრინციპი ძირითადად პროფესიონალ მოსამართლეებზე გათვლით იქნა ჩამოყალიბებული, მაგრამ ისინი თანაბრად ვრცელდება მსაჯულეებზეც სადაც ასეთები არსებობენ.

სასამართლოს დამოუკიდებლობა

1. სასამართლოს დამოუკიდებლობა უნდა იყოს უზრუნველყოფილი სახელმწიფოს მიერ და დაცული ქვეყნის კონსტიტუციით ან კანონით. ყველა სამთავრობო და სხვა დაწესებულებათა მოვალეობაა - პატივი სცენ სასამართლოს დამოუკიდებლობას.
2. სასამართლომ მის წინაშე წარდგენილი საქმეები უნდა გადაწყვიტოს მიუკერძოებლად, ფაქტებზე დაყრდნობით და კანონის შესაბამისად, ნებისმიერი მხრიდან და ნებისმიერი მიზნით ყოველგვარი შეზღუდვის, შეუსაბამო ზეგავლენის, იძულების, ძალდატანების, დაშინების ან პირდაპირი თუ არაპირდაპირი ჩარევის გარეშე.
3. სასამართლო ხელისუფლება უნდა ვრცელდებოდეს ყველა სამართლებრივი ხასიათის საკითხზე და სასამართლოს უნდა ჰქონდეს ექსკლუზიური უფლება მოხილვება გადაწყვიტოს მის წინაშე გადაწყვეტილების მისაღებად წარდგენილი მის კომპეტენციაში მყოფი საკითხი კანონის შესაბამისად.
4. არ უნდა ხორციელდებოდეს შეუსაბამო ან უკანონო ჩარევა სასამართლო პროცესში, ასევე სასამართლოების მიერ მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებები არ უნდა დაექვემდებაროს გადასინჯვას. ეს პრინციპი არ ზღუდავს სასამართლო ზედამხედველობას, ან სასამართლოს მიერ მისჯილი სასჯელების კომპეტენტურ ხელისუფალთა მიერ, კანონის შესაბამისად, შემსუბუქებას ან შეცვლას.
5. ყველას უნდა ჰქონდეს უფლება გასამართლდეს ჩვეულებრივი სასამართლოს ან ტრიბუნალის მიერ ჩამოყალიბებული სამართლებრივი პროცედურების გამოყენებით. ჩვეულებრივი სასამართლოებისა და სასამართლო ტრიბუნალების კომპეტენციაში მყოფი საკითხები არ უნდა გადაეცეს იმ ტრიბუნალებს, რომლებსაც არ გააჩნიათ სათანადოდ ჩამოყალიბებული იურიდიული პროცესუალური ნორმები.
6. სასამართლოს დამოუკიდებლობის პრინციპი უფლებას აძლევს და ავალდებს სასამართლოს უზრუნველყოს სასამართლო საქმის წარმოების სამართლიანი მიმდინარეობა და მხარეთა უფლებების დაცვა.

7. ყოველი წევრი სახელმწიფოს მოვალეობაა უზრუნველყოს შესაბამისი რესურსები რომლებიც საშუალებას მისცემენ სასამართლოს სათანადოდ შეასრულოს თავისი ფუნქცია.

აზრის გამოხატვის და ასოციაციის თავისუფლება

8. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის შესაბამისად, სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლებს, ისევე როგორც სხვა მოქალაქეებს, გააჩნიათ აზრის გამოხატვის, რწმენის, ასოციაციისა და კავშირში გაერთიანების თავისუფლება. თუმცა იგულისხმება, რომ ასეთი უფლებების განხორციელება, მოსამართლეები ყოველთვის უნდა მოქმედებდნენ იმგვარად, რომ დაიცვან თავიანთი თანამდებობის ღირსება და სასამართლოს მიუკერძოებლობა და დამოუკიდებლობა.
9. მოსამართლეებს უნდა ჰქონდეთ უფლება შექმნან და გაწვერიანდნენ მოსამართლეთა ასოციაციებში ან სხვა ორგანიზაციებში იმისათვის, რომ წარმოადგინონ თავიანთი ინტერესები, ხელი შეუწყონ პროფესიულ მომზადებას და დაიცვან სასამართლოს დამოუკიდებლობა.

კვალიფიკაცია, შერჩევის წესი და მომზადება

10. მოსამართლედ შერჩეული პირები უნდა იყვნენ ღირსებისა და შესაძლებლობის მქონე ადამიანები, რომლებსაც სამართლის დარგში მიღებული ექნებათ შესაბამისი მომზადება და კვალიფიკაცია. მოსამართლეთა შერჩევის მეთოდი უნდა იძლეოდეს მოსამართლეთა არასწორი მოტივებით დანიშნვისგან თავდაცვის საშუალებას. მოსამართლეთა შერჩევისას დაუშვებელია დისკრიმინაცია რასის, ფერის, სქესის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, ეროვნული ან სოციალური წარმომავლობის, ქონებრივი ცენზის, ან წარმოშობის გამო, გარდა იმ მოთხოვნისა, რომ მოსამართლეობის კანდიდატი ქვეყნის მოქალაქე უნდა იყოს, რაც არ განიხილება დისკრიმინაციად.

მსახურობის პირობები და ვადა

11. მოსამართლეთა თანამდებობაზე ყოფნის ვადა, მათი დამოუკიდებლობა, ანაზღაურება, მსახურობის პირობები, პენსიები და საპენსიო ასაკი დაცული უნდა იყოს კანონით.
12. არჩეულ თუ დანიშნულ მოსამართლეებს უზრუნველყოფილი უნდა ჰქონდეთ თანამდებობაზე ყოფნის ვადა საპენსიო ასაკამდე ან მათი მოსამართლედ ყოფნის ვადის ამოწურვამდე, თუ ასეთი არსებობს.
13. მოსამართლეთა დაწინაურება, სადაც კი ასეთი სისტემა არსებობს, უნდა ეფუძნებოდეს ობიექტურ ფაქტორებს, კერძოდ შესაძლებლობებს, ღირსებებს და გამოცდილებას.
14. მოსამართლეთათვის საქმეთა გადაცემა იმ სასამართლოს ფარგლებში, რომელსაც ისინი მიეკუთვნებიან სასამართლო ადმინისტრაციის საშინაო საკმეა.

პროფესიული საიდუმლოება და იმუნიტეტი

15. მოსამართლეები მოვალენი არიან საიდუმლოდ შეინახონ თავიანთი მოსაზრებები და მათ მიერ მოვალეობის შესრულებისას მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია გარდა საჯარო პროცესებისა და ისინი არ უნდა აიძულონ ჩვენება მისცენ ასეთ საკითხზე.
16. დისციპლინური პროცედურის, ან აპელაციის უფლების, ან სახელმწიფოს მხრიდან კომპენსაციის მიღების უფლების დაცვით, ქვეყნის შიდა კანონის შესაბამისად, მოსამართლეები უნდა სარგებლობდნენ სასამართლოში თავიანთი ფუნქციის შესრულებისას ფინანსური ზიანის მიყენების, ან არასწორი ქმედების, ან დაუდევრობის გამო სამოქალაქო საჩივრებისგან პიროვნული იმუნიტეტით.

დისციპლინური სასჯელი, უფლებამოსილებათა დროებითი შეჩვიება და თანამდებობიდან გათავისუფლება

17. მოსამართლისადმი, მისი თანამდებობრივი და პროფესიული კომპეტენციიდან გამომდინარე, წაყენებული ბრალდების ან საჩივრის საფუძველზე საქმის წარმოება უნდა წარიმართოს სწრაფად და სამართლიანად შესაბამისი პროცედურის მიხედვით. მოსამართლეს უნდა ჰქონდეს სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება. საკითხის გამოძიების საწყის ეტაპზე დაცული უნდა იყოს კონფიდენციალურობა, თუ თავად მოსამართლე არ მოითხოვს საწინააღმდეგოს.
18. მოსამართლეების თანამდებობრივი უფლებამოსილების დროებითი შეჩვიება ან თანამდებობიდან გათავისუფლება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი თავს ვერ ართმევენ მოვალეობას, ან მათი თანამდებობისათვის შეუფერებელი საქციელის გამო.
19. ყველა დისციპლინური სასჯელი, უფლებამოსილებათა შეჩვიება, ან თანამდებობიდან გათავისუფლება განსაზღვრული უნდა იყოს ჩამოყალიბებული სტანდარტების შესაბამისად.
20. დისციპლინურ სასჯელებთან, უფლებამოსილებათა შეჩვიებასა და თანამდებობიდან გათავისუფლებასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებები უნდა ექვემდებარებოდეს დამოუკიდებელ გადასინჯვას. ეს პრინციპი შესაძლოა არ გავრცელდეს უმადლესი სასამართლოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე და კანონმდებელი ორგანოს მიერ იმპინენტის ან მსგავსი პროცედურების თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებებზე.

მოსამართლეთა საჩოვთაო ქარტია

პრეამბულა

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების მოსამართლეებმა იმუშავეს ამ ქარტიის შექმნაზე. წარმოდგენილი ქარტია არის მათი მუშაობის შედეგი და დამტკიცებულია მოსამართლეთა საერთო ასოციაციის წევრი ასოციაციების მიერ, როგორც ზოგადი მინიმალური ნორმები. ქარტიის ტექსტი ერთხმად იქნა მიღებული იმ დელეგატთა მიერ, რომლებიც ესწრებოდნენ მოსამართლეთა საერთაშორისო ასოციაციის მთავარი საბჭოს შეხვედრას ტაივანში, 1999 წლის 17 ნოემბერს.

მუხლი 1

დამოუკიდებლობა

მოსამართლეები ვალდებული არიან მუშაობისას გაითვალისწინონ და დაიცვან ყველა ადამიანის უფლება სამართლიანი სასამართლოს მიმართ. მათ უნდა განამტკიცონ კანონის მიერ შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ტრიბუნალის მიერ გონიერულ ვადაში ყველა ადამიანის უფლება სამართლიანი სასამართლოს და საჯარო განხილვის მიმართ, მათი სამოქალაქო უფლებების და მოვალეობების დაცვისას, ან მათ მიმართ ნებისმიერი სისხლის სამართლებრივი ბრალდების არსებობისას.

მოსამართლეთა დამოუკიდებლობას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს მიუკერძოებელი მართლმსაჯულების არსებობისათვის. იგი განუყოფელია. ყველა ინსტიტუტები და უფლებამოსილი პირები, იქნება ეს ეროვნულ თუ საერთაშორისო დონეზე, პატივს უნდა სცემდნენ, იცავდნენ და ამტკიცებდნენ დამოუკიდებლობას.

მუხლი 2

სტატუსი

სასამართლო დამოუკიდებლობა კანონით უნდა იყოს დაცული, რომელიც ქმნის და იცავს სასამართლო ხელისუფლებას, რომელიც აბსოლუტურად და ეფექტურად არის დამოუკიდებელი სხვა სახელმწიფო ძალაუფლების გავლენისაგან. მოსამართლეს, როგორც მართლმსაჯულების წარმომადგენელს, უნდა ჰქონდეს საშუალება გამოიყენოს სამოსამართლო ძალაუფლება, რომელიც თავისუფალია სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ზეწოლისაგან და დამოუკიდებელია სხვა მოსამართლეების და სასამართლო ხელისუფლების ადმინისტრაციისაგან.

მუხლი 3

კანონზე დამოკიდებულება

მოსამართლე სამოსამართლო საქმიანობის განხორციელებისას ემორჩილება მხოლოდ და მხოლოდ კანონს და უნდა ითვალისწინებდეს მხოლოდ კანონს.

მუხლი 4

პირადი ავტონომია

არაფინ არ უნდა მისცეს ან უცადოს, რომ მისცეს მოსამართლეს ბრძანება, ან ინსტრუქცია ნებისმიერი სახის, რომელმაც შეიძლება ზეგავლენა იქონიოს მოსა-

მართლის სასამართლო გადაწყვეტილებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს დაშვებულია ზემდგომი სასამართლოს გადაწყვეტილებით კონკრეტულ საქმეზე.

მუხლი 5 **მიუკერძოებლობა და თვითკონტროლი**

სამოსამართლო საქმიანობის განხორციელებისას მოსამართლე უნა იყოს მიუკერძოებელი და ეს უნდა იყოს გამოხატული.

მოსამართლემ საკუთარი უფლება მოვალეობანი უნდა შეასრულოს ყურადღებით და თვითკონტროლის საფუძველზე - სასამართლოს და ყველა მონაწილე ადამიანის ღირსების პატივსაცემად.

მუხლი 6 **ეფექტურობა**

მოსამართლემ ეფექტურად და თავდადებით უნდა შეასრულოს საკუთარი მოვალეობები ყოველგვარი უსაფუძვლო გაჭიანურების გარეშე.

მუხლი 7 **გარე აპტივობები**

მოსამართლემ არ უნდა განახორციელოს არანაირი სხვა ფუნქცია, იქნება ეს საჯარო თუ კერძო, ანაზღაურებადი თუ ანაზღაურების გარეშე, რომელიც სრულად არ შეესაბამება მოსამართლის მოვალეობებს და მის სტატუსს.

მოსამართლე არ შეიძლება დაინიშნოს საღმე მისი თანხმობის გარეშე.

მუხლი 8 **თანამდებობრივი უსაზრთხოება**

არ შეიძლება მოსამართლის გადაყვანა, მისი სამოსამართლო საქმიანობის შეჩერება, ან მისი თანამდებობიდან გათავისუფლება თუ ეს არ არის განპირობებული კანონით და შესაბამისი დისციპლინური პროცედურის დაცვით მიღებული გადაწყვეტილება.

მოსამართლე თანამდებობაზე უნდა ინიშნებოდეს სამუდამოდ, ან სხვა პერიოდით და პირობებით ისე, რომ არ მოხდეს სამოსამართლო დამოუკიდებლობის ხელყოფა.

ნებისმიერ ცვლილებას, რომელიც ეხება მოსამართლის საპენსიო ასაკს არ შეიძლება ჰქონდეს უკუქცევითი ძალა.

მუხლი 9 **დანაშაუნი**

მოსამართლის შერჩევა და თითოეული მოსამართლის თანამდებობაზე დანიშნვა უნდა ხორციელდებოდეს ობიექტური და გამჭვირვალე კრიტერიუმების მიხედვით და სწორი პროფესიული კვალიფიკაციის საფუძველზე. თუ ამის განხორციელება სხვა გზით არ ხერხდება, რომელიც განპირობებულია ტრადიციებით, მოსამართლე

თა შერჩევა უნდა მოხდეს დამოუკიდებელი ორგნოს მიერ, რომელშიც სასამართლო ხელისუფლება იქნება მკვეთრად წარმოდგენილი.

მუხლი 10

სამოქალაქო და სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობები

სამოქალაქო ქმედება, იმ ქვეყნებში რომელშიც ეს დაშვებულია და სისხლის სამართლებრივი ქმედება, მათ შორის დაკავება, განხორციელებული მოსამართლის მიმართ დაშვებულია მხოლოდ და მხოლოდ იმ პირობით რომ მის დამოუკიდებლობაზე ზეწოლას არ ექნება ადგილი.

მუხლი 11

ადმინისტრაციული და დისციპლინური მოქმედება

სასამართლო ხელისუფლების ადმინისტრირება და დისციპლინური მოქმედება მოსამართლის მიმართ უნდა იყოს ორგანიზებული ისე, რომ მათ არ იქონიონ ზეგავლენა მოსამართლის დამოუკიდებლობაზე და მთელი ყურადღება უნდა გამახვილდეს მხოლოდ ობიექტურ და შესაბამის გარემოებებზე.

იქ სადაც ეს უზრუნველყოფილია სხვა საშუალებებით, რომელიც მომდინარეობს და განმტკიცებულია ადგილობრივ ტრადიციებში, მაშინ სასამართლო ხელისუფლების ადმინისტრირება და დისციპლინური მოქმედება მოსამართლეებზე უნდა განხორციელდეს დამოუკიდებელი ორგანოების მიერ, სადაც სასამართლო ხელისუფლება იქნება სერიოზულად წარმოდგენილი.

მოსამართლის მიმართ დისციპლინური მოქმედება შეიძლება განხორციელდეს წინასწარ არსებული კანონის, წინასწარ დადგენილი წესების და პროცედურების დაცვით.

მუხლი 12

ასოციაციები

მოსამართლის უფლება - იყოს პროფესიული ასოციაციის წევრი, უნდა იყოს აღიარებული იმისათვის, რომ მოსამართლეს მიეცეს საშუალება მიიღოს კონსულტაცია განსაკუთრებით კი ისეთ საკითხებზე, როგორცაა მათი სტატუსი, ეთიკის საკითხები, მართლმსაჯულების საკითხები და იმისათვის, რომ მათ დაიცვან საკუთარი სამართლებრივი ინტერესები.

მუხლი 13

ანაზღაურება და პენსია

მოსამართლემ უნდა მიიღოს შესაბამისი ანაზღაურება ისეთი, რომ მისი ეკონომიკური დამოუკიდებლობა იყოს უზრუნველყოფილი. ანაზღაურება არ უნდა იყოს დამოკიდებული მოსამართლის სამუშაო შედეგზე და არ შეიძლება, რომ მოხდეს მისი ანაზღაურების შემცირება სამუშაო პერიოდის განმავლობაში.

მოსამართლეს აქვს პენსიაზე გასვლის უფლება პენსიის ან შემოსავლის მიღების უფლებით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს მის პროფესიულ კატეგორიას.

პენსიაზე გასვლის შემდეგ მოსამართლეს არ ეკრძალება იურიდიული პროფესიის სხვა სფეროში დამოუკიდებლად მუშაობა იმის გამო, რომ იგი ადრე მოსამართლე იყო.

მუხლი 14

მხარდაჭერა

სახელმწიფო ხელისუფლების სხვა შტოები ვალდებული არიან უსრუნველყოფნასასამართლო ხელისუფლება საჭირო აღჭურვილობით, რაც აუცილებელია სასამართლოს ნორმალური ფუნქციონირებისათვის. სასამართლო ხელისუფლებას უნდა ჰქონდეს საშუალება მიიღოს მონაწილეობა, ან გამოთქვას მოსაზრება მათთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებებზე.

მუხლი 15

საჯარო ბრალდება

ქვეყნებში, სადაც მოსამართლეები გამოდიან სახელმწიფო ბრალდების როლში, ზემოთ ჩამოთვლილი პრინციპები ვრცელდება მათზე შესაბამისი საჭირო ცვლილებების გათვალისწინებით (*mutatis mutandis*).

1999 წლის ნოემბერი

დედეგატთა სია, რომლებიც ესწრებოდნენ მოსამართლეთა საერთაშორისო ასოციაციის ცენტრალური საბჭოს სხდომას ტაიპეიში (ტაივანი), 1999 წლის 17 ნოემბერს

არგენტინა, აესტრია, ბელგია, ბოლივია, ბრაზილია, კამერუნი, კანადა, კოსტა-რიკა, ჩეხეთის რესპუბლიკა, დანია, ესტონეთი, ფინეთი, საფრანგეთი, გერმანია, საბერძნეთი, ისლანდია, ისრაელი, იტალია, კოტდივარი, მაკედონია, ლატვია, ლიხტენშტეინი, ლიტვა, ლუქსემბურგი, მაროკო, ნორვეგია, პარაგვაი, პოლონეთი (დამკვირვებელი სტატუსი), პორტუგალია, ჩინეთი (ტაივანი), რუმინეთი, სენეგალი, სლოვაკეთი, სლოვენია, ესპანეთი, შვედეთი, შვეიცარია, ნიდერლანდები, ტუნისი, ინგლისი, ამერიკის შეერთებული შტატები, ურუგვაი.

მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია № R (94) 12
წევრი სახელმწიფოებრივების
მოსამართლეთა დამოუკიდებლობის, ეფექტურობის და როლის
შესახებ

(მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 1994 წლის 13 ოქტომბერს მინისტრთა
მოადგილეების 516-ე შეხვედრაზე)

მინისტრთა კომიტეტი, თანახმად ევროპის საბჭოს წესდების მე-15.ბ
მუხლის პირობებისა

ითვალისწინებს რა, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციის (შემდგომში კონვენცია) მე-6-ე მუხლს, რომლის მიხედვითაც “ყოველი ადამიანი აღჭურვილია გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საჯარო განხილვის უფლებით კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ;”

ითვალისწინებს რა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძირითად პრინციპებს სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის შესახებ, რომელიც მიღებულია გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1985 წლის ნოემბერში;

მოსამართლეთა და სასამართლო ფუნქციის მქონე სხვა პირების ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვისთვის მათი უმნიშვნელოვანესი როლის გათვალისწინებით;

მოსამართლეთა დამოუკიდებლობის განმტკიცების სურვილით, იმისათვის რომ დემოკრატიულ სახელმწიფოში გაძლიერდეს კანონის უზენაესობა;

მოსამართლეთა ძალაუფლების და მდგომარეობის განმტკიცების საჭიროების გათვალისწინებით იმისათვის, რომ მიღწეულ იქნას ეფექტური და სამართლიანი სასამართლო სისტემის შექმნა;

სამოსამართლო პასუხისმგებლობის მართებულად განხორციელების მნიშვნელობა რომელიც წარმოადგენს სამოსამართლო მოვალეობების და ძალაუფლების ერთობლიობას მიმართულს ყველა ადამიანის ინტერესთა დაცვისკენ

იღებს რეკომენდაციას, რომელიც წვერმა სახელმწიფოებმა უნდა გაითვალისწინონ და გაატარონ ყველა ის ღონისძიებები, რომ მოხდეს თითოეული მოსამართლის და სასამართლო ხელისუფლების როლის, დამოუკიდებლობის და ეფექტურობის განმტკიცება შემდეგი პრინციპების განხორციელებით:

რეკომენდაციების სფერო

1. ეს რეკომენდაციები ეხება ყველა პირს ვინც სამოსამართლო ფუნქციას ახორციელებს, მათ შორის საკონსტიტუციო, სისხლის სამართლის, სამოქალაქო სამართლის, კომერციული და ადმინისტრაციული სამართლის საქმეებზე.
2. ამ რეკომენდაციაში მოცემული პრინციპები ასევე ეხება არაპროფესიონალ მოსამართლეებსაც და სხვა პირებსაც, რომლებიც სამოსამართლო ფუნქციას ახორციელებენ, გარდა იმ შემთხვევებისა როდესაც ტექსტში ნათლად ჩანს,

რომ ეს პრინციპი ვრცელდება მხოლოდ პროფესიონალ მოსამართლეზე - მაგალითად ისეთი პრინციპები რომლებიც ეხება მოსამართლის ანაზღაურებას, ან მის კარიერულ ზრდას.

პრინციპი 1 – ზოგადი პრინციპები მოსამართლის დამოუკიდებლობაზე

1. ყველა საჭირო ღონისძიება უნდა გატარდეს იმისათვის, რომ მოხდეს მოსამართლის დამოუკიდებლობის პატივისცემა, დაცვა და განმტკიცება;
2. კონკრეტულად კი უნდა განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებები:
 - ა) სამოსამართლო დამოუკიდებლობა უნდა იყოს გარანტირებული კონვენციის დებულებების და საკონსტიტუციო პრინციპების შესაბამისად, მაგალითად კონსტიტუციაში ან სხვა კანონმდებლობაში კონკრეტული დებულებების ჩასმა, ან რეკომენდაციების დებულებების შიდა კანონებში გათვალისწინება. კონკრეტული ქვეყნის სამართლებრივი ტრადიციებიდან გამომდინარე ეს წესები შეიძლება ეხებოდეს მაგალითად შემდეგს:
 - I. მოსამართლის გადაწყვეტილება არ შეიძლება გახდეს რაიმე გადასინჯვის საგანი გარდა აპელაციისა და სხვა პროცედურებისა, რომელიც კანონით არის უზრუნველყოფილი;
 - II. მოსამართლის საქმიანობის ვადა და მისი ანაზღაურება გარანტირებული უნდა იყოს კანონით;
 - III. მხოლოდ სასამართლოებს აქვთ უფლება და არა სხვა რაიმე ორგანოს მიიღონ გადაწყვეტილება სასამართლო კომპეტენციის შესახებ, რაც კანონით არის განსაზღვრული;
 - IV. მთავრობას ან ადმინისტრაციას არ აქვს უფლება მიიღოს რაიმე გადაწყვეტილება, რომელიც რეტროაქტიულად აუქმებს მოსამართლის გადაწყვეტილებას გარდა იმ გადაწყვეტილებისა, რომელიც ეხება ამნისტიას, შეწყალებას და სხვა მსგავს გადაწყვეტილებებს;
 - ბ) აღმასრულებელმა და საკანონმდებლო ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს მოსამართლის დამოუკიდებლობა და ისეთი ნაბიჯების არიდება, რომელმაც შეიძლება საფრთხის ქვეშ დააყენოს მოსამართლის დამოუკიდებლობა.
 - გ) მოსამართლის პროფესიული კარიერის შესახებ ნებისმიერი გადაწყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს ობიექტურ კრიტერიუმს, მოსამართლეთა შერჩევა და კარიერა უნდა ეფუძნებოდეს პროფესიულ მიღწევებს, მათ კვალიფიკაციას, მიუკერძოებლობას, უნარებს და ეფექტურობას. ის ორგანო, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს მოსამართლის შერჩევასა და მის კარიერულ განვითარებაზე, უნდა იყოს დამოუკიდებელი ხელისუფლებისგან და ადმინისტრაციისაგან. იმისათვის, რომ მოხდეს დამოუკიდებლობის დაცვა - წესებით უნდა უზრუნველყოფილი იყოს ის, რომ მოსამართლეთა არჩევა უნდა ხდებოდეს მოსამართლეთა მონაწილეობით და ჩართულობით და ისინი თავიდან უნდა წვედნენ საპროცესო წესებსაც.

მაგრამ იქ სადაც საკონსტიტუციო და საკანონმდებლო დებულებებით და ტრადიციებით დაშვებულია მოსამართლეთა თანამდებობაზე დანიშვნა მთავრობის მიერ, მაშინ უნდა არსებობდეს გარანტია იმისა, რომ მოსამართლეთა დანიშვნის პროცედურა არის გამჭვირვალე და დამოუკიდებელი და რომ გადაწყვეტილებაზე ზეგავლენას არ იქონიებს არაფერი გარდა იმ ობიექტური კრიტერიუმებისა, რაც უემოთ იყო ნახსენები. ეს გარანტიები შეიძლება მდგომარეობდეს შემდეგში:

I. სპეციალური დამოუკიდებელი და კომპეტენტური ორგანო აძლევს რჩევას მთავრობას, რომელსაც იგი ითვალისწინებს;

II. პირის უფლება - გაასაჩივროს გადაწყვეტილება დამოუკიდებელ ორგანოში;

III. ან, ისეთი ორგანოს შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს გადაწყვეტილების დაცვას ყოველგვარი გარეშე და უსაფუძვლო ჩარევისაგან;

- დ) გადაწყვეტილების მიღების პროცესში, მოსამართლეები უნდა იყვნენ დამოუკიდებელნი და უნდა შეეძლოთ ყოველგვარი შეზღუდვის, უსაფუძვლო ზეწოლის, ზემოქმედების, მუქარის ან ჩარევის გარეშე იმოქმედონ, იქნება ეს პირდაპირი თუ არაპირდაპირი, ნებისმიერი მხარის მხრიდან ან ნებისმიერი მიზეზით განხორციელებული. კანონით უნდა იყოს განსაზღვრული სანქციები იმ პირთა მიმართ, რომლებიც ცდილობენ მოსამართლეზე ზეწოლას ნებისმიერი ფორმით. მოსამართლეებს უნდა ჰქონდეთ მინიჭებული შეუსაზღვრავი დამოუკიდებლობა იმისათვის, რომ მათ მიუკერძოებელი გადაწყვეტილებები მიიღონ, საკუთარი რწმენის და ფაქტების საკუთარი ინტერპრეტაციის საფუძველზე და მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით. მოსამართლეები არ უნდა იყვნენ ვალდებული ვინმეს ჩააბარონ ანგარიში საქმის გარემოებებთან დაკავშირებით სასამართლო სისტემის გარეთ.
- ე) სასამართლო საქმეების განაწილებაზე არ უნდა იქონიოს გავლენა რომელიმე მხარის ნებასურვილმა, ან იმ პირის სურვილმა, რომელიც დაინტერესებულია საქმის შედეგებით. საქმის განაწილება შეიძლება განხორციელდეს ლოტოს პრინციპით, ან საქმეები შეიძლება განაწილდეს მოსამართლეებს შორის ანბანური თანმიმდევრობით ან სხვა მსგავსი სისტემით.
- ე) საქმის მოსამართლისათვის ჩამორთმევა საფუძვლიანი მიზეზის გარეშე არ შეიძლება - ისეთი მაგალითად, როგორიცაა სერიოზული ავადმყოფობა ან ინტერესთა კონფლიქტი. ნებისმიერი ასეთი მიზეზი და საქმის ჩამორთმევის პროცედურა უნდა იყოს კანონით განსაზღვრული და არ შეიძლება ამაზე გავლენა იქონიოს მთავრობის ან აღმინისტრაციის ინტერესმა. მოსამართლის საქმისგან ჩამოცილების გადაწყვეტილება უნდა იქნეს მიღებული ისეთი ორგანოს მიერ, რომელიც ისეთსავე დამოუკიდებლობის ხარისხს ფლობს რასაც თავად მოსამართლე.
3. მოსამართლე, მიუხედავად იმისა დანიშნულია თუ არჩეულია იგი, უნდა იყოს დანიშნული გარანტირებული ვადით, სანამ არ მოუვება საპენსიო ასაკი, ან არ ამოიწურება მისი დანიშვნის ვადა, თუ ეს ვადა დაკონკრეტებულია და არსებობს.

პრინციპი II – მოსამართლის უფლებამოსილება

1. ყველა პირი, რომელიც საქმესთან არის დაკავშირებული, მათ შორის სახელმწიფო სტრუქტურები, ან მათი წარმომადგენლები - უნდა ემორჩილებოდნენ მოსამართლეს.
2. მოსამართლეები უნდა ფლობდნენ შესაბამის ძალაუფლებას და უნდა ჰქონდეთ ამ ძალაუფლების გამოყენების საშუალება იმისათვის, რომ განახორციელონ საკუთარი მოვალეობები, შეინარჩუნონ საკუთარი უფლებამოსილება და სასამართლოს ღირსება.

პრინციპი III – შესაბამისი სამუშაო პირობები

1. მოსამართლეების ეფექტური საქმიანობისათვის საჭიროა მათთვის შესაბამისი ნორმალური სამუშაო პირობების შექმნა, კონკრეტულად კი ისეთი როგორცაა:
 - ა) საქმარისი რაოდენობის მოსამართლეების დანიშვნა და მათთვის შესაბამისი ტრენინგების განხორციელება, მაგალითად - როგორცაა პრაქტიკული ტრენინგი სასამართლოში, ან მის გარეთ როგორც დანიშვნამდე ასევე დანიშვნის შემდეგ. ეს ტრენინგები უნდა იყოს უფასო მოსამართლისათვის, უნდა ეხებოდეს ახალ მიღებულ კანონებს და პრეცედენტულ სამართალს. როდესაც ეს შესაძლებელია - ტრენინგები უნდა მოიცავდეს სასწავლო ვიზიტებს ევროპის და უცხო ქვეყნის სასამართლოებსა და სხვა ინსტიტუტებში.
 - ბ) მოსამართლის სტატუსი და მისი ანაზღაურება უნდა იყოს მათი პროფესიული ღირსების და პასუხისმგებლობის ტვირთის შესაბამისი;
 - გ) ნათელი კარიერული ზრდის სტრუქტურის შემუშავება - იმისათვის, რომ მოხდეს მოსამართლეთა აყვანა და კადრების შენარჩუნება;
 - დ) შესაბამისი დამხმარე პერსონალით და აღჭურვილობით უზრუნველყოფა, განსაკუთრებით კი ოფისის ავტომატიზაცია და მონაცემთა შენახვა და გადაამუშავება - იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს მოსამართლეთა ეფექტურობა და ოპერატიულობა.
 - ე) შესაბამისი ღონისძიებების გატარება არა სამოსამართლო ფუნქციების სხვა თანამშრომლებზე გადანაწილებისათვის რეკომენდაცია №R (86) I2-ის მოთხოვნათა მიხედვით, რომელიც აყალიბებს იმ ღონისძიებებს რაც გასატარებელია სასამართლოების გადატვირთვისგან თავის არიდების შემცირებისათვის.
2. ყველა საჭირო ღონისძიება უნდა გატარდეს იმისათვის, რომ მოხდეს მოსამართლეთა უსაყრთხოების დაცვა. მაგალითად, როგორცაა სასამართლო შენობის უსაყრთხოების დაცვის თანამშრომლებით უზრუნველყოფა ან იმ მოსამართლეთა დაცვა პოლიციელების მეშვეობით, რომლებიც შეიძლება გახდნენ ან არიან მუქარის მსხვერპლნი.

პრინციპი IV- ასოციაციები

მოსამართლეები უნდა იყენენ თავისუფალნი ასოციაციების შექმნისას, მარტო ან სხვებთან ერთად, რომლის მიზანიც იქნება მათი დამოუკიდებლობის და ინტერესების დაცვა და განმტკიცება.

პრინციპი V – სამოსამართლო პასუხისმგებლობა

1. სასამართლო პროცესის მსვლელობისას მოსამართლეებს აქვთ ყველა ადამიანის უფლებების და თავისუფლებების დაცვის ვალდებულება;
2. მოსამართლეები ვალდებული არიან და მათ უნდა მიეცეთ ძალაუფლება, რომ განახორციელონ საკუთარი სამოსამართლო პასუხისმგებლობა იმისათვის, რათა მოხდეს კანონის სწორი გამოყენება და საქმეების სამართლიანი, ეფექტური და სწრაფი განხილვა.
3. მოსამართლეებს უნდა ჰქონდეთ შემდეგი კონკრეტული პასუხისმგებლობები:
 - ა) ყველა საქმის წარმოებისას იმოქმედონ დამოუკიდებლად და გარეშე ზეწოლისაგან თავისუფლად;
 - ბ) საქმეები აწარმოონ მიუკერძოებლად, ფაქტების საკუთარი შეფასებით და კანონის საკუთარი ინტერპრეტაციით, დარწმუნდნენ იმაში რომ ყველა მხარეს მიეცა სამართლიანი განხილვის საშუალება, რომ მხარეების საპროცესო უფლებები დაცულია და ხდება პატივისცემა კონვენციის მოთხოვნების შესაბამისად.
 - გ) თავი აარიდოს საქმის განხილვას და უარი განაცხადოს საქმის წარმოებაში მიღებისგან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამის საფუძვლიანი მიზეზი არსებობს. ეს მიზეზები უნდა იყოს განსაზღვრული კანონით და შეიძლება უკავშირდებოდეს ჯანმრთელობის პრობლემებს, ინტერესთა კონფლიქტს. ან მართლმსაჯულების ინტერესებს.
 - დ) როდესაც საჭიროა განუმარტოს მხარეებს ყოველგვარი მიკერძოების გარეშე საპროცესო საკითხები;
 - ე) როდესაც შესაძლებელია მისცეს მხარეებს რჩევა მიაღწიონ მეგობრულ შეთანხმებას;
 - ვ) გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სხვა რამ არის გათვალისწინებული კანონით ან მიღებული პრაქტიკით, ჩამოაყალიბოს ნათელი და სრული მიზეზები მათი გადაწყვეტილებისა იმ ენაზე რომელიც გასაგებია;
 - ზ) გაიაროს ნებისმიერი საჭირო ტრენინგი იმისათვის, რომ განახორციელოს საკუთარი მოვალეობები ეფექტურად და მართებულად.

პრინციპი VI – პასუხისმგებლობების ვერ განხორციელება და დისციპლინური ღარღვევები

1. როდესაც მოსამართლე ვერ ასრულებს საკუთარ პასუხისმგებლობას ეფექტურად და მართებულად, ან დისციპლინური გადაცდომების არსებობისას - ეველა საჭირო ღონისძიება უნდა გატარდეს, რომელიც არ იქონიებს გააღუნას სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობაზე. კონსტიტუციური პრინციპებიდან, თითოეული სახელმწიფოს სამართლებრივი დებულებებიდან და ტრადიციებიდან გამომდინარე, ასეთი ღონისძიებები შეიძლება იყოს:
 - ა) მოსამართლისათვის საქმის ჩამორთმევა;
 - ბ) მოსამართლის სასამართლოს შიგნით სხვა სამოსამართლო ფუნქციების დაკისრება;
 - გ) ისეთი ეკონომიკური სანქციების განხორციელება, როგორცაა ხელფასის შემცირება დროებით;
 - დ) თანამდებობიდან დროებით ჩამოცილება;
2. დანიშნული მოსამართლის სამუდამოდ გადაყენება თანამდებობიდან მის მიერ საპენსიო ასაკის მიღწევამდე არ შეიძლება, თუ არ არსებობს ამისათვის საკმარისი საფუძველი. ეს მიზეზები კონკრეტულად უნდა იყოს ჩამოყალიბებული კანონში ისეთ ქვეყნებში, სადაც მოსამართლის თანამდებობაზე დანიშნვა ხდება გარკვეული ვადით, ან ეს შეიძლება ეხებოდეს მოსამართლის უუნარობას განახორციელოს სამოსამართლო საქმიანობა, ან სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, ან დისციპლინური წესების სერიოზული დარღვევა.
3. როდესაც საჭიროა ამ მუხლის პირველ და მეორე პარაგრაფებში განმარტებული ღონისძიებების გატარება, სახელმწიფოებმა უნდა გაითვალისწინონ და კანონის საფუძველზე შექმნან კომპეტენტური ორგანო რომლის ფუნქციაც იქნება დისციპლინური სანქციების გამოყენება, თუ ეს ფუნქცია არ აკისრია სასამართლოს. მაგრამ ამ ორგანოს გადაწყვეტილების კონტროლი უნდა მოხდეს ზემდგომი სასამართლო ინსტანციის მიერ. კანონით უნდა იყოს უზრუნველყოფილი შესაბამისი პროცედურა, რომლის მიხედვითაც კითხვის ნიშნის ქვეშ მყოფ მოსამართლეს მიეცემათ კონვენციით განსაზღვრული სამართლიანი სასამართლო პროცესის უფლება, მაგალითად როგორცაა საქმის გონივრულ ვადებში განხილვა და მოსამართლის უფლება პასუხი გასცეს ნებისმიერ ბრალდებას.

მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია № R (94) 12
წევრი სახელმწიფოებრივების
მოსამართლეთა დამოუკიდებლობის,
უწყებურობის და როლის შესახებ

განმარტებითი ბარათი

შესავალი

1. მართლმსაჯულების განმტკიცებისა და მისი უწყებურობის გაზრდის მიზნით გადაწყვედა, რომ შექმნილიყო რეკომენდაციები მოსამართლეთა დამოუკიდებლობის, უწყებურობის და მათი როლის შესახებ.
2. ევროპის საბჭოს ერთერთი მიზანი არის კანონის უზენაესობის დემოკრატიული და პოლიტიკური სისტემების ინსტიტუციური განვითარება და დაცვა, კონსტიტუციით მართვადი სახელმწიფოს შექმნა, ასევე ადამიანის უფლებების და ფუნდემენტური თავისუფლებების განმტკიცება და დაცვა.
3. ევროპის საბჭოს რეკომენდაცია მოსამართლეთა დამოუკიდებლობის, უწყებურობის და როლის შესახებ ხაზს უსვამს და აქალიბებს მოსამართლეთა უმინიშენელოვანეს როლს, რომელსაც ისინი ასრულებენ ამ მიზნების მისაღწევად. მოსამართლეთა დამოუკიდებლობა არის კანონის უზენაესობის ერთერთი ძირითადი საყრდენი. მოსამართლეთა დამოუკიდებლობის განმტკიცება არ ეხება მხოლოდ კონკრეტულ მოსამართლეს, არამედ ვრცელდება მთელს სასამართლო ხელისუფლებაზე. ამიტომ სახელმწიფოებს უნდა ახსოვდეთ, რომ შეიძლება კონკრეტული ქმედება არ ეხებოდეს ინდივიდუალურად მოსამართლეს, მაგრამ იგი შედეგს გამოიღებს მთელი სასამართლო ხელისუფლებისათვის.
4. რეკომენდაციის ტექსტი და მისი განმარტებითი ბარათი მომზადებულია სამოქალაქო მართლმსაჯულების უწყებურობის და სამართლიანობის პრინციპების ჯგუფის მიერ. მას შემდეგ, რაც ეს დოკუმენტები განხილული იყო სამართლებრივი თანამშრომლობის ევროპული კომიტეტის მიერ, რეკომენდაციები და განმარტებითი ბარათი გადაეცა ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს. მინისტრთა კომიტეტმა მიიღო რეკომენდაციების ტექსტი და ასევე გადაწყვიტა განმარტებითი ბარათის თან დართვა რეკომენდაციებთან.
5. ევროპის საბჭოსა და ევროპული თანამეგობრობის კომისიის წევრ სახელმწიფოებთან ერთად დამკვირვებლის სტატუსით ესწრებოდნენ პროექტის ჯგუფის შეხვედრებს, და ამზადებენ ტექსტებს შემდეგი სახელმწიფოები: ალბანეთი, ვატიკანი, ლატვია, რუსეთი, მოსამართლეთა ევროპული ასოციაცია და მოსამართლეთა საერთაშორისო ასოციაცია.
6. იმისათვის რომ შეიქმნას ეფექტური და სამართლიანი სამართლებრივი სისტემა აუცილებელია მოსამართლეთა პოზიციისა და ძალაუფლების განმტკიცება, სამოსამართლო პასუხისმგებლობის სწორი აღსრულება. ამ რეკომენდაციების მომზადებისას გათვალისწინებული იყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძირითადი პრინციპები სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის შესახებ (1985) და ამ პრინციპების ეფექტურად განხორციელების

პროცედურები რომელიც 1989 წელს იყო მიღებული. გაეროს ძირითადი პრინციპები უნდა განიხილებოდეს როგორც მინიმალური სტანდარტების ძირითადი ტექსტი რომელიც სრულ შესაბამისობაშია რეკომენდაციებთან.

7. რეკომენდაციების საწყისი წერტილი არის იდეა, რომლის მიხედვითაც მოსამართლეზე დაკისრებული ძალაუფლების დაბალანსება ხდება მათი მოვალეობებით. რეკომენდაციები იქმნება იმისათვის, რომ სასამართლო სისტემა გახდეს უფრო სამართლიანი და უფრო ეფექტური. სამართლიანი მართლმსაჯულების სისტემის ერთერთი ძირითადი საყრდენი არის მოსამართლეთა დამოუკიდებლობა. საჭიროა, რომ მოსამართლეებს მიეცეთ საკმარისი ძალაუფლება, რომ მათი დამოუკიდებლობა იყოს გარანტირებული. ეს ძალაუფლება არ ანიჭებს მათ უფლებას იმოქმედონ თვითნებურად. მოსამართლეებს აკისრიათ ვალდებულებები. სამოსამართლო პასუხისმგებლობა განსაზღვრულია მოსამართლეთა ძალაუფლების და მოვალეობების ურთიერთდამოკიდებულებით.
8. მოსამართლეთა დამოუკიდებლობის დაცვის მიზნით აუცილებელია, რომ მოსამართლეები ვალდებულნი იყვნენ ზედამხედველობის სისტემის მიმართ, რომელიც მოსამართლეთა უფლებებისა და მოვალეობების პატივისცემას ამტკიცებს.
9. რეკომენდაციები მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს მიიღონ ან განახორციელონ ყველა ის ქმედება, რაც აუცილებელია მოსამართლეთა როლის გაძლიერების, განმტკიცებისათვის და მათი ეფექტურობისა და დამოუკიდებლობის გაუმჯობესებისათვის.
10. რეკომენდაციები მოიცავს ექვს პრინციპს, რომელთა გამოყენება უნდა მოახდინონ წევრმა სახელმწიფოებმა. ეს პრინციპები ეხება მოსამართლეთა დამოუკიდებლობას, მოსამართლეთა უფლებამოსილებას, გამართულ სამუშაო პირობებს, უფლებას შექმნან ასოციაციები, სამოსამართლო პასუხისმგებლობას და შედეგებს, რომელიც დადგება სამოსამართლო პასუხისმგებლობის ვერ შესრულების ან დისციპლინური დარღვევის შემთხვევაში. მიუხედავად იმისა, რომ რეკომენდაციები ჩამოთვლის პრინციპებს, საჭირო იყო მომხდარიყო ამ პრინციპების დეტალური განხილვა, რათა წევრ სახელმწიფოებს მიეღოთ გარკვეული მითითებები ამ რეკომენდაციების შესრულებისას. წევრი სახელმწიფოების განსხვავებული სამართლებრივი ტრადიციის გათვალისწინებით, რომელიც ეხება მოსამართლეთა დაცვას, რეკომენდაციები არ მითითებს კანონმდებლობის სრულ პარმონიზაციას. მაგრამ იძლევა იმის მაგალითებს ან ზოგად წესებს, რაც უნდა განახორციელოს ქვეყანამ ამის მისაღწევად.

რეკომენდაციების სფერო

11. რეკომენდაციების სფერო არ ეხება რაიმე კონკრეტულ სამართლის სფეროს და ვრცელდება, როგორც პროფესიონალ ისე არაპროფესიონალ მოსამართლეებზე, არაპროფესიონალი მოსამართლეებისათვის ერთი გამოწვევისით, რომელიც ეხება ანაზღაურებას და კარიერულ ზრდას. იგი ეხება სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეების გადაწყვეტას, მაგრამ ასევე არგუულირებს ადმინისტრაციული და საკონსტიტუციო სამართლის საკითხებს. როდესაც რეკომენდაციაში საუბარია მისი მოქმედების სფეროზე, ნახსენებია პირები

ვინც სამოსამართლო ფუნქციებს ასრულებენ - და არა მარტო მოსამართლეები - ვინაიდან ბევრ ქვეყანაში პირებს ვინც სომოსამართლო ფუნქციას ასრულებენ არ უწოდებენ მოსამართლეს, მიუხედავად იმისა, რომ ისინი სარგებლობენ მოსამართლის მსგავსი დამოუკიდებლობით თავიანთი ფუნქციების განხორციელებისას. მაგალითად, ზოგ ქვეყანაში მოქმედებს სისტემა, სადაც სპეციალისტები ასრულებენ მოსამართლის ფუნქციას ისეთ საქმედებებში, როდესაც საჭიროა მაღალი სპეციალისტის ცოდნა, მაგალითად როგორცაა აუდიტი ან მიწის მკვლევართა ექსპერტები. ასეთი ექსპერტები, რომლებიც სამოსამართლო ფუნქციას იყენებენ, არ შეიძლება შეეადაროთ "არაპროფესიონალ მოსამართლეებს", ვინაიდან მათი დანიშვნა მოსამართლედ ხდება სპეციალური ცოდნის გამო. ზოგიერთი რეკომენდაცია ასევე მისაღები იქნება მსგავსი პირებისათვის. მაგრამ გადაწყვეტილება იქნა მიღებული რომ ტერმინი "მოსამართლე" ყოფილიყო გამოყენებული ნებისმიერი პირის მიმართ ვინც კი სამოსამართლო ფუნქციას ასრულებს. ნებისმიერ შემთხვევაში ეს შიდა კანონმდებლობის და კონკრეტულად კი კონსტიტუციის გადასაწყვეტია, თუ ვინ ჩაითვლება მოსამართლედ ამ რეკომენდაციის მიზნებისათვის.

კომენტარები პრინციკებთან დაკავშირებით

პრინციპი I – მოსამართლეთა დამოუკიდებლობის ზოგადი პრინციპები

12. პირველ პრინციპში გამოხატულია მოსამართლეთა დამოუკიდებლობის მხარდამჭერი პრინციპი, რომელიც მოითხოვს ყველა საჭირო ღონისძიებების გატარებას იმისათვის, რომ მოხდეს მოსამართლეთა დამოუკიდებლობის პატივისცემა, დაცვა და განმტკიცება. "მოსამართლეთა დამოუკიდებლობის" კონცეფციის სფერო არ ეხება მხოლოდ მოსამართლეებს ინდივიდუალურად, არამედ მთელ სასამართლო სისტემაზე ვრცელდება.
13. მოსამართლეთა დამოუკიდებლობა გარანტირებული უნდა იყოს კონვენციის დებულებების და კონსტიტუციის პრინციპების შესაბამისად. ეს მოთხოვნა ეხება ვალდებულებას, რომ მოსამართლეთა დამოუკიდებლობა უნდა იყოს გარანტირებული ქვეყნის შიდა კანონმდებლობით ერთი ან მეორე საშუალებით. თითოეული ქვეყნის სამართლებრივი სისტემიდან გამომდინარე, ამ გარანტიას შეიძლება ჰქონდეს წერილობითი ან არაწერილობითი კონსტიტუციის, კონვენციის ან ხელშეკრულების ფორმა, რომელიც ქვეყნის ეროვნულ სისტემაში არის ინკორპორირებული, ან წერილობითი ან არაწერილობითი პრინციპის ფორმა, მაგალითად როგორცაა ზოგადი სამართლებრივი პრინციპი.
14. რაც შეეხება ამ პრინციპის განხორციელებისათვის გასატარებელ ქმედებებს, უნდა მოხდეს ზოგიერთი ასპექტის გათვალისწინება, მაგალითად როგორცაა სახელმწიფოს სამართლებრივი ტრადიციები. კანონმა უნდა განსაზღვროს ის წესები, თუ როდის და როგორ შეიძლება გასაჩივრდეს მოსამართლის გადაწყვეტილება სასამართლოში. სამართლებრივი სისტემის გარეთ მოსამართლის გადაწყვეტილების გადასინჯვა, იქნება ეს მთავრობის თუ ადმინისტრაციის მიერ, ყოველად დაუშვებელია. მოსამართლის თანამდებობაზე დანიშვნის ვადა და მისი ანაზღაურება ასევე კანონით უნდა იყოს გარანტირებული. რაც შეეხება მოსამართლის თანამდებობაზე ყოფნის ვადას, რეკომენდაციებში მოცემულია კონკრეტული წესები, თუ როდის იქნება მისაღები მოსამართლის სამოსამართლო უფლებამოსილების დროებით შეწყობა, თუ მისი

სამუდამოდ გათავისუფლება თანამდებობიდან. ამასთანავე, დოკუმენტი იძლევა კონკრეტულ რეკომენდაციას ანაზღაურებასთან დაკავშირებით. სასამართლოებს ასევე უნდა ჰქონდეთ საშუალება დამოუკიდებლად მიიღონ გადაწყვეტილება მათი კომპეტენციის შესახებ, როგორც ეს კანონით არის განსაზღვრული და ასევე მთავრობას ან ადმინისტრაციას არ უნდა ჰქონდეს საშუალება მიიღონ გადაწყვეტილება, რომელიც გააუქმებს სასამართლოს გადაწყვეტილებას, გარდა კონკრეტული გამონაკლისებისა, რაც ეხება ამინსტიას, შეწყალებას, ან სხვა მსგავს გადაწყვეტილებას. ეს გამონაკლისები ცნობილია ყველა დემოკრატიულ საზოგადოებაში და გამართლებულია პუბლიკარული პრინციპების ზედირებულებით.

15. მოსამართლეთა დამოუკიდებლობა უპირველეს ყოვლისა დაკავშირებულია ძალაუფლების დანაწილებასთან. საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას აქვთ მოსამართლეთა დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის ვალდებულება. ამ ორგანოების მიერ განხორციელებული ზოგიერთი ქმედება შეიძლება პირდაპირ ან არაპირდაპირ გავლენას ახდენდეს სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებაზე. ამის გამო საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებმა თავი უნდა შეიკავონ ნებისმიერი ღონისძიების გატარებისგან, რომელიც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს მოსამართლეთა დამოუკიდებლობა.

16. არსებითია ის, რომ მოსამართლეთა დამოუკიდებლობა იყოს გარანტირებული, როდესაც ხდება მათი შერჩევა, მათი პროფესიულ კარიერულ ზრდაზე გადაწყვეტილების მიღება და არ უნდა ჰქონდეს ადგილი დისკრიმინაციას. მოსამართლეთა პროფესიულ ცხოვრებასთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს ობიექტურ კრიტერიუმებს. მიუხედავად იმისა, რომ თითოეულ წევრ სახელმწიფოს აქვს მოსამართლეთა შერჩევის, არჩევის თუ დანიშვნის საკუთარი მეთოდი, სამოსამართლო კანდიდატთა შერჩევა და მოსამართლეთა კარიერული ზრდა უნდა ხდებოდეს მიღწევების მიხედვით. კონკრეტულად კი, როდესაც ხდება გადაწყვეტილების მიღება მოსამართლეთა დანიშვნის თაობაზე ისეთი ორგანოს მიერ, რომელიც არ არის დამოუკიდებელი მთავრობის თუ ადმინისტრაციისაგან, მაგალითად როგორცაა პარლამენტი ან პრეზიდენტი, მნიშვნელოვანია, რომ ასეთი გადაწყვეტილება მიღებული იყოს მხოლოდ ობიექტური კრიტერიუმების შესაბამისად.

ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელიც მოსამართლის პროფესიული კარიერის ზრდას ეხება, უნდა ეფუძნებოდეს ობიექტურ კრიტერიუმებს. ამას მნიშვნელობა აქვს არა მარტო მოსამართლედ დანიშვნისას, არამედ მოსამართლის მთელი პროფესიული კარიერის განმავლობაში. რეკომენდაციების მიზანია ისეთი სტანდარტების შეთავაზება, რომელიც უნდა განხორციელდეს ყველა წევრ სახელმწიფოებში, იმის გათვალისწინებით, რომ გადაწყვეტილებები მიიღება უსაფუძვლო გაჭიანურების გარეშე აღმასრულებელი ხელისუფლების თუ ადმინისტრაციის მხრიდან.

მიუხედავად იმისა, რომ რეკომენდაცია იძლევა მოსამართლეთა თანამედრობაზე დანიშვნის იდეალურ ფორმას, იგი ასევე ცნობს, რომ ზოგიერთ ვერო საბჭოს წევრ სახელმწიფოში სხვა ფორმა არსებობს მოსამართლეთა თანამდებობაზე გამწესების, რომელშიც ხშირად მონაწილეობას იღებს მთავრობა, პარლამენტი ან სახელმწიფოს მეთაური. რეკომენდაცია არ მოითხოვს იმ

სისტემის შეცვლას, რომელიც უკვე წლების ან საუკუნეების განმავლობაში წარმატებით მოქმედებს ამ სახელმწიფოებში. მაგრამ, ამავე დროს იმ სახელმწიფოებში სადაც მოსამართლეები ინიშნებიან მთავრობის მიერ უნდა არსებობდეს გარკვეული სისტემა სადაც მოსამართლე დანიშნვის პროცესი იქნება გამჭვირვალე და დამოუკიდებელი. ზოგიერთ სახელმწიფოში ეს ხორციელდება სპეციალური დამოუკიდებელი და კომპეტენტური ორგანოს საშუალებით, რომელიც რჩევას აძლევს მთავრობას, პარლამენტს ან სახელმწიფოს მეთაურს და რომლის გადაწყვეტილების გასაჩივრებაც შეუძლია უკმაყოფილო პირს. არსებობს სხვაგვარი სისტემა, როდესაც ხელისუფლება ფართო მასშტაბიან კონსულტაციებს მართავს სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლებთან მიუხედავად იმისა, რომ საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს მთავრობის კონკრეტული წარმომადგენელი.

რეკომენდაციაზე მუშაობის პროცესში არ ჩაითვალა მართებულად კომენტარი და განმარტება გაკეთებულიყო პრეზიდენტის ან პარლამენტის მიერ მოსამართლის თანამდებობაზე დანიშნვის სისტემაზე, მაგრამ კომიტეტის მოსაზრება იყო ის, რომ მოსამართლედ დანიშნვის ზოგადი პრინციპი თანაბრად ვრცელდება ყველა სისტემაზე.

მნიშვნელოვანი ასპექტი ყველაზე შესაფერისი კანდიდატის დასანიშნად მოსამართლის თანამდებობაზე არის ადვოკატების ტრენინგი. პროფესიონალ მოსამართლეს უნდა ჰქონდეს გავლილი შესაფერისი სამართლებრივი ტრენინგი. ამავე დროს ტრენინგი არის სამოსამართლო დამოუკიდებლობის შემადგენელი ნაწილი. თუ მოსამართლეებს აქვთ ადექვატური თეორიული და პრაქტიკული ცოდნა და ასევე უნარჩვევები, ეს იმას ნიშნავს - რომ მათ შეუძლიათ დამოუკიდებლად მოქმედება ადმინისტრაციის წინააღმდეგ, ასევე მოსამართლის პროფესიის შეცვლა და სხვა იურიდიული პროფესიის არჩევა, თუ მათ ამის სურვილი ექნებათ.

17. გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოსამართლეებმა უნდა იმოქმედონ დამოუკიდებლად. მოსამართლეს უნდა ჰქონდეს სრული თავისუფლება საქმეზე მიუყვარძობელი გადაწყვეტილების მიღებისას, ან უნდა იმოქმედოს საკუთარი რწმენით, ფაქტების საკუთარი ინტერპრეტაციის საფუძველზე და გადაწყვეტილება უნდა მიიღოს შესაბამისი კანონების მიხედვით. ამ დებულების მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ არანაირი ზეწოლა არ შეიძლება განხორციელდეს მოსამართლეზე და არ შეიძლება, რომ ამ ზეწოლამ გაელენა იქონოს მოსამართლის გადაწყვეტილებაზე და მან გადაწყვეტილება გამოიტანოს იმის შესაბამისად, თუ რა სურს მხარეს, ადმინისტრაციას, მთავრობას, თუ ნებისმიერ სხვა პირს. მოსამართლის მოსყიდვის, ან მისი კორუფციაში ჩაბმის მცდელობა უნდა დაისაჯოს სისხლის სამართლის შესაბამისად. ზოგიერთ ქვეყანაში მოსამართლე ვალდებულია სასამართლოს თავმჯდომარეს, ან ოფიციალურ უწყებას, მოახსენოს დარჩენილი განსახილველი საქმეების თაობაზე. ანგარიშვალდებულების ეს ფორმა, რაც საჭიროა სასამართლოს მწირი რესურსების ვეფქტური მენეჯმენტისათვის და ასევე დავგემისათვის, შესაბამისობაშია სამოსამართლო დამოუკიდებლობასთან. ვინაიდან ეს შეიძლება გამოყენებული იყოს, როგორც მოსამართლეზე ზეწოლის ქმედება. ამიტომ მოსამართლეები არ უნდა იყვნენ ვალდებულნი თავიანთი გადაწყვეტილების გამართლების მიზნით, ანგარიში ჩააბარონ საქმის გარემოებებთან დაკავრებით ვინმე ორგანოს ან პირს.

18. მოსამართლეთა შორის საქმეების გადანაწილების სხვადასხვა შესაძლო სისტემები არსებობს, მაგალითად როგორცაა ლატარიის პრინციპი, საქმეების განაწილება მოსამართლეების სახელების ანბანური თანმიმდევრობით, ან საქმეების გადანაწილება მოსამართლეებს შორის ავტომატურად, ან სასამართლოს ხელმძღვანელის დავალებით. მნიშვნელოვანია ამ შემთხვევაში ენიჭება არა უფრო გადანაწილების სისტემას, არამედ იმას, რომ საქმეების მოსამართლეებს შორის გადანაწილების პროცესზე არ უნდა იქონიოს გავლენა არანაირმა გარეშე ქმედებამ და ამით არ უნდა ისარგებლოს რომელიმე მხარემ. ზოგიერთ სახელმწიფოში სასამართლოს თავმჯდომარე წევრებს მოსამართლეებზე საქმეების განაწილებას. შესაბამისი წესები მოსამართლეთა ჩანაცვლების თაობაზე უნდა იყოს შექმნილი მოსამართლეთა საქმეების განაწილების პრინციპთან ერთად. ეს მექანიზმი გადაწყვეტს იმ პრობლემას, თუ მოსამართლე საპატიო მიზეზის გამო (ავადმყოფობა, დასასვენებლად წასვლა) ვერ შეძლებს საქმის განხილვას, მოხდება ამ საქმის გადანაწილება. მოსამართლეთა ჩანაცვლების წესში აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული ის ვადა, რა ვადითაც მოსამართლე ვერ შესრულებს სამოსამართლო საქმიანობას.

19. მიუხედავად ამისა შეიძლება გარკვეულ შემთხვევებში მოხდეს საქმის ჩამორთმევა მოსამართლისგან. იმისათვის რომ სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობა იყოს დაცული საჭიროა მოსამართლისათვის საქმის ჩამორთმევა მოხდეს მხოლოდ საფუძვლიანი მიზეზის გამო. ამის მიზანია მოსამართლე დაცული იყოს აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ სქმის ჩამორთმევისგან, რითაც თავიდან იქნება აცილებული ხელისუფლების ან აღმინისტრაციისათვის სავარაუდოდ დამაკმაყოფილებელი გადაწყვეტილების მიღება.

20. მოსამართლისათვის საქმის ჩამორთმევა არ უნდა მოხდეს, თუ არ არსებობს ამის საფუძვლიანი მიზეზი და ეს გადაწყვეტილება უნდა იყოს მიღებული შესაბამისი ორგანოს მიერ. "საფუძვლიანი მიზეზის" კონცეფცია ეხება საქმის ჩამორთმევის ყველა მიზეზს, რომელიც არ ლახავს მოსამართლის დამოუკიდებლობას. ეფექტურობასთან დაკავშირებული მიზეზები ასევე შეიძლება განიხილებოდეს საფუძვლიან მიზეზად. მაგალითად, როდესაც მოსამართლეს ავადმყოფობის გამო დაუგროვდა ძალიან ბევრი საქმე შეიძლება, რომ მას ჩამორთვას ეს საქმეები და გადაეცეს სხვა მოსამართლეს განსახილველად. იგივე შეიძლება მოხდეს, როდესაც - მაგალითად მოსამართლეს შეხვდება განსახილველად ისეთი საქმე, რომელიც ძალიან დიდ დროს მოითხოვს და ხელს უშლის მას უკვე წარმოებაში მიღებული საქმეების განხილვას. შეიძლება, რომ მოსამართლისათვის საქმის ჩამორთმევის საფუძვლიანი მიზეზები კანონით იყოს განსაზღვრული. არაერთარ შემთხვევაში ეს დებულება არ ეხება მხარეების უფლებას გამოითხოვონ საქმე ან მოითხოვონ მოსამართლის აცილება.

21. მოსამართლის უფლება აიცილოს საქმის განხილვა დარეგულირებულია მესხუთე პრინციპით (პარაგრაფი 3; გ)

პრინციპი II – მოსამართლის უწყლებამოსილება

22. საქმეში მონაწილე ყველა პირი (მხარე, მოწმე, ექსპერტი და ა.შ) ემორჩილება მოსამართლეს ისე, როგორც ეს კანონით არის დადგენილი იმისათვის, რომ მოხდეს მოსამართლის პატივისცემა და პროცესის ეფექტურად წარმართვა.

სახელმწიფო ორგანოები და მათი წარმომადგენლები ასევე ემორჩილებიან მოსამართლეს.

23. მოსამართლისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა საჭირო პრაქტიკული საშუალებები და მას უნდა ჰქონდეს შესაბამისი ძალაუფლება, რომ შეინარჩუნოს წესრიგი სასამართლო დარბაზში. მას შემდეგ, რაც მოსამართლე აღიჭურვება ამ უფლებამოსილებებით, მათ აქვთ პასუხისმგებლობა თავიდან აიცილონ ისეთი სიტუაციების შექმნა რომელიც ეჭვქვეშ დააყენებს მათ დამოუკიდებლობას.
24. მაგალითისთვის შეიძლება გამოდგეს ზოგიერთ ქვეყანაში არსებული სასამართლოსადმი დაუმორჩილებლობის პროცედურა. ამასთანავე, უსაფრთხოების დაცვის ყოლა სასამართლო შენობებში და დარბაზებში სასამართლო განხილვის დროს უპრიანი იქნება, ვინაიდან ისინი დაიცავენ წესრიგს და გააძევენ სასამართლო დარბაზიდან მათ ვინც ამ წესრიგს დაარღვევს.

პრინციპი III – შესაბამისი სამუშაო პირობები

25. მოსამართლეებისათვის შესაბამისი სამუშაო პირობების შექმნა არის ძალიან მნიშვნელოვანი ასპექტი მართლმსაჯულების ეფექტურობისა და სამართლიანობის გაზრდისათვის. მოსამართლისათვის განკუთვნილი სამუშაო პირობები გამოიმდინარეობს იმ ძალაუფლებიდან, რომელიც მათ მინიჭებული აქვთ და ასევე იმ დამოუკიდებლობის ხარისხიდან, რომელიც მათ უნდა შეინარჩუნონ.
26. ამ ღონისძიებების გატარება შექმნის საჭირო სამუშაო პირობებს მოსამართლეებისათვის.
27. საჭიროა, რომ მოსამართლეების საკმარისი რაოდენობის დასაქმება მოხდეს იმისათვის, რათა თავიდან იქნას აცილებული მათი საქმეებით გადატვირთვა და იმ საქმეების დასრულება გონივრულ ვადაში, რომელიც მოსამართლეებს უკვე დაეწერათ მიუხედავად მათი მოცულობისა. სახელმწიფოებმა შეიძლება უპირატესობა მიანიჭონ ერთი მოსამართლის მიერ საქმის განხილვას პირველი ინსტანციის სასამართლოში.
28. არ არის აუცილებელი რომ მოსამართლეობის კანდიდატი ყველაფერს აკმაყოფილებდეს შერჩევის სტადიაზე, ვინაიდან მნიშვნელოვანია, რომ მოხდეს მათი დატრენინგება როგორც თანამდებობაზე დანიშნამდე, ასევე ამის შემდეგაც. თითოეულმა წევრმა სახელმწიფომ თავად უნდა განსაზღვროს ის საკითხები რა საკითხებზეც ნატარდება ტრენინგი მოსამართლეებისათვის. მაგრამ რეკომენდაციაში ჩამოთვლილია გარკვეული სფეროები, რომელ საკითხებზეც ტრენინგი მნიშვნელოვანია. ზოგიერთ შემთხვევაში თანამდებობაზე დანიშნამდე ტრენინგი შეიძლება შეზღუდული იყოს, მაგალითად ისეთ შემთხვევაში - როდესაც სახელმწიფოში დაშვებულია პირის მოსამართლედ დანიშნა მას შემდეგ, რაც მას აქვს პრაქტიკოს იურისტად მუშაობის გამოცდილება. მოსამართლედ მუშაობის პერიოდში მოსამართლეებმა უნდა გაიარონ ტრენინგები სამართლის მნიშვნელოვან საკითხებზე და სიახლეებზე, მაგალითად როგორიცაა საკანონმდებლო ცვლილებები, პრეცედენტული სამართალი, სოციალური ცვლილებები და შესაბამისი კვლევები სხვადასხვა საკითხებზე.

29. მოსამართლის სტატუსი და ანაზღაურება არის მნიშვნელოვანი ფაქტორები შესაბამისი სამუშაო პირობებისათვის. მოსამართლის სტატუსი უნდა შეესაბამებოდეს მათ პროფესიულ ღირსებას და მათი სამუშაო ანაზღაურება უნდა იყოს მოსამართლის დატვირთვისა და პასუხისმგებლობის ამსახველი. ეს ფაქტორები უმნიშვნელოვანესია მოსამართლის დამოუკიდებლობისათვის, განსაკუთრებით კი მათი - როგორც მოსამართლის მნიშვნელოვანი ფუნქციონის აღიარებისათვის, რაც გამოხატულია შესაბამისი პატივისცემით და ფინანსური უზრუნველყოფით.
30. სასამართლო გადაწყვეტილებების ხარისხი დამოკიდებულია მოსამართლის კომპეტენციასა და ხარისხზე. ზოგიერთი ქვეყანა აწყდება სერიოზულ პრობლემებს საუკეთესო ადვოკატების მოსამართლის თანამდებობაზე მიზიდვის თვალსაზრისით. სერიოზული კონკურენცია არის კერძო სექტორში, ვინაიდან კერძო სექტორი უფრო კარგ კარიერულ ზრდას და ანაზღაურებას სთავაზობს თანამშრომლებს. ამიტომ რეკომენდაციის დებულებების მიხედვით წევრ სახელმწიფოებს ევალუბათ განახორციელონ ყველა მცდელობა, რომ ასეთ ადვოკატებს შესთავაზონ სერიოზული კარიერული ზრდა მოსამართლის თანამდებობაზე. ამ მიზნით მათ უნდა დახვეწონ კარიერული სტრუქტურა და შესთავაზონ მოსამართლეებს უკეთესი შესაძლებლობები და გაზრდილი ანაზღაურება.
31. მოსამართლეები უკეთესი სამუშაოს შესრულებას შეძლებენ და მათი საქმიანობა უფრო ეფექტური იქნება, თუ მათ შესაბამისი დამხმარე თანამშრომლები ეყოლებათ. იმისათვის, რომ სასამართლოს მენეჯმენტი და საქმის წარმოება უფრო ეფექტური გახდეს საჭიროა მოსამართლისათვის ხელმისაწვდომი იყოს მონაცემთა გადამუშავება და სასამართლო იყოს აღჭურვილი შესაბამისი ტექნიკით.
32. იმისათვის, რომ შემსუბუქდეს მოსამართლეების ტვირთი და მოხდეს მათი ყურადღების კონცენტრირება საქმეებზე, საჭიროა მათი გათავისუფლება არასამოსამართლო საქმიანობიდან, რომელიც შეიძლება სხვებს დაევალოთ სასამართლოში. მოსამართლეები თავად შეიძლება ვერ ახდენდნენ საქმიანობის დელეგირებას, მაგრამ ეს უნდა იყოს განმტკიცებული ისეთი კანონით, რომლის მიხედვითაც არასამოსამართლო საქმიანობაზე პასუხისმგებელი იქნება სასამართლოს თანამშრომელი.
33. უფლებამოსილების დელეგირება არ შეიძლება მოხდეს ისეთი ფორმით, რომ საფრთხე შეუქმნას მოსამართლის დამოუკიდებლობას. სასამართლო საქმიანობა უნდა იყოს მხოლოდ და მხოლოდ მოსამართლის ექსკლუზიური უფლებამოსილება.
34. ბოლო ასპექტი სამუშაო პირობებთან დაკავშირებით ეხება მოსამართლის უსაფრთხოების დაცვას და მის ფიზიკურ მდგომარეობას. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ადეკვატური პირობები, რათა მოსამართლე იყოს დაცული ყველა საჭირო შემთხვევაში. დაცვა აუცილებელია როგორც სისხლის, ასევე სამოქალაქო და აღმინისტრაციულ საქმეებზე მომუშავე მოსამართლეებისა. უსაფრთხოების დაცვის მუშაკების ყოლა სასამართლო დარბაზებსა და შენობებში, ასევე პოლიციის დაცვის უზრუნველყოფა მოსამართლეებისათვის, არის ის მექანიზმები, რომელიც სახელმწიფოებმა უნდა

გათვალისწინონ მოსამართლის დასაცავად და მათზე მუქარის აღმოსაფხვრელად.

პრინციპი IV – ასოციაციები

35. ამ პრინციპის მიხედვით მოსამართლეებს ეძლევათ უფლება განახორციელონ კოლექტიური ქმედება, რათა დაიცვან მათი პროფესიული დამოუკიდებლობა და საკუთარი ინტერესები. ამიტომ მოსამართლეებს აქვთ უფლება შექმნან ასოციაციები, რომლის მიზანიც იქნება მოსამართლის დამოუკიდებლობის და მათი ინტერესების დაცვა. ასეთმა ასოციაციებმა, მაგალითად შეიძლება მონაწილეობა მიიღონ ხელფასის საკითხზე მოლაპარაკებებში იუსტიციის სამინისტროსთან, ან ჩაერთონ მოსამართლეთა ტრენინგებსა და სწავლებაში. ასოციაციები მოქმედებენ ან მარტო, ან სხვებთან ერთად.
36. ზოგიერთ წევრ სახელმწიფოებში იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ორგანოები მონაწილეობას იღებენ სასამართლოებისა და ტრიბუნალების აღმინისტრირებაში. კიდევ ერთხელ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი მონაწილეობა უნდა ხორციელდებოდეს მხოლოდ და მხოლოდ მოსამართლეთა დამოუკიდებლობის გათვალისწინებით.

პრინციპი V – სამოსამართლო პასუხისმგებლობა

37. მოსამართლის მთავარი ფუნქცია არის ყველა პირის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა მათ მიერ მართლმსაჯულების განხორციელების უფლებამოსილებების ფარგლებში. მოსამართლე პასუხისმგებელია პიროვნების უფლებების და თავისუფლებების დაცვაზე. ეს მოვალეობა არ შეიზღუდება მხოლოდ მინიმალური უფლებების დაცვით, რომელიც ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციით არის გარანტირებული. ეს მოვალეობა სცილდება ამ ფარგლებს, მაგრამ მისი სფეროს კონკრეტული საზღვრების განსაზღვრა ძალიან რთულია. საბოლოოდ ეს უფლებამოსილება ვრცელდება ქვეყანაში დემოკრატიული პრინციპების და კანონის უზენაესობის დაცვაზე და ტოტალიტარული სახელმწიფოს შექმნის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებზე, რაც ევროპის საბჭოს ქარტიით არის განსაზღვრული.
38. მოსამართლის პასუხისმგებლობის პრინციპი ეხება მოსამართლის უფლებებსა და ძალაუფლებას შორის კავშირს. მოსამართლეს უნდა მიეცეს საკმარისი ძალაუფლება საკუთარი საქმიანობისას დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის. მოსამართლე ვალდებულია გამოიყენოს მისთვის მინიჭებული ძალაუფლება.
39. მოსამართლეს უნდა ჰქონდეს კარგი სამუშაო პირობები იმისათვის, რომ მათ შეძლონ საკუთარი უფლებამოსილების განხორციელება. არსებობს ბალანსი მოსამართლის უფლებასა იქონიოს ადეკვატური სამუშაო პირობები და პასუხისმგებლობას შორის გამოიყენოს მის ხელთ არსებული ყველა რესურსები. მაგრამ ადეკვატური სამუშაო პირობების ნაკლებობა არ ამართლებს მოსამართლის მიერ სამოსამართლო პასუხისმგებლობის განუხორციელებლობას.
40. ა) მოსამართლეებმა უნდა იმოქმედონ დამოუკიდებლად ყოველგვარი გარეშე ძალების სეჟოლისა. ეს პრინციპი არ ვრცელდება იმ საქმეებზე, როდესაც

ქვედა ინსტანციის სასამართლო შეზღუდულია ზედა ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით კანონის ფარგლებში.

ბ) დამოუკიდებელმა მოსამართლეებმა უნდა გამოიტანონ მიუკერძოებელი გადაწყვეტილებები, რომელიც მხოლოდ ფაქტების შეფასებას და მათ მიერ კანონის აღქმას ეფუძნება.

გ) მოსამართლეებს აქვთ ვალდებულება გამოიტანონ გადაწყვეტილება იმ საქმეებზე, რომელიც მათ დაეწერათ. თუ მოსამართლისათვის საქმის ჩამორთმევა ვერ ხერხდება შესაბამისი ორგანოს მიერ საფუძვლიანი მიზეზის გამო, მაშინ მოსამართლეს არ აქვს უფლება საფუძვლიანი მიზეზის გარეშე აიცილოს საქმე. მეორეს მხრივ, როდესაც ასეთი მიზეზი არსებობს, მაშინ მოსამართლე ვალდებულია აიცილოს საქმე. ეს პასუხისმგებლობა უფრო კონკრეტულად ვრცელდება ისეთ სიტუაციებზე, როდესაც მოსამართლეს აქვს სურვილი აიცილოს საქმე მასზე არააპოკალიფური გადაწყვეტილების გამოტანის გამო. მოსამართლეს აქვს უფლება აიცილოს საქმე, თუ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი ან სხვა ნებისმიერი საფუძვლიანი მიზეზი. "საფუძვლიანი მიზეზი" შეიძლება განიმარტოს კანონით, ან პრეცედენტული სამართლით. საფუძვლიანი მიზეზის სხვა მაგალითები არის სერიოზული ჯანმრთელობის პრობლემა, ან მართლმსაჯულების ინტერესები. ამ ბოლო კონცეფციის დეფინიცია რთულია, მაგრამ ეხება ისეთ პრინციპს, როგორცაა - "მართლმსაჯულება არა მარტო უნდა განხორციელდეს, არამედ იგი ხილვადიც უნდა იყოს". მაგალითად, თუ საქმე ეხება მოსამართლის მეზობელს და მოსამართლე არ იცნობს ამ მეზობელს, ინტერესთა კონფლიქტი არ დგება. მაგრამ მოსამართლე შეიძლება ჩათვალოს საჭიროდ ამ საქმის აცილება მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე, რათა არ მიაყენოს ჩრდილი სასამართლო გადაწყვეტილების მიუკერძოებლობას.

დ) მოსამართლე ასევე ვალდებულია მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე, რომ მისცეს მიუკერძოებელი განმარტება მხარეებს ზოგიერთ საპროცესო საკითხებზე. განსაკუთრებით კი იმ შემთხვევებში, როდესაც მხარეებს არ ჰყავთ ადვოკატები ისინი საჭიროებენ დამატებით განმარტებებს და მოსამართლე უნდა დარწმუნდეს, რომ მხარეები კარგად არიან ინფორმირებულინი იმისათვის, რომ გაიგონ პროცედურები.

ე) მოსამართლის პასუხისმგებლობა - მხარეებს მოუწოდოს მორიგებისკენ - შესაბამის შემთხვევებში ხაზს უსვამს მოსამართლის, როგორც მომრიგებლის როლის მნიშვნელობას მართლმსაჯულების ეფექტურობის თვალსაზრისით. ამასთანავე, ეს არის მოსამართლის ბუნებრივი ფუნქცია შეტყობის მხარეების მორიგება. მსჯელობა უკეთესია ვიდრე სასამართლო პროცესი - მოსამართლემ ამ ფუნქციის განხორციელებისას უნდა შეინარსუნოს მიუკერძოებლობა.

ვ) მართლმსაჯულების ეფექტურობისა და სამართლიანობის უზრუნველყოფის მიზნით, მოსამართლემ უნდა ჩამოაყალიბოს ნათელი და სრულყოფილი მიზეზები საკუთარი გადაწყვეტილებისა, რომელიც რაც შეიძლება გასაგები უნდა იყოს მხარეებისათვის. ისინი უნდა ეცადონ თავი აარიდონ რთული სიტყვების გამოყენებას, როდესაც შესაძლებელია ასრის უფრო მარტივად გადმოცემა, თავი უნდა შეიკავონ უცხო ენაზე ციტირებისგან, მაშინ როდესაც ამის

შესაბამისი ტერმინი მშობლიურ ენაზე არსებობს. ვალდებულება მიზეზების წამოყალიბებისა არ არის უსაზღვრო. ზოგიერთ ქვეყანაში მიზეზების წამოყალიბება კონკრეტულ შემთხვევებში არ არის სავალდებულო, მაგალითად - დაუსწრებლად მიღებული გადაწყვეტილება, ან ისეთი შემთხვევა როდესაც ბრალდებული აღიარებს დანაშაულს (გერმანია), იქ სადაც გადაწყვეტილება გამოიტანეს ნაფიცმა მსაჯულებმა, ან თუ საქმე ეხება ნაწილობრივ ღონისძიებებს (მაღტა), ან მაშინ როდესაც სააპელაციო სასამართლო ძალაში ტოვებს და არ ცვლის საოქო სასამართლოს გადაწყვეტილებას (შვედეთი). როგორც წესი პრინციპიდან ასეთი გადახვევები განმარტებულია კანონით, ან წარმოადგენს ხანგრძლივ სასამართლო პრაქტიკას.

ბ) მოსამართლეებმა მონაწილეობა უნდა მიიღონ ნებისმიერ ტრენინგში, რაც საჭიროა მათი უფლებამოვალეობების ეფექტური და სწორი განხორციელებისათვის. თუ წვერი სახელმწიფოები გამოყოფენ სწავლებისათვის სპეციალურ დარბაზებს, მოსამართლეებმა ეს მაქსიმალურად უნდა გამოიყენონ. მოსამართლის ეს პასუხისმგებლობა ძალიან მნიშვნელოვანია საკანონმდებლო ცვლილებებისა და პრევენციული სამართლის ცოდნის თვალსაზრისით.

პრინციპი VI - პასუხისმგებლობების ვერ განხორციელება და დისციპლინარული დარღვევები

41. რეკომენდაციების ბოლო პრინციპი მოსამართლეებს ავალდებულებს გამოიყენონ უფლებამოსილება და შეასრულონ საკუთარი პასუხისმგებლობები. მოსამართლეების მიერ მათი ვალდებულებების შესრულების მონიტორინგი ხორციელდება.
42. როდესაც მოსამართლე ვერ ასრულებს საკუთარ ვალდებულებას ეფექტურად, შესაბამისი ღონისძიებები უნდა გატარდეს. ასეთი ღონისძიებები შეიძლება იყოს - მაგალითად, დამოკიდებული ქვეყნის სამართლებრივ ტრადიციებზე, მოსამართლისათვის საქმის ჩამორთმევა, მოსამართლისათვის სხვა სამოსამართლო საქმიანობის დაელება სასამართლოს შიგნით, ეკონომიკური სანქცია როგორცაა ხელფასის დაკლება დროებით, ან მისი განთავისუფლება. მაგრამ, აუცილებელია აღინიშნოს, რომ მსგავსი ღონისძიებების გატარება უნდა მოხდეს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში იმისათვის, რათა დაცული იყოს სამოსამართლო დამოუკიდებლობა. წვერმა სახელმწიფოებმა თავად უნდა გადაწყვიტონ, თუ რომელი ორგანო განახორციელებს მონიტორინგს მოსამართლის საქმიანობაზე და სწორედ ამიტომ რეკომენდაციებში ნახსენებია წვერი სახელმწიფოების მიერ მსგავსი კომპეტენტური ორგანოს შექმნა. ამ ორგანოს გადაწყვეტილებების გასაჩივრება უნდა იყოს შესაძლებელი სასამართლოში. ეს შეიძლება იყოს სასამართლო ორგანო, მაგრამ ზოგიერთ წვერ ქვეყნებში ამ ფუნქციას ასრულებს იუსტიციის სამინისტრო. ნებისმიერი ღონისძიება, რომელსაც ეს ორგანო გაატარებს, უნდა ეფუძნებოდეს მოსამართლის დამოუკიდებლობის პატივისცემას. მაგალითად, სამინისტროს არ უნდა ჰქონდეს უფლება საკუთარი ზედამხედველობით ფუნქციის ქვეტექსტით წამოაცილოს მოსამართლე საქმის განხილვას, თუ მოსამართლის გადაწყვეტილება არ არის სახელმწიფო ადმინისტრაციის სურვილის შესაბამისი. თუ მოსამართლეს აქვს ბევრი საქმე დაგროვილი განსახილველად სასამართლოს თავმჯდომარემ, უმაღლესმა სასამართლო ორგანომ, ან იუსტიციის სამინისტრომ შეიძლება გადაწყვიტოს და გამოიკლიოს განუხ-

ილველი საქმეების დაგროვების მიზეზი. ამ შემთხვევაში მართლმსაჯულების ეფექტურობის მოთხოვნა არ ასუსტებს მოსამართლის დამოუკიდებლობას.

43. როდესაც სახელმწიფოს ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით მოსამართლეს ბრალად ედება დისციპლინარული გადაცდომის ჩადენა, მნიშვნელოვანია - რომ ნებისმიერი პროცედურა განხორციელებული მოსამართლის წინააღმდეგ უნდა იყოს მიმართული მისი დამოუკიდებლობის დაცვისკენ და ნებისმიერი ტრიბუნალი თუ ორგანო უნდა იყოს მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი. ზოგიერთ წევრ სახელმწიფოებში თუ არსებობს ეჭვი, რომ მოსამართლემ წაიღინა დისციპლინარული გადაცდომა, მაშინ იგი წარდება ტრიბუნალის წინაშე, რომელიც დაკომპლექტებულია მოსამართლეებისა და ისეთი პირების მიერ, ვინც არ წარმოადგენენ სასამართლო ხელისუფლებას. სხვა წევრ სახელმწიფოებში არ აქვთ დისციპლინარული სასამართლოები, ან ტრიბუნალები. ასეთ ქვეყნებში ერთადერთი დისციპლინარული სანქცია არის გათავისუფლება. ზოგიერთ ქვეყანაში მხოლოდ ეროვნული პარლამენტი უფლებამოსილი გაათავისუფლოს ზედა ინსტანციის სასამართლოს მოსამართლე დაკავებული თანამდებობიდან.
44. მოსამართლის უვადო დანიშვნა თანამდებობაზე ემსახურება მათი დამოუკიდებლობის განმტკიცებას და იმის უზრუნველყოფას, რომ მუდმივად დანიშნული მოსამართლის თანამდებობიდან გადაყენება მის მიერ საპენსიო ასაკის მიღწევაამდე საფუძვლიანი მიზეზის გარეშე ვერ მოხდება. ზოგიერთი ქვეყანა არ ნიშნავს მოსამართლეებს უვადოდ, მათი საპენსიო ასაკის დადგომამდე. ეს ეხება ისეთ შემთხვევებს, როდესაც ხდება მოსამართლის ხელახალი არჩევა, ან როდესაც ზოგიერთი მოსამართლე ინიშნება "გამოსაცდელი" ვადით, როდესაც ისინი პირველად იწყებენ სამოსამართლო საქმიანობას და ამ პერიოდში მათი სამსახურიდან გათავისუფლება დასაშვებია.
45. "საფუძვლიანი მიზეზის" კონცეფცია ეხება დისციპლინარული დარღვევების შემთხვევებსაც. უნდა აღინიშნოს, რომ თანამდებობიდან გათავისუფლებისას მოსამართლეები სარგებლობენ იმავე უფლებებით და საპროცესო გარანტიებით, რითაც ნებისმიერი მხარე სასამართლო დავისსა. ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის შესაბამისად, ყველას აქვს სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება გონიერულ ვადაში დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს, ან ტრიბუნალის მიერ, რაც ასევე გატარებულია რეკომენდაციაში და ამტკიცებს და იცავს მოსამართლის დამოუკიდებლობას. მაგალითად, მოსამართლის გადაწყვეტილება არ უნდა იყოს გადასინჯვის საგანი გარდა აპელაციისა, რომელიც კანონით არის განმარტებული, მოსამართლის თანამდებობაზე დანიშვნის ვადა და მათი ანაზღაურება უნდა იყოს კანონით განმტკიცებული, მოსამართლის პროფესიული კარიერული ზრდის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს ობიექტურ კრიტერიუმებს, მოსამართლეთა შერჩევა და კარიერული ზრდა დამოკიდებული უნდა იყოს მათ პროფესიულ მიღწევებზე, კვალიფიკაციაზე, მიუკერძოებლობაზე, უნარებზე და ეფექტურობაზე. გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოსამართლეები უნდა იყვნენ დამოუკიდებელნი და უნდა შექმლონ, რომ იმოქმედონ ეოველგვარი შესაძლებლების, თანამართლებული სუქრლის, მიუქარის ან წარევის გარეშე, იქნება ეს პირდაპირი თუ არაპირდაპირი.

ევროპული ქარტია მოსამართლეთა სტატუსის შესახებ

წინასიტყვაობა

საქმიანობამ, რომელსაც ევროპის საბჭო უკვე მრავალი წელია ეწევა კანონის უსენაესობით მართულ დემოკრატიულ სახელმწიფოში მართლმსაჯულების განხორციელების დარგში, მოსამართლეთა სტატუსთან დაკავშირებული საკითხების მრავალი ასპექტის სხვადასხვა გარემოებებში განხილვის შესაძლებლობა წარმოშვა. ამ საკითხს დაეთმო შეხვედრები, კერძოდ უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში დისკუსიები ისეთ თემებზე, როგორცაა მოსამართლეთა შერჩევა, მომზადება, უფლებამოსილების განხორციელება და დისციპლინური პასუხისმგებლობა.

1997 წელს გაწეული მუშაობის შედეგების განზოგადებისა და დისკუსიების გამართვის იდეა დაიბადა მისი პოპულარიზაციის მიზნით. უპირველეს ყოვლისა, იგულისხმებოდა სამართლებრივი ინსტიტუტების, როგორც კანონის უსენაესობის უმთავრესი ელემენტების სრულყოფისათვის მუდმივად მიმდინარე სამუშაოსათვის ახალი იმპულსის მინიჭება.

მოსამართლეთა სტატუსის შესახებ ევროპული ქარტიის შექმნის აუცილებლობა 1997 წელს, სტრასბურგში გამართულ, ევროპაში მოსამართლეების სტატუსისადმი მიძღვნილი პირველი მრავალმხრივი შეხვედრის დროს დამტკიცდა. აღნიშნული შეხვედრის მონაწილენი დასავლეთ ევროპის, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის 13 ქვეყანას წარმოადგენდნენ ისევე, როგორც ევროპის მაგისტრატ მოსამართლეთა ასოციაციასა და "ევროპის მაგისტრატ მოსამართლეთა ასოციაციას დემოკრატიისა და თავისუფლებისათვის". მონაწილეებმა ევროპის საბჭოს თხოვნით მიმართეს უზრუნველყო ქარტიის შექმნისათვის აუცილებელი პირობები და მხარი დაეჭირა ამ ძალისხმევისათვის.

ზემოაღნიშნული დასკვნების საფუძველზე, იურიდიულ საქმეთა დირექტორატმა ქარტიის პროექტის შემუშავება სამ ექსპერტს დააავალა საფრანგეთიდან, პოლონეთიდან და გაერთიანებული სამეფოდან.

1998 წლის გაზაფხულზე შექმნილი პროექტი მეორე მრავალმხრივი შეხვედრის მონაწილეებს წარედგინათ ასევე სტრასბურგში 1998 წლის 8-10 ივლისს. სამდღიანი დისკუსიის შედეგად, რიგი ცვლილებით გაუმჯობესების შემდეგ, ქარტიის ტექსტი ერთხმად იქნა მიღებული.

წინამდებარე ქარტიის მნიშვნელობა მის ფორმალურ სტატუსში არ მდგომარეობს, რომელიც მას ფაქტიურად არ გააჩნია, არამედ მის აქტუალურობასა და სიძლიერეში მდგომარეობს, რომელიც მისმა ავტორებმა მის შინაარსს მიანიჭეს. ქარტიის მიზნების მისაღწევად აუცილებელია მისი შინაარსის ზედმიწევნით ცოდნა და ფართოდ გავრცელება. ქარტია შეეხება მოსამართლეებს, იურისტებს, პოლიტიკოსებს და ზოგადად თითოეულ ადამიანს, რომელიც დაინტერესებულია კანონის უსენაესობასა და დემოკრატიაში.

1998 წლის 8-10 ივლისს გამართული, ევროპაში მოსამართლეთა სტატუსის შესახებ ევროპის საბჭოს მიერ ორგანიზებული მრავალმხრივი შეხვედრის მონაწილეები:

ითვალისწინებენ რა, ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების დაცვის ევროპის კონვენციის მე-6 მუხლს, რომლის თანახმად, "ყველას აქვს უფლე-

ბა მისი საქმის სამართლიან და ღია მოსმენაზე დროის გონივრულ ვადაში კანონის მიერ შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ტრიბუნალის მიერ”;

ითვალისწინებენ რა გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1985 წლის ნოემბერში დამტკიცებულ გაეროს ძირითად პრინციპებს სასამართლო კორპუსის დამოუკიდებლობის შესახებ;

ვერდნობიან რა, მინისტრთა კომიტეტის №R(94)12 რეკომენდაციას წვერი სახელმწიფოების მისამართით, მოსამართლეთა დამოუკიდებლობის, ეფექტურობისა და როლის შესახებ და გაითავისეს რა, რეკომენდაციით განსაზღვრული ამოცანები;

ზრუნავენ რა, სამოსამართლო დამოუკიდებლობის განვითარებაზე და ეფექტურობის გაზრდაზე, რომელიც დემოკრატიულ სახელმწიფოებში კანონის უზენაესობისათვის და პიროვნული თავისუფლებების დაცვისათვის აუცილებელია;

აცნობიერებენ რა, ისეთი დებულებების არსებობის აუცილებლობას, რომელთა მიზანი მოსამართლეთა კომპეტენტურობის, დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის გარანტიების მაქსიმალურად უზრუნველყოფაა და რომლებიც ჩამოყალიბებული უნდა იყოს ყველა ევროპული სახელმწიფოსათვის განკუთვნილ ფორმალურ დოკუმენტში;

სურთ რა, რომ სხვადასხვა ევროპული სახელმწიფოების მოსამართლეების შესახებ სტატუტი ითვალისწინებდეს წინამდებარე დებულებებს, რათა უზრუნველყოფილი იყოს გარანტიების უმაღლესი ხარისხი;

ამტკიცებენ წინამდებარე ევროპულ ქარტიას მოსამართლეთა სტატუტის შესახებ.

1 ზოგადი პრინციპები

- 1.1. მოსამართლეთა სტატუტის მიზანი კომპეტენტურობის, დამოკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფაა, რასაც თითოეული პირი სამართლიანად მოითხოვს სასამართლოებისაგან და ყოველი მოსამართლისაგან, რომელთაც მათი უფლებების დაცვა ევალებათ. სტატუტი გამორიცხავს ყოველგვარ პირობასა და პროცედურას, რომელიც ასეთ კომპეტენტურობას, დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას ეჭვქვეშ აყენებს. წინამდებარე ქარტია შედგება დებულებებისაგან, რომლებიც ამ ამოცანების მიღწევის საუკეთესო გარანტიაა. მისი დებულებების მიზანი ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოში გარანტიების დონის ამაღლებაა. ისინი ვერ გაამართლებს ეროვნული სტატუტების ისეთ ცვლილებას, რომელიც შესაბამის ქვეყნებში უკვე არსებული გარანტიების დონის შემცირებას ემსახურება.
- 1.2. თითოეულ ევროპულ სახელმწიფოში, მოსამართლეთა სტატუტის ფუნდამენტური პრინციპები შიდა სამართლებრივი ნორმებით არის მოწესრიგებული და მისი მარეგულირებელი წესები კი შესაბამის ნორმებში, საკანონმდებლო დონეზე არის გათვალისწინებული.
- 1.3. მოსამართლის შერჩევასთან, დაქირავებასთან, დანიშნასა და კარიერულ ზრდასთან, ან უფლებამოსილების შეწყვეტასთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას, სტატუტი ითვალისწინებს აღმსარულ

ბელი და საკანონმდებლო ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელი ორგანოს ჩარევას, რომლის შემადგენლობის ნახევარზე მეტი, მათი კოლეგების მიერ არჩეული მოსამართლეებისაგან შედგება ისეთი მეთოდით, რომელიც უზრუნველყოფს სასამართლო კორპუსის რაც შეიძლება ფართო წარმომადგენლობას.

- 1.4. თითოეულ მოსამართლეს, რომელიც მიიწინებს, რომ მისი სტატუსით უზრუნველყოფილ უფლებებს ან უფრო სოგადად, მის დამოუკიდებლობას, ან სამართლებრივი პროცესის დამოუკიდებლობას რაიმე ფორმით საფრთხე ემუქრება ან უფლებებლყოფილია, სტატუსი შესაძლებლობას ანიჭებს მიმართოს დამოუკიდებელ ორგანოს, რომელსაც ეფექტური საშუალებები გააჩნია გადაწყვიტოს ეს პრობლემა ან მისი გადაწყვეტის გზა შესთავაზოს.
- 1.5. მოსამართლეებმა, მათი მოვალეობების შესრულებისას, უნდა წარმოაჩინონ მუშაობისათვის მზადყოფნა, პიროვნების მიმართ პატივისცემა, შეინარჩუნონ პროფესიონალიზმის მაღალი ხარისხი, რომელიც აუცილებელია თითოეულ საქმეზე გადაწყვეტილების მისაღებად, რომლებზეც ინდივიდუალური უფლებების გარანტირებაა დამოკიდებული და დაიცვან ინფორმაციის საიდუმლოება, რომელიც მათთვის პროცესის წარმოებისას გახდა ცნობილი.
- 1.6. სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს, რომ მოსამართლეებს ჰქონდეთ აუცილებელი საშუალებები მათი მოვალეობების ჯეროვნად შესრულებისათვის და კერძოდ საქმეების გონივრულ ვადაში განხილვისათვის.
- 1.7. მოსამართლეების მიერ შექმნილ პროფესიულ ორგანიზაციებს, რომლებშიც გაწევრიანება ყველა მოსამართლეს თავისუფლად შეუძლია, მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ იმ უფლებების დაცვაში, რომლებიც მოსამართლეებს სტატუსით აქვთ გარანტირებული, კერძოდ იმ ორგანოებთან და უწყებებთან ურთიერთობებში, რომლებიც მონაწილეობას იღებენ მოსამართლეებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში.
- 1.8. მოსამართლეები, მათი წარმომადგენლებისა და პროფესიული ორგანიზაციების მეშვეობით, მონაწილეობენ სასამართლოების ადმინისტრირებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში და მათთვის აუცილებელი საშუალებების განსაზღვრაში ისევე, როგორც მათ გამოყენებაში ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე. მათი მოსაზრება გათვალისწინებული უნდა იქნას მოსამართლეთა სტატუსის შეცვლის გეგმებთან დაკავშირებით და მათი ანაზღაურებისა და სოციალური უზრუნველყოფის პირობების განსაზღვრისას.

2. მოსამართლეთა შერჩევა, დაქირავება და სანჯისი ტრენინგი

- 2.1 სტატუსით დადგენილი დამოუკიდებელი ორგანოს ან საბჭოს მიერ მოსამართლეთა შერჩევისა და დაქირავების შესახებ წესები გულისხმობს კანდიდატების შერჩევას მათი შესაძლებლობის მიხედვით დამოუკიდებლად და მიუკერძოებლად, ადამიანის ღირსებისადმი პატივისცემით, შეაფასონ მათ წინაშე განსახილველად წარდგენილი სამართლებრივი საკითხები და გამოიყენონ კანონი. სტატუსი გამორიცხავს კანდიდატის დანიშვნაზე უარის თქმას მხო-

ლოდ სქესის, ეთნიკური ან სოციალური წამომავლობის, ან ფილოსოფიური და პოლიტიკური შეხედულების, ან რელიგიური მიკუთვნების გამო.

- 2.2 სტატუტი განსაზღვრავს პირობებს, რომლებიც უზრუნველყოფს სპეციფიური სამოსამართლო ფუნქციების შესრულების კომპეტენტურობას საჯალდებულო განათლებისა და პროფესიული გამოცდილების მოთხოვნების შესრულების გზით.
- 2.3 სტატუტი სახელმწიფოს ხარჯზე განხორციელებული, სპეციალური ტრენინგის საშუალებით, უზრუნველყოფს სამოსამართლო საქმიანობის შესრულებისათვის შერჩეული კანდიდატების მომზადებას. წინამდებარე ქარტიის 1.3 მუხლში აღნიშნული ორგანო უზრუნველყოფს სასწავლო პროგრამების და ამ პროგრამების განმახორციელებელი უწყებების შესაბამისობას კომპეტენტურობის, საჯაროობის და მიუკერძოებლობის მოთხოვნებთან, რომლებიც დაკავშირებულია სამოსამართლო საქმიანობის განხორციელებასთან.

3. მოსამართლეთა დანიშვნა და უფლებამოსილების შენახვის დაუშვებლობა

- 3.1 შერჩეული კანდიდატის მოსამართლედ დანიშნის და მისი კონკრეტულ სასამართლოში განაწილების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება დამოუკიდებელი ორგანოს მიერ, რომელიც აღნიშნულია წინამდებარე ქარტიის 1.3 მუხლში, ან ასეთი ორგანოს წარდგინებით, მისი რეკომენდაციით, მასთან შეთანხმებით ან მისი თანხმობით.
- 3.2 სტატუტი განსაზღვრავს გარემოებებს, რომლებშიც კანდიდატის წარსული საქმიანობა, ან მისი ახლო ნათესავების მიერ განხორციელებული საქმიანობა, რომელიც შესაბამისი კანდიდატის მიუკერძოებლობასა და დამოუკიდებლობაში ლეგიტიმურ და ობიექტურ ეჭვს წარმოშობს, მისი მოსამართლედ დანიშნისათვის დაბრკოლებას წარმოადგენს.
- 3.3 თუ დაქირავების პროცედურა, მოსამართლის თანამდებობაზე წარდგენის შემდეგ, მის მუდმივად დამტკიცებამდე მცირე საცდელ ვადას ითვალისწინებს, ან თუ დაქირავება შეზღუდული პერიოდით, გაგრძელების შესაძლებლობით ხდება, გადაწყვეტილება ამ კანდიდატის არდანიშნის ან ვადის გაუგრძელებლობის შესახებ მიღებულ უნდა იქნას მხოლოდ წინამდებარე ქარტიის 1.3 მუხლში აღნიშნული დამოუკიდებელი ორგანოს მიერ, მისი წარდგინებით, რეკომენდაციით, მასთან შეთანხმებით ან მისი თანხმობით. წინამდებარე ქარტიის 1.4 მუხლი ასევე ერცელდება პიროვნებაზე, რომელიც საცდელ პერიოდს გადის.
- 3.4 დაუშვებელია მოსამართლის, რომელიც საქმიანობას სასამართლოში ახორციელებს, დანიშნა სხვა სამოსამართლო თანამდებობაზე, ან სხვაგან გადაყვანა დაწინაურების გზითაც კი მისი თავისუფალი თანხმობის გარეშე. ამ პრინციპის გამონაკლისი დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსამართლის გადაყვანა დისციპლინური ღონისძიების საფუძველზე ხდება, სასამართლო სისტემის კანონიერ ცვლილების გამო და მეზობელი სასამართლოს ამუშავების მიზნით მოსამართლის დროებით გადაყვანის შემთხვევაში. ასეთი გადაყვანის მაქსიმალური ხანგრძლივობა სტატუტით შეკაცრად უნდა იქნას განსაზღვრული წინამდებარე ქარტიის 1.4 მუხლის მოთხოვნების დაცვით.

4. პერიოდული წინსვლა

- 4.1 იქ, სადაც დაწინაურების სისტემა სტაჟზე დამოკიდებული არ არის, ის ექსკლუზიურად მოსამართლის თვისებებზე და დამსახურებაზეა დამოკიდებული, მასზე მინდობილი უფლებამოსილების განოხორციელებაში ერთი ან რამდენიმერ მოსამართლის მიერ ობიექტური შეფასების საფუძველზე და დაწინაურებულ მოსამართლესთან შეთანხმებით. დაწინაურების შესახებ გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნას წინამდებარე ქარტიის 1.3 მუხლში აღნიშნული ორგანოს მიერ, მისი წარდგინებით, ან მისი თანხმობით. მოსამართლეები, რომელთა დაწინაურების საკითხი არ გადაწყდება, უფლებამოსილნი უნდა იყვნენ საჩივრით მიმართონ აღიშნულ ორგანოს.
- 4.2 მოსამართლეები დამოუკიდებლად ახორციელებენ გარეშე საქმიანობას თავიანთი სამოსამართლო მანდატის ფარგლებს გარეთ მათი სამოქალაქო უფლებების რეალიზების ჩათვლით. დაუშვებელია ამ თავისუფლების შეზღუდვა გარდა იმ შემთხვევისა, თუ ეს საქმიანობა შეუფერებელია მოსამართლის მიუკერძოებლობისადმი, დამოუკიდებლობისადმი ან მის წინაშე განსახილველად წარდგენილი საქმეების გონივრულ ვადაში და აუცილებელი ყურადღებით გადაწყვეტისადმი ნდობასთან. გარეშე ანაზღაურებადი საქმიანობის განხორციელება, ლიტერატურული და შემოქმედებითი საქმიანობის გარდა, უნდა ექვემდებარებოდეს წინასწარ ნებართვას სტატუტით დადგენილი პირობების შესაბამისად.
- 4.3 მოსამართლეებმა თავი უნდა შეიკაონ ნებისმიერი ქმედებისაგან, საქციელისაგან ან გამონათქვამისაგან, რომელმაც შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს მათი მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებლობისადმი ნდობაზე.
- 4.4 სტატუტი მოსამართლეების პროფესიული, სოციალური და კულტურული განათლების შენარჩუნებასა და გაღრმავებას უზრუნველყოფს, რომელიც აუცილებელია მათი მოვალეობების განხორციელებისათვის სახელმწიფოს მიერ ანაზღაურებული და ორგანიზებული, რეგულარული ტრენინგის შეთავაზების გზით, წინამდებარე ქარტიის 2.3. მუხლით დადგენილი პირობების გათვალისწინებით.

5. პასუხისმგებლობა

- 5.1 მოსამართლის მიერ სტატუტით პირდაპირ განსაზღვრული მოვალეობის შეუსრულებლობამ შეიძლება გამოიწვიოს სანქციის დაკისრება მხოლოდ ისეთი ორგანოს ან ტრიბუნალის გადაწყვეტილებით, მისი წარდგინებით, რეკომენდაციით ან თანხმობით, რომლის შემადგენლობის ნახევარი მაინც მოსამართლეებისაგან შედგება, ისეთი პროცესის ფარგლებში, რომელიც მოიცავს მხარეთა სრულ გამოკითხვას და რომელშიც მოსამართლეს, რომლის წინააღმდეგ ეს პროცესი მიმდინარეობს, დამცველის ყოლის უფლება გააჩნია. სანქციები, რომლებიც შეიძლება დაეკისროს მოსამართლეს, განისაზღვრება სტატუტით და უნდა შეესაბამებოდეს პროპორციულობის პრინციპს. სანქციის შესახებ გადაწყვეტილების მიმღები აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოს, ტრიბუნალის ან წინამდებარე მუხლში აღნიშნული ორგანოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ სასამართლო ორგანოში.

5.2 ზიანის ანაზღაურება, რომელიც წარმოიშვა მოსამართლის არასწორი გადაწყვეტილების, ან საქციელის შედეგად მის მიერ სამოსამართლო საქმიანობის განხორციელებისას, წარმოებს სახელმწიფოს ხარჯზე. შესაძლებელია სტატუტით განისაზღვროს სახელმწიფოს უფლება - დადგენილ ვადაში დააყენოს მოსამართლის მიერ კომპენსაციის საკითხი სასამართლო პროცესის გზით სამოსამართლო მოვალეობების შესრულების მარეგულირებელი წესების მნიშვნელოვანი და არასაპატიო დარღვევის შემთხვევაში. ასეთი სარჩულის შეტანა შესაბამის სასამართლოში უნდა ექვემდებარებოდეს წინამდებარე ქარტიის 1.3 მუხლში აღნიშნულ ორგანოსთან წინასწარ შეთანხმებას.

5.3 თითოეულ პირს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, განსაკუთრებული ყურადღობების დაცვის გარეშე, შეიტანოს საინფარო მართლმსაჯულების განხორციელებისას დარღვევის შესახებ დამოუკიდებელ ორგანოში. თუ საქმის ზედმიწევნით და ყურადღებით განხილვის შედეგად მოსამართლის მიერ 5.1. მუხლში აღნიშნული დარღვევის უდავო ფაქტი გამოიკვეთება, აღნიშნულ ორგანოს შეუძლია მიმართოს დისციპლინური წარმოების ორგანოს, ან მინიმუმ გამოიტანოს რეკომენდაცია ხელისუფლების ისეთი ორგანოსათვის მიმართვის შესახებ, რომელიც სტატუტის თანახმად უფლებამოსილია ასეთ მიმართვაზე.

6. ანაზღაურება და სოციალური უზრუნველყოფა

6.1 მოსამართლეები, რომლებიც სამოსამართლო უფლებამოსილებას პროფესიული საქმიანობის სახით ახორციელებენ, უფლებამოსილნი არიან მიიღონ ანაზღაურება, რომელიც იმ ოდენობით განისაზღვრება, რომ ისინი დაცულნი იქნან შესაძლო ზეწოლისაგან მათ გადაწყვეტილებებზე და ზოგადად მათ საქციელზე გაელენის მოხდენის მიზნით, რაც საფრთხეს უქმნის მათ დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას.

6.2 ანაზღაურების ოდენობა შეიძლება განსხვავებული იყოს სტაჟის, შესასრულებელი მოვალეობების ხასიათის და მოსამართლის შესასრულებელი ამოცანების მნიშვნელობის მიხედვით, რაც შეფასებულ უნდა იქნას გამჭვირვალობის პირობებში.

6.3 სტატუტი უზრუნველყოფს გარანტიებს მოსამართლეებისათვის პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას სოციალური რისკების მიმართ, რომლებიც უკავშირდება ავადმყოფობას, დეკრეტს, ინვალიდობას, ასაკს და გარდაცვალებას.

6.4 კერძოდ, სტატუტი უზრუნველყოფს, რომ მოსამართლის კანონით დადგენილ საპენსიო ასაკს მიღწეული მოსამართლე, რომელიც სამოსამართლო საქმიანობას გარკვეული პერიოდის განმავლობაში ახორციელებდა, იღებს პენსიას, რომლის ოდენობა შეძლებისდაგვარად მიახლოებული უნდა იქნას მისი ხელფასის ოდენობასთან, რომელსაც ის უკანასკნელად, მოსამართლის თანამდებობაზე იღებდა.

7. უფლებამოსილების შეწყვეტა

7.1 მოსამართლე, სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებას სამუდამოდ წყვეტს პენსიაზე გასვლით, სამუდამოდ ექსპერტისით დამტკიცებულ ფიზიკური მდგომარეობის გამო, საპენსიო ასაკის მიღწევით, კანონით დადგმ

ნილი უფლებოსილების განხორციელების ვადის ამოწურვით, ან წინამდებარე ქარტიის 5.1. მუხლით დადგენილი პროცესის ფარგლებში უფლებამოსილების შეწყვეტით.

- 7.2 წინამდებარე ქარტიის 7.1. მუხლით განსაზღვრული რომელიმე შემთხვევის დადგომისას, საპენსიო ასაკის მიღწევისა და კანონით დადგენილი უფლებამოსილების განხორციელების ვადის ამოწურვის გარდა, უფლებამოსილების შეწყვეტა დამტკიცებულ უნდა იქნას წინამდებარე ქარტიის 1.3. პუნქტით დადგენილი ორგანოს მიერ.

მოსამართლეთა სტატუსის შესახებ ევროპული ქარტიის

განმარტებითი ბარათი

I. ზოგადი პრინციპები

მოსამართლეთა სტატუსის შესახებ ევროპული ქარტიის დებულებები არა მხოლოდ პროფესიონალ, არამედ არაპროფესიონალ მოსამართლეებზეც ვრცელდება, რადგან მნიშვნელოვანია, რომ ყველა მოსამართლე სარგებლობდეს გარკვეული გარანტიებით დაქირავებასთან, შეუფერებელ საქმიანობასთან, პროფესიული საქმიანობის გარეთ ქცევისასთან და უფლებამოსილების შეწყვეტასთან დაკავშირებით.

ამავე დროს, ქარტია გარკვევით ადგენს კონკრეტულად პროფესიონალი მოსამართლეებისათვის განკუთვნილ დებულებებს და ეს სპეციფიკა ცალკეულ პროფესიულ ცნებებს ეხება, როგორცაა მაგალითად პროფესიული კარიერა.

ქარტიის დებულებები ეხება ყველა იურისდიქციის მოსამართლეთა სტატუსს, რომლებსაც მოქალაქეები მათი საქმეების გადასაწყვეტად მიმართავენ ან, რომლებმაც ამ საქმეებზე გადაწყვეტილება უნდა მიიღონ სამოქალაქო, სისხლის, ადმინისტრაციული თუ სხვა წესით.

- 1.1. ქარტია მიზნად ისახავს განსაზღვროს მოსამართლეთა სტატუსის შინაარსი შემდეგი მიზნების საფუძველზე: კომპეტენტურობის, დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფა, რაც საზოგადოების თითოეულ წევრს აქვს უფლება მოითხოვოს სასამართლოსა და მოსამართლეებისაგან, რომელთაც მათი უფლებების დაცვა ევალებათ. აქედან გამომდინარე, ქარტია არ არის თვითმიზანი, არამედ ის წარმოადგენს იმ მოქალაქეებისათვის ეფექტური დაცვის აუცილებელ გარანტიას, რომელთა უფლებების დაცვაც სასამართლოებსა და მოსამართლეებს აქვთ მინდობილი.

პიროვნების უფლებების დაცვის ეს გარანტიები მოსამართლეთა კომპეტენტურობა, დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობაა. აღნიშნული ცნებების მოხსენიება პოზიტიურია, რადგან მოსამართლეთა სტატუსის მიზანი მათი უზრუნველყოფაა, თუმცა, ეს უარყოფითიცაა, რადგან უნდა გამოირიცხოს ყველაფერი ის, რამაც შესაძლოა მათ არსებობაში რწმენა შეარყიოს.

ქარტიის შემუშავებისას, დაისვა საკითხი ქარტიის დებულებების იმპერატიული ხასიათის შესახებ, ე.ი. უნდა იყოს თუ არა მათი სასამართლო სისტემის მარეგულირებელ ეროვნულ სტატუსში შეტანა სავალდებულო, თუ მათ მხოლოდ რეკომენდაციის ძალა უნდა ჰქონდეთ და წინ არ აღუდგინენ სხვა დებულებების განხორციელებას, რომლებიც მსგავს გარანტიებს უზრუნველყოფენ.

ამ უკანასკნელი მიდგომის მიზანი იმ ეროვნული სისტემების კრიტიკის თავიდან აცილებაა, რომლებშიც მოსამართლეთა უფლებების დაცვის შესახებ დებულებები ნორმატიულ ბუნებაში ნაკლებად არის წარმოდგენილი, თუმცა გრძელვადიანმა, კარ-

გად დამკვიდრებულმა პრაქტიკამ სასამართლო სისტემის საკმარისად ქმედითი გარანტიები მაინც უზრუნველყო.

თუმცა, აღინიშნა ის ფაქტიც, რომ რიგ ქვეყნებში, ევრო საბჭოს ახალი წევრი ქვეყნების ჩათვლით, რომლებშიც მოსამართლეთა დანიშვნის, დაქირავების, დაწინაურების ან უფლებამოსილების შეწყვეტის რეგულირება პოლიტიკური ძალების პერეოგატივია, კომპეტენტურობის, დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის გარანტიები უწყვეტური არ არის.

სწორედ ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ ქარტიის დებულებები ფაქტობრივად იმპერატიული არ არის, ისინი წარმოდგენილია, როგორც ზემოაღნიშნული მიზნების მიღწევის ოპტიმალური საშუალება.

ქარტიის ბევრი დებულება ისეთ სისტემაში არ გამოიყენება, სადაც მოსამართლეების არჩევა მოქალაქეების მიერ ხდება. შეუძლებელი იქნებოდა ისეთი ქარტიის შედგენა, რომელიც ექსკლუზიურად ასეთი არჩევითი სისტემების შესაბამის დებულებებს მოიცავს, რადგან მისი ტექსტი, რომელიც სისტემების შორის "საერთო მარეგულირებელზე" ვრცელდება, მნიშვნელოვნად შემცირდებოდა. ქარტიის მიზანი არც არჩევითი სისტემების "გაუქმება", რადგან იქ, სადაც ისინი არსებობს, შეიძლება ამ ქვეყნის მოქალაქეების მიერ "დემოკრატიის კონტრესენციად" არის მიჩნეული. შეიძლება მივიჩნიოთ, რომ ეს დებულებები ვრცელდება შექმნილიადაგვარად იმ სისტემებზეც, სადაც სასამართლო კორპუსი არჩევითია. მაგალითად, 2.2. და 2.3. (პირველი წინადადება) მუხლებში მოცული დებულებები, დანამდვილებით ვრცელდება მსგავს სისტემებზე და მათთვის საჭირო გარანტიებსაც უზრუნველყოფენ.

ქარტიის დებულებების მიზანი ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში გარანტიების ხარისხის ამაღლებაა. ხარისხის ამაღლების მნიშვნელობა დამოკიდებული იქნება ქვეყანაში უკვე მიღწეულ დონეზე. თუმცა, ქარტიის დებულებები არაერთარ შემთხვევაში არ უნდა ემსახურებოდეს ეროვნული სტატუსების შეცვლას ისე, რომ მათ შეამცირონ ქვეყანაში უკვე არსებული გარანტიების ხარისხი.

12. მოსამართლეთა სტატუსის ფუნდამენტური პრინციპები, რომლებიც სასამართლოებისა და მოსამართლეების კომპეტენტურობის, დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის გარანტიებს განსაზღვრავს, შიდა ნორმების სახით უმაღლეს დონეზე უნდა იქნას მიღებული, ე.ი. ევროპის სახელმწიფოების შემთხვევაში, რომლებსაც დაწერილი კონსტიტუცია აქვთ – უნდა შევიდეს კონსტიტუციაში. რაც შეეხება სტატუსით დადგენილ წესებს, ისინი უნდა დაფიქსირდეს ისეთ დონეზე, რომელიც საკანონმდებლო დონეს არ ჩამოუვარდება. იმ ქვეყნებში, რომელთაც დაწერილი კონსტიტუცია არ გააჩნიათ, ეს დონე განხილულ იქნება - როგორც უმაღლესი.

ფუნდამენტური პრინციპებისა და სტატუსის წესების კანონმდებლობაში, ან კონსტიტუციაში დაფიქსირების მოთხოვნა ამ უკანასკნელს იცავს გამარტივებული პროცესის საშუალებით ცვლილებისაგან, რომელიც ამ მნიშვნელოვანი საკითხებისათვის შეუფერებელია. კერძოდ, ფუნდამენტური პრინციპების კონსტიტუციაში დაფიქსირება, ხელს შეუშლის კანონმდებლობაში ისეთი დებულებების წარმოქმნას, რომელთა მიზანი, ან შედეგი ამ პრინციპების უგულვებელყოფაა.

ამ პრინციპების ადგილობრივ კანონმდებლობაში დანერგვის მოთხოვნისას, ქარტია ასეთ სისტემებში არსებული იმ დამცავი დებულებებისადმი პატივისცემას კითხვის

ნიშნის ქვეშ არ აყენებს, რომლებსაც ევროპულ სახელმწიფოებზე დაკისრებული საერთაშორისო ინსტრუმენტები ითვალისწინებს. ქარტია ამ დებულებების შესრულებისაგან არ ათავისუფლებს მით უმეტეს, რომ ,როგორც პრეამბულაში უკვე აღინიშნ, იგი მათ შთაგონების წყაროდ მიიჩნევა.

13. ქარტია ითვალისწინებს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელი ორგანოს ჩარევას ისეთ შემთხვევებში, როდესაც აუცილებელია გადაწყვეტილების მიღება მოსამართლეთა შერჩევის, ან დაქირაავების შესახებ, მათი კარიერული წინსვლისა თუ უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ.

ამ დებულების ტექსტის მიზანი სხვადასხვა სიტუაციების გათვალისწინებაა აღმასრულებელი ან საკანონმდებლო ხელისუფლებისათვის სარეკომენდაციო ხასიათის დებულებებიდან დამოუკიდებელი ორგანოს რეალურ გადაწყვეტილებებამდე.

გასათვალისწინებელია სხვადასხვა ეროვნულ სისტემებს შორის არსებული განსხვავებები. ზოგიერთი ქვეყნისათვის რთული იქნება მოსამართლეთა დანიშვნაზე პასუხისმგებელი პოლიტიკური ორგანოს მაგიერ დამოუკიდებელი ორგანოს კონკრეტის მიღება. თუმცა, ასეთ შემთხვევებში დამოუკიდებელი ორგანოსაგან მინიმუმ რეკომენდაციის ან წინადადების მიღების შესახებ მოთხოვნა ოფიციალური ორგანოსათვის, რომელიც დანიშნავს ახორციელებს, ვალდებულება თუ არა - უმნიშვნელოვანესი ინიციატივაა. ქარტიის თვალსაზრისით, დამოუკიდებელი ორგანოს რეკომენდაციები და წინადადებები გარანტიებს არ წარმოადგენს, რომ ისინი პრაქტიკაში ზოგადად შესრულებული იქნება, პოლიტიკური ან ადმინისტრაციული უწყება, რომელიც ასეთ რეკომენდაციებს ან წინადადებებს არ შეასრულებს, მინიმუმ დაეაღდებულა უნდა იქნას, რომ განმარტოს მიზეზები, თუ რატომ მოიქცა ასე.

ამასთან, ეს ქარტია დამოუკიდებელ ორგანოს შესაძლებლობას აძლევს ჩაერიოს უშუალო წინადადებით, ოფიციალური წინადადებით, რეკომენდაციით, წარდგინებით ან ფაქტობრივი გადაწყვეტილების საშუალებით.

დაისვა საკითხი დამოუკიდებელი ორგანოს წევრობასთან დაკავშირებით. ამ საკითხთან დაკავშირებით, ქარტია ითვალისწინებს, რომ ორგანოს წევრთა ნახევარი მაინც მოსამართლეებისაგან უნდა შედგებოდეს, რომლებიც მათი კოლეგების მიერ იქნებიან არჩეულნი. ეს იმას ნიშნავს, რომ ქარტია არ უშვებს მოსამართლეების უმცირესობაში ყოფნას დამოუკიდებელი ორგანოს შემადგენლობაში და არც იმას მოითხოვს, რომ ისინი უმრავლესობაში იყვნენ. ევროპის სახელმწიფოებში არსებული ფილოსოფიური კონცეფციებისა და დებატების გათვალისწინებით, მოსამართლეთა შემადგენლობის მინიმუმ 50 პროცენტის იდეა წარმოიშვა იმით, რომ ის გარანტიების საკმაოდ მაღალი ხარისხის უზრუნველყოფის შესაძლებლობას იძლევა და ანგარიშს უწყევს სხვადასხვა ეროვნულ სისტემაში არსებულ სხვაგვარ შეხედულებებს.

ქარტიის თანახმად, დამოუკიდებელი ორგანოს წევრი მოსამართლეები მათი კოლეგების მიერ უნდა იქნან არჩეულნი იმის საფუძველზე, რომ ამ ორგანოს დამოუკიდებლობა გამორიცხავს მისი წევრების არჩევას ან დანიშვნას პოლიტიკური ორგანოს მიერ, რომელიც აღმასრულებელ ან საკანონმდებლო ხელისუფლებას მიეკუთვნება.

ასეთი ფორმულის გამოყენებისას, მოსამართლეთა დანიშვნის პროცესსა და როლში პარტიულ-პოლიტიკური მიკერძოების რისკი შეიძლება წარმოქმნილიყო. ქარტია

მოსამართლეებს, რომლებიც დამოუკიდებელი ორგანოს წევრები არიან, მკაცრად სთხოვს თავი შეიკავონ პოლიტიკური პარტიების ან ორგანოების მხრიდან კეთილგანწყობის მიღებისაგან, როდესაც თვითონ არიან ამ პარტიების მიერ ან მათი საშუალებით არჩეულნი ან დანიშნულნი.

და ბოლოს, რომელიმე კონკრეტული კენჭისყრის სისტემის მოთხოვნის გარეშე ქარტია მიუთითებს, რომ აღნიშნულ ორგანოში მოსამართლეთა არჩევის წესი უნდა უზრუნველყოფდეს მოსამართლეთა რაც შეიძლება ფართო წარმომადგენლობას.

14. ქარტია იცავს ნებისმიერი მოსამართლის "გასაჩივრების უფლებას", რომელსაც მიაჩნია, რომ მისი სტატუსით უზრუნველყოფილ რომელიმე უფლებას ან უფრო ზოგადად, მის დამოუკიდებლობას, ან სამართლებრივი პროცესის დამოუკიდებლობას საფრთხე ემუქრება ან შეზღუდულია რაიმე ფორმით იმისათვის, რომ მას შეეძლოს მიმართოს დამოუკიდებელ ორგანოს აღნიშნულ საკითხზე, როგორც ზემოთ აღინიშნა.

ეს იმას ნიშნავს, რომ მოსამართლეები დაუცველნი არ არიან მათი დამოუკიდებლობის შეზღუდვის წინააღმდეგ. გასაჩივრების უფლება აუცილებელი გარანტიაა, რადგან სასამართლოს დამცავი პრინციპების ჩამოყალიბება მათი ეფექტური განხორციელების მექანიზმების შექმნის გარეშე, უბრალოდ სურვილია. დამოუკიდებელი ორგანოს ჩარევა მოსამართლის ინდივიდუალური სტატუსის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე არ მოიცავს, ყველა შესაძლო სიტუაციას, რომლებშიც მისი დამოუკიდებლობა ფიგურირებს და უმნიშვნელოვანესია იმის უზრუნველყოფა, რომ მოსამართლეებს ჰქონდეთ შესაძლებლობა საკუთარი ინიციატივით მიმართონ ამ ორგანოს.

ქარტია ითვალისწინებს რომ ამ ორგანოს, რომელსაც მიმართავენ, უნდა ჰქონდეს ძალაუფლება მოსამართლის დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული საკითხის დამოუკიდებლად გადასაწყვეტად ან სხვა ორგანოსათვის დავალების უფლება, რომელიც მას გადაჭრის. ეს ფორმულა ითვალისწინებს ეროვნული სისტემების სხვაობას და დამოუკიდებელი ორგანოს პირდაპირი რეკომენდაცია ცი, კონკრეტულ სიტუაციაში, მნიშვნელოვან ინიციატივას წარმოადგენს შესაბამის ორგანოსათვის გასაჩივრებული საკითხის გადაწყვეტისათვის.

15. ქარტია განსაზღვრავს მოსამართლის ძირითად ვალდებულებებს მისი ფუნქციების განხორციელებისას. "სამუშაო მზადყოფნა" გულისხმობს როგორც ღროს, რომელიც აუცილებელია საქმის სათანადო განხილვისათვის, ისე ყურადღებას და გულისხმიერებას, რომელიც აუცილებელია ასეთი მნიშვნელოვანი მოვალეობების განსახორციელებლად, რადგან სწორედ მოსამართლის გადაწყვეტილება იცავს პიროვნების უფლებებს. პიროვნების მიმართ პატივისცემა განსაკუთრებით საყურადღებოა ისეთ მნიშვნელოვან თანამდებობებზე, რომელიც მოსამართლეებს უჭირავთ, განსაკუთრებით იმიტომ, რომ აღამიანები თავს ხშირად დაუცველად გრძნობენ სასამართლო სისტემასთან შეხებისას. ეს მუხლი ასევე ეხება მოსამართლის ვალდებულებას დაიცვას იმ ინფორმაციის კონფიდენციალურობა, რომელიც მისთვის პროცესის წარმოებისას გახდა ცნობილი. ბოლოს, ეს მუხლი ხაზს უსვამს, რომ მოსამართლე ვალდებულია შეინარჩუნოს კომპეტენტურობის მაღალი ხარისხი, რომელსაც საქმის განხილვა მოითხოვს. ეს იმას ნიშნავს, რომ კომპეტენტურობისა და პროფესიული უნარ-ჩვევების მაღალი ხარისხი მოსამართლის მუდმივი ვალდებულებაა საქმის განხ-

ილიესა და გადაწყვეტის დროს და რომ მან უნდა შეინარსუნოს მაღალი პროფესიონალიზმი საჭიროებისამებრ ტრენინგის გზით. როგორც ტექსტში შემდგომ არის აღნიშნული, მოსამართლეებს უნდა მიუწოდებოდეთ ხელი ტრენინგის შესაძლებლობებზე.

- 1.6. ქარტია აფიქსირებს, რომ სახელმწიფოს ვალდებულებაა უზრუნველყოს, რათა მოსამართლეებს ჰქონდეთ აუცილებელი საშუალებები მათი მოვალეობების ჯეროვნად შესრულებისათვის და განსაკუთრებით საქმეების გონივრულ ვადაში გადაწყვეტისათვის.

სახელმწიფოს ამ ვალდებულებაზე პირდაპირ მითითების გარეშე, მოსამართლეთა პასუხისმგებლობის შესახებ დებულებების დასაბუთება - მნიშვნელოვნად შესუსტდება.

- 1.7. ქარტია აღიარებს მოსამართლეების მიერ შექმნილი პროფესიული ასოციაციების როლს, რომლებში გაწვევრიანებაც თითოეულ მოსამართლეს თავისფულად შეუძლია და რომელიც გამორიცხავს სამართლებრივი დისკრიმინაციის ნებისმიერ ფორმას მათში გაწვევრიანებასთან მიმართებით. იგი ასევე მიუთითებს, რომ ასეთი ასოციაციები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ განსაკუთრებით მოსამართლეების სტატუსით მინიჭებული უფლებების დაცვაში ისეთი ორგანოებისა თუ უწყებების წინაშე, რომლებიც მონაწილეობას იღებენ მათთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში. აქედან გამომდინარე, დაუშვებელია მოსამართლეებს აეკრძალოთ პროფესიული ასოციაციების შექმნა, ან მათში გაწვევრიანება.

ასეთი ორგანიზაციებისათვის მოსამართლეთა სტატუსით მინიჭებული უფლებების დაცვის ექსკლუზიური უფლების მინიჭების გარეშე, ქარტია ადგენს, რომ მათი წვლილი მოსამართლეთა უფლებების დაცვაში მოსამართლეთა მიმართ გადაწყვეტილებების მიმღები ორგანოებისა და ინსტანციების წინაშე, აღიარებული და დაფასებულია.

- 1.8. ქარტია ითვალისწინებს, რომ მოსამართლეები მათი წარმომადგენლების საშუალებით, კერძოდ იმ ორგანოს წევრების მეშვეობით, რომელიც აღნიშნულია 1.3. მუხლში და მათი პროფესიული ასოციაციების მეშვეობით უნდა მონაწილეობდნენ სასამართლოების ადმინისტრირებასთან, სასამართლოების საბიუჯეტო სახსრების დამტკიცებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში და ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე ამ გადაწყვეტილებების აღსრულებაში.

რაიმე განსაკუთრებული სამართლებრივი ფორმის, ან შეზღუდვის რეკომენდების გარეშე ეს დებულება ადგენს, რომ მოსამართლეები უნდა მონაწილეობდნენ საერთო სასამართლო ბიუჯეტისა და თითოეული სასამართლოსათვის გამოყოფილი რესურსების განსაზღვრაში, რაც გულისხმობს საკონსულტაციო ან წარმომადგენლობითი პროცედურების შემოღებას ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე. ეს ასევე უფრო ფართოდ ვრცელდება მართლმსაჯულების განხორციელებაზე და სასამართლოების ადმინისტრირებაზე. ქარტია არ ითვალისწინებს იმას, რომ მოსამართლეები პასუხისმგებელი უნდა იყვნენ ასეთ ადმინისტრირებაზე, თუმცა მოითხოვს, რომ ისინი მონაწილეობას იღებდნენ ადმინისტრაციული ხასიათის გადაწყვეტილებების მიღებაში.

19. მოსამართლეთა კონსულტაციამ მათი წარმომადგენლების, ან პროფესიული ასოციაციების მეშვეობით მათი სტატუსის/რაიმე შეთავაზებულ ცვლილებასთან, ან მათი ანაზღაურების საფუძვლის ცვლილებასთან დაკავშირებით, ან მათი სოციალური კეთილდღეობის შესახებ, მათი პენსიის ნათელით, უნდა უზრუნველყოს, რომ მოსამართლეების პოზიცია არ იქნას უგულვებელყოფილი ამ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში. მიუხედავად ამისა, ქარტია არ იძლევა ზეწოლის უფლებას გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებზე ეროვნულ ორგანოებში, რომლებიც კონსტიტუციის თანახმად, ასეთ საკითხებზე აგებენ პასუხს.

2. შერჩევა, დაქირავება და საწყისი ტრენინგი

2.1 კანდიდატი მოსამართლეების შერჩევა და დაქირავება დამოუკიდებელი ორგანოს ან საბჭოს მიერ უნდა განხორციელდეს. ქარტია არ მოითხოვს, რომ ეს უკანასკნელი 1.3. მუხლში აღნიშნული დამოუკიდებელი ორგანო იყოს, რაც იმას ნიშნავს, რომ მაგალითად, შესაძლებელია საგამოცდო და შესარჩევი საბჭოების გამოყენება იმ პირობით, რომ ისინი დამოუკიდებელი არიან. პრაქტიკაში შერჩევის პროცედურა ხშირად დაქირავების პროცედურისაგან განცალკევებულია. მნიშვნელოვანია განისაზღვროს შერჩევის პროცესის კონკრეტული გარანტიები.

შესარჩევი საბჭოს მიერ გაკეთებული არჩევანი უნდა ეფუძნებოდეს კრიტერიუმებს, რომლებიც შეესაბამება განსახორციელებელი მოვალეობების ბუნებას.

მთავარი მიზანი უნდა იყოს კანდიდატის, მოსამართლეების მიერ განხილული საქმეების დამოუკიდებლად გადაწყვეტის უნარის შეფასება, რაც დამოუკიდებლად აზროვნებას გულისხმობს. მოსამართლის ფუნქციების განხორციელებისას მიუკერძოებლობის წარმონეის უნარიც მნიშვნელოვანი ელემენტია. კანონის გამოყენების უნარი გულისხმობს, როგორც კანონის ცოდნას, ისე მის პრაქტიკაში გამოყენებას, რაც ერთმანეთისაგან განსხვავდება. შესარჩევა ორგანომ ასევე უნდა უზრუნველყოს, რომ კანდიდატის ქცევა მოსამართლის როლში დაეფუძნება ადამიანის ღირსებისადმი პატივისცემას, რაც უმნიშვნელოვანესია თანამდებობის პირებსა და მხარეებს შორის ურთიერთობაში, რომლებიც ხშირად გაჭირვებული ადამიანები არიან.

და ბოლოს, შერჩევა არ უნდა ეფუძნებოდეს დისკრიმინაციულ კრიტერიუმებს სქესთან, ეთნიკურ ან სოციალურ წარმომავლობასთან, ფილოსოფიურ ან პოლიტიკურ შეხედულებებთან, ან რელიგიურ კუთვნილებასთან მიმართებით.

2.2 იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას სამოსამართლო საქმიანობასთან დაკავშირებული აუცილებელი კვალიფიკაცია, მოსამართლეთა შერჩევისა და დანიშვნის წესები უნდა შეიცავდნენ კვალიფიკაციასა და სამსახურეობრივ გამოცდილებასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს. მაგალითად, აღნიშნული ვრცელდება იმ სისტემებზე, რომლებშიც დანიშნა პირობითია იურისტად ან მოსამართლედ მუშაობის სტაჟის მიხედვით.

2.3 სამოსამართლო საქმიანობის ბუნებიდან გამომდინარე, რომელიც მოსამართლისაგან ისეთ რთულ სიტუაციებში ნარევას მოითხოვს, რომლებიც ხშირად ადამიანის ღირსებას უკავშირდება, სამოსამართლო საქმიანობის განხორციელების უნარის მხოლოდ "აბსტრაქტული" დამკიცება საკმარისი არ არის.

აქედან გამომდინარე, სამოსამართლო საქმიანობის განსახორციელებლად შერჩეული კანდიდატები მომზადებულნი უნდა იყვნენ ამ მოვალეობის შესრულებისათვის შესაბამისი ტრენინგის საშუალებით, რომელიც სახელმწიფოს მიერ უნდა იყოს დაფინანსებული.

აუცილებელია გარკვეული სიფრთხილის გამოჩენა მოსამართლეთა მომზადებისას დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი გადაწყვეტილებების მიღებაში, როდესაც კომპეტენტურობა, მიუკერძოებლობა და აუცილებელი გულისხმიერება გარანტირებულია, როგორც ტრენინგის პროგრამების შინაარსში, ისე მათ განმახორციელებელ დაწესებულებებში. სწორედ ამიტომ, ქარტია ადგენს, რომ 1.3 მუხლში აღნიშნულმა ორგანომ უნდა უზრუნველყოს სასწავლო პროგრამებისა და მათი განმახორციელებელი დაწესებულებების შესაბამისობა გულისხმიერების, კომპეტენტურობისა და მიუკერძოებლობის მოთხოვნებთან, რომლებიც დაკავშირებულია სამოსამართლო საქმიანობის განხორციელებასთან. აღნიშნული ორგანო უნდა ფლობდეს შესაბამის რესურსებს ამ ფუნქციის შესასრულებლად. შესაბამისად, სტატუტში გაწერილი წესები უნდა განსაზღვრავდნენ აღნიშნული ორგანოს მიერ ზედამხედველობის პროცედურას აღნიშნულ მოთხოვნებთან მიმართებით ტრენინგის განმახორციელებელ ორგანოებთან და სასწავლო პროგრამებთან დაკავშირებით.

3. დანიშნვა და უფლებამოსილების შენახვის დაუშვებლობა

3.1. ეროვნულ სისტემებს შეუძლიათ განახსევან მოსამართლის შერჩევისა და დანიშნვის პროცედურა და კონკრეტულ სასამართლოში განაწილების წესი. უნდა აღინიშნოს, რომ მოსამართლის დანიშნვის, ან განაწილების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება წინამდებარე ქარტიის 1.3. მუხლში აღნიშნული დამოუკიდებელი ორგანოს მიერ, ან მისი წარდგინებით, რეკომენდაციით, მასთან შეთანხმებით, ან მისი თანხმობით.

3.2. ქარტია განიხილავს თანამდებობასთან შეუფერებლობის საკითხს. იგი უარყოფს სრული შეუფერებლობის თეორიას, რადგან ეს ხელს შეუშლიდა მოსამართლეების დანიშვნას კანდიდატის, ან მისი ნათესაების წარსული საქმიანობის საფუძველზე. მეორეს მხრივ, ის გულისხმობს, რომ როდესაც მოსამართლე კონკრეტულ სასამართლოში უნდა იქნას განაწილებული, გათვალისწინებულ უნდა იქნას ზემოაღნიშნული გარემოებები, თუ ისინი სამართლიან და ობიექტურ ეჭვს იწვევენ მოსამართლის დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით.

მაგალითად, ადეოკატი, რომელიც წარსულში კონკრეტულ ქალაქში ეწეოდა საადეოკატო საქმიანობას, არ შეიძლება ავტომატურად განაწილებულ იქნას იგივე ქალაქის სასამართლოში. ასევე, რთულია წარმოიდგინოთ მოსამართლე, რომელიც განაწილებულია იმ ქალაქის სასამართლოში, სადაც, მისი მეუღლე, მამა, ან დედა - მაგალითად მერი ან პარლამენტის წევრია. ამიტომ, როდესაც მოსამართლის კონკრეტულ სასამართლოში განაწილების საკითხი დგება, შესაბამისმა სტატუტმა უნდა გაითვალისწინოს სიტუაციები, რომლებიც სამართლიან და ობიექტურ ეჭვს იწვევენ მოსამართლის დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის შესახებ.

3.3. ზოგიერთ ეროვნულ სისტემაში დაქირავების პროცედურა საცდელ პერიოდს მოიცავს მოსამართლის თანამდებობაზე მუდმივად დანიშნამდე. სხვა

სისტემებში მოსამართლეთა დაქირავება განსაზღვრული ვადით გაგრძელებადი ხელშეკრულების საფუძველზე ხდება.

ასეთ შემთხვევებში, გადაწყვეტილება მუდმივი დანიშნის, ან ხელშეკრულების განახლებაზე უარის შესახებ შეიძლება მიღებულ იქნას მხოლოდ წინამდებარე ქარტიის 1.3. მუხლში აღნიშნული დამოუკიდებელი ორგანოს მიერ, მისი წარდგინებით, რეკომენდაციით, ან მისი თანხმობით. აშკარაა, რომ საცდელი ვადის არსებობა, ან ხელშეკრულების გაგრძელების მოთხოვნები სიძნელეებს წარმოშობს და იმ შესაბამისი მოსამართლის დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას საფრთხესაც კი უქმნის, რომელიც იმედოვნებს - რომ დამტკიცებული იქნება თანამდებობაზე ან ვადა გაუგრძელდება. აქედან გამომდინარე, უნდა არსებობდეს გარანტიები დამოუკიდებელი ორგანოს წარუდგინებელი გზით. თუ საუბარია საცდელ ვადაში მყოფი პირის მიერ მოსამართლის მოვალეობების შესრულების ხარისხზე, ქარტია ადგენს, რომ ასეთი პირი უფლებამოსილია მიმართოს დამოუკიდებელ ორგანოს, წინამდებარე ქარტიის 1.4. მუხლის შესაბამისად.

3.4. ქარტია უზრუნველყოფს მოსამართლის უფლებამოსილების შეწყვეტის დაუშვებლობას რაც იმას ნიშნავს, რომ დაუშვებელია მოსამართლის სხვა სასამართლოში განაწილება, ან მისი ფუნქციების შეცვლა მისი თავისუფალი თანხმობის გარეშე. თუმცა, აუცილებელია დაშვებულ იქნას გამონაკლისები, როდესაც მოსამართლის გადაყენა დისციპლინურ ჩარჩოში ხდება, როდესაც სასამართლო სისტემის კანონით დადგენილი რეორგანიზაცია ხორციელდება, რომელიც მაგალითად, რომელიმე სასამართლოს გაუქმებას გულისხმობს, ან როდესაც აუცილებელია დროებითი გადაყენა მეზობელი სასამართლოსათვის დახმარების გასაწევად. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, დროებითი გადაყენის ვადა შეზღუდული უნდა იყოს შესაბამისი კანონმდებლობით. მიუხედავად ამისა, რადგან მოსამართლის გადაყენის საკითხი მისი თანხმობის გარეშე საკმაოდ სათუთია, დადგენილია, რომ 1.4. მუხლის საფუძველზე, მას აქვს გასაჩივრების უფლება დამოუკიდებელი ორგანოს წინაშე, რომელსაც შეუძლია გამოიძიოს გადაყენის ლეგიტიმურობა. ფაქტიურად, გასაჩივრების უფლებას ასევე შეუძლია გადაწყვიტოს სიტუაციები, რომლებიც წინამდებარე ქარტიით კონკრეტულად გაწერილი არ არის, როდესაც მოსამართლეს იმდენად ზედმეტი სამუშაო აქვს, რომ პრაქტიკაში მისი მოვალეობების ჯეროვნად შესრულება შეუძლებელია.

4. კარიერული წინსვლა

4.1 გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მოსამართლეების დაწინაურება სტაჟის მიხედვით ხდება, რომელსაც ქარტია არ გამორიცხავს, რადგან მიიჩნევა, რომ ასეთი სისტემა მოსამართლეების დამოუკიდებლობის საუკეთესო გარანტიაა, თუმცა მოითხოვს, რომ ეროვნული სასამართლო სისტემების ჩარჩოში, კანდიდატების შერჩევის უმაღლესი ხარისხი იქნას მიღწეული, აუცილებელია ყურადღება მიექცეს იმ ფაქტს, რომ დაწინაურების შედეგად, მოსამართლეთა დამოუკიდებლობას და მიუკერძოებლობას საფრთხე არ დაემუქროს.

სწორედ ამიტომ, ქარტია განსაზღვრავს დაწინაურების კრიტერიუმებს, როგორცაა პროფესიული თვისებები და დამსახურება სამოსამართლო საქმიანობის განხორციელებაში, რომელსაც ერთი ან რამდენიმე მოსამართლე ობიექტურად აფასებს და განიხილავს დასაწინაურებელ მოსამართლესთან.

დაწინაურებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები მიიღება აღნიშნული შეფასების საფუძველზე 1.3. მუხლში აღნიშნული დამოუკიდებელი ორგანოს წინადადების გათვალისწინებით, მისი რეკომენდაციით, მასთან შეთანხმებით ან მისი თანხმობით. კონკრეტულად დადგენილია, რომ მოსამართლე, რომელიც დასაწინაურებლად არის წარდგენილი დამოუკიდებელი ორგანოს წინაშე გამოსაცდელად, უფლებამოსილი უნდა იყოს წარუდგინოს მისი საქმე აღნიშნულ ორგანოს.

4.1. მუხლის დებულებები აშკარად არ არის განკუთვნილი იმ სისტემებისათვის, რომლებშიც მოსამართლეთა დაწინაურება საერთოდ არ ხდება და არ არსებობს მოსამართლეების იერარქია, სისტემები, რომლებსაც ამ თვალსაზრისით მოსამართლის დამოუკიდებლობის დაცვის საკმაოდ მაღალი ხარისხი აქვთ.

4.2 აქ ქარტია ეხება მოსამართლის არასამოსამართლო საქმიანობას. ის ითვალისწინებს, რომ მოსამართლეს შეუძლია თავისუფლად განახორციელოს საქმიანობა მოსამართლის მანდატის გარეშე, მისი, როგორც მოქალაქის უფლებების რეალიზების ჩათვლით. ეს თავისუფლება, რომელიც პრინციპს წარმოადგენს, არ შეიძლება იყოს შეზღუდული გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მოსამართლეები ისეთ საქმიანობაში არიან ჩართულნი, რომელიც შეუფერებელია მათ მიუკერძოებლობასა და დამოუკიდებლობაში საზოგადოებრივ ნდობასთან ან აუცილებელ დროსთან, რომელიც მათ სჭირდებათ განსახილველი საქმეების გონივრულ ვადაში გადასაწყვეტად. ქარტია არ აკონკრეტებს ასეთი საქმიანობის სახეობებს. არასამოსამართლო საქმიანობის უარყოფითი გავლენა მოსამართლის უფლებამოსილების განხორციელებაზე პრაგმატულად უნდა იქნას შეფასებული. ქარტია ადგენს, რომ მოსამართლეებმა უნდა მოითხოვონ ნებართვა, რათა ჩაერთონ ანაზღაურებად არასამოსამართლო საქმიანობაში, ლიტერატურული ან შემოქმედებითი საქმიანობის გარდა.

4.3 ქარტია შეეხება საკითხს, რომელსაც ხშირად “მოსამართლის დისკრეციულ უფლებას” უწოდებენ. მისი პოზიცია ეფუძნება ევროპის ადმინისტრაციის უფლებათა კონვენციის მე-8 მუხლს და ევროპის ადმინისტრაციის უფლებათა სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს და მიიჩნევს, რომ მოსამართლეებმა თავი უნდა შეიკავონ ნებისმიერი საქციელისაგან, ქმედებისაგან ან გამონათქვამისაგან, რომელმაც შესაძლოა გავლენა იქონიოს მათ დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობაში საზოგადოებრივ ნდობაზე. რეალური ზიანის გათვალისწინებით, ქარტია უშვებს ზედმეტი სიმკაცრისაგან თავის შეკავებას, რაც მოსამართლის სოციალურ და სამოქალაქო გარიყულობას გამოიწვევდა.

ქარტია უზრუნველყოფს მოსამართლის უფლებას “შიდა ტრენინგზე”. მოსამართლეს უნდა მიუწვდებოდეს ხელი სახელმწიფოს ხარჯზე რეგულარულად ორგანიზებულ სასწავლო კურსებზე, რომელთა მიზანი მოსამართლისათვის მისი ტექნიკური, სოციალური და კულტურული უნარ-ჩვევების დახვეწის საშუალების უზრუნველყოფაა. სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს, ასეთი სასწავლო პროგრამები ისე, რომ 2.3. მუხლით განსაზღვრული პირობები დაცული იყოს.

2.3. და 4.4. მუხლების პროფესიული ტრენინგის შესახებ დებულებები საკმაოდ მოქნილია, რაც აღნიშნული გარანტიების სხვადასხვა ეროვნულ სისტემაზე მორგების საშუალებას იძლევა: იუსტიციის სამინისტროს მიერ აღმინისტრირებული სასწავლო კოლეჯი, მოსამართლეთა უმაღლესი საბჭოების მიერ მართული ინსტიტუტები, კერძო სამართლებრივი ფონდები და ა.შ.

5. პასუხისმგებლობა

- 5.1. აქ, ქარტია მოსამართლის დისციპლინურ პასუხისმგებლობას შეეხება. დასაწყისში ნახსენებია დისციპლინური სანქციების კანონიერების პრინციპი და დადგენილია, რომ ერთდერითი კანონიერი მიზეზი სანქციის დაკისრებისათვის მოსამართლეთა სტატუტით კონკრეტულად განსაზღვრული რომელიმე ვალდებულების დარღვევაა და რომ შესაბამისი სანქციების შკალა გაწერილი უნდა იყოს მოსამართლეთა სტატუტში. ამავე დროს, ქარტია აღგენს გარანტიებს დისციპლინური განხილვებისათვის: დისციპლინური სანქციების დაკისრება დასაშვებია მხოლოდ ისეთი გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელიც მიღებულია ტრიბუნალის ან ორგანოს წინადადებით, რეკომენდაციით ან მასთან შეთანხმებით, რომლის შემადგენლობის ნახევარი მაინც არჩეული მოსამართლეებისაგან შედგება. მოსამართლეს უნდა მიეცეს სრული მოსმენის შესაძლებლობა და დამცველის ყოლის უფლება. თუ სანქციის დაკისრება რეალურად მოხდება, ის უნდა შეირჩეს საქციების შკალიდან პროპორციულობის პრინციპის სათანადო გათვალისწინებით. და ბოლოს, ქარტია უზრუნველყოფს გასაჩივრების უფლებას უმაღლეს მმართველ ორგანოში სანქციის დაკისრების შესახებ ნებისმიერ გადაწყვეტილებაზე, რომელიც მიღებულია აღმასრულებელი ორგანოს, ტრიბუნალის ან უწყების მიერ, რომლის შემადგენლობიდან ნახევარი მაინც არჩეული მოსამართლეა.

ამ დებულების ტექსტი არ მოითხოვს გასაჩივრების ასეთი უფლების არსებობას პარლამენტის მიერ დაკისრებული სანქციებისათვის.

- 5.2. აქ, ქარტია მოსამართლის სამოქალაქო და მატერიალურ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს. ის აღგენს პრინციპს, რომ მოსამართლის არასათანადო ქმედებით, ან უკანონო ქცევით გამოწვეული ზიანისათვის კომპენსაცია სახელმწიფოს ეკისრება. ეს იმას ნიშნავს, რომ სწორედ სახელმწიფოა ასეთი ზიანის მსხვერპლისათვის ანაზღაურების გარანტორი ყველა შემთხვევაში.

ამასთან, ქარტია აზუსტებს, რომ სახელმწიფოს მხრიდან გარანტია მოქმედებს იმ ზიანთან მიმართებით, რომელიც მოსამართლის უკანონო გადაწყვეტილებით ან ქმედებით არის გამოწვეული. ქარტია არა მხოლოდ მოსამართლის უკანონო ქმედებას ან გადაწყვეტილებას ეხება, არამედ უფრო ამ ქმედებებით გამოწვეული ზიანის ბუნებას და იმას, რომ ის გამოწვეულ იქნა უკანონო ან არასწორი ქმედებით. ეს სრულად შეესაბამება არა მოსამართლის შეცდომასთან დაკავშირებულ პასუხისმგებლობას, არამედ განსაკუთრებულ, ან მძიმე ზიანზე პასუხისმგებლობას, რომელიც გამოწვეულია მოსამართლის გადაწყვეტილებით ან ქმედებით. ეს მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ მოსამართლის დამოუკიდებლობას, მისი იურისდიქციის ფარგლებში სამოქალაქო პასუხისმგებლობის რეჟიმის გამოყენების შედეგად, საფრთხე არ დაემუქროს.

ქარტია ასევე ითვალისწინებს, რომ თუ სახელმწიფოს მიერ გარანტირებული ზიანი მოსამართლის მიერ სამოსამართლო ფუნქციების განხორციელების წესების უხეში და არასაპატიო დარღვევით არის გამოწვეული, სტატუტმა შეიძლება მიანიჭოს სახელმწიფოს უფლება, მოსამართლისაგან მოითხოვოს ზიანის ანაზღაურების შედეგად გაწეული ხარჯების კომპენსაცია სასამართლოს გზით, სტატუტით დადგენილი წესით. წესების უხეში და არასაპატიო დარღვევის კონცეფციამ და კომპენსაციის

სასამართლოს გზით მოთხოვნამ უნდა უზრუნველყონ გარანტიები პროცედურის შესაძლო დარღვევების თავიდან ასაცილებლად. დამატებით გარანტიას წარმოადგენს 13. მუხლში აღნიშნული ორგანოს წინასწარი თანხმობის მოპოვების მოთხოვნა კომპეტენტური იურისდიქციისათვის მიმართვამდე.

5.3. აქ. ქარტია საუბრობს საკითხზე, როდესაც სასოგადოების წევრები უჩივიან მართლმსაჯულების არასათანადოდ განხორციელებას.

სახელმწიფოებმა დააწესეს საჩივრების მიღების პროცედურა სხვადასხვა დონეზე და ის ყოველთვის კარგად ორგანიზებული არ არის.

სწორედ ამიტომ, ქარტია ითვალისწინებს პიროვნებისათვის ხელმისაწვდომ შესაძლებლობას მართლმსაჯულების არასათანადოდ განხორციელების შესახებ საჩივრის შეტანისა, ამ შემთხვევაში დამოუკიდებელ ორგანოში კონკრეტული ფორმალუბების დაცვის გარეშე. თუ საჩივრის ყურადღებით და ზედმიწევნით შესწავლა აღნიშნული დამოუკიდებელი ორგანოს მიერ აჩვენებს, რომ მოსამართლემ დისციპლინური გადაცდომა ჩაიდინა, ეს ორგანო უფლებამოსილია მიმართოს დისციპლინური წარმოების ორგანოს, ან მინიმუმ რეკომენდაცია გაუწიოს ხელისუფლების იმ ორგანოსათვის მიმართვის შესახებ, რომელიც მოსამართლეთა ეროვნული სტატუსით უფლებამოსილია განიხილოს საჩივარი. არც ზემოაღნიშნული ინსტანცია და არც ხელისუფლების ორგანო ვალდებული გაითვალისწინოს იმ უწყების მოსაზრება, რომელმაც საჩივარი პირველად მიიღო. ეს უზრუნველყოფს მნიშვნელოვან გარანტიებს გასასამართლებელ პირთა მიერ საჩივრის განხილვის პროცედურის დარღვევის საშიშროების წინააღმდეგ, რომელთა მიზანს მართლმსაჯულებაზე ზეწოლა წარმოადგენს.

არ არის სავალდებულო, რომ აღნიშნული დამოუკიდებელი ორგანო სპეციალურად მოსამართლეების მიერ ჩადენილი გადაცდომების შესამოწმებლად იქნას შექმნილი. აშკარაა, რომ მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში არა მხოლოდ მოსამართლეებს უუყლიათ დარღვევების ჩადენა. აქედან გამომდინარე, ივარაუდება, რომ დამოუკიდებელ ორგანოს შეიძლება მიმართონ საჭიროებისამებრ, როგორც დისციპლინური წარმოების ორგანოს ან ინსტანციას, რომელიც აკონტროლებს ადვოკატების, იუსტიციის სფეროს თანამშრომლების, აღმასრულებლების და ა.შ. დარღვევებს.

თუმცა, ქარტია, რომელიც მოსამართლეთა სტატუსს აწესრიგებს, მხოლოდ მოსამართლეებზე შემოსულ საჩივრებზე ვრცელდება.

6. ანაზღაურება და სოციალური კეთილდღეობა

ამ სათაურის ქვეშ მოცემული დებულებები ვრცელდება მხოლოდ პროფესიონალ მოსამართლეებზე

6.1. ქარტია ადგენს, რომ ანაზღაურების ოდენობა, რომელსაც მოსამართლეები იღებენ პროფესიული საქმიანობის განხორციელებისათვის, განსაზღვრული უნდა იყოს იმ ოდენობით, რომ მოსამართლეები დაიცვას ზეწოლისაგან მათ გადაწყვეტილებებზე, ან ზოგადად მათ ქვეყაზე გაგლეწის მოხდენის მიზნით, რაც საფრთხეს უქმნის მათ დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას.

უმჯობესი იქნებოდა გათვალისწინებულიყო, რომ მოსამართლეებისათვის გადასახდელი ანაზღაურების დონე უნდა იყოს ისეთი, რომ ისინი ზეწოლისაგან დაიცვას და არა დადგენილიყო, რომ ეს დონე უნდა განისაზღვროს აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებაში მაღალი თანამდებობის პირების ანაზღაურების მსგავსად, რადგან ასეთი თანამდებობის პირები სხვადასხვა ეროვნულ სისტემაში მსგავს საფუძველზე არ განიხილება.

- 6.2. ერთი მოსამართლის ანაზღაურება მეორესთან შედარებით შეიძლება განსხვავდებოდეს სტაჟის, მოსამართლეზე დაკისრებული კონკრეტული მოვალეობების და მასზე დაკისრებული დავალებების მნიშვნელობის მიხედვით, როგორცაა შაბათ-კვირას მუშაობა. თუმცა, მათზე დაკისრებული ასეთი დავალებები, რომლებიც ამართლებს უფრო მაღალ ანაზღაურებას, უნდა შეფასდეს გამჭვირვალე კრიტერიუმების საფუძველზე, რათა თავიდან იქნას აცილებული განსხვავებული მიდგომა სამუშაოსთან ნაკლებად დაკავშირებული მოსაზრებების გამო.
- 6.3. ქარტია უზრუნველყოფს, რომ მოსამართლეებმა ისარგებლონ სოციალური გარანტიებით, ე.ი. ჩვეულებრივი სოციალური რისკებისაგან დაცვით, კერძოდ - ავადმყოფობა, დეკრეტი, ინვალიდობა, ხანდაზმულობა და გარდაცვალება.
- 6.4. ამ თვალსაზრისით, ქარტია აკონკრეტებს, რომ მოსამართლეები, რომლებმაც მოსამართლის საპენსიო ასაკს მიაღწიეს, შესაბამისი სამოსამართლო სტაჟის ქონის შემთხვევაში, უფლებამოსილი არიან მიიღონ პენსია, რომლის ოდენობა მაქსიმალურად მიახლოებული უნდა იყოს ხელფასის იმ ოდენობასთან, რომელსაც ისინი უკანასკნელად იღებდნენ მოსამართლის როლში.

7. უფლებამოსილების შეწყვეტა

- 7.1. აუცილებელია სიფრთხილე იმ პირობებთან მიმართებით, რომლებშიც მოსამართლეს უფლებამოსილება უწყდება. მნიშვნელოვანია გაიწეროს ამოწმურადი სია უფლებამოსილების შეწყვეტის მიზეზებისა. ესენია: მოსამართლის გადადგომა, სამედიცინო სერტიფიცირება, ფიზიკური მდგომარეობის გამო მოსამართლის საქმიანობის განხორციელების შეუძლებლობა, საპენსიო ასაკის მიღწევა, უფლებამოსილების ვადის ამოწურვა ან გადაყენება დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების გამო.
- 7.2. უფლებამოსილების შეწყვეტის მიზეზების დადგომის შემთხვევაში, გარდა საპენსიო ასაკის მიღწევისა და უფლებამოსილების ვადის ამოწურვისა, რომლის შემოწმება სირთულის გარეშე შესაძლებელი, ეს ფაქტი უნდა დამოწმდეს 13. მუხლში აღნიშნული ორგანოს მიერ. ამ პირობის რეალიზება მარტივად არის შესაძლებელი თუ უფლებამოსილების შეწყვეტა აღნიშნული ორგანოს გადაწყვეტილების საფუძველზე ხდება მისი წარდგინებით, რეკომენდაციით ან მისი თანხმობით.

ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო (CCJE)

ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) დასკვნა №1 (2001) ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის საყურადღებოდ სასამართლო კორპუსის დამოუკიდებლობისა და მოსამართლეთა უფლებამოსილების შეწყვეტის დაუშვებლობის სტანდარტების შესახებ

(რეკომენდაცია № R (94) 12

მოსამართლეთა დამოუკიდებლობის, ეფექტურობისა და როლის შესახებ და მისი სტანდარტებისა და სხვა საერთაშორისო სტანდარტების რეკომენდაციურება ამ სფეროებში ამჟამად არსებული პრობლემებისათვის)

1. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭომ (CCJE) შეიმუშავა წინამდებარე დასკვნა სახელმწიფოების მიერ კითხვარზე გაცემული პასუხების საფუძველზე, რომლის ტექსტი მომზადებულ იქნა ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს სამუშაო ჯგუფის, ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარის, ვიცე-თავმჯდომარის და აღნიშნულ საკითხზე ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს სპეციალისტის, ბატონი ჯაკომო ობერტოს (იტალია) მიერ.
2. მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოსათვის წარდგენილი მასალა მოიცავს პრინციპების რამდენიმე ოფიციალურ და ნაკლებად ოფიციალურ ჩამონათვალს სამოსამართლო დამოუკიდებლობის შესახებ.
3. კერძოდ, შესაძლებელია მოვიყვანოთ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ოფიციალური დოკუმენტების მაგალითები:
 - გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძირითადი პრინციპები სასამართლოს დამოუკიდებლობის შესახებ (1985);
 - ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია № R (94) 12 წვერი სახელმწიფოებისათვის მოსამართლეთა დამოუკიდებლობის, ეფექტურობისა და როლის შესახებ.
4. ნაკლებად ოფიციალური ხასიათის დოკუმენტებია:
 - ევროპის ქვეყნებისა და მოსამართლეთა ორი ასოციაციის მიერ 1998 წლის 8-10 ივლისს სტრასბურგის შეხვედრაზე მიღებული ევროპის ქარტია მოსამართლეთა სტატუსის შესახებ, რომელსაც მხარი ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის უზენაესი სასამართლოების თავმჯდომარეებმა კიევი, 1998 წლის 12-14 ოქტომბრის შეხვედრაზე დაუჭირეს და 1999 წლის 8-10 აპრილს, ლისაბონში შეკრებილმა ევროპის 25 ქვეყნის იუსტიციის მინისტრებმა დაამტკიცეს;
 - მოსამართლეთა უმაღლესი საბჭოებისა და მოსამართლეთა ასოციაციის წარმომადგენლების განცხადებები, როგორცაა 1997 წლის 23-26 ივნისს ვარშავასა და სლოაკში გამართულ შეხვედრებზე გაკეთებული განცხადებები.
5. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს დისკუსიებში გამოყენებული სხვა მასალები მოიცავს:

- უზენაესი სასამართლოების თავმჯდომარეების მერ კონფერენციის მიერ მიღებული სასამართლო კორპუსის დამოუკიდებლობის პრინციპების პეკინის განცხადება ლავაზიის რეგიონში, 1997 წლის აგვისტო;
 - ლატიმერის საბჭოს გაიდლაინები თანამეგობრობისათვის ხელისუფლების აღმოსაფხვრელი, საკანონმდებლო და სასამართლო შტოებს შორის ურთიერთობების სათანადო პრაქტიკის შესახებ სამართლიანი მმართველობის, კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების ხელშეწყობისა და ჰარარეს პრინციპების ეფექტური განხორციელების უზუნველყოფის მიზნით, 1998;
6. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს დისკუსიების დროს ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს წევრები ხაზს უსვამდნენ, რომ პრინციპების სრულყოფა და ინსტიტუტების ჰარმონიზება არ არის მთავარი, უფრო მნიშვნელოვანია იმ პრინციპების სრული რეალიზაცია, რომელიც უკვე დაინერგა.
 7. ამასთან, ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭომ განიხილა საკითხი, მიზანშეწონილი იქნებოდა თუ არა არსებული ზოგადი პრინციპების გაუმჯობესება ან განვითარება.
 8. წინამდებარე დასკვნის მიზანია, რამდენიმე განხილული საკითხის უფრო დეტალურად შესწავლა და პრობლემებისა და საკითხების გამოვლენა, რომლებიც მოსამართლეთა დამოუკიდებლობას უკავშირდება და რომელთათვის ყურადღების დათმობამ შეიძლება ისინი გადაჭრას.
 9. განსახილველად წარმოდგენილ იქნა შემდეგი თემები:
 - სამოსამართლო დამოუკიდებლობის დასაბუთება;
 - დონე, რომელზეც სამოსამართლო დამოუკიდებლობა გარანტირებულია;
 - დანიშვნის ან დაწინაურების საფუძვლები;
 - მოსამართლეთა დამნიშნელი და საკონსულტაციო ორგანოები;
 - უფლებამოსილების ვადა – დანიშვნის პერიოდი;
 - უფლებამოსილების ვადა – უფლებამოსილების შეწყვეტის დაუშვებლობა და დისციპლინური წარმოება;
 - ანაზღაურება;
 - თავისუფლება არასათანადო გარეშე გაეფენისაგან;
 - დამოუკიდებლობა სასამართლო კორპუსის შიგნით;
 - მოსამართლის როლი.

აღნიშნული საკითხების განხილვისას, ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო ეცადა განესაზღვრა რამდენიმე მაგალითი დამოუკიდებლობის შეზღუდვის საშიშროებასთან დაკავშირებული იმ სიძნელეებისა, რომლებმაც საბჭოს ყურადღება მიიპყრო. შემდეგ, საბჭომ დაადგინა განხილული პრინციპების მნიშვნელობა (კერძოდ) - მოსამართლეთა საერთაშორისო სასამართლოებში დანიშვნის და უფლებამოსილების ვადის გაგრძელების წესები და პრაქტიკა. ეს საკითხი განხილულია პუნქტებში 52, 54-55.

სამოსამართლო დამოუკიდებლობის დასაბუთება

10. სასამართლოს დამოუკიდებლობა კანონის უზენაესობის წინაპირობასა და სამართლიანი პროცესის ფუნდამენტურ გარანტიას წარმოადგენს. მოსამართლეებს “ეკისრებათ მოქალაქეების სიცოცხლის, თავისუფლებების, უფლებების, მოვალეობებისა და ქონების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღების ვალდებულება” (ციტატა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძირითადი პრინციპებიდან, რომელიც ემორდება პეკინის დეკლარაციასა და ადამიანის უფლებების ევროპის კონვენციის მე-5 და მე-9 მუხლებში). მათი დამოუკიდებლობა არ არის პრეროგატივა ან პრივილეგია მათი პირადი ინტერესებისათვის, არამედ ის კანონის უზენაესობისა და მართლმსაჯულების მაძიებელი პირების ინტერესებს უნდა ემსახურებოდეს.
11. ასეთი დამოუკიდებლობა უნდა არსებობდეს ზოგადად საზოგადოებასთან მიმართებით და მოსამართლის მიერ განსახილველი საქმის მხარეებთან ურთიერთობებში. სასამართლო თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოს სამი თანასწორუფლებიანი საფუძვლიდან ერთ-ერთია. მას მნიშვნელოვანი როლი და ფუნქცია ეკისრება დანარჩენ ორ შტოსთან კავშირში. ის უზრუნველყოფს, რომ მთავრობა და ადმინისტრაცია პასუხს აგებდნენ თავიანთ ქმედებაზე, ხოლო საკანონმდებლო ხელისუფლებასთან მიმართებით უზრუნველყოფს, რომ სათანადო წესით მიღებული კანონების აღსრულება ხდებოდეს და მეტ-ნაკლებად შეესაბამებოდეს კონსტიტუციას ან უზენაეს კანონს (როგორცაა ევროგაერთიანების კანონმდებლობა). ამ თვალსაზრისით, მისი როლის შესასრულებლად, სასამართლო კორპუსი აღნიშნული შტოებისაგან დამოუკიდებელი უნდა იყოს, რაც მოიცავს ამ შტოებთან არასათანადო კავშირებისაგან და მათი გავლენისაგან თავისუფლებას. აქედან გამომდინარე, დამოუკიდებლობა მიუკერძოებლობის გარანტიას წარმოადგენს. რა თქმა უნდა, ამას გავლენა აქვს მოსამართლის კარიერის თითქმის ყველა აქვექტზე: ტრენინგიდან დანიშვნამდე და დაწინაურებიდან დისციპლინურ პასუხისმგებლობამდე.
12. სამოსამართლო დამოუკიდებლობა გულისხმობს მოსამართლის სრულ მიუკერძოებლობას. ნებისმიერ მხარეებს შორის საქმის განხილვისას, მოსამართლეები ვალდებული არიან იყენენ მიუკერძოებელნი, ე.ი. თავისუფალნი ნებისმიერი კავშირისაგან, მიკერძოებისაგან, წინასწარ შექმნილი აზრისაგან, რომელსაც აქვს, ან შეიძლება იქონიოს გავლენა მათ შესაძლებლობაზე დამოუკიდებლად მიიღონ გადაწყვეტილება. ამ თვალსაზრისით, სამოსამართლო დამოუკიდებლობა შემდეგი პრინციპის ფუნდამენტური გამოხატულებაა: “არაენი შეიძლება იყოს მოსამართლე საკუთარ საქმეზე”. ამ პრინციპის მნიშვნელობა ნებისმიერ დავაზე კონკრეტული მხარის გარკვეული ინტერესების სფეროს სცდება. სასამართლო ხელისუფლება უნდა სარგებლობდეს ნდობით არა მხოლოდ კონკრეტულ დავაზე მხარეების მხრიდან, არამედ მთლიანად საზოგადოების მხრიდან. აქედან გამომდინარე, მოსამართლე რეალურად არა მხოლოდ ნებისმიერი არასათანადო კავშირისაგან უნდა იყოს თავისუფალი, არამედ ის ასეთი კავშირისაგან თავისუფალი გონიერი დამკვირვებლის თვალშიც უნდა იყოს.
13. როგორც ზემოთ აღინიშნა, სამოსამართლო დამოუკიდებლობის დასაბუთება წარმოადგენს პრაქტიკული დასკვნების გასაღებს, კერძოდ იმ პირობებისა,

რომლებიც აუცილებელია ამ დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად და მისი მისაღწევი გზებისა როგორც საკონსტიტუციო, ისე უფრო დაბალ საკანონმდებლო დონეებზე და ცალკეულ სახელმწიფოებში ყოველდღიურ პრაქტიკაშიც. წინამდებარე დასკვნაში ძირითადი ყურადღება ეთმობა სამოსამართლო დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის ზოგად ინსტიტუციონალურ ჩარჩოებსა და გარანტიებს საზოგადოებაში და არა მოსამართლის ნებისმიერ საქმეზე პირადი მიუკერძოებლობის პრინციპს (როგორც ფაქტებთან, ისე მათ გამოვლინებასთან მიმართებით). მიუხედავად იმისა, რომ ეს სფეროები ურთიერთდაკავშირებულია, სასურველია, რომ მეორე საკითხი განხილულ იქნას ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს მიერ მოსამართლეთა საქმიანობის და სამოსამართლო ქცევის სტანდარტების შესწავლის კონტექსტში.

დონე, რომელზეც სამოსამართლო დამოუკიდებლობა გარანტირებულია

14. სამოსამართლო დამოუკიდებლობა ეროვნული სტანდარტებით რაც შეიძლება მაღალ დონეზე უნდა იყოს გარანტირებული. აქედან გამომდინარე, სახელმწიფოებმა სამოსამართლო დამოუკიდებლობის კონცეფცია კონსტიტუციაში უნდა მოაწესრიგონ, ან ისეთ ქვეყნებში, სადაც დაწერილი კონსტიტუცია არ არსებობს, მაგრამ სამოსამართლო დამოუკიდებლობისადმი პატივისცემა გარანტირებულია მრავალსაუკუნოვანი კულტურითა და ტრადიციებით, ძირითად პრინციპებში უნდა დანერგონ. ეს ხაზს უსვამს დამოუკიდებლობის განსაკუთრებულ მნიშვნელობას, თუმცა ამავე დროს აღიარებულია საერთო სამართლის სისტემის ქვეყნების განსაკუთრებული პოზიცია (კერძოდ, ინგლისი და შოტლანდია), სადაც სამოსამართლო დამოუკიდებლობის მრავალწლიანი ტრადიცია არსებობს, თუმცა დაწერილი კონსტიტუცია კი – არა.
15. გერთიანებული ერების ორგანიზაციის ძირითადი პრინციპები ითვალისწინებს, რომ სამოსამართლო დამოუკიდებლობა “გარანტირებულია სახელმწიფოს მიერ და უზრუნველყოფილია კონსტიტუციით ან ქვეყნის კანონმდებლობით”. რეკომენდაციაში № R 94 (12) ხაზგასმულია (12. პრინციპის პირველი წინადადება), რომ “სამოსამართლო დამოუკიდებლობა გარანტირებულია (აღამიანის უფლებების ევროპის კონვენციის) კონვენციის დებულებების შესაბამისად და კონსტიტუციური პრინციპებით, მაგალითად კონსტიტუციაში და სხვა საკანონმდებლო აქტებში კონკრეტული პრინციპების მოწესრიგებით, აგრეთვე წინამდებარე რეკომენდაციის დებულებების სახელმწიფოს შიდა კანონმდებლობაში დანერგვით”.
16. მოსამართლეთა სტატუსის შესახებ ევროპულ ქარტიაში მოცემულია უფრო კონკრეტული დებულება: “ევროპის ყველა სახელმწიფოში, მოსამართლეთა ძირითადი პრინციპები სტატუსის შესახებ უნდა დაინერგოს შიდა ნორმებში უმაღლეს დონეზე, ხოლო შესაბამისი წესები – ნორმებში საკანონმდებლო დონეზე მაინც”. ევროპული ქარტიის ზემოაღნიშნულმა, უფრო კონკრეტულმა დებულებამ ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს სრული მხარდაჭერა მოიპოვა. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს რეკომენდაცია სწორედ ამ დებულების მიღება და არა ნაკლებად კონკრეტული დებულებისა, რომელიც მოცემულია რეკომენდაციის № R 94 (12) პირველ წინადადებაში.

17. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძირითად პრინციპებში (პუნქტი 13) ნათქვამია შემდეგი - "არჩეულ თუ დანიშნულ მოსამართლეებს უზრუნველყოფილი უნდა ჰქონდეთ თანამდებობაზე ყოფნის ვადა საპენსიო ასაკამდე, ან მათი მოსამართლე ყოფნის ვადის ამოწურვამდე, თუ ასეთი არსებობს". ამავ საკითხთან დაკავშირებით რეკომენდაციაში № 94 (12) ცალსახად არის ნათქვამი: "მოსამართლეთა პროფესიულ კარიერასთან დაკავშირებული ყველა გადაწყვეტილება ობიექტურ კრიტერიუმებს უნდა ეყრდნობოდეს, ხოლო მოსამართლეთა შერჩევა და კარიერული წინსვლა უნდა ეფუძნებოდეს დამსახურებას, კვალიფიკაციის, მორალური თვისებების, უნარებისა და ეფექტურობის გათვალისწინებით". რეკომენდაციაში № 94 (12) განმარტებულია, რომ ეს პრინციპი ვრცელდება ნებისმიერ პირზე, რომელიც სამოსამართლო ფუნქციას ასრულებს იმ პირების ჩათვლით, რომლებიც საკონსტიტუციო, სისხლის სამართლის, სამოქალაქო, კომერციული და ადმინისტრაციული სამართლის საკითხებზე მუშაობენ (ასევე გარკვეულ შემთხვევებში არაპროფესიონალ იურისტ მოსამართლეებზეც და სხვა პირებზე, რომლებიც სამოსამართლო ფუნქციებს ასრულებენ). აქედან გამომდინარე, არსებობს საერთო კონსენსუსი, რომ მოსამართლეთა დანიშვნა უნდა განხორციელდეს "პირადი თვისებების გათვალისწინებით", "ობიექტური კრიტერიუმების საფუძველზე" და ამასთან, კანდიდატის პოლიტიკური შეხედულებები არ უნდა იქნას გათვალისწინებული.
18. ძირითად პრობლემად რჩება (ა) როგორი შინაარსი უნდა მიეწიოს "დამსახურებისა და ობიექტურობის საფუძველზე" დანიშნის მოთხოვნას და (ბ) როგორ უნდა მოხდეს თეორიისა და პრაქტიკის გაერთიანება. ეს თემა მკიდრო კავშირშია შემდეგ ორ თემასთან (დანიშნის განმახორციელებელი ორგანო და უფლებამოსილების განხორციელების ვადა).
19. ზოგიერთ ქვეყანაში მოსამართლეთა დანიშნის პროცესზე პირდაპირი პოლიტიკური გავლენა კონსტიტუციაშია გაწერილი. იქ, სადაც მოსამართლეთა არჩევა ხდება (როგორც ეს შვეიცარიაში ხდება, მოსახლეობის მიერ კანტონების დონეზე ან შვეიცარიის პარლამენტის მიერ ფედერალურ დონეზე; სლოვენიაში და "იუგოსლავიის ყოფილ რესპუბლიკა მაკედონიაში", გერმანიის ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოში და იტალიაში საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა ნაწილი), მიზანი ცალსახად ის არის, რომ სასამართლო ხელისუფლებას მისი ფუნქციის შესრულებისას გარკვეული პირდაპირი დემოკრატიული საფუძველი მიეწიოს. თუმცა, დაუშვებელია მოსამართლეთა დანიშვნა, ან დაწინაურება ვიწრო პოლიტიკურ შეხედულებებს ექვემდებარებოდეს. იმ შემთხვევებში, როდესაც არსებობს რაიმე სახის რისკი მაინც, რომ ეს მოხდება ან შეიძლება მოხდეს სწორედ ამ სახით, ასეთი მეთოდი უფრო სახიფათოა, ვიდრე ეფექტური.
20. იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც არსებობს ცალკეული ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია მოსამართლეთა დანიშვნაზე და დაწინაურებაზე, პრაქტიკაში, პოლიტიკური შეხედულებების გააღრმავებული არ არის. მაგალითად, სორვატიაში, უმაღლესი სამოსამართლო საბჭო, რომელიც 11 წევრისაგან შედგება (რომელთაგან 7 მოსამართლეა, 2 ადვოკატი და 2 პროფესორი), პასუხისმგებელია მოსამართლეთა დანიშვნაზე, თუმცა იუსტიციის სამინისტრო უწყებამოსილია დააყენოს წინადადება, რომ ეს 11

წვერი არჩეულ იქნას ხორვატიის პარლამენტის წარმომადგენლობითი პალატის მიერ და უმაღლესი სამოსამართლო საბჭო ვალდებულია მოსამართლეთა დანიშვნასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე კონსულტაციები აწარმოოს ხორვატიის პარლამენტის სამოსამართლო საკითხების კომიტეტთან, რომელიც იმ პარტიის მიერ არის კონტროლირებადი, რომელიც ამ მომენტისათვის მთავრობაშია. მიუხედავად იმისა, რომ ხორვატიის შეცვლილი კონსტიტუციის მე-4 მუხლით გათვალისწინებულია ძალაუფლების დანიშნულების პრინციპი, იქ ნათქვამია, რომ ეს მოიცავს “ერთობლივი თანამშრომლობისა და ხელისუფლების ორგანოების კონტროლის ყველა ფორმას”, რაც რა თქმა უნდა, არ გამორიცხავს მოსამართლეთა დანიშვნაზე ან მათ დაწინაურებაზე პოლიტიკურ გავლენას. ირლანდიაში, მიუხედავად იმისა, რომ იქ მოსამართლეების დანიშნეული კომისია საერთოდ არ არსებობს, პოლიტიკურ შეხედულებებს მაინც შეუძლიათ გავლენა იქონიონ იუსტიციის მინისტრის გადაწყვეტილებაზე, თუ რომელი კანდიდატი იქნება დანიშნული კომისიის მიერ დამტკიცებულ კანდიდატთაგან (კომისია არანაირ როლს არ თამაშობს დაწინაურების პროცესშიც).

21. რაც შეეხება სხვა ქვეყნებს, ამჟამად არსებობს განსხვავება კარიერული სამოსამართლო მუშაკების ქვეყნებსა (სამოქალაქო სამართლის ქვეყნების უმრავლესობა) და იმ ქვეყნებს შორის, სადაც მოსამართლეთა დანიშვნა გამოცდილი პრაქტიკოსების წრიდან ხდება (მაგალითად, საერთო სამართლის ქვეყნები, როგორცაა კეიპროსი, მალტა, ან გაერთიანებული სამეფო და დანიის ტიპის სხვა ქვეყნები).
22. კარიერული სამოსამართლო მუშაკების ქვეყნებში, კარიერულ მოსამართლეთა საწყისი დანიშვნა, როგორც წესი, დამოკიდებულია გამოცდის ჩატარების ობიექტურ შედეგებზე. შესაბამისად, დგება რამდენიმე საკითხი: (ა) საკმარისია თუ არა მხოლოდ კონკურენტუნარიანი გამოცდა – ხომ არ არის აუცილებელი პირადი თვისებების შეფასება, პრაქტიკული უნარჩვევების სწავლება, ხოლო შემდგომ გამოცდის საშუალებით შემოწმება? (ბ) აუცილებელია თუ არა, რომ აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელი ორგანო ამ ეტაპზე ჩაერიოს – მაგალითად, ავსტრიაში Personalsenates (რომელიც 5 მოსამართლისაგან შედგება) აქვს ოფიციალური შესაძლებლობა რეკომენდაცია გაუწიოს მოსამართლეთა დაწინაურებას, თუმცა მოსამართლეთა დანიშვნის პროცესში ასეთი უფლებით არ სარგებლობს.
23. მეორეს მხრივ, იქ, სადაც მოსამართლეები ინიშნებიან, ან შეიძლება დანიშნულ იქნან გამოცდილი პრაქტიკოსების წრიდან, გამოცდების ჩატარების აუცილებლობა საეჭვოა, ხოლო დანიშვნის საფუძველი უფრო მეტად პრაქტიკული უნარ-ჩვევები და სხვა პირებთან კონსულტაცია უნდა იყოს, რომლებსაც შესაბამისი კანდიდატის სამუშაო გამოცდილების შესახებ უშუალო ინფორმაცია აქვთ.
24. ყველა ზემოაღნიშნულ შემთხვევაში, აუცილებელია ობიექტური სტანდარტები არა იმიტომ, რომ პოლიტიკური გავლენის გამორიცხვა მოხდეს, არამედ სხვა მოსაზრებებიდან გამომდინარეც. უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება ფავორიტიზმი, კონსერვატიზმი და კორპორატიზმი (ან “კლონირება”), რაც

არსებობს, თუ დანიშნა ხდება გარკვეული პროცედურის დაცვის გარეშე, ან პირადი რეკომენდაციის საფუძველზე.

25. ნებისმიერი “ობიექტური კრიტერიუმი”, რომელიც მიმართულია იმისაკენ, რომ “მოსამართლეთა დანიშნა და დაწინაურება ეყრდნობოდეს დამსახურებას, კვალიფიკაციას, მორალურ თვისებებს, პროფესიონალიზმსა და ეფექტურობას”, გაწერილია განზოგადებულ ფორმულირებებში. მიუხედავად ამისა, მნიშვნელოვანია თუ რა შინაარსი ექნებათ ამ დებულებებს თითოეულ კონკრეტულ სახელმწიფოში და როგორ მოხდება მათი გამოყენება. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს რეკომენდაციით, ორგანოები, რომლებიც წევრ სახელმწიფოში პასუხისმგებელი არიან მოსამართლეთა დანიშნასა და დაწინაურებაზე და ამ საკითხებზე რეკომენდაციების გაწევაზე, ვალდებული არიან შეიმუშაონ, გამოაქვეყნონ და აამოქმედონ ობიექტური კრიტერიუმები იმის უზრუნველყოფის მიზნით, რომ მოსამართლეთა შერჩევა და კარიერა “ემყარებოდეს დამსახურებას, კვალიფიკაციის, მორალური თვისებების, პროფესიონალიზმისა და ეფექტურობის გათვალისწინებით”. მას შემდეგ რაც, აღნიშნული რეკომენდაცია შესრულდება, შესაბამისი ორგანოები ან უწყებები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან მოსამართლეთა ნებისმიერი სახით დანიშნასა და დაწინაურებაზე, ვალდებული იქნებიან იმოქმედონ შესაბამისი წესით. სწორედ ამის შემდეგ გახდება შესაძლებელი მიღებული კრიტერიუმებისა და პრაქტიკული შედეგების საბოლოო ანალიზი.

26. კითხვარზე პასუხები მიუთითებს, რომ მსგავსი გამოქვეყნებული კრიტერიუმები, როგორც წესი, არ არსებობს. ზოგადი კრიტერიუმები გაერთიანებულ სამეფოში ლორდ-კანცლერმა გამოაქვეყნა, ხოლო შოტლანდიის აღმასრულებელმა ორგანოებმა საკონსულტაციო დოკუმენტი გამოსცეს. მოსამართლეთა დაწინაურების კრიტერიუმები ავსტრიულ სამართალშია მოწესრიგებული. ბევრი ქვეყანა უბრალოდ ეყრდნობა მოსამართლეთა დამოუკიდებელი საბჭოების მორალურ ავტორიტეტს, რომლებიც პასუხისმგებელი არიან მოსამართლეთა დანიშნაზე ან კანდიდატების რეკომენდაციაზე, როგორც, მაგალითად, კვიპროსსა და ესტონეთში ხდება. ფინეთში, შესაბამისი საკონსულტაციო ორგანო ადარებს კანდიდატების დამსახურებას და ნებისმიერი მოსამართლის დანიშნის შესახებ წინადადებას, რომელსაც აუცილებლად თან ერთვის გადაწყვეტილების დასაბუთება. ისლანდიაში, კანდიდატურების შემრჩევი კომიტეტი ასევე წარუდგენს იუსტიციის მინისტრს საოლქო მოსამართლის თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატების წერილობით შეფასებას, ხოლო უზენაესი სასამართლო გასცემს რეკომენდაციას უზენაეს სასამართლოში დასანიშნად წარდგენილ კანდიდატებზე. გერმანიაში, როგორც ფედერალურ, ისე – სამხარეო დონეზე, მოსამართლეთა დამნიშნელი საბჭოები უფლებამოსილი არიან წარადგინონ წერილობითი დასკვნები (მიზეზების დეტალური განმარტების გარეშე) კანდიდატების დანიშნისა და დაწინაურების მიზანშეწონილობის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ დასკვნებს იუსტიციის მინისტრისათვის საეკლექტულო ხასიათი არ აქვს, მათ შეიძლება გამოიწვიონ კრიტიკა (ხშირად საჯაროდ) იმ შემთხვევაში, თუ მინისტრი მათ არ გაითვალისწინებს. რაც შეეხება მიზეზების განმარტებას, ეს შეიძლება განხილულ იქნას, როგორც ჯანსაღი პრაქტიკა და შეიძლება უკეთესი წარმოდგენა შექმნას იმ კრიტერიუმების შესახებ, რომლებიც რეალობაში გამოიყენება, თუმცა არსებობს მოსაზრებებიც, რომლებიც კონკრეტულ

შემთხვევებში მიზეზების განმარტებას არ ემხრობა (მაგალითად, მსგავსი კანდიდატების არსებობის შემთხვევაში გადაწყვეტილების გამოტანა და ინფორმაციის წყაროებთან მიმართებით კონფიდენციალურობის დაცვა).

27. ლიტვაში, მიუხედავად იმისა, რომ იქ არ არსებობს მოსამართლეთა დაწინაურების ცალსახა კრიტერიუმები, საოლქო მოსამართლეთა მუშაობის ეფექტურობა ფასდება რიგი რაოდენობრივი და ხარისხობრივი კრიტერიუმით, რომლებიც ეფუძნება ძირითადად სტატისტიკურ მონაცემებს (მათ შორის, სტატისტიკური მონაცემები მოსამართლის გადაწყვეტილებების გაუქმების შესახებ გასაჩივრების შედეგად), რაც ასახულია ანგარიშებში, რომლებიც წარედგინება იუსტიციის სამინისტროს სასამართლო საქმეთა დეპარტამენტს. იუსტიციის მინისტრი მხოლოდ არაპირდაპირ როლს თამაშობს მოსამართლეთა შერჩევასა და დაწინაურებაში. თუმცა, ასეთი კონტროლის სისტემამ "მკაცრი კრიტიკა" გამოიწვია ლიტვის მოსამართლეთა ასოციაციის მხრიდან. სტატისტიკური მონაცემები მნიშვნელოვან საზოგადოებრივ როლს თამაშობენ სასამართლოების აღქმაში, საქმიანობის გაუმჯობესებასა და ეფექტურობაში. თუმცა, ეს მონაცემები მოსამართლეების სხვა თანამდებობაზე დანიშნისა და დაწინაურებისათვის ისევე, როგორც სხვა შემთხვევისათვის ობიექტურ კრიტერიუმებს არ წარმოადგენს. სტატისტიკური მონაცემების ნებისმიერი სახით გამოყენება აღნიშნულ კონტექსტში გადაწყვეტილების მიღებაში დასახმარებლად, დიდ სიფრთხილეს მოითხოვს.
28. ლუქსემბურგში დაწინაურება, როგორც წესი, ემყარება პროფესიულ სტაჟს. ნიდერლანდებში კვლავ არსებობს სისტემის ცალკეული ასპექტები, რომლებიც ეფუძნება სტაჟს, ხოლო ბელგიასა და იტალიაში, მოსამართლეთა დაწინაურება სტაჟისა და კომპეტენტურობის მიხედვით ხდება. ავსტრიაში, მოსამართლეთა დაწინაურების შესახებ რეკომენდაციების თვალსაზრისით, რომლებიც Personalsenates (5 მოსამართლისაგან შემდგარი ორგანო) მიერ გაიცემა იუსტიციის მინისტრის მისამართით, კანონმდებლობა ითვალისწინებს, რომ სტაჟის გათვალისწინება მხოლოდ მსგავსი კანდიდატების შემთხვევაში ხდება.
29. მოსამართლეთა სტატუსის შესახებ ევროპული ქარტია განიხილავს მოსამართლეთა დაწინაურების სისტემებს "რომლებიც სტაჟს არ ეფუძნება" (პუნქტი 4.1.), ხოლო განმარტებით ბარათში ნათქვამია, რომ "ეს არის სისტემა, რომელსაც ქარტია არც ერთ შემთხვევაში არ გამოორიცხავს, რადგან ასეთი სისტემა, როგორც ჩანს, დამოუკიდებლობის ეფექტურ დაცვას უზრუნველყოფს." მიუხედავად იმისა, რომ მოსამართლეების დაწინაურებისათვის აუცილებელია შესაბამისი გამოცდილება, ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს მიაჩნია, რომ თანამდგროვე სამყაროში სტაჟი, ზოგადად აღარ წარმოადგენს მისაღებ კრიტერიუმს მოსამართლეთა დაწინაურების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას. საზოგადოება დაინტერესებულია სასამართლო ხელისუფლების არა მხოლოდ დამოუკიდებლობაში, არამედ მის მაღალ ხარისხშიც, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ცვლილებების ეპოქაში სასამართლო ხელისუფლების ხელმძღვანელთათვის. მოსამართლეთა დაწინაურების სისტემა, რომელიც ექსკლუსიურად სტაჟზეა დამყარებული, პოტენციურად იწვევს დინამიურობით შემცირებას, რაც შეიძლება გამართლებულ იქნას რაიმე სახის უპირატესობით დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

ამასთან, ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს მიიჩნია, რომ მოსამართლის გარკვეული სტაჟის მოთხოვნამ, რომელიც პროფესიით მუშაობის წლების რაოდენობას გულისხმობს, შეიძლება ხელი შეუწყოს დამოუკიდებლობის უზრუნველყოფას.

30. იტალიაში და გარკვეულწილად შვეიცარიაშიც, მოსამართლეთა სტატუსი, ფუნქცია და ანაზღაურება განცალკევებულია. ანაზღაურება თითქმის ავტომატურად უკავშირდება პროფესიულ სტაჟს და როგორც წესი, არ იცვლება სტატუსისა და ფუნქციის მიხედვით. სტატუსი დამოკიდებულია პროფესიულ წინსვლაზე, თუმცა არ არის სავალდებულო, რომ დამოკიდებული იყოს სხვა სასამართლო ორგანოში მუშაობაზე. მაგალითად, მოსამართლემ, რომელიც სააპელაციო სასამართლოში მუშაობს, შეიძლება უპირატესობა მიანიჭოს პირველ ინსტანციაში მოსამართლედ მუშაობას. აქედან გამომდინარე, სისტემის მიზანი მოსამართლეთა დამოუკიდებლობა გაზრდა რაიმე სახის ფინანსური სტიმულის შედეგად, რომლებიც დაწინაურებას და სხვა ფუნქციების შესრულებას უკავშირდება.
31. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭომ განიხილა ქალთა და მამაკაცთა შორის თანასწორობის საკითხიც. ლეიტამერ ჰაუსის ძირითად პრინციპებში ნათქვამია: “სასამართლო ხელისუფლების ნებისმიერ დონეზე დანიშვნა მიმართული უნდა იყოს ქალთა და მამაკაცთა შორის თანასწორობის მიღწევისაკენ”. რაც შეეხება ინგლისს, ლორდ-კანცლერის “სახელმძღვანელო პრინციპები” ითვალისწინებს, რომ დანიშვნა ხდება მხოლოდ და მხოლოდ დადებითი თვისებების საფუძველზე “სქესის, ეთნიკური წარმომავლობის, ოჯახური მდგომარეობის, სექსუალური ორიენტაციის ... მიუხედავად”, თუმცა ამავე დროს, ლორდ-კანცლერი განმარტავს, რომ იგი ეცდება ხელი შეუწყოს როგორც ქალ კანდიდატთა, ისე ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა წრის გაფართოებას. ორივე ეს ამოცანა სრულად გამართლებულია. აესტრიის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აესტრიაში, როდესაც არსებობს ორი, მსგავსი კვალიფიკაციის კანდიდატი, სპეციალურად დადგენილია, რომ დაინიშნება იმ სქესის კანდიდატი, რომლის წარმომადგენლობა ნაკლებია. მიუხედავად იმისა, რომ წარმომადგენლობის ნაკლებობასთან დაკავშირებულ პრობლემაზე შეზღუდული დადებითი რეაქცია რაიმე სახის სამართლებრივ საკითხთან დაკავშირებული არ არის, ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭომ გამოყო პრაქტიკული სიძნელეები: პირველი - გამოიკვეთა წარმომადგენლობის პოტენციური ნაკლებობის მხოლოდ ერთი სფერო (სქესის ნიშნით), და მეორე - მნიშვნელოვანია განხილულ იქნას თუ კონკრეტულად რას წარმოადგენს წარმომადგენლობის ნაკლებობა დისკრიმინაციის გამო თითოეული ქვეყნის სიტუაციის გათვალისწინებით. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო არ სთავაზობს აესტრიაში არსებული მსაგვის დებულებების მიღებას ერთიანი საერთაშორისო სტანდარტის სახით, თუმცა იგი ხაზს უსვამს თანასწორობის აუცილებლობას ზემოაღნიშნული პრინციპების ანალოგიური “სახელმძღვანელო პრინციპების” შემუშავების გზით.

მოსამართლეთა დანიშნვის განმხორციელებელი და საკონსულტაციო ორგანოები

32. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭომ განიხილა მოსამართლეთა დანიშნვის მრავალი მეთოდი. არსებობს ერთიანი მოსაზრება, რომ მოსამართლეთა დანიშვნა უნდა განხორციელდეს “დამსახურების” მიხედვით.
33. მოსამართლეთა შერჩევისათვის დღევანდელ დღეს გამოყენებულ სხვადასხვა მეთოდს, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები აქვს: შეიძლება ვამტიკიცოთ, რომ არსენები უზრუნველყოფენ პირდაპირი დემოკრატიული ლეგიტიმურობის უფრო მაღალ ხარისხს, თუმცა მეორეს მხრივ, ეს კანდიდატს კამპანიებში და პოლიტიკაში ითრევს, რაც ქმნის ცდუნებას სხვა პირების კეთილგანწყობის მოპოვებისა ან საკუთარი კეთილგანწყობის სხვებისათვის დემონსტრირებისა. ხოლო, არსებული სასამართლო მუშაების მხრიდან თანამშრომლობამ კი შეიძლება ტექნიკურად კვალიფიციური კანდიდატები წარმოშვას, თუმცა დაკავშირებულია კონსერვატიზმის ან კორპორატიზმის (კლონირების) რისკთან – და ზოგიერთი კონსტიტუციური მიდგომის თანახმად, შეიძლება განხილულ იქნას, როგორც სრულიად არადემოკრატიული. შეიძლება ასევე ითქვას, რომ აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ მოსამართლეების დანიშვნა მათ ავტორიტეტს გაზრდის, თუმცა მეორეს მხრივ, ეს დაკავშირებულია მოსამართლეთა ხელისუფლების ამ ორგანოებზე დამოკიდებულების რისკთან. კიდევ ერთი მეთოდი – მოსამართლეების დამოუკიდებელი ორგანოს მიერ დანიშვნაა.
34. არსებობს საშიშროება, რომ არსებული მიდგომების მრავალფეროვნებამ არაპირდაპირ გამოიწვიოს მოსამართლეთა დანიშვნაზე მიუღებელი პოლიტიკური გავლენის გაგრძელება. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭომ აღნიშნა ბატონი ობერტოს, სპეციალისტის მოსაზრება იმის შესახებ, რომ დანიშნვის არაფორმალური პროცედურები და მოსამართლეთა დანიშვნაზე ღია პოლიტიკური გავლენა ზოგიერთ სახელმწიფოში შეუძლებელია დანერგილ იქნას სხვა, დემოკრატიის გზაზე სულ ცოტა ხნის წინ დამდგარ ქვეყნებში, როგორც მოდელი, სადაც მოსამართლეთა დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა აუცილებელია მოსამართლეთა დანიშნვის პოლიტიკური გავლენისაგან სრულიად დამოუკიდებელი ორგანოების შექმნის გზით.
35. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭომ ახალი დემოკრატიული სახელმწიფოს მაგალითის სახით, აღნიშნა, რომ ჩეხეთის რესპუბლიკაში მოსამართლეთა დანიშვნას ჩეხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ახორციელებს იუსტიციის მინისტრის წარდგინებით, ხოლო მოსამართლეთა დაწინაურება (მათ შორის უფრო მაღალი ინსტანციის სასამართლოში გადაყენება, ან სასამართლოს თავმჯდომარის ან თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე დანიშვნა) პრეზიდენტის ან მინისტრის მიერ ხდება. აქ არ არსებობს უმაღლესი სასამართლო საბჭო, თუმცა მოსამართლეები სხვადასხვა კომიტეტების წევრებს არიან, რომლებიც მოსამართლეობის კანდიდატებს არჩევენ.

36. ამჟამად, რეკომენდაციაში № 94 (12) დაკონკრეტებულია ამ სფეროსთან დაკავშირებული პოზიცია. რეკომენდაციის ტექსტი იწყება მოსამართლეთა დანიშვნის დამოუკიდებელი ორგანოს როლის აღწერით: “ორგანო, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს მოსამართლეთა შერჩევისა და კარიერის შესახებ, მთავრობისა და ადმინისტრაციისაგან დამოუკიდებელი უნდა იყოს”.

ხოლო შემდეგ, რეკომენდაციაში ჩადებულია დამატებითი ანალიზი და შემოთავაზებულია სრულიად განსხვავებული სისტემა:

“თუმცა, იქ სადაც კონსტიტუციური, ან სამართლებრივი დებულებები და ტრადიციები მოსამართლეების მთავრობის მიერ დანიშვნის შესაძლებლობას იძლევა, უნდა არსებობდეს გარანტიები მოსამართლეთა პრაქტიკაში დანიშვნის პრცედურების გამჭვირვალობისა და დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად და იმისათვის, რომ არ არსებობდეს ზეგავლენა სხვა მიზეზებიდან გამომდინარე, გარდა ზემოაღნიშნული ობიექტური კრიტერიუმებისა”.

“გარანტიების” მაგალითები ფართო არჩევანის საშუალებას იძლევა ფორმალური პროცედურების ფარგლებს გარეთ – ეს შეიძლება იყოს სპეციალური, რეკომენდაციების გამცემი ორგანო, რომელსაც სახელმწიფო “პრაქტიკაში იცავს”, ეს შეიძლება ასევე მოიცავდეს “გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებას დამოუკიდებელ ორგანოში” და ბოლოს და ბოლოს ზოგად შესაძლებლობას (რომელიც კონკრეტულ ფორმულირებებში ასახული არ არის), რომ თუ “ორგანო, რომელიც გადაწყვეტილებებს იღებს, გარანტიას იძლევა, რომ გამორიცხული იქნება არასათანადო და უადგილო გავლენა”.

37. მოცემული ფორმულირება დამყარებულია პირობებზე, რომლებიც 1994 წელს იქნა შემუშავებული. თუმცა, ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო უკმაყოფილოა აღნიშნული პირობების საკმაოდ ბუნდოვანი და გაუგებარი ხასიათის გამო გაფართოებული ევროპის კონტექსტში, სადაც კონსტიტუციური ან სამართლებრივი “ტრადიციები” საკმაოდ ვეჭვტურად მოქმედებს და სადაც ფორმალური პროცედურები უბრალოდ აუცილებელია და მათი უარყოფა საშიშია. აქედან გამომდინარე, ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს მიაჩნია, რომ მოსამართლის დანიშვნასთან ან კარიერასთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილება უნდა ემყარებოდეს ობიექტურ კრიტერიუმებს და მიღებულ უნდა იქნას დამოუკიდებელი ორგანოს მიერ, ან უზრუნველყოფილი უნდა იქნას გარანტიები იმისა, რომ ასეთი გადაწყვეტილება მიიღებოდეს მხოლოდ და მხოლოდ აღნიშნული კრიტერიუმების საფუძველზე.

38. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭომ აღიარა, რომ მას არ შეუძლია ამ თვალსაზრისით წინსვლა იმ სისტემების მრავალფეროვნების გათვალისწინებით, რომლებიც ამჟამად არსებობს ევროპის სახელმწიფოებში. მიუხედავად ამისა, ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო წარმოადგენს საკონსულტაციო ორგანოს, რომლის პერეოგატივია როგორც არსებული სტანდარტებისა და პრაქტიკის შესაძლო ცვლილებების განხილვა, ისე საყოველთაოდ აღიარებული სტანდარტების შემუშავება. გარდა ამისა, მოსამართლეთა სტატუსის შესახებ ევროპული ქარტია მნიშვნელოვნად უსწრებს წინ რეკომენდაციას № 94 (12), რადგან ქარტია შეძლებს ითვალისწინებს:

“მოსამართლის შერჩევასთან, დაკირავებასთან, დანიშვნასა და კარიერულ შიდასთან ან უფლებამოსილების შეწყვეტასთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას, სტატუტი თვალისწინებს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელი ორგანოს ჩარევას, რომლის შემადგენლობის ნახევარზე მეტი მათი კოლეგების მიერ არსებული მოსამართლეებისაგან შედგება ისეთი მეთოდით, რომელიც უსრუნველყოფს სასამართლო კორპუსის რაც შეიძლება ფართო წარმომადგენლობას”.

39. განმარტებით ბარათში ნათქვამია, რომ დამოუკიდებელი ორგანოს “ჩარევა” მოიაზრება საკმაოდ ფართო გაგებით და მოიცავს დასკვნას, რეკომენდაციას ან წინადადებას ისევე, როგორც თვით გადაწყვეტილებას. ევროპული ქარტია აქაც მრავალ ევროპულ ქვეყანაში არსებული პრაქტიკის ჩარჩოებს სცდება. (გასაკვირი არ არის, რომ უმაღლესი სამოსამართლო საბჭოების წარმომადგენლები და მოსამართლეთა ასოციაციების წევრები თავიანთ სხდომაზე 1997 წლის 23-26 ივნისს, ვარშავაში საუბრობდნენ სასამართლოს უფრო მეტი “კონტროლის” აუცილებლობის შესახებ მოსამართლეთა დანიშვნის და მათი დაწინაურების საკითხში, ვიდრე ეს გათვალისწინებულია ევროპული ქარტით).
40. კითხვარზე პასუხები მიუთითებს, რომ ევროპის სახელმწიფოთა უმრავლესობამ შექმნა საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელი ორგანო, რომელიც განსაკუთრებულ, ან ნაკლებად მნიშვნელოვან როლს თამაშობს მოსამართლეთა დანიშვნის და დაწინაურების (სადაც ეს სისტემა არსებობს) პროცესში; მაგალითის სახით, შეიძლება დასახელდეს ანდორა, ბელგია, დანია, ირლანდია, ისლანდია, იტალია, კვიპროსი, ლიტვა, “ყოფილი იუოგსლავიის რესპუბლიკა მაკედონია”, მოლდავეთი, ნიდერლანდები, ნორვეგია, პოლონეთი, რუმინეთი, რუსეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, თურქეთი, ფინეთი, საფრანგეთი და ესტონეთი.
41. ასეთი ორგანოს არარსებობა ჩეხეთის რესპუბლიკის სუსტი წერტილია. მაღტაში მსგავსი ორგანო არსებობს, თუმცა ნაკლის სახით შეიძლება აღინიშნოს ის, რომ მოსამართლეების დანიშვნასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიმდებ ორგანოსთან კონსულტაციებს სავალდებულო ხასიათი არ აქვს. რაც შეეხება ხორვატიას, პრობლემის სახით განხილულ იქნა მსგავს ორგანოზე პოტენციურად პოლიტიკური გაელენის არსებობის შესაძლებლობა.
42. უმაღლესი სამოსამართლო საბჭოები, რომლებიც ევროპული ქარტიის მოთხოვნებს აკმაყოფილებს, სამი მაგალითის სახით შეიძლება დასახელდეს შემდეგი სისტემები:
- იტალიის კონსტიტუციის 104 მუხლის თანახმად, ასეთი საბჭო შედგება რესპუბლიკის პრეზიდენტის, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, საკასაციო სასამართლოს გენერალური პროკურორის, 20 სასამართლო ორგანოს მიერ არჩეული მოსამართლის და 10 პარლამენტის მიერ ერთობლივ სხდომაზე არჩეული წევრისაგან უნივერსიტეტის პროფესორებისა და 15 წლიანი სტაჟით ადვოკატების წრიდან. 105-ე მუხლის შესაბამისად, საბჭოს მოვალეობაა “მოსამართლეთა დანიშვნა, შერჩევა, გადაყვანა, დაწინაურება და დისციპლინური ღონისძიებების განხორციელება მოსამართლეების მიმართ სასამართლო სისტემის ორგანიზების წესების შესაბამისად”.

- 1997 წელს სასამართლო რეფორმის შესახებ მიღებული კანონების შედეგად, უნგრეთში შეიქმნა ეროვნული სამოსამართლო საბჭო, რომელიც ახორციელებს სასამართლო აღმინისტრაციის ფუნქციებს, მათ შორის მოსამართლეების დანიშვნას. საბჭო შედგება უზენაესი სასამართლოს წარმომადგენლის (საბჭოს თავმჯდომარე), 9 მოსამართლის, იუსტიციის მინისტრის, გენერალური პროკურორის, ადვოკატთა კოლეგიის თავმჯდომარის და პარლამენტის ორი დეპუტატისაგან.
 - თურქეთში, უმაღლესი საბჭო არჩევს და აწინაურებს როგორც მოსამართლეებს, ისე პროკურორებს. საბჭო შეიქმნა წევრისაგან შედგება, მათ შორის საკასაციო სასამართლოს ან სახელმწიფო საბჭოს ხუთი მოსამართლისაგან.
43. საერთო სამართლის ქვეყნის მაგალითის სახით შეიძლება განვიხილოთ ირლანდია, სადაც 1995 წლის სასამართლოებისა და სასამართლო მუშაკების შესახებ აქტის მე-13 თავის შესაბამისად შეიქმნა მოსამართლეთა დანიშვნის საბჭო, რომლის მიზანია “კანდიდატების შერჩევა და მთავრობის ინფორმირება, რომ შერჩეული კანდიდატები გამოდგებიან მოსამართლის თანამდებობაზე დანიშნისათვის”. საბჭო ცხრა წევრისაგან შედგება, კერძოდ: უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, უზენაესი სასამართლოს, საოლქო და რაიონული სასამართლოს სამი წარმომადგენელი, გენერალური პროკურორი, პრაქტიკოსი ადვოკატი, რომელსაც ადვოკატთა კოლეგიის თავმჯდომარე ნიშნავს, პრაქტიკოსი ადვოკატი, რომელსაც სამართლის საზოგადოება ნიშნავს და იუსტიციის სამინისტროს მიერ დანიშნული სამი პირი, რომლებიც კომერციის, ფინანსების ან აღმინისტრირების სფეროში მუშაობენ, აქვთ შესაბამისი ცოდნა ან გამოცდილება, როგორც სასამართლო მომსახურების მომხმარებლები. თუმცა, ეს სისტემა პოლიტიკურ გავლენას აღნიშნულ პროცესზე სრულად არ გამოიხატავს.
 44. მოდელი, რომელიც გერმანიაში არსებობს (იხ. ზემოთ) მოიცავს საბჭოებს, რომელთა როლიც შეიძლება ერთმანეთისაგან განსხვავებულად ფუნქციონირებდეს და სამხარეო სასამართლოს ან სასამართლოს ინსტანციის მიხედვით. არსებობს საბჭოები, რომლებიც მოსამართლეებს ნიშნავენ და რომელთა როლი მხოლოდ საკონსულტაციო ხასიათისაა. გარდა ამისა, გერმანიის რიგ მხარეებში მოსამართლეების შერჩევა შესაბამისი მინისტრისა და მოსამართლეთა შესარჩევი კომიტეტების მიერ ხდება. როგორც წესი, აღნიშნული კომიტეტები ვეტოს უფლებით სარგებლობენ. ისინი ხშირად პარლამენტის წევრებისაგან, კოლეგიის მიერ არჩეული მოსამართლეებისაგან და ადვოკატისაგან შედგება. გერმანიაში, იუსტიციის მინისტრის აღნიშნულ პროცესში მონაწილეობა მიიჩნევა დემოკრატიის მნიშვნელოვან ასპექტად, რადგან მინისტრი ანგარიშვალდებულია პარლამენტის მიმართ. კონსტიტუციური თვალსაზრისით, მნიშვნელოვნად ითვლება, რომ მოსამართლეთა დანიშნეული ორგანო მხოლოდ მოსამართლეებისაგან არ უნდა შედგებოდეს ან მის წევრთა უმრავლესობას მოსამართლეები არ უნდა წარმოადგენდნენ.
 45. ისეთ სამართლებრივ სისტემებშიც კი, სადაც დაცულია მაღალი სტანდარტები ტრადიციების ან არაფორმალური თვითდისციპლინის შედეგად, და რომლებიც, როგორც წესი, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიერ კონტროლდება, ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში უფრო და უფრო მეტად ხდება უფრო ობიექტური და ფორმალური გარანტიების აუცილებლობის აღიარება. სხვა სახელმწიფოებში, განსაკუთრებით ყო-

ფილ სოციალისტურ ქვეყნებში, ასეთი გარანტიების აუცილებლობა უაღრესად აქტუალურია. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს მიანია, რომ ევროპული ქარტია, რომელიც ემხრობა დამოუკიდებელი ორგანოს ჩარევას (საკმაოდ ფართო გაგებით, მათ შორის დასკვნები, რეკომენდაციები ან წინადადებები ისევე, როგორც პრაქტიკული გადაწყვეტილებები), რომელშიც მოსამართლეების მიერ არჩეული კოლეგები ფართოდ არიან წარმოდგენილი – ზოგადი მიმართულებით მიდის, რომელიც ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს აზრით, მნიშვნელოვანი რეკომენდაციაა. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ქვეყნებისათვის, სადაც არ არსებობს სხვაგვარი, დიდი ხნის წინ დამკვიდრებული და დემოკრატიული გზით გამოცდილი სისტემები.

უფლებამოსილების ვადა – დანიშნის პერიოდი

46. ყველა დოკუმენტში – გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძირითად პრინციპებში, რეკომენდაციაში № 94 (12) და მოსამართლეთა სტატუტის შესახებ ევროპულ ქარტიაში საუბარია გარკვეული ვადით დანიშნის შესაძლებლობის შესახებ და არა ოფიციალურად დადგენილი საპენსიო ასაკის მიღწევამდე უფლებამოსილების შესრულების შესახებ.
47. ევროპული ქარტიის 33. პუნქტში ასევე საუბარია იმაზე, რომ მოსამართლეთა შერჩევის პროცედურები ითვალისწინებს “საცდელ ვადას, რომელიც უნდა იყოს მცირე, მოსამართლის თანამდებობაზე დანიშნის შემდეგ, მაგრამ თანამდებობაზე მუდმივად დამტკიცებამდე”.
48. ევროპის ქვეყნების პრაქტიკა, როგორც წესი, იმაში მდგომარეობს, რომ მოსამართლეები ინიშნებიან სრული განაკვეთით ოფიციალური საპენსიო ასაკის მიღწევამდე. ასეთი მიდგომა ნაკლებ პრობლემას ქმნის დამოუკიდებლობის თვალსაზრისით.
49. სამოქალაქო სამართლის მრავალ სისტემაში გათვალისწინებულია ახალი მოსამართლეების პროფესიული მომზადების ან სტაჟირების ვადები.
50. ზოგიერთ ქვეყანაში, მოსამართლეების დანიშვნა ხდება შეზღუდული ვადით (მაგალითად, გერმანიის ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოში - 12 წლის ვადით). როგორც წესი, მოსამართლეების დანიშვნა შეზღუდული ვადით ხდება საერთაშორისო სასამართლოებში (მაგალითად, ევროპის სასამართლო და ევროპის ადამიანის უფლებების სასამართლო).
51. ზოგიერთ ქვეყანაში ფართოდ გამოიყენება მოსამართლის მოადგილის ინსტიტუტი, რომელთა უფლებამოსილების ვადა შეზღუდულია, ან რომლებიც ნაკლებად არიან დაცულნი, ვიდრე მოსამართლეები, რომლებიც სრული განაკვეთით მუშაობენ (მაგალითად, გაერთიანებულ სამეფოში და დანიაში).
52. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს მიანია, რომ იმ კონკრეტულ შემთხვევებში, როდესაც სრულ განაკვეთზე მომუშავე მოსამართლეების

დანიშნა შეზღუდული ვადით ხდება, უფლებამოსილების ვადის გაგრძელება დაუშვებელი უნდა იყოს, თუ არ არსებობს ისეთი პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფენ, რომ:

- მოსამართლე, თუ მას ამის სურვილი აქვს, დანიშნის განმახორციელებელი ორგანოს მიერ განხილულ იქნას, როგორც კანდიდატი ხელახალი დანიშნისას და
- ხელახალი დანიშნის შესახებ გადაწყვეტილება მიღებულ იქნას სრულიად ობიექტურად და დამსახურების საფუძველზე, რაიმე პოლიტიკური მოსაზრებების გათვალისწინების გარეშე.

53. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს მიაჩნია, რომ როდესაც მოსამართლედ დანიშნა დროებით ან შეზღუდული ვადით ხდება, ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია სრულ განაკვეთზე მომუშავე მოსამართლეთა დანიშნის ან ხელახალი დანიშნის მეთოდის გამჭვირვალობასა და ობიექტურობაზე, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს (იხ. ასევე ევროპული ქარტიის 3.3. პუნქტი).

54. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო აცნობიერებს, რომ მის უფლებამოსილებაში საუბარი არ არის კონკრეტულად იმაზე, რომ მან უნდა გაანალიზოს მოსამართლეთა მდგომარეობა საერთაშორისო დონეზე. ევროპის მოსამართლეთა პოზიცია შემოიფარგლება 1998 წლის (№23) რეკომენდაციით “ბრძენთა ანგარიში”, რომელშიც საუბარია ეროვნულ სასამართლო ინსტიტუტებთან თანამშრომლობის გაღრმავების აუცილებლობაზე და რეზოლუციით №1, რომელიც დამტკიცებულ იქნა ყველა იუსტიციის მინისტრის მიერ 22-ე კონფერენციაზე კიშინიოვში 1998 წლის 17-18 ივნისს. ამ რეზოლუციაში საუბარია ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს როლზე საქმიანობის პროორიტეტული მიმართულებების განხორციელების მხარდაჭერაში, რომლებიც განსაზღვრულია გლობალურ სამოქმედო გეგმაში, “ევროპაში მოსამართლეთა როლის გაძლიერებისა და რეკომენდაციების შემუშავებისათვის . . . იმასთან მიმართებით, არსებობს თუ არა აუცილებლობა იმისა, რომ განახლდეს ევროსაბჭოს იურიდიული ინსტრუმენტები . . .”. საერთო სამოქმედო გეგმა ორიენტირებულია უპირველეს ყოვლისა წვერი სახელმწიფოების შიდა სამართლებრივ სისტემებზე. თუმცა, არ უნდა დაგვაიწყდეს, რომ ევროსაბჭოს წევრობის კრიტერიუმები მოიცავს “იმ ვალდებულებების შესრულებას, რომლებიც გამომდინარეობს ადამიანის უფლებების დაცვის ევროპის კონვენციიდან” და რომ ამ თვალსაზრისით, “ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს იურისდიქციის მიღება, რაც სავალდებულოა საერთაშორისო სამართლის თანახმად, აშკარად წარმოადგენს ევროსაბჭოს უმნიშვნელოვანეს სტანდარტს” (“ბრძენთა” ანგარიში, პუნქტი მე-9).

55. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს მიაჩნია, რომ ეროვნული სამართლებრივი სისტემებისათვის ზენაციონალური სასამართლოების და მათი გადაწყვეტილებების მუდმივად ზრდადმა მნიშვნელობამ გამოიწვია წვერი სახელმწიფოების წაქეზება, პატივი სცენ ასეთ ზენაციონალურ სასამართლოებში მომუშავე მოსამართლეების დამოუკიდებლობის, უფლებამოსილების შეწყვეტის დაუშვებლობის, დანიშნისა და უფლებამოსილების ვადის განცხორციელების პრინციპებს (ეკრძოლ, იხ. ზემოთ, მუსლი 52-ე).

56. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო შეთანხმდა, რომ ევროენული სამართლებრივი სისტემებისა და მოსამართლეებისათვის ევროპის კონვენციისა და ევროკავშირის საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ვალდებულებების მნიშვნელობა, აუცილებელს ხდის მოსამართლეებში, რომლებშიც ამ საერთაშორისო ხელშეკრულებების ინტერპრეტირება ხდება. მოსამართლეთა დანიშვნა და მათი უფლებამოსილების გაგრძელება ისეთივე ნდობას, პატივისცემას და პრინციპებს უნდა ეფუძნებოდეს როგორც ევროენული სისტემები ეფუძნება. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭომ ასევე გაითვალისწინა, რომ 37-ე და 45-ე მუხლებში აღნიშნული დამოუკიდებელი ორგანოს ჩარევას ხელი უნდა შეეწყოს საერთაშორისო სასამართლოებში მოსამართლეების დანიშვნისა და უფლებამოსილების ვადის გაგრძელების დროს. ევროპის საბჭო და მისი ორგანოები შეიქმნენ საერთო ღირებულებებისადმი რწმენის საფუძველზე, რომლებიც უზუნაესია ნებისმიერი წევრი სახელმწიფოს ინდივიდუალურ ღირებულებაზე და ამ რწმენამ უკვე გამოიღო მნიშვნელოვანი პრაქტიკული შედეგი. ამ ღირებულებებს ან მათი განვითარებისა და რეალიზაციისათვის გაწეულ საქმიანობას ზიანი მიადგება, მათი უზრუნველყოფა რომ არ ყოფილიყო გარანტირებული საერთაშორისო დონეზე.

უფლებამოსილების ვადა – უფლებამოსილების შეწყვეტის დაუშვებლობა და დისციპლინა

57. მოსამართლეთა დამოუკიდებლობის ძირეული წინაპირობა არის ის, რომ უფლებამოსილების ვადა გარანტირებულია დადგენილი საპენსიო ასაკის მიღწევამდე ან ფიქსირებული უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე: იხ. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძირითადი პრინციპები, პუნქტი მე-12; რეკომენდაცია № R (94) 12, პრინციპი I (2) (ა)(II) და პრინციპი VI (1) და (2). ევროპულ ქარტიაში დადასტურებულია, რომ აღნიშნული პრინციპი ვრცელდება სხვა დაწესებულებაში, ან სხვა რაიონში თანხმობის გარეშე დანიშნასა და გადაყვანაზე (გარდა, სასამართლოს რეორგანიზაციის ან დროებითი დანიშვნის შემთხვევაში), თუმცა როგორც ქარტიაში, ისე რეკომენდაციაში № R (94) 12 გათვალისწინებულია, რომ სხვა სახის უფლებამოსილების განხორციელების მიზნით გადაყვანა დასაშვებია მხოლოდ დისციპლინური სანქციის სახით.

58. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭომ აღნიშნა, რომ ჩეხეთის რესპუბლიკაში სავალდებულო საპენსიო ასაკი განსაზღვრული არ არის, თუმცა “მოსამართლე შეიძლება თანამდებობიდან გადაყენებულ იქნას იუსტიციის მინისტრის მიერ 65 წლის ასაკის მიღწევის შემდეგ”.

59. უფლებამოსილების შეწყვეტის დაუშვებლობასთან დაკავშირებული გამონაკლისების არსებობა, განსაკუთრებით ისეთი გამონაკლისებისა, რომლებიც დისციპლინურ სანქციებს უკავშირდება, მოითხოვს იმ საკითხის განხილვას, თუ რომელი ორგანო ან რა მეთოდი გამოიყენება მოსამართლეების მიმართ დისციპლინური ღონისძიებების გამოყენების საფუძვლის სახით. რეკომენდაციაში № R (94) 12, პრინციპი VI (2) და (3) ხაზგასმულია იმ ქმედების ზუსტი განსაზღვრის აუცილებლობა, რომლის შედეგად დასაშვებია მოსამართლის თანამდებობიდან გადაყენება, ან მის მიმართ დისცი-

პლინური ღონისძიების გამოყენება, სამართლიანი მოსმენის პრინციპის შესაბამისად, ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპის კონვენციის თანახმად. ევროპულ ქარტიის საუბარია მხოლოდ იმაზე, რომ სახელმწიფოებმა უნდა განიხილონ კანონის საფუძველზე სპეციალური კომპეტენტური ორგანოს შექმნის შესაძლებლობა, რომლის მოვალეობაა ნებისმიერი დისციპლინური ღონისძიების ან სანქციის გამოყენება ისეთ შემთხვევებში, როდესაც ისინი არ განიხილება სასამართლოს მიერ, და რომელთა გადაწყვეტილება გაკონტროლდება უმაღლესი სასამართლო ორგანოს მიერ ან რომლებიც თვითონ წარმოადგენენ უმაღლეს სასამართლო ორგანოს". ევროპული ქარტიის თანახმად, აღნიშნული როლი ეკისრება დამოუკიდებელ ორგანოს, რომელიც "მონაწილეობას იღებს" თითოეული მოსამართლის შერჩევისა და კარიერის ყველა ასპექტში.

60. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს მიაჩნია, რომ:

- (ა) მოსამართლეთა უფლებამოსილების შეწყვეტის დაუსშვებლობა მათი დამოუკიდებლობის კონკრეტული შემადგენელი ნაწილი უნდა იყოს და უნდა იქნას უზრუნველყოფილი შიდა სამართლებრივ, უმაღლეს დონეზე (იხ. პუნქტი 16);
- (ბ) დამოუკიდებელი ორგანოს ჩარევა იმ პროცედურების საფუძველზე, რომლებიც სრულად გარანტირებს უფლებას დამცველზე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დისციპლინურ საკითხებთან მიმართებით; და
- (გ) სასარგებლო იქნებოდა სტანდარტების შექმნა, რომლებიც არა მხოლოდ მოსამართლის უფლებამოსილების შეწყვეტის გამომწვევე ქცევას განსაზღვრავდა, არამედ ქცევის იმ ტიპებსაც, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს დისციპლინური ღონისძიებები ან სტატუსის შეცვლა, მათ შორის, მაგალითად, სხვა სასამართლოში ან სხვა რაიონში გადაყვანა.

შესაძლებელია, ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭომ შემდეგ ეტაპზე წარმოადგინოს დეტალური დასკვნა აღნიშნულ საკითხზე დოკუმენტების პროექტებთან ერთად, სამართლებრივი თანამშრომლობის კომიტეტის ხელმძღვანელის მიერ განსახილველად, როდესაც საბჭო კონკრეტულად ქცევის სტანდარტებით დაკავდება, მიუხედავად იმისა, რომ ისინი უპჭველად მჭიდრო კავშირშია განხილულ დამოუკიდებლობის საკითხთან.

შრომის ანაზღაურება

61. რეკომენდაციაში № R (94) 12 გათვალისწინებულია, რომ მოსამართლეების "ფულადი ანაზღაურება გარანტირებული უნდა იყოს კანონით" და "შეესაბამებოდეს მათი პროფესიის ღირსებასა და პასუხისმგებლობის ტვირთს" (პრინციპები I (2) (იი) და III (1) (ბ)). ასევე, ევროპულ ქარტიაში საუბარია მოსამართლეთა შრომის შესაბამისი ანაზღაურების როლის მნიშვნელოვან, გაბედულ და რეალისტურ აღიარებაზე, როგორც "მათ გადაწყვეტილებებზე ან ზოგადად მათ ქცევაზე გავლენის მოხდენის მიზნით უეწოდის-აგან ..." და ცევის ფაქტორის შესახებ, ისევე როგორც საპენსიო და ავადმყოფობის ბიულეტენების ანაზღაურების მნიშვნელობაზე (პუნქტი 6). ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო სრულად ეთანხმება ევროპული ქარტიის აღნიშნულ დებულებას.

62. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ სისტემაში (მაგალითად, ჩრდილოეთის ქვეყნებში), აღნიშნული პრობლემების გადაჭრა ტრადიციული მექანიზმების საშუალებით ხდება, რაიმე სახის ფორმალური სამართლებრივი დებულებები არ არსებობს. თუმცა, ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს მიაჩნია, რომ ზოგადად მნიშვნელოვანია (განსაკუთრებით ახალი დემოკრატიული ქვეყნების შემთხვევაში) გათვალისწინება სპეციალური სამართლებრივი დებულებებისა, რომლებიც უზრუნველყოფს მოსამართლეთა ფულად ანაზღაურებას შემცირების შემთხვევაში ისევე, როგორც დებულებები შრომის ანაზღაურების გაზრდის შესახებ ცხოვრების ღირებულების ზრდის შესაბამისად.

თავისუფლება უსაფუძვლო გარეშე ჩარევისაგან

63. თავისუფლება უსაფუძვლო გარეშე ჩარევისაგან საყოველთაოდ აღიარებული პრინციპია: იხ. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძირითადი პრინციპები, პუნქტი მე-2; რეკომენდაცია № R (94) 12, პრინციპი I (2) (დ), სადაც ნათქვამია: “კანონით უნდა იყოს განსაზღვრული სანქციები იმ პირობა მიმართ რომლებიც ცდილობენ მოსამართლეზე ზეწოლას ნებისმიერი ფორმით”. თავისუფლება უსაფუძვლო, გარეშე ჩარევისაგან და უკიდურეს შემთხვევებში ასეთი გავლენის მოხდენის მცდელობის დასჯა, როგორც ზოგადი პრინციპები, შეუქცევადია. გარდა ამისა, ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს არ გააჩნია საფუძველი მიიჩნიოს, რომ ეს სათანადოდ არ არის გათვალისწინებული წვერი სახელმწიფოების კანონმდებლობაში. მეორეს მხრივ, აღნიშნული პრინციპების პრაქტიკაში განხორციელება მოითხოვს გულდასმით მდგომარეობას, კონტროლს, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში – პოლიტიკურ თავშეკავებულობასაც კი. ამ თვალსაზრისით, შეიძლება საკმაოდ მნიშვნელოვნად მოგვეყენოს აღნიშნული საკითხის განხილვა და ანალიზი სხვა სახელმწიფოების მოსამართლეების მხარდაჭერით. სიძნელე იმაში მდგომარეობს, რომ როგორ უნდა მოხდეს იმის განსაზღვრა, თუ რა არის გაუმართლებელი ზეწოლა და თუ როგორ უნდა მოხდეს წონასწორობის შენარჩუნება მაგალითად, ერთის მხრივ სასამართლო პროცესის დამახინჯებისაგან და პოლიტიკური წრეების, მასმედიის საშუალებების ან სხვა წყაროების მხრიდან ზეწოლისაგან დაცვასა და მეორეს მხრივ საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი საკითხების საზოგადოებაში და თავისუფალ პრესაში ღიად განხილვის უზრუნველყოფას შორის. მოსამართლეები უნდა დაეთანხმონ იმ მოსაზრებას, რომ ისინი საჯარო პირები არიან და არ უნდა იყვნენ ზედმეტად მგრძობიარენი ან დაუცველნი. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო ეთანხმება იმ მოსაზრებას, რომ არ არის აუცილებელი არსებული პრინციპის შეცვლა, თუმცა სხვადასხვა სახელმწიფოში მოსამართლეებს შეუძლიათ სარგებელი მიიღონ კონკრეტული სიტუაციების ერთობლივი განხილვიდან ან ინფორმაციის გაცვლიდან.

დამოუკიდებლობა სასამართლო ორგანოების ფარგლებში

64. პრინციპული საკითხი გახლავთ ის, რომ მოსამართლე სამოსამართლო ფუნქციების განხორციელებისას არ წარმოადგენს რომელიმე პირის მოხელეს. ამასთან, მოსამართლეები ასრულებენ სახელმწიფო ფუნქციას. აქედან

გამომდინარე, მოსამართლე ემსახურება მხოლოდ და მხოლოდ კანონს და პასუხისმგებელია მხოლოდ კანონის წინაშე. აქსიომა ისიც გახლავთ, რომ საქმეზე გადაწყვეტილების მიღებისას, მოსამართლემ არ უნდა იმოქმედოს მესამე მხარის ბრძანებით ან მითითებით, როგორც სასამართლო ხელისუფლების ფარგლებში, ისე მის გარეთ.

65. რეკომენდაცია № R (94) 12, პრინციპი I (2) (ა) (I) ითვალისწინებს, რომ “მოსამართლის გადაწყვეტილება არ შეიძლება გახდეს რაიმე გადასინჯვის საგანი გარდა აპელაციისა და სხვა პროცედურებისა რომელიც კანონით არის უზრუნველყოფილი”, ხოლო პრინციპი I (2) (ა) (IV) ითვალისწინებს, რომ “მთავრობას ან ადმინისტრაციას არ აქვს უფლება მიიღოს რაიმე გადაწყვეტილება, რომელიც რეტროაქტიულად აუქმებს მოსამართლის გადაწყვეტილებას გარდა იმ გადაწყვეტილებისა, რომელიც ეხება ამინსტიას, შეწყალებას და სხვა მსგავს გადაწყვეტილებებს”.

ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭომ აღნიშნა, რომ კითხვარზე პასუხები მიუთითებს, რომ როგორც წესი, აღნიშნული პრინციპები სრულდება და ამ მხრივ არანაირი ცვლილება არ შემოთავაზებულა.

66. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭომ აღნიშნა პოტენციური საფრთხე მოსამართლეთა დამოუკიდებლობისათვის, რომელიც შეიძლება წარმოიშვას თვით სასამართლო სისტემის ზემდგომი ორგანოების მხრიდან. აღიარებულ იქნა, რომ სასამართლოების დამოუკიდებლობა დამოკიდებულია არა მხოლოდ ნებისმიერი უსაფუძვლო გარეშე ჩარევისაგან დამოუკიდებლობაზე, არამედ უსაფუძვლო გაელენისაგან დამოუკიდებლობაზეც, რომელიც ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება გამომდინარეობდეს სხვა მოსამართლეების პოზიციიდან. “მოსამართლეებს უნდა ჰქონდეთ მინიჭებული შეუზღუდავი დამოუკიდებლობა იმისათვის, რომ მათ მიუკერძოებელი გადაწყვეტილებები მიიღონ საკუთარი რწმენის და ფაქტების საკუთარი ინტერპრეტაციის საფუძველზე და მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით” (რეკომენდაცია № R (94) 12, პრინციპი I (2) (დ)). ეს ეხება თითოეულ მოსამართლეს ინდივიდუალურად. ტერმინები, რომლებშიც აღნიშნული დებულებაა გადმოცემული, არ გამოირიცხავს ისეთ სამართლებრივ დოკტრინებს, რომლებიც ეფუძნება პრეცედენტებს საერთო სამართლის ქვეყნებში (მაგალითად, დაბალი ინსტანციის მოსამართლის ვალდებულება დაიცვას წარსულში მიღებული გადაწყვეტილება ზემდგომი სასამართლოს მიერ სამართლებრივ საკითხთან მიმართებით, რომელიც უკავშირდება განხილულ საქმეს).

67. შემდეგ, პრინციპი I (2) (დ) ნათქვამია: “მოსამართლეები არ უნდა იყვნენ ვალდებულნი ვინმეს ჩააბარონ ანგარიში საქმის გარემოებებთან დაკავშირებით სასამართლო სისტემის გარეთ”. აღნიშნული დებულება საკმაოდ ბუნდოვანია. “ანგარიში” საქმესთან დაკავშირებით, სასამართლო სისტემის სხვა წევრების წინაშეც კი, ერთი შეხედვით შეუთავსებელია პირად დამოუკიდებლობასთან. თუ ასეთი არაკომპეტენტური გადაწყვეტილება მიიღება, რომელმაც გამოიწვია დისციპლინური სახდელის დაკისრება, საქმე სხვაგვარად არის, თუმცა ამ საკმაოდ უკიდურეს შემთხვევაში, მოსამართლე “საყვედურს” კი არ იღებს, არამედ პასუხობს ბრალდებას.

68. ზემდგომი ორგანოების უფლებამოსილებამ, რომელიც ბევრ სამართლებრივ სისტემაში უზენაეს სასამართლოს ენიჭება, შეიძლება პრაქტიკაში ცალკეული მოსამართლეების დამოუკიდებლობა შეარყიოს. ერთ-ერთი შესაძლო გამოსავალი შეიძლება იყოს ყველა შესაბამისი უფლებამოსილების უმაღლესი სამოსამართლო საბჭოსათვის გადაცემა, რომელიც ასეთ შემთხვევაში დაიცავს დამოუკიდებლობას როგორც შიგნიდან, ისე – სასამართლო სისტემის გარეთ. ეს გეხსენებს მოსამართლეთა სტატუსის შესახებ ევროპული ქარტიის რეკომენდაციას, რომელიც უკვე განვიხილეთ სათაურით “თავისუფლება უსაფუძვლო გარეშე ჩარევისაგან”.
69. სასამართლო ინსპექტირების სისტემა იმ ქვეყნებში, რომლებშიც ასეთი არსებობს, არ უნდა იყოს დაკავებული სასამართლო საქმეების არსით, ან მიღებული გადაწყვეტილებების სისწორით და არ უნდა აიძულებდეს მოსამართლეებს ეფექტურობის მიზნით ილწოდნენ პროდუქტიულობის ამალღებისაკენ საკუთარი როლის ჯეროვნად შესრულების ხარჯზე, რაც იმაში მდგომარეობს, რომ მიღებულ იქნას სათანადოდ აწონილი გადაწყვეტილება იმ პირების ინტერესებში, რომლებმაც მიმართეს მართლმსაჯულების სისტემას.
70. ამ თვალსაზრისით, ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭომ გაითვალისწინა იტალიაში არსებული სისტემა, რომელიც განასხეავებს დონეს, შრომის ანაზრაურებას და შესრულებულ სამუშაოს, როგორც ეს აღწერილია პუნქტში 30. აღნიშნული სისტემის მიზანია დამოუკიდებლობის გაძლიერება და პირველ ინსტანციაშიც კი საქმეების მალაქპროფესიონალი მოსამართლეების მიერ განხილვის უზრუნველყოფა (მაგალითად, იტალიაში მაფიასთან დაკავშირებული საქმეები).

მოსამართლეთა როლი

71. წინამდებარე თავი ეხება ფართო სფეროს. ბევრი ასპექტი განხილულ უნდა იქნას უფრო დეტალურად ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს მიერ სტანდარტების საკითხის ანალიზის დროს და აქედან გამომდინარე, უმჯობესია აღნიშნულ საკითხს მოგვიანებით დაეუბრუნდეთ. საუბარია ისეთ ცალკეულ თემებზე, როგორიცაა პოლიტიკური პარტიების წევრობა და პოლიტიკური საქმიანობა.
72. მნიშვნელოვანი თემა, რომელიც ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს სხდომაზე განიხილებოდა, ეხება ზოგიერთ სისტემაში მოსამართლის თანამდებობიდან პროკურორის თანამდებობაზე, ან იუსტიციის სამინისტროს თანამშრომლის თანამდებობაზე გადასვლის მნიშვნელობას. ასეთი შესაძლებლობის არსებობის მიუხედავად, ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭომ გადაწყვიტა, რომ პროკურორის როლის, სტატუსისა და მოვალეობების განხილვა მოსამართლის ფუნქციების პარალელურად, ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს კომპეტენციას სცდება. თუმცა, გადაუჭრელად რჩება მნიშვნელოვანი პრობლემა: რამდენად უზრუნველყოფს ასეთი სისტემა მოსამართლეების დამოუკიდებლობას. ამ საკითხს, რა თქმა უნდა, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს შესაბამისი სამართლებრივი სისტემებისათვის. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭომ მიიჩნია, რომ აღნიშნული საკითხი განხილულ

უნდა იქნას მოგვიანებით, შესაძლოა მოსამართლეთა ქცევის წესების შესწავლის დროს, თუმცა ის საჭიროებს სპეციალისტების მიერ დამატებით შესწავლას.

დასკვნები:

73. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს მიანინია, რომ წვერი სახელმწიფოებისათვის უადრესად მნიშვნელოვანია უკვე განხილული პრინციპების (პუნქტი მე-6) სრულად რეალიზება და იმ სტანდარტების განხილვის შემდეგ, რომლებიც ევროპულ რეკომენდაციაში № R (94) 12 მოსამართლეთა დამოუკიდებლობის, ეფექტურობისა და როლის შესახებ არის მოცემული შემდეგი დასკვნები გამოიტანა:
 - (1) სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის ფუძემდებლური პრინციპები დაფიქსირებულ უნდა იქნას საკონსტიტუციო ან სხვა, რაც შეიძლება უფრო მაღალ დონეზე ყველა წვერ სახელმწიფოში, ხოლო უფრო კონკრეტული წესები კი – საკანონმდებლო დონეზე (პუნქტი მე-16).
 - (2) ხელისუფლების ორგანოები, რომლებიც ყოველ წვერ სახელმწიფოში პასუხისმგებელი არიან მოსამართლეების დანიშვნაზე, დაწინაურებასა და აღნიშნულ საკითხებზე რეკომენდაციების გაცემაზე, ვალდებულნი არიან, შეიმუშაონ, გამოაქვეყნონ და აღასრულონ ობიექტური კრიტერიუმები, რათა უზრუნველყონ, რომ მოსამართლეთა შერჩევა და მათი კარიერა ეფუძნებოდეს დამსახურებას კვალიფიკაციის, პატიოსანების, შესაძლებლობებისა და ეფექტურობის გათვალისწინებით (პუნქტი 25).
 - (3) სამუშაო სტაჟი უნდა იყოს სახელმძღვანელო პრინციპი სამსახურებრივი დაწინაურების დროს. თუმცა, ამავე დროს აუცილებელია გათვალისწინებულ იქნას შესაბამისი პროფესიული გამოცდილება და მუშაობის ხანგრძლივობა, რაც შეიძლება განხილულ იქნას, როგორც დამატებითი საფუძველი დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად (პუნქტი 29).
 - (4) ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს მიანინია, რომ მოსამართლეთა სტატუსის შესახებ ევროპული ქარტია – იმ დონეზე, რა დონეზეც მასში გათვალისწინებულია დამოუკიდებელი ორგანოს არსებობა, რომელშიც დემოკრატიულ საფუძვლებზე სხვა მოსამართლეების მიერ არჩეული მოსამართლეები საკმარისი რაოდენობით არიან წარმოდგენილი – ზოგადი მიმართულებით მიდის, რომელსაც ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო მხარს უჭერს (პუნქტი 45).
 - (5) ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს მიანინია, რომ როდესაც უფლება მოსიღება ხორციელდება შეზღუდულ საფუძველზე, განსაკუთრებულ როლს თამაშობს ის ორგანო, რომელიც ქსაუხისმგებელია მოსამართლეთა სრული განაკვეთით დანიშვნის, ან ხელახალი დანიშვნის მეთოდის ობიექტურობასა და გამჭვირვალობაზე (ასევე, იხ. პუნქტი ევროპული ქარტიის 3.3.) (პუნქტი 53).
 - (6) ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო ეთანხმება იმ მოსაზრებას, რომ ევროპის კონვენციისა და ევროკავშირის საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ვალდებულებების მნიშვნელობა იმდენად დიდია

ეროვნული სამართლებრივი სისტემებისა და მოსამართლეებისათვის, რომ ის კარნახობს აუცილებლობას მოსამართლეთა დანიშვნისა ან ხელახალი დანიშვნისა იმ სასამართლოში, სადაც აღნიშნული ხელშეკრულებების ინტერპრეტაციას ახდენენ. დანიშვნა და ხელახალი დანიშვნა უნდა ეფუძნებოდეს იგივე ნდობასა და რწმენას როგორც ეროვნული სამართლებრივი სისტემები ეფუძნება. ამასთან, ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს მიანინია, რომ დამოუკიდებელი ორგანოს მონაწილეობა, რომელზეც საუბარია პუნქტებში 37 და 45 წაქეზებულ უნდა იქნას საერთაშორისო სასამართლოებში დანიშვნისა და ხელახალი დანიშვნის დროს.

- (7) ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს მიანინია, რომ მოსამართლეთა უფლებამოსილების შეწყვეტის დაუშვებლობის პრინციპი დამოუკიდებლობის უმნიშვნელოვანეს ელემენტს უნდა წარმოადგენდეს და აუცილებელია იგი გამოხატული იყოს ყველაზე მაღალ დონეზე შიდა სამართალში (პუნქტი მე-60).
- (8) მოსამართლეთა შრომის ანაზღაურება უნდა შეესაბამებოდეს მათ როლს და პასუხისმგებლობას და უნდა ითვალისწინებდეს შესაბამის ანაზღაურებას ავადმყოფობისა და პენსიაზე გასვლის შემთხვევაში. შრომის ანაზღაურება კონკრეტული საკანონმდებლო დებულების საფუძველზე დაცული უნდა იყოს შემცირებისაგან და მიღებულ უნდა იქნას დებულებები, რომლებიც ითვალისწინებს ანაზღაურების გაზრდას ცხოვრების ღირებულების ზრდის შესაბამისად (პუნქტები 61-62).
- (9) თითოეული მოსამართლის დამოუკიდებლობა მისი ფუნქციის განხორციელებისას უზრუნველყოფილ უნდა იქნას ნებისმიერი შიდა სასამართლო იერარქიის მიუხედავად (პუნქტი 64).
- (10) სტატისტიკური მონაცემების და სასამართლო სისტემის ინსპექტირების სისტემის გამოყენება არ უნდა ხდებოდეს იმისათვის, რომ შელახულ იქნას სამოსამართლო დამოუკიდებლობა (პუნქტები 27 და 69).
- (11) ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს მიანინია, რომ სასარგებლო იქნებოდა დამატებითი რეკომენდაციების მომზადება და რეკომენდაციაში № R (94) 12 ცვლილებების შეტანა წინამდებარე დასკვნისა და ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს შემდგომი საქმიანობის გათვალისწინებით.

ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო არ ეცდება გამოსცეს პუბლიკაციების სრული მიმოხილვა ხელისუფლების დანაწილებასთან დაკავშირებით და დოკუმენტი აღნიშნული საკითხის მხოლოდ ზოგად მიმოხილვას იძლევა, როგორც მაგალითად ეს წარმატებულად განხორციელდა გამოცემაში "სასამართლო ხელისუფლება და ხელისუფლების დანაწილება", ავტორი - ლოპეს პერა (დოკუმენტი მომზადებულია ვენეციის კომისიის მიერ სამხრეთ აფრიკის რეგიონის უზენაესი და საკონსტიტუციო სასამართლოების მოსამართლეთა კონფერენციისათვის 2002 წლის თებერვალში. ² უფრო ღრმა ანალიზის თვალსაზრისით, რომელშიც განხილულია ნებისმიერი პირის ნებისმიერი გაელენისაგან, მათ შორის სოციალური და კულტურული ფაქტორებისაგან, სრული დამოუკიდებლობის შეუქცებლობის და არასა-

სურღველობის საკითხი, იხ. “სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის როლი კანონის უზენაესობისათვის”, პროფესორი პენრიხი (დოკუმენტი მომზადებულია ვენეციის კომისიის მიერ ყირგიზეთში 1998 წლის აპრილში გამართული სემინარისათვის). ³ იხ. ქვემოთ პუნქტი მე-12. ⁴ იხ. ქვემოთ პუნქტები 14-16. ⁵ იხ. ქვემოთ პუნქტი 43. ⁶ შედეგადა სამი ადვოკატისაგან, რომლებიც ინიშნება იუსტიციის მინისტრის მიერ, უზენაესი სასამართლოს, მოსამართლეთა ასოციაციისა და ადვოკატთა ასოციაციის რეკომენდაციით, ხოლო დანიშნისა და კვალიფიკაციის საკითხი უზენაესი სასამართლოს კომპეტირების საგანია. ⁷ თუმცა, ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო იცნობს შემთხვევებს, როდესაც ეს სისტემა წარმატებულად მუშაობს, მაგალითად ინდოეთსა და იაპონიაში უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების დანიშნის დროს. ⁸ იხ. ზევით პუნქტი 24. ⁹ თავმჯდომარე პრემიერ-მინისტრის რეკომენდაციით. ¹⁰ იხ. ზევით პუნქტი 20. ¹¹ იხ. ზევით პუნქტი 20. ¹² იხ. ზევით პუნქტები 38-39. ¹³ იხ. ზევით პუნქტები 37-45. ¹⁴ ასევე, იხ. გამოხატვის თავისუფლების ზოგად პრინციპსა და გამოწვევის (როდესაც აუცილებელია ზომების მიღება სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტის და მიუკერძოებლობის შესანარჩუნებლად) შორის წონასწორობის საკითხი, სტატიაში 10 ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო. ¹⁵ იხ. ზევით პუნქტი 27.

ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო (CCJE)

ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) დასკვნა №2 (2001) ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის საყურადღებოდ სასამართლოების დაფინანსებისა და მართვის შესახებ, სასამართლო კორპუსის ეფექტურობისა და ადამიანის უფლებების ევროპის კონვენციის მე-6 მუხლის გათვალისწინებით

1. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭომ (CCJE) შეიმუშავა წინამდებარე დასკვნა სახელმწიფოების მიერ კითხვარზე გაცემული პასუხების საფუძველზე, რომლის ტექსტი მომზადებულ იქნა ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს სამუშაო ჯგუფის, ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარის, ვიცე-თავმჯდომარის და აღნიშნულ საკითხზე ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს სპეციალისტის, ბატონი ჟანე ჩლებნის (პოლონეთი) მიერ.
2. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭომ გააცნობიერა, რომ სასამართლოების დაფინანსება მჭიდრო კავშირშია მოსამართლეების დამოუკიდებლობის საკითხთან, რადგან ის განსაზღვრავს პირობებს, რომლებშიც სასამართლოები მათ ფუნქციებს ახორციელებენ.
3. ამასთან, არსებობს აშკარა კავშირი ერთის მხრივ სასამართლოების დაფინანსებასა და მართვას და მეორეს მხრივ ადამიანის უფლებების ევროპის კონვენციის პრინციპებს შორის: მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა და უფლება სამართლიან განხილვაზე არ შეიძლება იყოს სრულად გარანტირებული, თუ სასამართლო, რომელსაც ეფექტური საქმიანობისათვის შესაბამისი ფინანსური სახსრები და რესურსები გააჩნია, საქმის განხილვას გონივრულ ვადაში ვერ ახერხებს.
4. ევროპის საბჭოს ყველა ზოგადი პრინციპი და სტანდარტი სასამართლოების დაფინანსებისა და მართვის შესახებ სახელმწიფოებს ვალდებულებას აკისრებს, გამოიყონ ფინანსური სახსრები ისე, რომ ეს შეესაბამებოდეს სასამართლო სისტემის სხვადასხვა მოთხოვნებს.
5. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო შეთანხმდა, რომ მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოების დაფინანსება სახელმწიფო ბიუჯეტის ნაწილია, რომელიც პარლამენტის წინაშე წარდგენილია ფინანსთა სამინისტროს მიერ, ასეთი დაფინანსება არ შეიძლება იყოს პოლიტიკური რყევების საგანი. მიუხედავად იმისა, რომ დაფინანსების ხარისხი, რომელიც თითოეულმა ქვეყანამ შეიძლება გამოიყოს მისი სასამართლოებისათვის, პოლიტიკური გადაწყვეტილებაა, ძალაუფლების განაწილებაზე დაფუძნებულ სისტემაში აუცილებლად უნდა იქნას უზრუნველყოფილი, რომ არც აღმასრულებელ და არც საკანონმდებლო ხელისუფლებას არ ჰქონდეს საშუალება განახორციელოს რაიმე სახის ზეწოლა სასამართლო კორპუსზე სასამართლოს ბიუჯეტის განსაზღვრის პროცესში. სასამართლოებისათვის ფინანსური სახსრების გამოყოფის შესახებ გადაწყვეტილებები მიღებულ უნდა იქნას სასამართლოს დამოუკიდებლობისადმი უმკაცრესი პატივისცემით.

6. ქვეყნების უმეტესობაში იუსტიციის სამინისტრო მონაწილეობს ფინანსთა სამინისტროსათვის სასამართლოების ბიუჯეტის წარდგენაში და მასთან მოლაპარაკებების წარმოებაში. ბევრ ქვეყანაში, ბიუჯეტის წარდგენამდე, მოსამართლეები მონაწილეობენ ბიუჯეტის შედგენაში პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით, სასამართლოების მიერ იუსტიციის სამინისტროსათვის წინადადებების წარდგენის ფორმით. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, სასამართლოების ბიუჯეტს პირდაპირ წარუდგენენ ფინანსთა სამინისტროს. მაგალითად, ესტონეთისა და სლოვაკეთის უზენაესი სასამართლოები საკუთარ ბიუჯეტს თვითონ წარუდგენენ და კვიპროსისა და სლოვენის უზენაესი სასამართლოები კი – ყველა დონის სასამართლოს ბიუჯეტს. შვეიცარიაში, ფედერალურ უზენაეს სასამართლოს აქვს უფლება საკუთარი ბიუჯეტი (რომელიც დამტკიცებულია სამი მოსამართლისაგან შემდგარი ადმინისტრაციული კომისიის მიერ) ფედერალურ პარლამენტს წარუდგინოს, ხოლო მისი პრეზიდენტი და გენერალური მდივანი უფლებამოსილი არიან წარდგენენ პარლამენტის წინაშე, რათა დაიცვან ბიუჯეტი. ლიტვაში, საკონსტიტუციო სასამართლოს 1999 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილება აღგენს პრინციპს, რომლის თანახმად თითოეულ სასამართლოს აქვს უფლება აქონდეს საკუთარი ბიუჯეტი, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტში ცალკე არის მოცემული და დამტკიცებულია პარლამენტის მიერ. რუსეთში, ფედერალურ ბიუჯეტში უნდა არსებობდეს ცალკე დებულება საკონსტიტუციო სასამართლოს, უზენაესი სასამართლოსა, საერთო სასამართლოების, ფედერალური არბიტრაჟის და საარბიტრაჟო ტრიბუნალების ბიუჯეტის შესახებ. ხოლო რუსეთის მოსამართლეთა საბჭო უფლებამოსილი არა მხოლოდ მონაწილეობა მიიღოს ფედერალური ბიუჯეტის შესახებ მოლაპარაკებებში, არამედ მისი წარმომადგენელი დაესწროს ბიუჯეტის განხილვას რუსეთის ფედერალურ დუმაში. ჩრდილოეთის ქვეყნებში უახლესმა კანონმდებლობამ დააწესა სასამართლოების ბიუჯეტის კოორდინირებისა და მისი იუსტიციის სამინისტროსათვის წარდგენის პროცედურა – დანიაში ადმინისტრაციული სასამართლო (რომლის წარმომადგენლობითი კომიტეტის წევრების უმრავლესობა სხვადასხვა სასამართლოს წარმომადგენლები არიან) ასრულებს აღნიშნულ როლს. შედეგად, სასამართლოების ეროვნული ადმინისტრაცია (სპეციალური სამთავრობო ორგანო, რომლის წარმომადგენლობითი კომიტეტის წევრთა უმცირესობა მოსამართლეები არიან) ასრულებს მსგავს ფუნქციას და აკისრია სამწლიანი ბიუჯეტის მომზადების ვალდებულება.
7. ზემოაღნიშნულისაგან განსხვავებით, სხვა ქვეყნებში სასამართლოების დაფინანსებისათვის ბიუჯეტის შესახებ იუსტიციის მინისტრის ან ექვივალენტური პირის მიერ წარმოებულ მოლაპარაკებებში მოსამართლეთა მონაწილეობის ფორმალური პროცედურა არ არსებობს და ნებისმიერი სახის მონაწილეობა არაფორმალურია. ბელგია, ხორვატია, საფრანგეთი, გერმანია, იტალია (გარდა გარკვეული კატეგორიის ხარჯებისა), ლუქსემბურგი, მალტა, უკრაინა და გაერთიანებული სამეფო წარმოადგენენ აღნიშნული კატეგორიის სამართლებრივ სისტემებს.
8. სასამართლო სისტემის დაფინანსების ადეკვატურობა ყოველთვის არ უკავშირდება სასამართლო კორპუსთან კონსულტაციების ან მის მიერ წინადადებების წარდგენის ფორმალური პროცედურების არსებობას. თუმცა სასამართლო კორპუსის უფრო პირდაპირი მონაწილეობა კვლავაც მიიჩნევა, როგორც მნიშვნელოვანი აუცილებლობა. კითხვარის პასუხ-

ებიდან ხშირად ჩანს რიგი პრობლემებისა, ეკროდ შესაბამისი მატერიალური რესურსების ნაკლებობიდან (შენობა-ნაგებობები, ავეჯი, საოფისე და კომპიუტერული მოწყობილობები და ა.შ.) სამოსამართლო ფუნქციების თანამედროვე პირობებში განხორციელებისათვის სრულიად აუცილებელი დახმარების სრულ ნაკლებობამდე (კვალიფიცირებული კადრები, ასისტენტი სპეციალისტები, კომპიუტერული დოკუმენტალური წყაროების ხელმისაწვდომობა და ა.შ.). განსაკუთრებით აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ბიუჯეტის სიმცირემ პარლამენტარები აიძულა შეეზღუდათ სასამართლოს დაფინანსებისათვის გამოყოფილი თანხები აუცილებელის მხოლოდ მცირე ნაწილის ოდენობამდე (მაგალითად, რუსეთში 50% ოდენობით). დასავლეთ ევროპის ქვეყნებშიც კი, ბიუჯეტის სიმცირემ გამოიწვია სასამართლო დარბაზების, ოფისების, კომპიუტერული ტექნოლოგიების და/ან კადრების შემცირება (ეს უკანასკნელი ხშირად იმას ნიშნავს, რომ ვერ ხერხდება მოსამართლეების არასამოსამართლო ფუნქციებისაგან გათავისუფლება).

9. ერთ-ერთი პრობლემა, რომელიც შეიძლება წარმოიშვას, არის ის, რომ სასამართლო კორპუსმა, რომელიც ხშირად, როგორც სახელმწიფოს ხელისუფლების განცალკევებული შტო არ განიხილება და რომელსაც მისი მოვალეობების შესასრულებლად გარკვეული მოთხოვნები გააჩნია, დამოუკიდებლობა ვერ შეინარჩუნოს. სამწუხაროდ, ეკონომიკური ასპექტები შეიძლება დომინირებდნენ სასამართლო კორპუსის სტრუქტურული ცვლილებების და ეფექტურობის შესახებ დისკუსიებში. მიუხედავად იმისა, რომ არც ერთ ქვეყანას არ შეუძლია ზოგადად მისი ფინანსური შესაძლებლობების უგულვებელყოფა იმის გადაწყვეტისას, თუ რა სახის მომსახურების მხარდაჭერა შეუძლია მას, სასამართლო კორპუსსა და სასამართლოებს, როგორც სახელმწიფოს უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტს, რესურსების სერიოზული მოთხოვნილება აქვთ.
10. მიუხედავად იმისა, რომ ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს არ შეუძლია ქვეყნებს შორის ეკონომიკური განსხვავებების იგნორირება, სასამართლოებისათვის შესაბამისი დაფინანსების გამოყოფა მოითხოვს თვით სასამართლოების მეტ მონაწილეობას ბიუჯეტის შექმნის პროცესში. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო შეთანხმდა, რომ აქედან გამომდინარე აუცილებელია, რომ სასამართლო კორპუსის ბიუჯეტის პარლამენტის მიერ დამტკიცება უნდა მოიცავდეს პროცედურას, რომელიც მოსამართლეთა მოსაზრებებს გაითვალისწინებს.
11. ბიუჯეტის შედგენაში მოსამართლეთა აქტიური მონაწილეობის ერთ-ერთი ფორმა იქნებოდა სასამართლო კორპუსის მართვაზე პასუხისმგებელი ორგანოსათვის – ქვეყნებში, სადაც ასეთი ორგანო არსებობს – კოორდინატორის როლის მინიჭება სასამართლოს დაფინანსებისათვის მოთხოვნების მომზადებაში და ამ ორგანოს პარლამენტის პირდაპირ საკონტაქტო უწყებად დანიშვნა სასამართლოების მოთხოვნილებების შეფასებაში. სასურველია, რომ ორგანო, რომელიც ეველა სასამართლოს წარმოადგენს, პასუხისმგებელი იყოს პარლამენტისათვის, ან მისი რომელიმე სპეციალიზებული კომიტეტისათვის საბიუჯეტო მოთხოვნების წარდგენაზე.
12. სასამართლოებისათვის გამოყოფილი ბიუჯეტის განკარგვა საკმაოდ მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობაა, რომელიც პროფესიონალურ ყურადღებას

მოითხოვს. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს დისკუსიებმა აჩვენეს, რომ არსებობს მნიშვნელოვანი სხვაობა ერთის მხრივ იმ სისტემებს შორის, რომლებშიც განკარგვა სასამართლო კორპუსის მიერ, ან სასამართლო კორპუსისადმი ანგარიშვალდებული პირის ან ორგანოს მიერ ხორციელდება, ან დამოუკიდებელი ორგანოს მიერ, რომელსაც შესაბამისი ადმინისტრაციული, მის წინაშე ანგარიშვალდებული მხარდაჭერა აქვს და მეორეს მხრივ სისტემებს შორის, რომლებშიც განკარგვის სრული პასუხისმგებლობა სამთავრობო ორგანოს ან სამსახურს ეკისრება. ეს უკანასკნელი მიდგომა ზოგიერთ, ახლად ჩამოყალიბებულ დემოკრატიაში იქნა დანერგილი ისევე, როგორც სხვა ქვეყნებში მისი დადებითი მხარეების გამო სამოსამართლო დამოუკიდებლობისა და სასამართლო კორპუსის სამოსამართლო ფუნქციების შესრულების უზრუნველყოფის საქმეში.

13. თუ მოსამართლეებს სასამართლოების ადმინისტრირების პასუხისმგებლობა დაეკისრებათ, მათ შესაბამისი ტრენინგი უნდა გაიარონ და კქონდეთ საჭირო მხარდაჭერა იმისათვის, რომ შეასრულონ აღნიშნული მოვალეობა. ყოველ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია, რომ მოსამართლეები პასუხისმგებელნი იყვნენ ყველა ადმინისტრაციულ გადაწყვეტილებაზე, რომელსაც პირდაპირი გავლენა აქვს სასამართლოს ფუნქციებზე.

დასკვნა

14. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭომ გაითვალისწინა, რომ სახელმწიფოები გადახედვდნენ არსებულ პროცედურებს სასამართლოების დაფინანსებასა და მართვასთან დაკავშირებით წინამდებარე დასკვნის გათვალისწინებით. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სასამართლოებისათვის საკმარისი სახსრების გამოყოფის აუცილებლობას, რათა მათ მიეცეთ შესაძლებლობა მათი საქმიანობა ადამიანის უფლებების ევროპის კონვენციის მერ მუხლით დადგენილი სტანდარტების შესაბამისად განახროცილონ.

იხ. დასკვნა №1 (2001) მოსამართლეთა დამოუკიდებლობასთან, ეფექტურობასთან და როლთან მიმართებით, სათაურით "მოსამართლეთა დანიშვნა და საკონსულტაციო ორგანოები".

ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) ღვაწლენა № 3 (2002)

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის საჩუქარდგომოდ

მოსამართლეთა პროფესიული ქცევის მარეგულირებელი პრინციპებისა და წესების, კერძოდ ეთიკის ნორმების, თანამდებობასთან შეუფერებელი ქცევისა და მიუკერძოებლობის შესახებ

1. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭომ (CCJE) შემუშავა წინამდებარე დასკვნა სახელმწიფოების მიერ კითხვარზე გაცემული პასუხების საფუძველზე, რომლის ტექსტი მომზადებულ იქნა ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს სამუშაო ჯგუფისა და აღნიშნულ საკითხზე ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს სპეციალისტის, ბატონი დენის სალასის (საფრანგეთი) მიერ.
2. წინამდებარე დასკვნა უკავშირდება ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს დასკვნას №1 (2001) (www.coe.int/legalprof, CCJE (2001) 43) სასამართლო ორგანოების დამოუკიდებლობის სტანდარტებისა და მოსამართლეთა უფლებამოსილების შეწყვეტის დაუშვებლობის შესახებ, კერძოდ 13, 59, 60 და 71 მუხლებს.
3. წინამდებარე დასკვნის შემუშავების პროცესში, ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭომ გაითვალისწინა რიგი სხვა დოკუმენტებისა, კერძოდ:
 - გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძირითადი პრინციპები სასამართლო ორგანოების დამოუკიდებლობის შესახებ (1985);
 - ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია № R (94) 12 მოსამართლეთა დამოუკიდებლობის, ეფექტურობისა და როლის შესახებ;
 - ევროპული ქარტია მოსამართლეთა სტატუსის შესახებ (1998) (DAJ/DOC(98)23);
 - სამოსამართლო ქცევის კოდექსი, ბანგალორის პროექტი¹.
4. წინამდებარე დასკვნა ეხება ორ ძირითად სფეროს:
 - მოსამართლეთა პროფესიული ქცევის პრინციპებსა და წესებს, რომლებიც უნდა ემყარებოდეს მაღალი სტანდარტების ეთიკის პრინციპების განსაზღვრებას, რომლებიც შეიძლება წართული იყოს თვით მოსამართლეების მიერ შემუშავებულ პროფესიული ქცევის სტანდარტების ნუსხაში (ა);
 - მოსამართლეთა სისხლისსამართლებრივი, სამოქალაქო და დისციპლინური პასუხისმგებლობის პრინციპებსა და პროცედურებს (ბ);
5. ამ თვალსაზრისით, ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭომ დააყენა საკითხი - თუ რამდენად შეესაბამება არსებული წესები და პრინციპები

¹ კოდექსის გადახედვა 2002 წლის ნოემბერში მოხდა და მას სამოსამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპები დაერქვა. ამ მომენტამდე ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოში პრინციპების წარდგენა არ მომხდარა. პრინციპების განმარტებით ბარათში აღნიშნულია ის წვლილი, რომელიც 2002 წლის ივნისში ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს სამუშაო ჯგუფმა შეიტანა.

სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის კრიტერიუმებს, რომლებიც დადგენილია ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციით.

6. აქედან გამომდინარე, ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო შეეცადა პასუხი გაეცა შემდეგი შეკითხვებისათვის:
- რა სახის ქცევის სტანდარტები უნდა გაერცვლდეს მოსამართლეებზე?
 - რა სახის ქცევის სტანდარტები უნდა შეიქმნას?
 - უნდა იქნას თუ არა გამოყენებული სისხლისსამართლებრივი, სამოქალაქო ან დისციპლინური პასუხისმგებლობა მოსამართლეების მიმართ; თუ კი, რა სახის?
7. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს მიაჩნია, რომ ზემოაღნიშნულ შეკითხვებზე პასუხებმა ხელი უნდა შეუწყონ ევროპის მოსამართლეთა მიმართ ერთიანი სამოქმედო გეგმის და უპირველეს ყოვლისა, მოსამართლეების უფლება-მოვალეობებთან, პროფესიულ ქცევასა და ეთიკასთან დაკავშირებული პრიორიტეტების განხორციელებას (იხ. დოკუმენტი: ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო (2001) 24, დანართი "ა", ნაწილი III "ბ"). ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო აღნიშნულ საკითხებს ქვემოთ, 49, 50, 75, 76 და 77 პუნქტებში განიხილავს.

ა. სამოსამართლო ძველის სტანდარტები

8. სამოსამართლო ქცევის ეთიკური ასპექტების განხილვა აუცილებელია რიგი მიზეზების გამო. სამოსამართლო დაეების გადაწყვეტის არსებული მეთოდები ყოველთვის ნდობას უნდა იმსახურებდეს. უფლებამოსილებანი, რომლებითაც მოსამართლეები არიან აღჭურვილნი, უშუალოდ არიან დაკავშირებულნი ისეთ ღირებულებებთან, როგორცაა სამართლიანობა, ჭეშმარიტება და თავისუფლება. მოსამართლეების მიმართ გამოყენებული ქცევის სტანდარტები გამომდინარეობს ამ ღირებულებებიდან და მართლმსაჯულების განხორციელების საფუძველს წარმოადგენს.
9. ნდობის შენარჩუნებას დიდი მნიშვნელობა აქვს სამოსამართლო დაეების გლობალიზაციის ზრდის და სასამართლოს გადაწყვეტილებების შესახებ ინფორმაციის ფართოდ გაერცვლების თვალსაზრისით. გარდა ამისა, სამართლებრივ სახელმწიფოში, საზოგადოება უფლებამოსილია მოელოდეს ზოგადი პრინციპების დანერგვას, რომლებიც შეესაბამება სამართლიანი სასამართლო პროცესის შესახებ წარმოდგენას და გარანტირებს ადამიანის ძირითად უფლებებს. მოსამართლეებზე დაკისრებული ვალდებულებები იმისათვის არის დადგენილი, რომ მათი ქმედებების მიუკერძოებლობა და ეფექტურობა იქნას გარანტირებული.

წ) რა სახის ქცევის სტანდარტები უნდა გაერცვლდეს მოსამართლეებზე?

10. პროფესიული მოთხოვნების მარეგულირებელი წესების ნებისმიერი ანალიზი, რომლებიც გამოიყენება მოსამართლეების მიმართ, უნდა ითვალისწინებდეს ძირითად პრინციპებსა და დასახულ მიზნებს.

11. მიუხედავად იმისა, თუ რა მეთოდები გამოიყენება მოსამართლეების დანიშვნისა და მომზადებისას და თუ რამდენად ფართოა მათი მანდატი, ისინი უფლებამოსილი არიან იმუშაონ (და მუშაობენ კიდევც) ისეთ სფეროებში, რომლებსაც უშუალო გავლენა აქვთ ადამიანების ცხოვრებაზე. აღნიშნულ საკითხზე უკანასკნელმა კვლევებმა აჩვენა, რომ ევროპის ქვეყნებში, ხელისუფლების ყველა შტოებიდან, სწორედ სასამართლო ხელისუფლებამ განიცადა ყველაზე მეტი ცვლილება.² უკანასკნელი წლების განმავლობაში, დემოკრატიულმა საზოგადოებამ გაზრდილი მოთხოვნების დაყენება დაიწყო საკუთარი სასამართლო სისტემების მიმართ. ჩვენი საზოგადოების ზრდადმა მრავალფეროვნებამ გამოიწვია ის, რომ თითოეული საზოგადოებრივი ჯგუფი სამართლებრივი აღიარებისა და დაცვისაკენ იღწვის, რასაც ისინი ყოველთვის ვერ აღწევენ. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ქვეყნების თითო დემოკრატიის სტრუქტურაც მნიშვნელოვნად შეიცვალა, ქვეყნებს შორის არსებითი განსხვავებები მაინც შესამჩნევია. ყველასათვის ცნობილია, რომ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები, რომლებიც ავტორიტარული რეჟიმებიდან წარმოიქმნა, სამართალსა და მართლმსაჯულებას განიხილავენ, როგორც საშუალებას, რომელიც დემოკრატიის მშენებლობისათვის აუცილებელ კანონიერებას უზრუნველყოფს. ამ ქვეყნებში, უფრო მეტად, ვიდრე სხვაგან, სასამართლო სისტემა თავს იმტკიცებს ხელისუფლების სხვა შტოებთან ურთიერთობებში, მათი სამოსამართლო კონტროლის ფუნქციის წყალობით.
12. უფლებამოსილებანი, რომლებითაც მოსამართლეები არიან აღჭურვილნი, განისაზღვრება არა მხოლოდ ეროვნული კანონმდებლობით და ქვეყნის ხალხის სურვილით, არამედ საერთაშორისო სამართლისა და მართლმსაჯულების პრინციპებით, როგორც ეს აღიარებულია თანამედროვე დემოკრატიულ საზოგადოებაში.
13. მიზანი, რომლის მისაღწევადაც ეს უფლებამოსილებები მოსამართლეებს ენიჭებათ შემდეგია – მიეცეთ მათ შესაძლებლობა განახორციელონ მართლმსაჯულება კანონის გამოყენების გზით, თითოეული ადამიანის უფლების უზრუნველყოფით, გამოიყენონ მისი კუთვნილი უფლებები და/ან კანონიერი ინტერესები, რომლებიც მას უსამართლოდ ჩამოერთვა ან შეიძლება ჩამოერთვას.
14. ეს მიზანი ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის მე-6 მუხლშია ჩამოყალიბებული, რომელიც - თუ მხოლოდ იმ პირის პოზიციიდან გამოვალთ, რომელმაც სასამართლო სისტემას მიმართა - ადგენს, რომ: "თითოეულ ადამიანს აქვს უფლება მისი საქმის სამართლიან და ღია განხილვაზე გონიერულ ვადაში დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ, რომელიც შექმნილია კანონის საფუძველზე". კონვენციას მოსამართლეები ყოველისშემძლედ არ მიიჩნია და უფრო მეტ მნიშვნელობას პროცესის მონაწილეთა უფლებების გარანტიებს ანიჭებს და ადგენს პრინციპებს, რომლებიც წარმოადგენს მოსამართლეთა მოვალეობების საფუძველს: დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა.
15. უკანასკნელი წლების განმავლობაში, გარკვეულწილად აღიარებულ იქნა აუცილებლობა სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის გარანტიების გაძლიერებისა; შეიქმნა დამოუკიდებელი ორგანოები მის დაინტერესებულ პირთა ჩარევისაგან დასაცავად; ადამიანის უფლე-

² *Les mutations de la justice. Comparaisons européennes (მართლმსაჯულების ევოლუცია. ევროპის ქვეყნების შედარებითი ანალიზი)*, Ph. Robert and A. Cottino (ed.), Harmattan, 2001.

ბათა ევროპის კონვენციის მნიშვნელობა გაიზარდა და შესამჩნევი გახდა სტრასბურგის ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოსა და ეროვნული სასამართლოების პრევენდენტული სამართლის განვითარების თვალსაზრისით.

16. მოსამართლეთა დამოუკიდებლობა – უმნიშვნელოვანესი პრინციპია და თითოეული სახელმწიფოს მოქალაქეების უფლებას წარმოადგენს, მათ შორის მოსამართლეებისაც. მას, როგორც ინსტიტუციონალური, ისე ინდივიდუალური ასპექტები გააჩნია. თანამედროვე, დემოკრატიული სახელმწიფო უნდა ემყარებოდეს ხელისუფლების დანაწილების პრინციპს. თითოეულმა მოსამართლემ უნდა გააკეთოს ყველაფერი იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის შენარჩუნებას როგორც ინსტიტუციონალურ, ისე ინდივიდუალურ დონეზე. ასეთი დამოუკიდებლობის დასაბუთება დეტალურად არის განხილული ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს დასკვნაში № 1 (2001), 10-13 პუნქტებში. აქ ნათქვამია, რომ ის შევსებულ უნდა იქნას მოსამართლეების მიუკერძოებლობით და ამავე დროს, წარმოადგენს მის პირობას, რაც აუცილებელია სასამართლო სისტემის სანდოობის უზრუნველყოფისათვის და იმ ნდობისათვის, რომლითაც ის უნდა სარგებლობდეს დემოკრატიულ საზოგადოებაში.
17. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1985 წლის ძირითადი პრინციპების მე-2 მუხლი შეიცავს პირობას: “სასამართლომ მის წინაშე წარდგენილი საქმეები უნდა გადაწყვიტოს მიუკერძოებლად, ფაქტებზე დაყრდნობით და კანონის შესაბამისად, ნებისმიერი მხრიდან და ნებისმიერი მიზნით ყოველგვარი შეზღუდვის, შეუსაბამო ზეგავლენის, იძულების, ძალდატანების, დაშინების ან პირდაპირი, თუ არაპირდაპირი ჩარევის გარეშე”.
18. მინისტრთა კომიტეტი, მის რეკომენდაციაში № R (94) 12 მოსამართლეთა მუშაობის ეფექტურობისა და როლის შესახებ (პრინციპი 1.2. დ) აცხადებს, რომ “მოსამართლეებს უნდა ჰქონდეთ მინიჭებული შეუზღუდავი დამოუკიდებლობა იმისათვის, რომ მათ მიუკერძოებელი გადაწყვეტილებები მიიღონ საკუთარი რწმენის და ფაქტების, საკუთარი ინტერპრეტაციის საფუძველზე და მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით”.
19. მოსამართლეთა სტატუსის შესახებ ევროპული ქარტია მიუთითებს, რომ მოსამართლეთა სტატუსის მიზანი კომპეტენტურობის, დამოკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფაა, რასაც თითოეული პირი სამართლიანად მოითხოვს სასამართლოებისაგან (პუნქტი 1.1). ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო სრულიად ეთანხმება ქარტიის ამ დებულებას.
20. მიუკერძოებლობა ევროპის სასამართლოს მიერ განმარტებულია, როგორც *სუბიექტური* მიდგომის გათვალისწინებით, რომელშიც მხედველობაში მიიღება ცალკეული მოსამართლის პირადი შეხედულებები და ინტერესები კონკრეტულ საქმეზე, ისე *ობიექტური* კრიტერიუმების შესაბამისად, რომლებიც ამტკიცებს, რომ მოსამართლემ წარმოადგინა საქმარის გარანტიები იმისათვის, რომ გამოირიცხულიყო რაიმე სახის კანონიერი ეჭვი მის მიუკერძოებლობაში³.

³ იხ. მაგალითად პიერ საკის საქმე, 1982 წლის 1 ოქტომბრის გადაწყვეტილება, სერია ა53, პუნქტი 30, დუკურას საქმე, 1984 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილება, სერია ა86, პუნქტი 24, დემიოლის საქმე, 1991 წლის 27 აგვისტოს გადაწყვეტილება, სერია ა210, პუნქტი 40, სანტა-მარიას საქმე, 1992 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილება, სერია ა253-ა, პუნქტი 34.

21. მოსამართლეებმა, ნებისმიერ გარემოებაში უნდა იმოქმედონ მიუკერძოებლად და უზრუნველყონ, რომ მოქალაქეებს არ ჰქონდეთ კანონიერი საფუძველი დაეჭვდნენ მათ რაიმე სახის მიკერძოებაში. ამ თვალსაზრისით, მიუკერძოებლობა უდავო უნდა იყოს, როგორც მოსამართლეების მიერ სამოსამართლო ფუნქციების განხორციელებისას, ისე სხვა სახის საქმიანობისას.

ა. მიუკერძოებლობა და მოსამართლეთა ქცევა სამოსამართლო ფუნქციების განხორციელებისას

22. საზოგადოებრივი ნდობა და პატივისცემა სასამართლო ხელისუფლებისადმი სასამართლო სისტემის მუშაობის ეფექტურობის გარანტიებია: ცალსახად ნათელია, რომ სამოსამართლო ქცევა პროფესიულ სფეროში საზოგადოების წევრების მიერ განიხილება, როგორც სასამართლოების მიმართ ნდობის განუყოფელი ნაწილი.

23. აქედან გამომდინარე, მოსამართლეებმა უნდა შეასრულონ თავიანთი მოვალეობები რაიმე სახის უპირატესობის, მიკერძოების ან წინასწარ შექმნილი განწყობის გარეშე გადაწყვეტილების მიღებისას, მათ არ უნდა გაითვალისწინონ რაიმე, რაც სამართლის ნორმების გამოყენების ფარგლებს ცდებდა. საქმის განხილვისას ან, თუ მათ საქმის განხილვა დაევალოთ, შეგნებულად არ უნდა მისცენ თავს უფლება გააკეთონ რაიმე კომენტარი, რომელიც საქმეზე გადაწყვეტილების მიღებისას მიუკერძოებლობის რაიმე ვარაუდსაც კი გამოიწვევს, ან შეიძლება გაელენა იქონიოს საქმის სამართლიან განხილვაზე. მოსამართლეებმა პატივისცემა უნდა გამოიჩინონ საქმის მონაწილე ყველა პირისადმი (საქმის მხარეები, მოწმეები, ადვოკატი) რაიმე სახის განსხვავების გარეშე, რომელიც კანონს არ ეფუძნება, ან შეუთავსებელია სამოსამართლო ფუნქციების ჯეროვნად შესრულებასთან. თავიანთი მოვალეობების შესრულებისას მოსამართლეებმა უნდა იმოქმედონ ისე, რომ მათი პროფესიული კომპეტენტურობა აშკარა იყოს.

24. ასევე, მოსამართლეებმა უნდა შეასრულონ თავიანთი მოვალეობები ჯეროვნად და დაცვან მხარეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპი, თავიდან აიცილონ რაიმე სახის მიკერძოება და დისკრიმინაცია, შეინარჩუნონ მხარეთა შეჯიბრებითობა და უზრუნველყონ საქმის სამართლიანი განხილვა.

25. სასამართლო სისტემის ეფექტურობა ასევე მოითხოვს მოსამართლეებისაგან პროფესიული ცოდნის მაღალ დონეს. მოსამართლეებმა უნდა შეინარჩუნონ თავიანთი პროფესიონალიზმის მაღალი დონე მომზადებისა და გადამზადების საშუალებით, რომელიც უზრუნველყოფს მათთვის სათანადო კვალიფიკაციას.

26. მოსამართლეებმა უნდა განახორციელონ თავიანთი ფუნქციები გულდასმით და გონივრულ ვადებში. ამისათვის, ისინი უზრუნველყოფილ უნდა იქნან შენობით, დანადგარებითა და დახმარებით. ასეთი პირობებით სარგებლობისას, მოსამართლეებს უნდა ახსოვდეთ თავიანთი მოვალეობები ადამიანის უფლებების დაცვის ევროპის კონვენციის 6.1 პუნქტის შესაბამისად გონივრულ ვადაში გადაწყვეტილების მიღების შესახებ და დაიცვან ეს ვალდებულებები.

ბ. მიუკერძოებლობა და მოსამართლეთა არასამოსამართლო ქცევა

27. მოსამართლეები არ უნდა იყვნენ იზოლირებულნი საზოგადოებისაგან, რომელშიც ისინი ცხოვრობენ, რადგან სასამართლო სისტემა სათანადო დონეზე

მხოლოდ მაშინ ფუნქციონირებს, თუ მოსამართლეებს რეალურ ცხოვრებასთან კავშირი აქვთ. მეტიც, მოსამართლეები, როგორც მოქალაქეები, სარგებლობენ ძირითადი უფლებებითა და თავისუფლებებით, რომლებიც პირველ რიგში დაცულია ადამიანის უფლებების დაცვის ევროპის კონვენციით (გამოხატვის თავისუფლება, სინდისის თავისუფლება და სხვა). ამისათვის, მოსამართლეებს უნდა აქონდეთ შესაძლებლობა განახორციელონ არასამოსამართლო საქმიანობა თავიანთი არჩევანისამებრ.

28. თუმცა, ასეთმა საქმიანობამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას მათ მიუკერძოებლობას, ხილო ზოგიერთ შემთხვევაში, მათ დამოუკიდებლობასაც კი. ასეთი საფრთხის თავიდან ასაცილებლად, აუცილებელია შენარჩუნებულ იქნას წონასწორობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობის დასაშვებ დონესა და თანამდებობრივი მოვალეობების შესრულებისას დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის შენარჩუნებას შორის სხვა პირების თვალშიც. უცილებელია, ყოველთვის დაისვას შეკითხვა, ჩართულია თუ არა მოსამართლე საქმიანობაში, რომელმაც შესაძლოა ობიექტურად მისი დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის კომპრომეტირება გამოიწვიოს მოცემულ საზოგადოებრივ კონტექსტში და გონიერი და მცოდნე დამკვირვებლის თვალში.
29. მოსამართლეები თავიანთ პირად ცხოვრებაში ღირსეულად უნდა იქცეოდნენ. ევროსაბჭოს წევრ სახელმწიფოებში კულტურული მრავალფეროვნების და მორალური ღირებულებების მუდმივი ევოლუციის გათვალისწინებით, სამოსამართლო ქცევის სტანდარტები მოსამართლეების პირად ცხოვრებაში არ შეიძლება იქნას ჩამოყალიბებული ზედმეტად კონკრეტულად. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო მხარს უჭერს სასამართლო სისტემის ფარგლებში ერთი ან რამდენიმე ორგანოს შექმნას, ან პირების დანიშვნას, რომლებსაც საკონსულტაციო ფუნქცია ექნებათ და მრჩეველების როლს შეასრულებენ, რომელთაც მოსამართლეებმა შეიძლება მიმართონ თუ ისინი არ არიან დარწმუნებულნი, შეეფერება თუ არა კონკრეტული საქმიანობა კერძო სექტორში მათ მოსამართლის სტატუსს. ასეთი ორგანოების, ან პირების არსებობა ხელს უწყობდეს ეთიკური ნორმების მნიშვნელობისა და დანიშნულების განხილვას სასამართლოს სისტემის ფარგლებში. თუ მხოლოდ ორ შესაძლებლობას განვიხილავთ, ასეთი ორგანოები ან პირები შეიძლება შეიქმნას ან დაინიშნოს უზენაესი სასამართლოს, ან მოსამართლეთა ასოციაციის ეგიდით. ნებისმიერ შემთხვევაში, ასეთი ორგანოები ან პირები განცალკევებულნი უნდა იყვნენ იმ ორგანოებისაგან, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან დისციპლინური სანქციების დაკისრებისათვის და სხვა მიზნებს უნდა ემსახურებოდნენ.
30. გარკვეული სერიოზული პრობლემები უკავშირდება მოსამართლეთა პოლიტიკურ საქმიანობაში მონაწილეობას. რატომ უნდა მოსამართლეები მოქალაქეებად რჩებიან და მათ უნდა მიეცეთ შესაძლებლობა მოახდინონ თავიანთი პოლიტიკური უფლებების რეალიზება, რომლებიც ყველა მოქალაქეს გააჩნია. თუმცა, სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებისა და საზოგადოების კანონიერი მოლოდინის გათვალისწინებით, მოსამართლეებმა უნდა გამოიჩინონ თავშეკავება საჯარო პოლიტიკური საქმიანობის განხორციელებო-სას. ზოგიერთმა ქვეყანამ ეს პრინციპი დისციპლინურ წესებში შეიტანა და ნებისმიერი საქციელისათვის, რომელიც მოსამართლის თავშეკავების ვალდებულებას არ შეესაბამება, დისციპლინურ სანქციებს აწესებს. ქვეყნებმა ასევე დაადგინეს, რომ სამოსამართლო მოვალეობები შეუთავსებელია პოლიტიკური

საქმიანობის გარკვეულ სახეობებთან (ეროვნულ პარლამენტში, ევროპარლამენტში ან ადგილობრივ საბჭოებში) და ზოგიერთ შემთხვევაში აკრძალეს ასეთი თანამდებობების დაკავება მოსამართლეების მეუღლეების მიერაც კი.

31. უფრო მეტიც, აუცილებელია მოსამართლეების პოლიტიკური ხასიათის დებატებში მონაწილეობის მიზანშეწონილობის განხილვაც. იმისათვის, რომ შენარჩუნებულ იქნას საზოგადოებრივი ნდობა სასამართლო სისტემისადმი, მოსამართლეები არ უნდა გახდნენ პოლიტიკური შეტყევის ობიექტი, რაც შეუთავსებელია სასამართლო ორგანოების მიერ მოთხოვნილ ნეიტრალიტეტთან.
32. კითხვარზე პასუხებიდან იქმნება შთაბეჭდილება, რომ ზოგიერთი ქვეყანა ემხრობა მოსამართლეების პოლიტიკაში მონაწილეობის შეზღუდვის პოზიციას.
33. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს დისკუსიებში გამოჩნდა მოსამართლეებისათვის თავიანთი აზრისა და გამოხატვის თავისუფლების ნეიტრალიტეტის მოთხოვნებთან შეთავსების აუცილებლობა. ამიტომ, მოსამართლეებმა თავი უნდა შეიკაონ ისეთი პოლიტიკური საქმიანობისაგან მაინც, რომელმაც შეიძლება შეარყიოს მათი დამოუკიდებლობა, ან ეჭვქვეშ დააყენოს მათი მიუკერძოებლობა მიუხედავად იმისა, რომ მოსამართლეების პოლიტიკურ პარტიაში წევრობა, ან სერიოზული საზოგადოებრივი საკითხების პოლიტიკურ განხილვებში მონაწილეობა არ შეიძლება ცნობილ იქნას უკანონოდ.
34. თუმცა, მოსამართლეებს უნდა მიეცეთ უფლება მონაწილეობა მიიღონ გარკვეულ განხილვებში, რომლებიც ეროვნულ სასამართლო პოლიტიკას ეხება. მათგან უნდა ითხოვონ კონსულტაციები და ისინი აქტიურ როლს უნდა თამაშობდნენ იმ კანონმდებლობის მომზადებაში, რომელიც შეეხება მოსამართლეთა სტატუსს და სასამართლო სისტემის ფუნქციონირების ზოგად საკითხებს. ამასთან დაკავშირებით, წამოიჭრა შეკითხვა, შეუძლიათ თუ არა მოსამართლეებს მიეცეთ უფლება გაწვევრიანდნენ პროფესიულ კავშირებში. სიტყვისა და აზრის თავისუფლების პრინციპის შესაბამისად, მოსამართლეები უფლებამოსილნი არიან გაწვევრიანდნენ პროფესიულ კავშირებში (გაერთიანების თავისუფლება), თუმცა შეიძლება დადგენილ იქნას გამონაკლისები მათ მიერ გაფიცვის ჩატარებასთან დაკავშირებით.
35. სხვადასხვა სფეროში მუშაობა მოსამართლეებს საშუალებას აძლევს გააფართოონ თავიანთი მსოფლმხედველობა და გაეცნონ საზოგადოების პრობლემებს, რაც მათ მიერ პროფესიული მუშაობის დროს მიღებული ცოდნის შევსებაა. მეორეს მხრივ, ამან შეიძლება გამოიწვიოს გაუმართლებელი რისკი: ასეთი სამუშაო შეიძლება განხილულ იქნას, როგორც ხელისუფლების დანაწილების პრინციპის საწინააღმდეგო ქმედება და შეიძლება შეასუსტოს საზოგადოების რწმენა მოსამართლეთა დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობაში.
36. მოსამართლეების მონაწილეობის საკითხი მთავრობის გარკვეულ საქმიანობაში, როგორცაა მინისტრთან კერძო კაბინეტში მუშაობა, სერიოზულ პრობლემებს იწვევს. არ არსებობს საფუძველი იმისათვის, რომ მოსამართლეებს ხელი შეეშალოს განახორციელონ გარკვეული ფუნქციები სამინისტროს ფარგლებში

(მაგალითად, იუსტიციის სამინისტროს სისხლის სამართლის და სამოქალაქო კანონმდებლობის განყოფილებაში). თუმცა, საკითხი უფრო რთულდება იმ შემთხვევაში, როდესაც მოსამართლე მინისტრთან კერძო კაბინეტის თანამშრომელი ხდება. მინისტრები უფლებამოსილი არიან დანიშნონ ნებისმიერი პირი საკუთარ კერძო კაბინეტში სამუშაოდ, თუმცა რადგან ასეთი პირები მინისტრის უახლოესი თანამშრომლები არიან, ისინი გარკვეულწილად ჩართულნი არიან მის პოლიტიკურ საქმიანობაში. აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, ვიდრე მოსამართლე მინისტრის კერძო კაბინეტში დაიწყებს მუშაობას, დამოუკიდებელმა ორგანომ, რომელიც მოსამართლეების დანიშვნაზე აგებს პასუხს, უნდა გამოსცეს თავისი დასკვნა. ამავე ორგანომ უნდა შეიმუშაოს ქვეყის წესები, რომლებიც თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაზე ვრცელდება.

გ. მიუკერძოებლობა და მოსამართლეთა პროფესიული საქმიანობის სხვა სახეობები⁴

37. სამოსამართლო ფუნქციების განსაკუთრებული ხასიათი და სასამართლოს ინსტიტუტის ღირსების შენარჩუნების და მოსამართლეების ყველა სახის ზოგადსაგან დაკვირვებას აუცილებლობა გულისხმობს, რომ მოსამართლეები ისე უნდა იქცეოდნენ, რომ აიცილონ ინტერესთა კონფლიქტი, ან თავიანთი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება. ეს მოსამართლეებისაგან მოითხოვს ნებისმიერ პროფესიულ საქმიანობაზე უარს, რომელმაც შეიძლება ისინი მოაცილნოს სამოსამართლო მოვალეობების შესრულებისაგან, ან გამოიწვიოს მიკერძოება ამ მოვალეობების შესრულებისას. ზოგიერთ სახელმწიფოში, ცალსახადაა განსაზღვრული სამოსამართლო ფუნქციებთან შეუთავსებელ სფეროები და მოსამართლეებს ეკრძალებათ რაიმე სხვა სახის პროფესიული, ან ანაზღაურებადი საქმიანობის განხორციელება, გარდა საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი, ლიტერატურული ან მხატვრული საქმიანობისა.

38. სხვადასხვა ქვეყანა მოსამართლის სტატუსთან შეუთავსებელ საქმიანობას განიხილავს სხვადასხვა მიდგომით (თანდართულია მოკლე მიმოხილვა) და სხვადასხვა პროცედურის გამოყენებით. თუმცა თითოეულ შემთხვევაში საერთო მიზანია მოსამართლეებსა და საზოგადოებას შორის განუსაზღვრელი ბარიერების წარმოქმნის თავიდან აცილება.

39. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს მიაჩნია, რომ პროფესიული ქვეყის წესები მოსამართლეებისაგან უნდა მოითხოვდეს თავი შეიკავონ ნებისმიერი საქმიანობისაგან, რომელიც შეიძლება მაკომპრომეტირებელი იყოს მათი თანამდებობის ღირსებისათვის და ეს წესები უნდა ინარჩუნებდეს საზოგადოებრივ ნდობას ინტერესთა კონფლიქტის მინიმუმამდე დაეყვანის გზით. ამ მიზნით, მოსამართლეებმა უარი უნდა თქვან დამატებით პროფესიულ საქმიანობაზე, რომელმაც შეიძლება შეზღუდოს მათი დამოუკიდებლობა და საფრთხე შეუქმნას მათ მიუკერძოებლობას. ამ კონტექსტში, ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო მხარს უჭერს მოსამართლეთა სტატუსის შესახებ ევროპის ქარტიის დებულებას, რომლის თანახმად, მოსამართლეთა

⁴ მოსამართლეების სტატუსთან შეუთავსებელი საქმიანობის უფრო დეტალური შესწავლისათვის იხ. ჟან-პიერ ატენონის ანგარიში მოსამართლეთა სტატუსის შესახებ სემინარისათვის, რომელიც ორგანიზებულ იქნა ევროსაბჭოს მიერ (ბუქარესტი, 1997 წლის 19-21 მარტი) და პიერ კორნიუს ანგარიში მოსამართლეთა სტატუსის შესახებ სემინარისათვის, რომელიც ორგანიზებულ იქნა ევროსაბჭოს მიერ (კიშინიოვი, 1997 წლის 18-19 სექტემბერი).

თავისუფლება განახორციელონ ნებისმიერი საქმიანობა მათი მოსამართლო უფლებამოსილების გარეშე "არ შეიძლება იქნას შეზღუდული, გარდა იმ შემთხვევების, როდესაც ეს საქმიანობა შეუთავსებელია მოსამართლეების და მათი მიუკერძოებლობის მიმართ ნდობასთან და მის წინაშე განსახილველად წარგდენილი საკითხების გონიერულ ვადაში გადაწყვეტის მოთხოვნასთან (პუნქტი 4.2)". ამასთან, ევროპის ქარტია აღიარებს მოსამართლეების უფლებას გაწვერიანდნენ პროფესიულ ორგანიზაციებში და მათ გამოხატვის უფლებას (პუნქტი 1.7), "ხელშეწყობის სიმკაცრის" თავიდან ასაცილებლად, რომელმაც შეიძლება შექმნას ბარიერი საზოგადოებასა და მოსამართლეებს შორის (პუნქტი 4.3). თუმცა, აუცილებელია, რომ მოსამართლეებმა მათი დროის ძირითადი ნაწილი სწორედ სამოსამართლო საქმეებს დაუთმონ, მათ შორის პროფესიულ ასოციაციებში და არ დაუთმონ ზედმეტად დიდი დრო არასამოსამართლო საქმიანობას. ასეთი საქმიანობისადმი ზედმეტი ყურადღების რისკი წარმოიქმნება რასაკვირველია მაშინ, როდესაც ის ანაზღაურებადი. თითოეულმა სახელმწიფომ თვითონ უნდა განსაზღვროს თუ რა სახის საქმიანობაა დასაშვები და რა სახის – არა, რა შემთხვევაში უნდა ჩაერთოს ამ საკითხში ორგანო ან პირი, რომელზეც საუბარია პუნქტში 29.

დ. მიუკერძოებლობა და მოსამართლეთა ურთოვრობა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან

40. შეინიშნება სასამართლო საქმეებისადმი მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ინტერესის ზრდის საერთო ტენდენცია, განსაკუთრებით სისხლის სამართლის სფეროში, კერძოდ დასავლეთ ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში. იმის გათვალისწინებით, რომ სასამართლოსა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს შორის შეიძლება დამყარდეს გარკვეული კავშირები, არსებობს საშიშროება, რომ ჟურნალისტებმა გააღწიეს იქონიონ მოსამართლეების ქვეყანა-ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო დასკვნაში №1 (2001) მიუთითებს - მიუხედავად იმისა, რომ პრესის თავისუფლება უზენაესი პრინციპია, სასამართლო პროცესი დაცული უნდა იყოს არასათანადო გარეშე გავლენისაგან. აღნიშნულის გათვალისწინებით, მოსამართლეებმა სიფრთხილე უნდა გამოიჩინონ პრესასთან ურთიერთობებში და შეინარჩუნონ დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა. მათ თავი უნდა შეიკავონ ჟურნალისტებთან ურთიერთობების საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ გამოყენებისაგან და არ მისცენ დაუსაბუთებელი კომენტარი მათ მიერ განხილული საქმეების შესახებ. მიუხედავად ამისა, უფლება ინფორმაციაზე არსებით პრინციპად რჩება, რომელიც გამოდინარყოფს ადამიანის უფლებების დაცვის ევროპის კონვენციის მე-10 მუხლიდან. ამ პრინციპის თანახმად, მოსამართლე მოქალაქეების კანონიერ მოლოდინს პასუხობს მკაცრად მოტივირებული სასამართლო გადაწყვეტილებებით. მოსამართლეები თავისუფალნი უნდა იყვნენ რეზიუმეს, ან კომუნიკეს მომზადებაში, რომლებსაც განსაკუთრებული შინაარსი აქვთ ან განმარტავენ სასამართლო გადაწყვეტილების მნიშვნელობას მოსახლეობისათვის. გარდა ამისა, იმ ქვეყნებისათვის, სადაც მოსამართლეები სისხლისსამართლებრივ გამოძიებას ახორციელებენ, რეკომენდირებულია თავშეკავებულობის შეთავსება, რომელიც მოსამართლემ მის მიერ განხილულ საქმეებზე უნდა გამოიჩინოს ინფორმაციაზე უფლებასთან. მხოლოდ ამ პირობების დაცვის შემთხვევაში, მოსამართლეებს შეუძლიათ თავისუფლად განახორციელონ თავიანთი როლი და არ ეშინოდეთ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ზეწოლის ქვეშ აღმოჩენისა. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო ინტერესით გამოყოფს გარკვეული ქვეყნების

მოსამართლეების დანიშვნის პრაქტიკას, რომლებიც პასუხისმგებელი არიან საზოგადოებრივ ურთიერთობებზე, ან წარმომადგენლის დანიშვნის პრაქტიკას, რომლებიც პასუხისმგებელი არიან პრესასთან ურთიერთობაზე საზოგადოებრივი ინტერესის საკითხებზე.

2) როგორ უნდა იქნას ჩამოყალიბებული სამოსამართლო ქცევის სტანდარტები?

41. კონტინენტური სასამართლო სისტემის ტრადიციაში, მყარად დამკვიდრდა კოდიფიცირების იდეა. ზოგიერთმა ქვეყანამ უკვე მიიღო სახელმწიფო სექტორის მუშაკთა (პოლიცია), სახელმწიფოს მიერ რეგულირებული პროფესიული საქმიანობით დაკავებულ პირთა (იურისკონსულტები, ექიმები) და კერძო სექტორის მუშაკთა (პრესა) ქცევის კოდექსები. ეთიკური ქცევის კოდექსები ცოტა ხნის წინ მოსამართლეებისათვისაც დაინერგა, ამერიკის შეერთებული შტატების მაგალითის შესაბამისად აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში.

42. უძველესი კოდექსი იტალიის “ეთიკის კოდექსია”, რომელიც 1994 წლის 7 მაისს იქნა მიღებული სასამართლო ორგანოების ასოციაციის – იტალიის მოსამართლეთა ასოციაციის მიერ. ამ შემთხვევაში, სიტყვა “კოდექსი” თავისი ჩვეული მნიშვნელობით არ არის გამოყენებული, რადგან დოკუმენტი სულ 14 მუხლისაგან შედგება, რომლებიც სამოსამართლო ქცევის ყველა ასპექტს (მათ შორის სასამართლოს თავმჯდომარეებს) და პროკურორებსაც⁵ შეეხება. კოდექსი წარმოადგენს თვითრეგულირების მექანიზმს, რომელიც თვით სასამართლო სისტემის მიერ არის შექმნილი და არ მოიცავს დისციპლინურ ან სისხლისსამართლებრივ ნორმებს. მუხლი 1. ადგენს ზოგად პრინციპს: “საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მოსამართლე უნდა იქცოდეს ღირსებით და სათანადოდ და შეინარჩუნოს ყურადღება საზოგადოებრივი ინტერესებისადმი. თავისი მოვალეობების ფარგლებში და ნებისმიერი პროფესიული ქმედების განხორციელებისას, მოსამართლემ უნდა იხელმძღვანელოს ისეთი ღირებულებებით, როგორცაა კეთილსინდისიერება, დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა”.

43. სხვა სახელმწიფოებს, როგორცაა ესტონეთი, ლიტვა, უკრაინა, მოლდავეთი, სლოვენია, ჩეხეთის რესპუბლიკა და სლოვაკეთი აქვთ “სამოსამართლო ეთიკის კოდექსები,” ან “ქცევის პრინციპები”, რომლებიც მიღებულია მოსამართლეთა წარმომადგენლობითი კრებების მიერ და განსხვავდება დისციპლინური წესებისაგან.

44. ქცევის კოდექსებს რამდენიმე მნიშვნელოვანი უპირატესობა აქვთ: პირველი, ისინი მოსამართლეებს ეხმარებიან გადაწყვიტონ პროფესიული ეთიკის საკითხები და უზრუნველყოფენ მათ დამოუკიდებლობას გადაწყვეტილებების დროს, გარანტირებენ რა მათ დამოუკიდებლობას ხელისუფლების სხვა შტოებისაგან. მეორე, ისინი საზოგადოებას ინფორმაციას აწვდიან იმ ქცევის სტანდარტების შესახებ, რომელთა შესრულებასაც საზოგადოება მათგან უნდა ელოდოს. მესამე, ისინი ამყარებენ საზოგადოების რწმენას იმაში, რომ მარ-

⁵ ეს კოდექსი მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორცაა ხალხთან ურთიერთობა, პროფესიული ვალი, სახელმწიფო სახსრების გამოყენება, პროფესიული ინფორმაციის გამოყენება, პრესასთან ურთიერთობა, წევრობა ასოციაციებში, მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებლობის დაცვა, თანამშრომლებთან კორექტული ურთიერთობების დაცვის ვალდებულება, ქცევის წესები სამსახურში და სამსახურს გარეთ და სასამართლოს თავმჯდომარე მოსამართლეების ვალდებულებები.

თელმსაჯულების გენხორციელება დამოუკიდებლად და მიუკერძოებლად ხდება.

45. თუმცა, ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო აღნიშნავს, რომ დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა არ შეიძლება დაცულ იქნას მხოლოდ ქცევის პრინციპებით და რომ მრავალმა ნორმატიულმა და პროცესუალურმა წესმაც მნიშვნელოვანი როლი უნდა ითამაშოს. პროფესიული ქცევის წესები განსხვავდება ნორმატიული და დისციპლინური წესებისაგან. ისინი გამოხატავენ პროფესიონალი მოსამართლის შესაძლებლობას შეასრულოს თავისი როლი საზოგადოებრივი მოლოდინის შესაბამისად და ისე განახორციელოს თავიანთი უფლებამოსილება, როგორც ეს საეალებულია. ეს არის თვითრეგულირებადი სტანდარტები, რომლებიც იქიდან გამომდინარეობს, რომ სამართლის გამოყენება მექანიკური ქმედება არ არის, არამედ ის სფეროა, სადაც მოსამართლეს გააჩნია დისკრეციული უფლებამოსილება, რაც მოსამართლეებს საკუთარი თავისა და მოქალაქეების წინაშე პასუხისმგებლობას უქმნის.

46. პროფესიული ქცევის კოდექსები ასევე გარკვეულ პრობლემებს ქმნიან. მაგალითად, შეიძლება შეიქმნას შთაბეჭდილება, რომ ისინი წარმოადგენენ წესების ამომწურავ ჩამონათვალს და რომ ყველაფერი, რაც აკრძალული არ არის – დასაშვებია. ასეთმა კოდექსებმა შეიძლება ზედმეტად გამარტივებული სურათი წარმოაჩინოს და ბოლოს, შეიძლება შექმნან შთაბეჭდილება, რომ ქცევის სტანდარტები დადგენილია გარკვეული პერიოდით მაშინ, როდესაც რეალურად, ისინი მუდმივად იცვლება. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს მიაჩნია, რომ უმჯობესია მომზადდეს და განხილულ იქნას “განცხადება პროფესიული ქცევის სტანდარტების შესახებ”, ვიდრე კოდექსი.

47. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს მიაჩნია, რომ მიუხედავად იმისა, რომ ეს არ არის ერთადერთი გზა პროფესიული ქცევის წესების გაერცყელებისა, ასეთი განცხადებების მომზადება წაქეზებულ უნდა იქნას ყველა ქვეყანაში, რადგან:

- პროფესიული წესების მომზადებისა და გაერცყელებისას, მნიშვნელოვანი როლი უნდა ითამაშოს პროფესიულმა მომზადებამ და კვალიფიკაციის შემგომმა ამაღლებამ;
- სასამართლო ინსპექტორები, იმ ქვეყნებში, სადაც ისინი არსებობენ მოსამართლეთა საკმინაობაზე ზედამხედველობის საფუძველზე, ვალდებული არიან შეიტანონ თავიანთი წვლილი ეთიკური წესების განვითარებაში. აღნიშნულ საკითხზე თავისი მოსაზრებები, მათ შეიძლება წარმოადგინონ ყოველწლიურ ანგარიშებში;
- დამოუკიდებელი ორგანოს, რომელზეც საუბარია მოსამართლეთა სტატუსის შესახებ ევროპის ქარტიაში, თუ იგი მონაწილეობს დისციპლინურ წარმოებაში, თავის გადაწყვეტილებებში შეუძლია განსაზღვროს მოსამართლეთა მოვალეობები. თუ ასეთი გადაწყვეტილებები სათანადოდ გამო-

⁶ თავის ანგარიშში, რომელიც შედგა ლისაბონის ქსელის ფარგლებში გამართული პირველი შეხვედრის ანგარიშზე, დანიელ ლაუკემ აღნიშნა, რომ პროფესიული მომზადება დაკავშირებული უნდა იყოს მოსამართლეების პრაქტიკასთან და ხელს უნდა უწყობდეს ეთიკური პრინციპების განხილვას, რომლებსაც ის ეუფლებება (იხ. «მოსამართლეებისა და პროკურორების მომზადება მათი პროფესიული ვალდებულებებისა და ეთიკის საკითხების შესახებ» ქსელის პირველი შეხვედრა ინფორმაციის გაკვლასათვის მოსამართლეებისა და პროკურორების მომზადების საკითხზე, ევროსაბჭოს გამომცემლობა).

ქვეყნდება, იმ ღირებულებების გააგება, რომლებსაც ისინი ეფუძნება, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება;

- პროფესიული ასოციაციები უნდა მუშაობდნენ, როგორც მოსამართლეთა პასუხისმგებლობისა და დეონტოლოგიის განხილვის ფორუმი; ისინი უნდა უზრუნველყოფდნენ ქვეყის წესების ფართოდ გავრცელებას მოსამართლეთა წრეებში.

48. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო ხაზს უსვამს შემდეგს – იმისათვის, რომ მოსამართლეთა დამოუკიდებლობის აუცილებელი დაცვა იქნას უზრუნველყოფილი, ნებისმიერი განცხადება მოსამართლეთა პროფესიული ქცევის შესახებ ორ ძირითად პრინციპს უნდა ეფუძნებოდეს:

- I) პირველი - იგი უნდა მოიცავდეს პროფესიული ქცევის ძირითად პრინციპებს. ასეთი განცხადება უნდა გამომდინარეობდეს საქმიანობის წინასწარ შეთანხმებული აკრძალული სახეობების სრული სიის შედგენის შეუძლებლობიდან; დამტკიცებული პრინციპები უნდა ემსახურებოდნენ მოსამართლეებს, როგორც თვითრეგულირების მექანიზმები, ე.ი. ზოგადი წესები, რომლებითაც მოსამართლეები ხელმძღვანელობენ თავიანთ საქმიანობაში. გარდა ამისა, მიუხედავად იმისა, რომ ისინი დისციპლინურ წესებთან იკვეთება და ურთიერთმოქმედებს, ქცევის პრინციპები უნდა არსებობდნენ მათგან განცალკევებით იმისათვის, რომ ამ ქცევის პრინციპებიდან ერთ-ერთის დარღვევა არ ითვლებოდეს დისციპლინურ გადაცდომად, ან სამოქალაქო ან სისხლისსამართლებრივ სამართალდარღვევად;
- II) მეორე, პროფესიული ქცევის პრინციპები შემუშავებულ უნდა იქნას მოსამართლეების მიერ. ის უნდა წარმოადგენდეს სასამართლო ხელისუფლების მიერ შექმნილ თვითრეგულირების მექანიზმს, რომელიც საშუალებას იძლევა სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტის უზრუნველყოფისა საყოველთაოდ მიღებული ეთიკური სტანდარტების ფარგლებში. აუცილებელია ფართო კონსულტაციების გამართვა, შესაძლოა მე-29 პუნქტში აღნიშნული ორგანოს, ან პირის ეგიდით, პროფესიული ქცევის წესების შესახებ განცხადების განმარტებისათვის.

ჟ) დასკვნები ქცევის სტანდარტებთან დაკავშირებით

49. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს მიაჩნია, რომ:
- თავიანთ საქმიანობაში, მოსამართლეებმა უნდა იხელმძღვანელონ პროფესიული ქცევის პრინციპებით;
 - ასეთი პრინციპები მოსამართლეებს უნდა სთავაზობდნენ საკითხების გადაწყვეტას, თუ როგორ უნდა მოიქცნენ ისინი ამა თუ იმ სიტუაციაში, მისცენ შესაძლებლობა გადალახონ სიძნელეები, რომლებიც მათ შეხედებათ მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნების მიზნით;
 - ზემოაღნიშნული პრინციპები შემუშავებულ უნდა იქნას თვით მოსამართლეების მიერ და სრულად უნდა იყენენ განცალკევებულნი მოსამართლეთა დისციპლინური სისტემისაგან;
 - სასურველია, რომ თითოეულ ქვეყანაში შეიქმნას ერთი ან რამდენიმე ორგანო, ან განისაზღვროს პირთა წრე სასამართლო სისტემის ფარგლებში მოსამართლეებისათვის რეკომენდაციების გაწევის მიზნით, რომლებსაც პროფესიული ეთიკის, ან მოსამართლის სტატუსთან მათი

არასამოსამართლო საქმიანობის შეუთავსებლობის პრობლემა შეხედეთ.

50. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს მოსაზრება ყოველი მოსამართლის ქცევასთან დაკავშირებით შემდეგში მდგომარეობს:

- I. თითოეულმა მოსამართლემ ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისათვის, რომ განახორციელოს სამოსამართლო დამოუკიდებლობა - როგორც ინსტიტუციურ ისე პიროვნულ დონეზე;
- II. მოსამართლეები უნდა იყენენ სამართლიანნი, როგორც საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებისას, ასევე პირად ცხოვრებაშიც;
- III. ისინი ყოველთვის უნდა იღებდნენ მიუკერძოებელ გადაწყვეტილებას;
- IV. ისინი თავიანთ უფლებამოსილებას უნდა ახორციელებდნენ ყოველგვარი უპირატესობის და ყოველგვარი მიკერძოების გარეშე;
- V. ისინი გადაწყვეტილებას უნდა იღებდნენ საქმის ყველა გარემოების გათვალისწინებით, მათი გადაწყვეტილებები უნდა ეფუძნებოდეს შესაბამის საკანონმდებლო ბაზას და გამორიცხული უნდა იყოს ნებისმიერი გარემოების გავლენა გადაწყვეტილებაზე, რომელსაც შეხება არ აქვს საქმესთან;
- VI. ისინი პატივს უნდა სცემდნენ პროცესის ყველა მონაწილეს და ასევე იმ პირებს, რომლებზედაც გავლენა აქვს ამ სასამართლო პროცესს;
- VII. ისინი თავიანთ უფლებამოსილებას უნდა ახორციელებდნენ მხარეთა თანასწორობის პრინციპის დაცვით, თავი უნდა აარიდონ მიკერძოებას და დისკრიმინაციას, უნდა დაიცვან მხარეთა შორის ბალანსი და თითოეული მათგანი უნდა უზრუნველყონ სამართლიანი სასამართლო პროცესით;
- VIII. ისინი უნდა გამოირჩეოდნენ სიფრთხილით მასმედიასთან ურთიერთობისას, უნდა ინარჩუნებდნენ დამოუკიდებლობას და მიუკერძოებლობას, თავი უნდა შეიკავონ მასმედიასთან ურთიერთობის საკუთარი ინტერესებისათვის გამოყენებისაგან და ასევე თავი უნდა შეიკავონ იმ საქმეზე, რომელსაც ისინი განიხილავენ, დაუსაბუთებელი კომენტარის გაკეთებისაგან;
- IX. ისინი უნდა ინარჩუნებდნენ მაღალ პროფესიულ განათლებას;
- X. ისინი უნდა ფლობდნენ პროფესიული განათლების მაღალ დონეს და უნდა მუშაობდნენ შეფერხებების გარეშე იმისათვის, რომ საქმეზე გადაწყვეტილება გამოტანილი იყოს გონიერულ ვადაში;
- XI. თავისი სამუშაო დროის ძირითად ნაწილს უნდა უთმობდნენ სამოსამართლო ფუნქციების განხორციელებას;
- XII. ისინი თავს უნდა იკავებდნენ პოლიტიკური საქმიანობისგან, რომელმაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს მათი დამოუკიდებლობა და ზიანი მიაყენოს მათ მიუკერძოებლობას;

მოსამართლეთა სისხლის, სამოქალაქო და დისციპლინარული პასუხისმგებლობა

4) რა სახის სისხლის, სამოქალაქო და დისციპლინარული პასუხისმგებლობა უნდა მოქმედებდეს მოსამართლის მიმართ?

51. საზოგადოების მიერ მოსამართლისადმი მინიჭებული უფლებამოსილებათა და ნდობის ხარისხი გულისხმობს გარკვეული საშუალებების არსებობას, რომელიც უზრუნველყოფს მოსამართლეთა პასუხისმგებლობას და იძლევა მათი თანამდებობიდან გადაყენების საშუალებას მათ მიერ სერიოზული დანაშაულის ჩადენისას.

ნებისმიერი მსგავსი პასუხისმგებლობის განსაზღვრისას სიფრთხილის გამოჩენის საჭიროება განაპირობებელია მოსამართლეთა დამოუკიდებლობის მხარდაჭერით და მათი დაუსაბუთებელი ზეწოლისაგან დაცვით. აქედან გამომდინარე, ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო ცალკეულ განხილავს მოსამართლეს სისხლის, სამოქალაქო და დისციპლინარული პასუხისმგებლობის დაკისრებას. პრაქტიკაში მოსამართლეს დისციპლინარული პასუხისმგებლობის დაკისრება აკველასუ მნიშვნელოვანია.

ა) სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა

52. მოსამართლეები, რომლებიც ახორციელებენ თანამდებობრივ ვალდებულებებს და ჩადიან ქმედებებს, რომლებიც ნებისმიერ გარემოებებში განხილვება დანაშაულებრივ ქმედებად (მაგალითად, როგორცაა ქრთამის აღება) არ არიან უფლებამოსილნი გამოიყენონ საკუთარი იმუნიტეტი დანაშაულის ჩვეულებრივი სისხლის სამართლებრივი განხილვისას. კვლევამ აჩვენა, რომ ზოგიერთ ქვეყანაში წინასწარი განზრახვით ჩადენილი სამოსამართლო შეცდომა შეიძლება ჩაითვალოს დანაშაულად. მაგალითად, შეედოსა და ავსტრიაში მოსამართლეები (რომლებიც უთანაბრდებიან სახელმწიფო მოხელეებს) შეიძლება დაინაჯონ (მაგალითად ჯარიმის გადახდით) თუ ისინი გამოიჩენენ თანამდებობრივ დაუდევრობას (მაგალითად ვადაზე დიდხანს ჩასვამენ პირს ციხეში).

53. მიუხედავად ამისა, სანამ მიმდინარე პრაქტიკა მთლიანად არ აღმოფხვრის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას მოსამართლეთა მიმართ, რომლებიც გაუფრთხილებლობით ჩადიან დანაშაულს სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებისას, ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს არ მიანიჭა მისაღებად ზოგადად ასეთი პასუხისმგებლობის შემოღება, ან მისი მხარდაჭერა. მოსამართლე არ უნდა იყოს იძულებული იმუშაოს ფულადი სასჯელის და მითუმეტეს თავისუფლების აღკვეთის მუქარის ქვეშ, ვინაიდან ასეთი მუქარის არსებობამ შეიძლება გააუარებლად იქონიოს გავლენა მის გადაწყვეტილებაზე.

54. მოსამართლის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა სასამართლოში იმ მხარის მიერ, რომელიც უკმაყოფილოა მოსამართლის მიერ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებით, ძალიან ხშირ პრაქტიკად იქცა ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს მიანიჭა, რომ იმ ქვეყნებში, სადაც პირს შეუძლია მოითხოვოს სისხლის სამართლის საქმის გამოძიება, ან მოსამართლის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა მოსამართლის მიერ მისი სამოსამართლო ფუნქციების განხორციელების თაობაზე, როდესაც არ არსებობს მოსამართლის მიმართ სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის აღძვრის საფუძველი, უნდა არსებობდეს მოსამართლის მიმართ აღძვრილი სისხლის სამართლებრივი გამოძიების, ან სასამართლო განხილვის შეწყვეტის, ან შეჩერების მექანიზმი.

ბ. სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა

55. მოსაზრებები, რომელიც ასახულია 53-ე პუნქტში, გამოიყენება ასევე მოსამართლეთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის მიმართ იმ შედეგებზე, რომელიც შეიძლება დადგეს მათი არასწორი გადაწყვეტილების ან სხვა ხარვეზების გამო (მაგალითად როგორცაა, ვადების დარღვევა საქმის განხილვის დროს). საერთო პრინციპი მდგომარეობს იმაში, რომ მოსამართლეები თავად უნდა იყვნენ თავის-

უფალნი მათ წინააღმდეგ შეტანილ სარჩელზე პასუხისმგებლობისგან იმ შემთხვევაში, თუ ისინი კეთილსინდისიერად ასრულებენ საკუთარ ვალდებულებას. სასამართლო შეცდომებით იურისდიქციის სფეროში ან სასამართლო პროცედურებში, ასევე კანონის ინტერპრეტაციის და გამოყენების დროს, ან მტკიცებულებების შეფასების დროს უნდა გამოსწორდეს გასაჩივრების მეთოდით. სხვა სასამართლო დარღვევები, რომლის გამოსწორება არ შეიძლება გასაჩივრების გზით (მაგალითად, როგორცაა სასამართლო განხილვის ხანგრძლივი ვადები), უნდა ხედუბოდეს სახელმწიფოს წინააღმდეგ სარჩელის შეტანით. ის, რომ ზოგიერთ შემთხვევაში სახელმწიფო ვალდებულია აუნაზღაუროს ზარალი მოზიივანს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის შესაბამისად, ეს განხილვის სხვა საკითხს წარმოადგენს, რომელიც პირდაპირ არ განხილება ამ მოცემულ შემთხვევაში.

56. არსებობს ევროპული ქვეყნები, სადაც მოსამართლეს შეიძლება დაეკისროს სამოქალაქო პასუხისმგებლობა არასწორი გადაწყვეტილების, ან სხვა უხეში დარღვევების გამო,⁷ განსაკუთრებით კი სახელმწიფო დონეზე, მას შემდეგ რაც უკმაყოფილო მხარემ დაამტკიცა საკუთარი უფლება კომპენსაციის მიღებაზე სახელმწიფოს მხრიდან. ასე მაგალითად, ჩეხეთში სახელმწიფო შეიძლება პასუხისმგებელი იყოს ზარალზე, რომელიც მხარეს მიადგა არაკანონიერი გადაწყვეტილების გამო, ან არაკანონიერი სასამართლო ქმედების გამო, მაგრამ ამის შემდეგ მას აქვს უფლება წარადგინოს რეგრესიული სარჩელი მოსამართლის წინააღმდეგ მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოსამართლის მიერ კანონის დარღვევა დამტკიცდება სისხლის სამართლებრივი, ან დისციპლინარული გარჩევის შემდეგ. მაგალითად, იტალიაში სახელმწიფოს უშუალოდ გარკვეული ზარალის ანაზღაურება დააკისროს მოსამართლეს, რომელმაც საკუთარი წინასწარ გამზრახული ტყუილით ან “უხეში დაუდევრობით” გამოიწვია სახელმწიფოს პასუხისმგებლობა, მაგრამ ამ უკანასკნელ შემთხვევებში მოსამართლის პასუხისმგებლობა შეიძლება შეზღუდული იყოს.

57. ევროპული ქარტია მოსამართლეთა სტატუსის შესახებ ადგენს მსგავსი სახის რეგრესულ ანაზღაურებას 52 პუნქტში, მაგრამ ამავე დროს გარანტიის სახით ჩადებულია წინასწარი თანხმობა ამ საკითხზე დამოუკიდებელი ორგანოსგან, სადაც წევრთა უმეტესობა მოსამართლეები არიან, ისე როგორც ეს რეკომენდირებულია ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს №1 (2001) 43-ე პუნქტში. ქარტიის პუნქტი 52 კომენტარებში საუბარია მოსამართლის სამოქალაქო პასუხისმგებლობის შეზღუდვაზე ა) სახელმწიფოს აუნაზღაუროს ზარალი “უხეში და არასაპატიო დაუდევრობის ჩადენისას” კანონიერი პროცედურის განხორციელების დამოუკიდებელი ორგანოს წინასწარი თანხმობის მოთხოვნით. ისეთი კონცეფციის გამოყენება როგორცაა “უხეში და არასაპატიო დაუდევრობა,” ხშირად იწვევს პრობლემებს. მაგრამ ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს მოსაზრებით მოსამართლეს არ უნდა აქონდეს რაიმე პირადი პასუხისმგებლობა სასამართლო ფუნქციების განხორციელებასთან დაკავშირებით, გარდა განზრახ ჩადენილი დარღვევისა.

გ. დისციპლინური პასუხისმგებლობა

58. სამართლის ნებისმიერ სისტემას სჭირდება გარკვეული დისციპლინური სისტემა, მაგრამ კითხვარის შედეგების მიხედვით ნათელი გახდა, რომ ზოგიერთ ქვეყანა-

⁷ იმ შემთხვევაშიც კი თუ სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება გაჯიანურებული ვადების გამო ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამაზე პასუხისმგებელი რომელიმე კონკრეტული მოსამართლეა. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო ადგენს იმას რაც სემში 27-ე პუნქტშია განხილული.

ში ეს უფრო აქტუალურია ვიდრე სხვაში. ძირითადი განსხვავება ამ საკითხთან მიმართებაში არსებობს საერთო და კონტინენტური სამართლის სისტემის მქონე ქვეყნებს შორის, რაც იდგომარეობს იმაში, რომ პირველ შემთხვევაში მოსამართლეთა რაოდენობა ნაკლებია და მათი დანიშვნა ხდება გამოცდილი პრაქტიკოსებიდან, მაშინ როდესაც მეორე კატეგორიის ქვეყნებში მოსამართლეთა რაოდენობა უფრო მეტია, უფრო ახალგაზრდები არიან და ისინი პროფესიონალი მოსამართლეები არიან.

59. ამ შემთხვევაში დგება შემდეგი კითხვები:

- I. რა ქმედებამ უნდა გამოიწვიოს დისციპლინური ზომების გამოყენება?
- II. დისციპლინური სამართალწარმოება ეის მიერ და როგორ უნდა განხორციელდეს?
- III. ვინ და როგორ უნდა არეგულირებდეს ამ პროცესს?
- IV. რა სანქციების გამოყენება უნდა მოხდეს დანაშაულისათვის, რომელიც განსაზღვრულია დისციპლინური სამართალწარმოებით?

60. პირველ საკითხთან მიმართებაში ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს მიანიჩა, რომ არ იქნებოდა სწორი პროფესიული სტანდარტების დარღვევის გათანაბრება, გადაცდომასთან რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს დისციპლინური სანქციები. პროფესიული სტანდარტები, რომელიც ჩვენ განვიხილეთ ამ დოკუმენტის პირველ ნაწილში, წარმოადგენს ქვეყნის ისეთ ფორმას, რომელიც უნდა გახდეს მოსამართლის მიზანი და რომლისკენაც ისინი უნდა მიისწრაფოდნენ. ამ სტანდარტების იმ გადაცდომებთან გაიგივება, რომელმაც შეიძლება დისციპლინური პასუხისმგებლობა წარმოშვას გამოიწვევს სტანდარტების სამომავლო განვითარების შეჩერებას და დააკარგვინებს მათ აზრს. იმისათვის, რომ გადაცდომას თან მოჰყვეს დისციპლინური სასჯელი საჭიროა, რომ გადაცდომა არ იყოს მხოლოდ დისციპლინური სტანდარტების დარღვევა, არამედ სერიოზული და არასაპატიო ქმედება.¹

61. ეს არ ნიშნავს იმას, რომ პროფესიული სტანდარტების დარღვევა არის რაღაც უმნიშვნელო თუ არის იმის მტკიცების საფუძველი, რომ ადგილი ჰქონდა სერიოზულ გადაცდომას, რის გამოც შეიძლება მოთხოვნილი იყოს მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაყენება. კითხვარის ზოგიერთი პასუხი დეტალურად ამტკიცებს ამას. მაგალითად, ლიტვის დისციპლინურ წარმოებაში პროფესიული სტანდარტები განისაზღვრება როგორც "გარკვეული ძალის" მქონე, ესტონეთში – როგორც "მოსამართლის დახმარება დისციპლინური დარღვევის შესახებ საქმის განხილვის პროცესში, ვინაიდან იგი აზუსტებს მოსამართლის შესახებ კანონს". მოდლოვეთშიც არსებობს დისციპლინური წარმოების შესახებ კანონი. (მეორეს მხრივ უკრაინისა და მოლდავეთის პასუხებში ასეთი კავშირი უარყოფილია).

62. ზოგიერთ ქვეყანაში პროფესიული სტანდარტების რეგულირების და გამოყენების 2 სისტემა არსებობს: სლოვენიაში სტანდარტების დარღვევას შეიძლება მოხდებოდეს "ღირსების სასამართლოს" მიერ განსაზღვრული სანქცია. "ღირსების სასამართლო" მოქმედებს მოსამართლეთა ასოციაციის ფარგლებში და არა დისცი-

¹ ამ მიზნების გამო ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭომ გაეროს ადამიანის უფლებათა კომისართან შეხვედრისას 2002 წლის 18 ივნისს და მის შემდეგ გამოხატა საკუთარი დადებითი დამოკიდებულება ბანგლადეშის კოდექსის მიმართ, გარდა იმ შემთხვევისა სადაც გამოხატულია მოსაზრება მასში ნაშრომობებულ ქვეყნის პრინციპებს, სარწმუნოს საგანს და დისციპლინურ სახედს შორის პირდაპირი კავშირის შესახებ.

პლინური ორგანოს ფარგლებში. ჩეხეთში მოსამართლეთა პროფესიული ქცევის ნორმების სერიოზული დარღვევის შემთხვევაში მოსამართლე შეიძლება გაირიცხოს “მოსამართლეთა კავშირიდან”, რომელიც აწესებს პროფესიულ წესებს.

63. უნდა ითქვას, რომ თითოეულმა სახელმწიფომ მოსამართლეთა ასეთი ქცევა თავად უნდა განმარტოს კანონით, რომელსაც თან დაერთვის შესაბამისი დისციპლინური პასუხისმგებლობა. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო აღნიშნავს, რომ ზოგიერთ ქვეყანაში იყო მცდელობა ნებისმიერი ქცევის დეტალური განმარტებისა, რომელიც შეიძლება გახდეს დისციპლინური პასუხისმგებლობის და სანქციის საფუძველი. თურქეთში მოსამართლეთა და პროკურორთა შესახებ კანონში მოცემულია კანონდარღვევათა გრადაცია (მათ შორის როგორცაა, არასაპატიო მიზეზის გამო სამსახურში გამოუცხადებლობა დიდი ვადით) და ასევე სანქციების გრადაცია, რომელიც იწყება გაფრთხილებით, შენიშვნით, თანამდებობიდან დაქვეითებით, თანამდებობის შეცვლით და თანამდებობიდან გადაყენებითაც კი. ამის მსგავსად 2002 წელს სლოვენიაში მიღებული კანონი ცდილობს საერთო პრინციპის შემოღებას, როგორცაა *nulla poena sine lege*, და მასში ჩამოთვლილია დისციპლინური დარღვევის 27 კატეგორია. ამ მცდელობების დროს მნიშვნელოვანია ისეთი ფორმულირების შემოღება, რომელიც ყოველისმომცველია, აყალიბებს პრობლემას და ასევე მიუთითებს მისი გადაწყვეტის ფორმებს და პასუხისმგებლობის ხარისხს. თავად ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს არ მიაჩნია საჭიროდ და შესაძლებლად, *nulla poena sine lege* პრინციპზე ან სხვა ნებისმიერ პრინციპზე დაყრდნობით დეტალურად ჩამოთვალოს ევროპულ დონეზე არსებული დარღვევის ყველა ფორმა, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს დისციპლინური პასუხისმგებლობა ან განსაზღვროს ყველა სანქცია. დისციპლინური წარმოების არსი უკავშირდება მოსამართლეთა ისეთ ქცევას, რომელიც აბსოლუტურად ეწინააღმდეგება იმას, რაც პროფესიონალი მოსამართლისაგან არის მოსალოდნელი და რაც შეიცავს დანაშაულის ელემენტს.

64. პირველი შეხედვით შეიძლება იფიქროთ, რომ პრინციპი VI.2 რეკომენდაცია №1 (94) 12 გულისხმობს საჭიროებას იმისა, რომ წინასწარ იყოს “განსაზღვრული” ზუსტი საკანონმდებლო ფორმულირებით დისციპლინური პასუხისმგებლობის წარმოების საფუძვლები. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო აბსოლუტურად ეთანხმება იმას, რომ დისციპლინური წარმოების აღძვრისათვის აუცილებელია კონკრეტული საფუძვლების არსებობა, მაშინ როდესაც ხდება საქმის შეტანა განსახილველად, ან მისი განხილვა უკვე დაწყებულია. მაგრამ, როგორც უკვე იმავე პრინციპში ნათქვამია ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს არ მიაჩნია აუცილებლად ან შესაძლებლად, რომ ევროპულ დონეზე წინასწარ განსაზღვროს ყველა ეს პოტენციური საფუძვლები სხვა ტერმინებით, ვიდრე ეს ზოგადი ფორმულირებით არის ჩამოყალიბებული ევროპული ქვეყნების უმრავლესობაში. ამის შედეგად ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო მივიდა დასკვნამდე, რომ მის მოსაზრება №1 (2001) პარაგრაფი 60-ის “გ” ქვეპუნქტში ჩამოყალიბებული მიზანი არ შეიძლება განხორციელდეს ევროპულ დონეზე.

65. მაგრამ, თითოეული წვერი სახელმწიფოს მიერ ქვეყნის შიდა კანონმდებლობით დისციპლინური დევნის საფუძვლების კონკრეტული განმარტება მიზაშეწონილი და სასურველია. ამ დროისათვის დისციპლინური ქმედების საფუძვლები, როგორც წესი ჩამოყალიბებულია ძალიან ზოგადად.

66. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო შემდგომში განიხილავს შეკითხვას (II): დისციპლინური სამართალწარმოება ვის მიერ და როგორ უნდა განხ-

ორციელდეს? ზოგიერთ ქვეყანაში დისციპლინური დევნის აღძვრა ხდება იუსტიციის საინისტროს მიერ, სხვა ქვეყნებში მოსამართლეების მიერ, ან მოსამართლეების მონაწილეობით, ან სასამართლო კოლეგიის, ან პროკურატურის მიერ – მაგალითად, საფრანგეთის სააპელაციო სასამართლოს პირველი თავმჯდომარის მიერ ან იტალიის გენერალური პროკურორის მიერ. ინგლისში ინიციატორი არის ლორდი კანცლერი, მხოლოდ მთავარი სასამართლოს ლორდთან შეთანხმებით.

67. სერიოზული საკითხი დგება, რა უნდა გააკეთონ პირებმა, რომლებიც ამტკიცებენ რომ ისინი გახდნენ მოსამართლის პროფესიული შეცდომის მსხვერპლნი. ასეთ პირებს უნდა ჰქონდეთ უფლება შეიტანონ საჩივრი პირის, ან ორგანოს სახელზე, რომელიც აღძრავს დისციპლინურ წარმოებას, მაგრამ მათ არ უნდა ჰქონდეთ უფლება დამოუკიდებლად მოახდინონ ინიცირება, ან დაუნიებთ მოითხოვონ დისციპლინური სანქციის გამოყენება. აუცილებელია არსებობდეს ფილტრი, წინააღმდეგ შემთხვევაში მოსამართლეები გახდებიან უკმაყოფილო მხარის მიერ აღძრული დისციპლინური დევნის მსხვერპლნი.

68. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს მიაჩნია, რომ დისციპლინური დევნის აღძვრისკენ მიმართული პროცედურები საჭიროებს მეტ ფორმალუბას. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს შემოთავაზებაა, რომ ყველა ქვეყანაში შეიქმნას სპეციალური ორგანო, ან დაინიშნოს პირი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება საჩივრების მიღებაზე, მოსამართლის მიერ ამ საჩივარზე პასუხის გაცემაზე და არსებული გარემოებების მიხედვით გადაწყვეტილების მიღებაზე იმის თაობაზე, არსებობს თუ არა საკმარისი საფუძველი მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრისათვის და თუ კი არსებობს, მაშინ საქმე უნდა გადაეცეს დისციპლინური დევნის ორგანოს.

69. შემდეგი შეკითხვა (III): ვის მიერ და როგორ უნდა მოხდეს დისციპლინური წარმოების განხორციელება. გაეროს ძირითადი პრინციპების მთელი ნაწილი ეძღვნება დისციპლინურ დევნას და თანამდებობიდან განთავისუფლებას. მუხლი 17 ამბობს რომ “მოსამართლეს უნდა ჰქონდეს სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება”. მე-19-ე მუხლი განსაზღვრავს, რომ ყველა დისციპლინარული სასჯელი, უფლებამოსილებათა შეჩერება, ან თანამდებობიდან გათავისუფლება განსაზღვრული უნდა იყოს ჩამოყალიბებული სტანდარტების შესაბამისად” და ბოლოს მუხლი 20-ში ჩამოყალიბებულია რომ “დისციპლინარულ სასჯელებთან, უფლებამოსილებათა შეჩერებასა და თანამდებობიდან გათავისუფლებასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებები უნდა ექვემდებარებოდეს დამოუკიდებელ გადასინჯვას”. ევროპულ დონეზე რეკომენდაცია N8 (94) 12, პრინციპი VI ამბობს, რომ დისციპლინური დევნის ღონისძიებები უნდა განხორციელდეს “კომპეტენტური ორგანოს მიერ . . . თუ ეს ფუნქცია არ აკისრია სასამართლოს, მაგრამ ამ ორგანოს გადაწყვეტილებების კონტროლი უნდა მოხდეს ზემდგომი სასამართლო ინსტანციის მიერ”. მაგრამ კითხვის ნიშნის ქვეშ მყოფ მოსამართლეებს უნდა მიეცეთ სამართლიანი სასამართლო პროცესის უფლება, რომელიც კონვენციის მუხლი 6.1-ით არის განსაზღვრული. ამ სთანავე ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო ამ საკითხთან დაკავშირებით ამბობს, რომ დისციპლინური დევნის ღონისძიებებში იგულისხმება ყველა ღონისძიება, რომელიც უარყოფით გავლენას ახდენს მოსამართლის კარიერაზე – მაგალითად სხვა სასამართლოში გადაყვანა, დაწინაურების უფლების დაკარგვა, ან შრომის ანაზღაურების დაკარგვა.

70. შეკითხვებზე მოცემული პასუხები გვიჩვენებს რომ ზოგიერთ ქვეყანაში დისციპლინური დევნა ხორციელდება სასამართლოების მიერ, რომლებიც ასეთი ტიპის

საკმეგებზე არიან სპეციალიზირებულნი: უმაღლესი სასამართლოს დისციპლინური კომიტეტი, (ესტონეთი, სლოვენია). უკრაინაში შექმნილია კომიტეტი რომელშიც იმავე ინსტანციის მოსამართლეები შედიან რომელ ინსტანციაშიც მუშაობს მოსამართლე ვის წინააღმდეგაც არის დისციპლინური დევნა აღძრული. სლოვაკეთში ორი დონის კომიტეტი არსებობს: ერთი, რომელიც შედგება სამი მოსამართლისგან, მეორე რომელშიც უზენაესი სასამართლოს ხუთი მოსამართლე შედის. ლიტვაში არსებობს მოსამართლეთა კომიტეტი, სადაც საერთო სასამართლოების და ადმინისტრაციული სასამართლოების მოსამართლეები შედიან. ზოგიერთ ქვეყანაში გადაწყვეტილება მიიღება სასამართლო საბჭოების მიერ, რომელიც მოქმედებს როგორც დისციპლინური სასამართლო (მოლდოვეთი, საფრანგეთი, პორტუგალია)⁹

71. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭომ უკვე გამოთქვა მოსაზრება, რომ მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნა უნდა რეგულირდებოდეს დამოუკიდებელი ორგანოს (ან სასამართლოს) ისეთი პროცედურებით, რომელიც სრული დამოუკიდებლობის გარანტიას იძლევა – იხილეთ პუნქტი 60 (ბ) №1 დასკვნის (2001) მოსამართლეების შეუცვლელიობის და სასამართლოების დამოუკიდებლობის სტანდარტების შესახებ. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს ასევე მიაჩნია, რომ ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია ასეთი სასამართლოს დანიშვნაზე, უნდა იყოს დამოუკიდებელი, მის შემადგენლობაში უმეტესობა მოსამართლეები უნდა შედიოდნენ, რომლებიც დემოკრატიული პრინციპების საფუძველზე სხვა მოსამართლეების მიერ იქნებიან არჩეულნი, როგორც ეს პირველი დასკვნის 46-ე პუნქტშია ნათქვამი. ეს არ გამოირიცხავს დისციპლინურ სასამართლოებში იმ პირთა მონაწილეობას ვინც მოსამართლეები არ არიან (კორპორატიულობის იმისი თავიდან აცილების მიზნით), ამავე დროს მუდამ უნდა არსებობდეს გარანტია იმისა, რომ ეს პირები არ წარმოადგენენ საკანონმდებლო, სამთავრობო ან აღმასრულებელ ორგანოებს.

72. ზოგიერთ ქვეყანაში სუბიექტი, რომელიც აღძრავს დისციპლინურ წარმოებას, არის უმაღლესი სასამართლო ორგანო (უზენაესი სასამართლო). ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს მიაჩნია, რომ დისციპლინური წარმოება ისე უნდა იყოს ორგანიზებული, რომ დისციპლინური ორგანოს მიერ ინიცირებული გადაწყვეტილების (მიუხედავად იმისა ეს იქნება სპეციალური ორგანო, ტრიბუნალი თუ სასამართლო) გასაჩივრება შესაძლებელი იყოს სასამართლოში.

73. ბოლო შეკითხვა (IV): რა სანქციები გამოიყენება დისციპლინური დანაშაული-სათვის? კითხვარში მოცემული პასუხები ასახავს სამართლებრივ სისტემებს შორის არსებულ სერიოზულ სხვაობებს. პრეცედენტული სამართლის ქვეყნებში, სადაც სასამართლო ორგანოები არ არის დიდი და იქ მუშაობენ ზრდასრული და გამოცდილი მოსამართლეები, ერთადერთ ფორმალურ სანქციად შეიძლება გამოყენებულ იქნას მოსამართლის თანამდებობიდან გადაყენება, მაგრამ გაფრთხილება და სხვა არაფორ-

⁹ ინგლისში დისციპლინური დევნის აღძრვის ვალდებულება და გადაწყვეტილების მიღება არის ლორდ-კანცლერის პასუხისმგებლობა. შუთანხმების შედეგად დისციპლინური წარმოება შეიძლება აღძრას მხოლოდ მთავარი სასამართლოს ლორდის თანხმობით და ამის შემდეგ იგივე ინსტანციის სხვა მოსამართლე (მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ის მოსამართლე ვის მიმართაც არის აღძრული დევნა უარს არ იტყვის ამაზე) მთავარი სასამართლოს ლორდის მიერ დანიშნული იძიების ფაქტებს და ადვანს ანგარიშს რეკომენდაციებით. თუ მთავარი სასამართლოს ლორდი ეთანხმება ლორდ-კანცლერის მოსაზრებას, მაშინ ლორდ-კანცლერი შეძლებს საქმის პარლამენტისთვის გადაცემას (თუ საკმე ვება უმაღლესი სასამართლოს მოსამართლეს), ან გაათავისუფლებს ქვედა ინსტანციის სასამართლოს მოსამართლეს თანამდებობიდან, ან მიიღებს სხვა გადაწყვეტილებას დისციპლინური დევნის შესახებ.

მაღური ქმედებები ასევე შეიძლება იყოს ეფექტური. სხვა ქვეყნებში, სადაც სასამართლო ხელისუფლებაში უფრო ნაკლებად გამოცდილი მოსამართლეები მოღვაწეობენ არსებობს ოფიციალური სანქციების მთელი სისტემა, მათ შორის ჯარიმებიც.

74. ევროპული ქარტია მოსამართლეთა სტატუსის შესახებ (მუხლი 5.1) ადგენს, რომ, "შესაბამისი სანქციების შკალა გაწერილი უნდა იყოს მოსამართლეთა სტატუსში". სანქციების ზოგიერთი ფორმა განმარტებულია რეკომენდაცია N°რ (94) 12-ში პრინციპი VI.1). ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო მხარს უჭერს ყველა ქვეყნის აუცილებლობას თავად განსაზღვრონ მათი სისტემისათვის შესაბამისი დისციპლინური დევნის სანქციები და ასევე დაადგინონ მათი შესაბამისობა, როგორც პრინციპთან, ასევე მის გამოყენებასთან. მაგრამ, ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს არ მიანია, რომ ევროპულ დონეზე უნდა იყოს მიღებული სანქციების ამომწურავი სია.

5) დასკვნები პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით

75. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით მიჩნია, რომ:

- I) მოსამართლეების სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა დგება სისხლის სამართლის კანონმდებლობის შესაბამისად კანონდარღვევისათვის, რომელიც მათ ჩაიდინეს საკუთარი სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების მიღმა;
- II) სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა არ უნდა იყოს გამოყენებული, თუ მოსამართლეებმა ჩაიდინეს გაუზრებელი დარღვევა სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას.

76. რაც შეეხება სამოქალაქო პასუხისმგებლობას, ითვალისწინებს რა მოსამართლეთა დამოუკიდებლობას, ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო ადგენს, რომ:

- I) სასამართლო შეცდომების გამოსწორების საშუალება უნდა ჩაიდოს სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაბამის სისტემაში;
- II) სხვა დარღვევების, რომლებიც წარმოიშვა მართლმსაჯულების განხორციელებისას (მაგალითად, განხილვის ხანგრძლივი ვადები) გამოსწორების საშუალება არის სარჩელით სახელმწიფოსათვის მიმართვა;
- III) მოსამართლეებს არ უნდა დაეკისროთ სამოქალაქო პასუხისმგებლობა სამოსამართლო საქმიანობის განხორციელებისას, მათ შორის სახელმწიფოსათვის ზიანის ანაზღაურებისათვის გარდა განზრახ ჩედიანილი დანაშაულისა;

77. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს დისციპლინური პასუხისმგებლობის თვალსაზრისით მიჩნია, რომ:

- I) თითოეულ ქვეყანაში კანონმა ან ქარტიამ, რომელიც მოსამართლეებს ეხება, უნდა კონკრეტულად ჩამოაყალიბოს ის დარღვევები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს დისციპლინური წარმოება და ასევე განმარტოს ის პროცედურები, რომელიც ამ შემთხვევებში გამოიყენება;
- II) დისციპლინურ წარმოებასთან დაკავშირებით ქვეყნებმა უნდა გაითვალისწინონ სპეციალური ორგანოს შექმნა, ან იმ პირის დანიშვნა ვინც იქნება პასუხისმგებელი საჩივრების განხილვაზე, მოსამართლის პასუხის მიღე-

- ბაზე და იმის დადგენაზე არსებობს თუ არა საფუძველი დისციპლინური დევნის აღპერისთვის;
- III) ნებისმიერი ინიცირებული დისციპლინური წარმოება უნდა იყოს განსაზღვრული დამოუკიდებელი ორგანოს, ან ტრიბუნალის მიერ, რომელიც აწარმოებს საქმეს და იძლევა დამოუკიდებლობის გარანტიას;
 - IV) თუ ასეთი ორგანო ან სასამართლო თავად არ წარმოადგენს სასამართლო ორგანოს, მაშინ მისი წევრები უნდა დაინიშნონ დამოუკიდებელი ორგანოს მიერ (წევრთა უმეტესობა უნდა იყენენ მოსამართლეები, რომლებიც აირჩევიან სხვა მოსამართლეების მიერ დემოკრატიული გზით); ისე როგორც ეს განმარტებულია ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს 46-ე პუნქტში, დასკვნა №1 (2001);
 - V) ყოველ ქვეყანაში უნდა არსებობდეს დისციპლინური წარმოების მსგავსი ორგანო, რომელიც იძლევა დისციპლინური ორგანოს (ორგანოს, ტრიბუნალის ან სასამართლოს) გადაწყვეტილების გასაჩივრების საშუალებას სასამართლოში;
 - VI) სანქციები, რომელიც შეიძლება ამ ორგანომ მიიღოს გადაცდომის დადგენის შემთხვევაში, უნდა იყოს განმარტებული, რაც შეიძლება კონკრეტული ფორმულირებით ან კანონში, ან მოსამართლეთა შესახებ ქარტიაში, ან სტატუტში; ისინი უნდა გამოიყენებოდეს ჩადენილი დანაშაულის პროპორციულად.

დანართი

**სამოსამართლო ძვევის, ეთიკისა და
პასუხისმგებლობის შესახებ კითხვარზე პასუხების
მოკლე ანოტაცია**

რა სახის ვალდებულებები ეკისრებათ მოსამართლეებს?

ძმეყანა	წყარო	თარიღი	კანონთან მიმართებით	თანამდებობასთან მიმართებით	პირადი თვისებები
ანაკობაძე	კვალიფიციციური კანონი სასამართლო ორგანოების შესახებ	1993	კანონის ერთგულება	პატიოსნება, ობიექტურობა, მოუსყიდველობა	პროფესიონალი საიდუმლოს შენახვა
ბეჟაშვილი	სამოსამართლო კოდექსი	1967, 1999 წელს მიღებულ იქნა კანონი სისტემის რეფორმის შესახებ, თუმცა აღსრულების დადგენილება არ მიღებულა და ამჟამად პარლამენტი აპირებს აღნიშნული კანონის გაუქმებას	სასამართლო გადაწყვეტილებების მიღება მართლმსაჯულების განხორციელებაზე უარის თქმის ბრალდების გუქართი	პატიოსნება, ობიექტურობა, მოუსყიდველობა	გადაწყვეტილების დასაბუთებისას კონსტიტუციის შესაბამისად არგუმენტების მოყვანის ვალდებულება და საქმეების დადგენილ ვადაში განხილვა
ბერიძე	ბერძენი კანონი სასამართლო ორგანოების შესახებ			თავშეკავებულობის პრინციპი საკუთარი აზრის გამოხატვისას, თავბრუს დასაფარის საიდუმლოს შენახვა, დამოუკიდებელი სასამართლოს მიმართ ნდობის შეწყვეის დაუშვებლობა	.. და მისი მოვალეობების ფარგლებს გარეთ
ბერიძე	კონსტიტუციით გათვალისწინებული ფიცი	1997	კონსტიტუციისა და კანონების დაცვა	სამოსამართლო ფუნქციების ლიბერალურად შესრულება საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენებით შიშის გარეშე და მოქმედების	

ოსკანდია	კონსტიტუცია და მემორიალური სასამართლო ორგანოების შესახებ	1998			მოსართლეები შეინარჩუნონ თავიანთი სამართლებრივი ცოდნის დონე და ეურადღებოთ მოქვიდონ მათ სასამართლოს ბარეთ საქმიანობას
იტალია	კანონი მოსამართლეთა დისციპლინური გალდებულებების შესახებ	1946			
ამიკოუსი	კანონი სასამართლოების შესახებ		რესპუბლიკისა და კონსტიტუციისადმი ერთგულების ფიცი	სამოსამართლო ფიცი, განახორციელონ თავიანთი მოვალეობები მოქვიდნენ და არაფის მისცენ საშუალება განახორციელონ მათზე ზეწოლა, არ აყენენ თავიანთი ქმნიცეებს	
ლიტვა	კანონი სასამართლოების შესახებ	2002	დაიცვან კონსტიტუცია და კანონი	სამოსამართლო ეთიკის მოთხოვნები, მოქვიდნენ მოვალეობას, საკმთა გონიერულ ვადამი განხილვა, საჭიროებისამებრ – თვითაცილება, კალდებულება	

					ბამქელიანი ინფორმაცია იმის შესახებ, რამ კონკრეტულ სასამართლოში, სიღაც მოსამართლე მუშაობს, განიხილება მისი ოჯახის წევრების საქმი	
ლიხთამუხტაინი	კონსტიტუცია და კანონი სასამართლოების ორგანიზების შესახებ	1921 და 1922, დადგენილება სასამართლო ორგანიზების შესახებ, ამჟამად მიმდინარეობს მისი გადახედვა				
ლუქსემბურგი	არ არსებობს მოსამართლეთა მოვალეობების მარეგულირებელი კანონმდებლობა					
მალტა	პირველი ვიცი - პრეზიდენტის წინაშე, კონსტიტუციის შესაბამისად, მეორე ვიცი გათვალისწინებულია სასამართლო ორგანიზების ორგანიზებისა და პროცედურების კოდექსით		გადაწყვეტილებების კანონის და მალტის ტრიბუნალის შესაბამისად გამოტანა, დეფინსა და მალტის რესპუბლიკის სახელით		იმოქმედონ პატიოსნად და სამართლიანად, არ შევიდნენ კონტაქტში მხარეებთან და არ მისცენ მათ რეკომენდაციები, გარდა საჯარო გამოხატულებისა სასამართლოში და თავმჯდომარის თანხმობის შემთხვევაში, დაასაბუთონ თავიანთი გადაწყვეტილებები, განმარტონ საქმის განხილვის	

მრეწველობა	კანონი სასამართლო ორგანოების სტატუსის შესახებ		კანონის მოთხოვნების შესაბამის დაცვა მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე, ინდივიდუალური თავისუფლებების დაცვა	ბაჭყალიანის მიწის მფლობელების აბრეშის და ღორის უზრუნველყოფა, სასამართლო სისტემის მაღალი კულტურული, მიუკერძოებლობა და პუბლიცისტიკა, მართლმსაჯულების აბრეშის და ღორის უზრუნველყოფა და არ გამოიწვიოს უჭიკო რეპრესიები	ბაჭყალიანის მიწის მფლობელების აბრეშის და ღორის უზრუნველყოფა, სასამართლო სისტემის მაღალი კულტურული, მიუკერძოებლობა და პუბლიცისტიკა, მართლმსაჯულების აბრეშის და ღორის უზრუნველყოფა და არ გამოიწვიოს უჭიკო რეპრესიები
საზოგადოებრივი მომსახურება	ბე. 29 "კანონი სასამართლო ორგანოების სტატუსის შესახებ"	1827	იქცენ ერთგული მეფისადმი, აბრეშის დაცვა და კონსტიტუცია	შესარულიან თავიანთი მოვალეობები მიუკერძოებლად, აბრეშის დაცვა კეთილსინდისიერად მოსამართლეები იღებენ წერილობით ელექტრონულ კომუნიკაციას კეთილსინდისიერად შესარულიან თავიანთი მოვალეობები	შესარულიან თავიანთი მოვალეობები მიუკერძოებლად, აბრეშის დაცვა კეთილსინდისიერად მოსამართლეები იღებენ წერილობით ელექტრონულ კომუნიკაციას კეთილსინდისიერად შესარულიან თავიანთი მოვალეობები
საგარეო ურთიერთობები	კონსტიტუციური კანონები, პროცესუალური კოდექსები და ვიცე პრეზიდენტის წინაშე, შიდა სასამართლო პროცესუალური წესები	1984, 1995 და 1997 წლების კანონები, განახლებულია 2001 წლის ოქტომბერში	ერთგულება ერთსადმი, კანონის დამცემლის რილი	ერთგულება ერთსადმი, კანონის დამცემლის რილი	ერთგულება ერთსადმი, კანონის დამცემლის რილი

კორტუბალია	მოსამართლეობის სტატუსი			მოქალაქეობის შესრულებისას ყველა საჯარო მოსჯისათვის საერთო ვალდებულებები, თავ შეკავებულობის ვალდებულება, მანტიის ტარების ვალდებულება	მოსამართლე უნდა ცხოვრობდეს იგივე ადგილას, სადაც მუშაობს მოსამართლედ; დაბალი ინსტანციის მოსამართლეობით უნდა იმოქმედდნენ სამუშაო ადგილას გარდა დასვენების დღეებისა და დღესასწაულებისა; სხვა მოსამართლეებს არ შეუძლიათ არ განმოცხადდნენ სამსახურში სამი დღე ზედიზედ და წელიწადში 10 დღეზე მეტჯერ, რაც შეესაბამება ორგანიზების საბჭოს უნდა გაეგზავნოს შეტყობინება; აერასულეთა პოლიტიკური საქმიანობა
რუმინეთი	კონსტიტუციის მუხლი 24, სასამართლო ორგანიზების მოწყობის შესახებ კანონი, მუხლები 82- 87, 92/92	1991 1992	კონსტიტუციისა და კანონისადმი ერთგულების ფიცი	მოსამართლეებს არ შეუძლიათ გააკეთონ ისეთი რამ, რამაც შეიძლება ზიანი მიყენოს პროფესიის ღირსებას	მოსამართლეებმა არ უნდა გააკეთონ რამე, რამაც შეიძლება შელახოს მათი პირადი ღირსება
სლოვაკეთი	კანონი მოსამართლეობისა და მსოფლიო	2000		მოუკერებულობა, გონებრივი კადა, სამოსამართლო	მოსამართლის ასაკი უნდა შეადგინდეს 30 წელს მინც, მას

	მოსამართლეების შესახებ			<p>ფუნქციების შესრულებისას, არ გააკეთონ რაიმე, რამაც შეიძლება ზიანი მიაყენოს სასამართლო სისტემის ღირსებასა და მის მიმართ ნდობას, რომლითაც ის უნდა სარგებლობდეს, უარი უნდა თქვან საჩუქრებზე, არ უნდა დაკმაობილიონ ზეწოლას, მათ შორის მას-მედიის საშუალებების მხრიდან.</p>	<p>უნდა აკრძავს უმაღლესი იურიდიული განათლება, მოსამართლედ მუშაობის ნიჭი, განსაკუთრებით ჯანმრთელობასთან და პატიოსნებასთან მიმართებით, მუდამივად ცხოვრობდეს სლოუაკეთში და გაიაროს შერჩევის პროცედურა</p>
სლუკვენია	კანონი სამოსამართლო სამსახურის შესახებ	1994, 1996 და 1998 წლები		<p>მოიცემა პროცესულ ცხოვრებაში იმე, რომ არ წარმოიშვას შეკითხვები სასამართლო სისტემის მიუკერძოებლობასთან, დამოუკიდებლობასთან ან რეპუტაციასთან მიმართებით</p>	<p>საკუთარი უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზაციისას, მოსამართლემ ყოველთვის უნდა გაითვალისწინოს მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის დაცვის ვალდებულება და არ უნდა მიაყენოს ზიანი მართლმსაჯულების რეპუტაციას</p>
გაბრტიანსკუმი საჩხურე	საერთო სამართალი		საქვემო გვირგვინისადმი ერთგულების ფიცი, კანონიერების გათვალისწინების პირობით	განასორცეულის კანონი მოუკერძოებლად და დამოუკიდებლად	

მუშაობით	თუქეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია, კანონი მოსამართლეებისა და პროკურორების შესახებ	ორაქვ დოკუმენტი მიღებულია 1982 წელს	კონსტიტუციის, კანონისა და ერთიკელების ერთგულება, იმ პირობით, რომ ისინი შეესაბამება კანონს	საერთაშორისო დამოუკიდებლობის დაცვა, თუცა ისინი შეესაბამება შესაძლებელნი იყვნენ საინისტროს მიერ თავიანთი ადმინისტრაციული მოვალეობების ფარგლებში	ოფიციალური თანამდებობების დაკავების აკრძალვა, გარდა იმ შემთხვევების, როდესაც ეს გათვალისწინებულია კანონით
შარბინა	კანონი მოსამართლეთა სტატუსის შესახებ		კანონისა და კონსტიტუციის ერთგულება, ობიექტურობა, მოსამართლეები სრული შემდგომი უნდა იხილავდნენ მათ წინაშე წარედგინილ საქმეებს	ისინი უნდა იცავდნენ დისციპლინას და სასამართლოს მოწოდების სიტემას, იცავდნენ პროფესიულ საიდუმლოს	
ფინანსი	კონსტიტუცია, ფიცი, საბრძოლვეო კოდექსი, კანონი საჯარო მოსამსახურეების შესახებ		კანონის დაცვა	მიუკერძოებლობა, ეფექტურობა, გონიერული ეადა, თათბარის საიდუმლოება	ქვეყა რომელიც შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას
საზრუნავითი			მოსამართლეები გააღებულნი არიან ამოიტანონ გადაწყვეტილება იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც შესაბამისი კანონრებლობა არ არსებობს, მართლმსაჯულების განხორციელებაზე უარის თქმის ბრალდების მუქარით	არ უნდა დარღვიონ თათბარის საიდუმლოების პრინციპი, გამოიჩინონ თავუქალება, მათ არ აქვთ გაფიცვის უფლება	თავი უნდა შეიკავონ ნებისმიერი სახის პოლიტიკური განცხადებებისაგან, არ გამოამყვანონ რაიმე სახის მტრული დამოკიდებულება რესპუბლიკის მოაერობის მიმართ
ინსპექტორი რესპუბლიკა	ახალი კანონი სასამართლოსა და მოსამართლეების	მაღაში შევიდა 2002 წლის აპრილში	კანონის ინტერპრეტაციის გააღებულება,	მიუკერძოებლობა, გონიერული ეადა, დროთაღებურობა	მთ არ აქვთ გაფიცვის, საჯარო დემონსტრაციებში

	შესახებ	საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალური გამოყენებით საკუთარი ცოდნისა და პრინციპების შესაბამისად	სამოსამართლო მოვალეობების შესრულებისას, დაუშვებელია ისეთი ქმედება, რომელმაც შეიძლება ზიანი მოუტანოს სასამართლო სისტემის ღირსებას ან მის მიმართ ნდობას	მონაწილეობის უფლება, რომლებმაც შეიძლება ზიანი მიაყენონ მის მუშაობას, მოსამართლე არ უნდა იყოს პოლიტიკური პარტიის წევრი
შპს/იკარია ზგპ/დემური	კონსტიტუცია, საბრძოლველი კოდექსები (ფიცო) და კანონი საჯარო სამსახურის შესახებ	უნდა დაიცვან კანონი, არ უნდა მოახდინონ კანონით მანიაქულირება	უნდა იყვნენ პატიოსნები და გულახდილნი, მოუკიდებენ უნდა ახორციელებდნენ მართლმსაჯულებას ყველა შემთხვევაში და ცოდნის გამოყენებით, არ უნდა ჩაერთონ კორუფციაში და არ უნდა მიანიჭონ უპირატესობა პირადი, ოჯახური ან მეგობრული პრინციპით, არ უნდა დასცილდნენ ბრალის უდანაშაულო პირებს და პირიქით, დაიცვან თანბორის საიდუმლოება	
უაპ/ონის	კანონი მოსამართლეთა სტატუსის შესახებ კონსტიტუცია, კანონი	კონსტიტუციისა და კანონის დაცვა	დამოუკიდებელია საკუთარი	მოსამართლეების მოვალეობების

	<p>დანიშნულისა. ასეთი კომიტეტი ჯერ არ არსებობს. შესაბამისი კანონი მომზადების პროცესშია</p>				
<p>იხლანდია</p>	<p>რამდენიმე დაუწყველი წესი</p>				
<p>იხლანია</p>	<p>ღიახ, მისამართლეთა ეროვნული ასოციაცია</p>	<p>მისამართლეთა ეროვნული ასოციაცია, შეთანხმებულია პარლამენტსა და შთაქრობასთან</p>	<p>1994</p>	<p>ღირსება და სწორი ქცევა პირად ცხოვრებაში, საზოგადოებრივი ცილის შეცირება, სამოსამართლო ფუნქციების აღთქმისინდისიერად შესრულება, დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა, ყურადღება მოქალაქეებთან ურთიერთობაში, პროფესიული ცოდნა, მუდმივი გადამზადება, პროცედურები აღმინისტრაციული ფინანსების გამოყენებისათვის, პროფესიული საიდუმლო, დისციპლინა მასპედიის საშუალებებთან ურთიერთობისას, პოლიტიკური და ფინანსური ხასიათის ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობა, ურთიერთობა კოლეგებთან და სასამართლოს თანამშრომლებთან</p>	<p>ძირითადად თვითრეგულირების საშუალებები, შეიძლება გათვალისწინებულ იქნას სანქციები დისციპლინური დებულების ან საერთო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში</p>

	<p>კორუფციულმა საბჭომ შიიპოვა ნებაართვა ასეთი პროექტის მომზადებისათვის და 2001 წლიდან მუშაობს სამოსამართლო ეთიკის პრინციპების შემუშავებაზე</p>				
<p>კორუფციული საბჭო არა</p>	<p>რუმინეთის პარლამენტი</p>	<p>1992</p>	<p>მაგისტრატმა მოსამართლეებმა თავი უნდა შეიკაფონ ნებისმიერი ქმედებისაგან ან საქციელისაგან, რომლებმაც შეიძლება შეარყიოს მათი ღირსება სამსახურსა და საზოგადოებაში. მაგისტრატ მოსამართლეებს ეკრძალებათ პოლიტიკურ პარტიებში გაერთიანება ან პოლიტიკური ხასიათის საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართვა. მაგისტრატი მოსამართლის თანამდებობა შეუთავსებელია ნებისმიერ სხვა საჯარო ან კერძო სამსახურთან, გარდა პროფესიული აკადემიური საქმიანობისა. მაგისტრატ მოსამართლეებს ეკრძალებათ საეკტრო საქმიანობაში, გავრცობის მქონე მენეჯმენტში,</p>	<p>საკომიტეტო და დისციპლინური წარმოება</p>	

სლ(რ)ვაკაქიძის რმსაპაპალიას	დიანხ	სამოსამართლო სამბჭოს პრეზიდენტი და რუსტიციის მინისტრი	2001	სამოქალაქო ან აგტონომიურ კომპანიებში პირდაპირ ან შუამავლის მეშვეობით მონაწილეობა. მათ ასევე უკრძალუბათ ასეთი კომპანიების ან ავტონომიური კომპანიების მართვაში მონაწილეობა	არა, მხოლოდ სამოსამართლო აქტი
სლ(რ)მენია	დიანხ (ზან ახლახან შეცვალა 1972 წლის კრფილი კრფისეული კასუხისმგებლობის კოდექსი), მედტენილია მოსამართლეა ჯბუფის მიერ მოსამართლეა ასოციაციიდან	სამოსამართლო სამბჭოს პრეზიდენტი მინისტრი ასოციაცია	2001	პირადი ცხოვრება, .პროფესიული ცხოვრება და პროფესიული მოქალაქეობები 9 კრიზისი: დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა, ნეიტრალურობა, უნარი, კეთილსინდისიერება, შეუფერებელ/შესაფერისი საქმიანობა, დისკრეციუ- ლობა, პროფესიული ურთიერთობები, რეპუტაცია	არა, თუცა არსებობს ღირსების სასამართლო, რომელმაც შეისაღება ვანიხილოს დარღვევა რაიმე საქციის დაკისრების გარეშე
შემდეგითი	ცალკეული კოდექსი არ არსებობს, თუცა არსებობს ისტორიული მოდელი, რომელიც ემსახურება მოსამართ- ლეების ძველი შოა- ბონებას, კერძოდ კა- ნონის ზოგადი კოდექ- სი (1794), რომელიც შეიცავს ბუნდ კო- დექსს, რომელიც მოსა- მართლეებისათვის სავეადგებულო არ არის	ოლაუს პეტრი, მე-16 საუკუნეში, მოსამართლეა ასოციაცია აგამად მუშაობს კოდექსის პროექტზე, რომელიც ჯერ არ დასრულებულია, მრავალი კრიტიკის გამო	1540		სხვა სისტემის მეშვეობით, კანონი ომბუდსმენსა და იუსტიციის ინსტრუქციის უპირდაპირი სილუბას ათვის გააკრძალეს მოსამართლე საჯარო მისი საქციელოს გამო
შემთხარის	პრაქტიკულიად, დაწერილი წესები				

